საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ქართული ფილოლოგიისა და მედიატექნოლოგიების
დეპარტამენტი

შრომები – 01. ფილოლოგია

თემურ ჯაგოდნიშვილი

ერეკლეს ეპოსი

თბილისი
2021

ეძღვნება დიდი ქართველი მეფის
ერეკლე II-ის
დაბადების 300 წლისთავს

წიგნი წარმოადგენს ქართული ისტორიის დიდი სახელის – ქართლ-კახეთის უკანასკნელი უძლიერესი მეფის ერეკლე მეორის შესახებ ქართველი ხალხის მიერ შექმნილი პოეტური ეპოსის ტექსტის და მისი თეორიულ-მეცნიერული საფუძვლების შესწავლის შედეგების მეორე გამოცემას.

ნაშრომის მეცნიერული ღირებულება განსაზღვრულია ორი მნიშვნელოვანი გარემოებით:

- ქართულ ფოლკლორისტიკაში პირველად XIX-XX სს. ცოცხალ ზეპირსიტყვიერ ტრადიციათა გარემოში ჩაწერილი ფოლკლორული ტექსტების საფუძველზე გამოვლენილია ერეკლე მეორის ეპოსი;
- დადგენილია, რომ ერეკლეს ეპოსი საგმირო-ისტორიულია თავისი მხატვრული არსით; დასაბუთებულია ქართული ფოლკლორული ეპიკური ცნობიერების მთლიანურობა. გარკვეულია ისიც, რომ ქართული ხალხური პოეტური ეპოსი მოღწეულია არა სამი (როგორც ფიქრობდნენ), არამედ ოთხი ქმნილებით: „ამირანის ეპოსით", „ეთერიანით", „ერეკლეს ეპოსით" და „არსენას ლექსით".

წიგნი განკუთვნილია სპეციალიტებისა და ფართო მკითხველისათვის.

რედაქტორი: პროფესორი რუსუდან ჩოლოყაშვილი
პროფესორი ნიკო გვავახიშვილი

რეცენზენტები: პროფესორი ამირან არაბული
პროფესორი თეიმურაზ ქურდოვანიძე

ტექნიკური რედაქტორი: ასმათ ფიფია
ბიზნესის ადმინისტრირების აკადემიური დოქტორი

გამომცემლობა „საარი"
ISBN 978-9941-493-13-3.

მეორე გამოცემის წინასიტყვაობა

„ერეკლეს ეპოსი“ პირველად 2005 წელს გამოსცა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის გამომცემლობა „ტექნიკურმა უნივერსიტეტმა“. ნაშრომი მომზადდა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ქართული ენისა და მედიის დეპარტამენტში და წარმოადგენდა „ქართულ-კავკასიური ურთიერთობების ისტორიის სამეცნიერო-კვლევით ცენტრთან თანამშრომლობით განხორციელებულ კვლევით პროექტს. იგი არის მეცნიერული სერიის „დიდი კავკასიური მონარქების“ პირველი წიგნი.

ნაშრომის გამოცემის დროის პოლიტიკურმა ატმოსფერომ თავისებურად დაჩრდილა მისი რეზონანსულობა, თუმცა მეცნიერულ სამყაროში მაინც ჰპოვა გამოხმაურება: დაიბეჭდა პროფესორ ოთარ ონიანისა და პროფესორ თეიმურაზ ქურდოვანიძის რეცენზიები.

მეცნიერულ აკადემიურ დონეზე „ერეკლეს ეპოსის“ აღიარება იყო თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტში „ქართული ხალხური სიტყვიერების“ (2012) სახელმძღვანელოში ხალხური პოეტური ეპოსის ერთ ტექსტად „ერეკლეს ეპოსის“ არსებობის ფიქსირება „ამირანიანის“, „ეთერიანისა“ და „არსენას ლექსის“ გვერდით. სახელმძღვანელოს ავტორმა პროფესორმა თ. ქურდოვანიძემ მთლიანად გაიზიარა ჩვენი კვლევის შედეგები და საუნივერსიტეტო სასწავლო კურსის ფორმატში კუთვნილი ადგილი მიუჩინა „ერეკლეს ეპოსს“.

„ერეკლეს ეპოსის“ პირველი გამოცემის 15 წლისთავზე ერეკლე მეორის სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური მოღვაწეობისადმი ქართველი საზოგადოების დამოკიდებულება არსებითად შეიცვალა, რადგან გამოვლინდა არა ერთი ისეთი წერილობითი წყარო, რომელთა მიხედვით ერეკლე მეორე თანამედროვეთა წინაშე ევროპული ორიენტაციის იმ სახელმწიფო მოღვაწედ წარმოსდგა, რომელმაც საქართველოს სამეფოს ევ-

რომაულ სახელმწიფოთა ყაიდაზე მოსაწყობად არაერთი მცდელობა განახორციელა და ამით დიდად გაუსწრო თავის ეპოქას. ამის დამადასტურებელი ცნობები წინამდებარე წიგნშიც არის წარმოდგენილი, მაგრამ ეს მხოლოდ მცირე ნაწილია. ახლა, როცა იოლი ხელმისაწვდომი გახდა ევროპის ქვეყნების არქივები და სიძველეთსაცავები, ქართველი მკვლევრები ერეკლე მეორის ევროპულ სახელმწიფოებთან ურთიერთობის ნაირგვარ და გასაოცარ ფაქტებს აწყდებიან. ამიტომაც სკეპტიკოსებსაც ამდენად აღარ აკვირვებთ ქართველი ხალხის მიერ ზეპირსიტყვიერებაში გამოხატული საყოველთაო სიყვარული ერეკლე მეორისადმი და ამ სიყვარულის გამომხატველი მიმართვა – „ეს ჩვენი მეფე ერეკლე", ასევე მისი სახელმწიფოებრივი მოღვაწეობის ამსახველი ხალხური ეპოსის შექმნა.

„ერეკლეს ეპოსი" აღნიშნულის ერთი დადასტურებაა. პირველი გამოცემა თეიმურაზ მეორისა და ერეკლე მეორის ქართლისა და კახეთის მეფეებად კურთხევის 260 წლისთავს მიეძღვნა, წინამდებარე – მეორე შესწორებული გამოცემა კი ერეკლე მეორის დაბადების 300 წლისთავს ეძღვნება.

შესავალი

ქართული ფოლკლორი ხალხური პოეტური ეპოსის ისეთი სიუხვით არ არის გამორჩეული, როგორც ეს სხვა ჟანრების მიმართ ითქმის. ამჟამად სულ სამ ასეთ ნაწარმოებს ითვლიან: „ამირანის“, „აბესალომ და ეთერისა“ და „არსენას“ ეპოსებს. ისიც ცნობილია, რომ პირველი სახით – ერთიანი ეპოსის ფორმით, არც ერთს არ მოუღწევია. ამირანის ეპოსში იმდენი და ისეთი შრეებია, ანუ იმდენნაირი ზეპირსიტყვიერი ტექსტების კვალია შემორჩენილი, რომ ბოლომდე ვკერაც ვერ გარკვეულა ყველაფერი (თუნდაც ამირანის წარმომავლობა და ეს მიუხედავად იმისა, რომ სულ ახლახანს გაირკვა ჩვენამდე მოღწეული ერთი ამირანის ვინაობა).[1]

„ეთერიანის“ ის ფოლკლორული ტექსტი, რომელსაც ეპოსად ვიცნობთ, ჩვენს ზეპირსიტყვიერ ტრადიციაში სულ ცოტა 13 სხვადასხვა ლექსად არსებობდა. აბესალომისა და ეთერის ეპოსად ისინი პ. უმიკაშვილმა გააერთიანა. იმავე პ. უმიკაშვილმა კიდევ უფრო მეტი რაოდენობის ზეპირსიტყვიერი ტექსტების გამთლიანებით „გამოავლინა“ არსენას ეპოსი.[2]

ჩვენი ხალხური ეპოსის ასეთი სახით შემორჩენის მიზეზი, რასაკვირველია, ნაგვიანევი წერილობითი ფიქსირებაა. ამავე მიზეზით რჩება ბევრი გაურკვეველობა უხსოვარ დრო-ჟამს შექმნილ „ამირანიანსა“ თუ „ეთერიანში“. თუმცა ამას ვერ ვიტყვით არსენას ეპოსზე.

არსენას ეპოსი („არსენას ლექსი“) XIX საუკუნის მეორე ნახევარში, ლამის მთავარი პერსონაჟის – არსენა ოძელაშვი-

---

[1] იგულისხმება ზ. კიკნაძის „გაბუდაყებული ამირანი“ (იხ. მისი „ქართული ხალხური ეპოსი“, 2001, გვ. 11-55.)

[2] ეს ფაქტები ქართულ ფოლკლორისტიკაში კარგად არის ცნობილი. კონკრეტულად იხ. ზ. კიკნაძის დასახ. ნაშრომი, გვ. 56-136 და ასევე სხვაც.

ლის რეალური (ისტორიული) ცხოვრების კვალდაკვალ შეიქმნა. ეპოსისათვის არც ეს მოვლენა ჩანს უჩვეულო, რადგან XIX საუკუნის მეორე ნახევარი მისთვის შესაფერი, ბიძგის მიმცემი, ეპიური დრო იყო. რეალური სოციალურ-ეკონომიკური კატაკლიზმები ქმნიდა ეპოსის საფუძველს. ჩვენი ხალხის მხატვრულმა ცნობიერებამ ზუსტად „ამოიცნო“ ამ დროის სულისკვეთება. მის მეტაფორად რეალური ადამიანი აქცია: დაივიწყა მისი ნამდვილი ვინაობა (მედუქნეობა) და სრულიად საპირისპირო შინაარსითაც კი ააგსო: – მისი ეპიურობის მსაზღვრელად აქცია აზრი „მდიდარს ართმევს, ღარიბს აძლევს, ღმერთი როგორ წაახდენსა“. სწორედ არსენას ეპიურმა დრომ გახადა აქტუალური ეს აზრი, რადგან მოსახლეობის შეგნებაში ეროვნულ ტკივილს სწორედ იმ დროს გადააჭარბა სოციალურმა სიდუხჭირემ. ეპოსისათვის პიროვნების ასეთი მეტამორფოზაც ბუნებრივია. ამას ხალხური მხატვრული აზროვნების სვლაც უწყობდა ხელს. ეპიკური აზროვნების ბოლო ეტაპი სოციალური უნდა ყოფილიყო.

XIX საუკუნის მეორე ნახევარში ხალხური ეპიური ცნობიერების ეს ცდა იმიტომაც აღმოჩნდა შეუმცდარი და წარმატებული, რომ თითქმის იმავდროულად (შეიძლება რაღაც თრი-სამი ათეული წლით ადრე) ერეკლე მეორის ეპოსის შექმნაც სცადა. და ამდენად ეპოსის ქმნადობის ტრადიცია გაინტენსიურებული იყო. თუმცა თვალის ერთი გადავლებით (და ამას ქართულ ფოლკლორისტიკაში დამკვიდრებული აზრიც დაჟინებით ამტკიცებს), ერეკლეს ეპოსის შექმნის ცდა ცდად დარჩა. იგი ვერ შედგა. თითქოს ჩვენი ხალხის მხატვრულ-ესთეტიკურმა წარმოსახვამ, ცნობისწადილმა აღარ მოიწადინა ეპოსის დონეზე აეზიდა დიდი კატაკლიზმების ეპოქა და მისი ღვიძლი შვილის – ერეკლე მეორის სიკოცხლე და ნაღვაწი.

ამ აზრის საფუძვლიანობას ერთი შეხედვით ის ფაქტიც

მოწმობს, რომ XVIII და XIX საუკუნეებში ერეკლე მეორეზე უამრავი ლექს-სიმღერა და თქმულება-გადმოცემა შეიქმნა. მიუხედავად ამისა, XIX საუკუნეში (ანუ მაშინ, როცა ზეპირსიტყვიერი ტექსტების ლამის უმთავრესი ნაწილი გამოვლინდა) და ვერც XX საუკუნეში (როცა ამოიწურა ფოლკლორული ტექსტების ძიება-გამოვლენა-პუბლიკაციის პროცესი) არც ერთი ისეთი ტექსტი არ აღმოჩნდა, რომელშიც სრულად იქნებოდა გადმოცემული ერეკლე მეორის მთელი ცხოვრება-მოღვაწეობა თუნდაც ისე, როგორც მისი ცალკეული ცხოვრებისეული ამბებია ასახული სხვადასხვა, თითქოსდა, დამოუკიდებელ ხალხურ ლექსში. იმასაც უნდა მიექცეს ყურადღება, რომ ამ ხალხურ ლექსებში ერეკლე მეორის ცხოვრება-მოღვაწეობის თითქმის არც ერთი მეტნაკლებად საყურადღებო ამბავი არ არის გამორჩენილი, თანაც ლამის ყოველი ამბავი რამდენიმე (ზოგჯერ ათეულ) ხალხურ ლექსშია ასახული, ხოლო ბევრს ამ ლექსებს შორის რამდენიმე ვარიანტიც გაუჩნდა.

უკვე ეს გარემოება ცხადყოფს, რომ ერეკლეს ეპოსის არსებობა-არარსებობის მტკიცებას რკვევა და დასაბუთება სჭირდება. და კიდევ, ერეკლე მეორის ლექს-სიმღერათა ტექსტები და ცოცხალ ტრადიციულ გარემოში მათი შესრულების მანერა ნათელყოფს, რომ უკვე მომხდარია ეპოსისათვის ნიშანდობლივი ციკლიზაცია. ერეკლე მეორე ეპოსის გმირად არის ქცეული და მისი ცხოვრება-მოღვაწეობის გზა ამ ეპიურ ციკლებშია „გადანაწილებული“. ეს ციკლები ერთი მაგისტრალური ხაზით არ გაერთიანებულა, როგორც ეს სხვა ეპოსების შემთხვევაში განხორციელდა. ეს მოვლენა ერთი ასეთი დაკვირვების საფუძველსაც ქმნის:

ხალხური ეპოსის კლასიკური ფორმით მოუღწევლობის ერთ მიზეზად, ტრადიციულად, ხალხის მეხსიერების დროითი სიმოკლე სახელდება. მაგალითად, ვჯერ კიდევ ვახუშტი ბა-

ტონიშვილს აქვს შენიშნული, რომ ხალხის მხატვრული მეხსიერება თოხი-ხუთი თაობის ამქვეყნიური არსებობის დროს არ აღემატება.[1]

თუ ეპიური ძეგლი წერილობით არ დაფიქსირდა, იგი ხალხს ავიწყდება. მეორე (და უფრო საფუძვლიან) მიზეზად კი ის არის მიჩნეული, რომ ხალხური ეპიური ნაწარმოები მთლიანი სახით მხოლოდ ხალხის მხატვრულ წარმოსახვაში არსებობს (ვირტუალურად). სხვადასხვა მთქმელს ამ ეპოსის ნაწილი თუ ფრაგმენტი ახსოვს (ან უბრალოდ მოსწონს და იმიტომაც იმახსოვრებს). ერთი მსმენელს მის საყვარელ ერთ ეპიზოდს უამბობს, მეორე-მეორე ეპიზოდს და ა.შ. ასე რომ, თუ კაცობრიობას დღეს ეროვნული ეპიური ნაწარმოებები მოეპოვება, ჩაწერისა და ჩამწერთა დამსახურებაა. მათი ტექსტები ჩამწერებმა გაამთლიანეს და შემდეგ ისევ ხალხს დაუბრუნეს. ამიტომ ეპიური ნაწარმოების მთლიანი ტექსტის აღსადგენად აუცილებელიც კი არის ფაქიზი ფოლკლორისტულ-ტექსტოლოგიური მუშაობის ჩატარება. მაგრამ როგორც ეტყობა, მესამე მიზეზიც არსებობს და ესაა ეპოსის გმირისადმი საზოგადო ინტერესი, მისი ნაღვაწის აქტუალობა და ერის ისტორიული ცხოვრების კონკრეტულ დროით მონაკვეთში თავჩენილ მისწრაფებებთან თანახმიანობა.

ერეკლეს ეპოსის ხალხის მხატვრულ წარმოსახვაში დარჩენა, „ეთერიანისა“ თუ „არსენას ლექსის“ დარად, ტექსტოლოგიური გამთლიანების პროცესის გაუვლელობა სწორედ ამ მესამე მიზეზით უნდა იყოს განპირობებული.

ეს გამთლიანება XIX ს. უნდა მომხდარიყო და ლოგიკურად „არსენას ეპოსზე“ მუშაობის დროსვე, იმავე პ. უმიკაშვილის მიერ უნდა განხორციელებულიყო. ამას ერეკლე მეორისადმი მიძღვნილი ცალკეული პატარ-პატარა ლექსების უფრო დიდ ლექსებად გაერთიანების ის ფაქტებიც ადასტურებს, რომ-

[1] ვ. ბაგრატიონი, საქართველოს გეოგრაფია, 1941, გვ. 2.

ლებიც პ. უმიკაშვილს და სხვა პრაქტიკოს ფოლკლორისტებს უკავშირდება. მაგალითად, ლექსი „რკინის კარის შეხსნა“, რომელიც „ივერიაში“ (1898, №39) სხვადასხვა ვარიანტის შეჯერებით შედგენილი ტექსტით დაიბეჭდა.

როგორც ჩანს, ერთვნული პრობლემის უკიდურესმა გამწვავებამ იმ დროს ერეკლე მეორის პოლიტიკური გეზის სისწორეში დაეჭვება, იმედგაცრუებისა და გაწბილების სიმწვავეც შვა. ბუნებრივია, ერეკლე მეორის ნაღვაწის ღირებულებაც გააფერმკრთალა და წმინდა ფოლკლორისტული ინტერესიც შეელღვა.

ცოცხალ ზეპირსიტყვიერ ტრადიციაში კი ერეკლე მეორე ისევ „პატარა კახი“ იყო, „ჩვენი მეფე ერეკლე“,[1] მიუხედავად იმისა, რომ „რკინის კარის შეხსნიდან“ დიდ დროს გაეცლო, იმდენს, რაც სულის ტკივილის განელებას სრულიად უნდა ჰყოფნოდა. მით უფრო, რომ ღია კარიდან შემოსულ ახალ მომხვდურს ძველთან ერთად ახალი სატკივარიც მოეტანა. ზოგიერთი ფოლკლორისტის ფიქრით ამ ახლის მალამოდ ხალხის ცნობიერება არსენას სახავდა. არსენა დღევანდელობა იყო, ვაჟკაცის ამომყრელი, სეირის მაჩვენებელი, ერეკლე-გუშინდელობა... წარსული, მაგრამ ხალხს უყვარს წარსული და თავისი მხატვრული აზროვნების ტრადიციით ერეკლეს ეპოსის ხსოვნაში ჰქონდა მიჩენილი ადგილი, ამ ეპოსს გულში დაატარებდა... ჟამიდან ჟამ გულისთქმასა და სურვილს ამ ეპოსის იმ ფრაგმენტს ამოაყოლებდა, რომელიც გამორჩეულად უყვარდა, ან მოეპრიანებოდა. ხალხმა არც იცოდა და არც არაფერში სჭირდებოდა ფოლკლორისტული „ანბანთ-თეორეტიკა“.

შეუძლებელიც იყო ამ კატაკლიზმებით აღსავსე დროების დავიწყება, მეხსიერებიდან ამოშლა, უკვალოდ გაქრობა... პირიქით, ცოცხლად აღბეჭდილიყო XVIII საუკუნის ქარტეხილები ერთვ-

[1] ნაცვლად ევროპული „ჩემისა“, რადგან ევროპული „ჩემი“ ქართულ ცნობიერებაში „ჩვენს“ უტოლდება

ნული სულის აღზევება-დაცემებით, იმედებითა და ამ იმედების გაცრუებით... უმეფობის ჟამის ქრისტიანი მეფეების ტახტზე ასვლით დასრულება, ღონიერი ბრძოლა დიდ-პატარა მტრების წინააღმდეგ, ქართლ-კახეთის მოძლიერება და შემდეგ მათი ერთ სამეფოდ გაერთიანება.[1]

...ხსნის გზების, პოლიტიკური ორიენტირების ძიების სიმძაფრე, თვითგადარჩენისათვის ფიზიკური ბრძოლის კვალდაკვალ... იმედი და გაწბილება; რუსთა ქვეგამხედავი პოლიტიკის უმძიმესი შედეგები და ამ ღალატიან პოლიტიკას ნამსხვერპლი ქართული სახელმწიფოებრიობა და ქართველობა; ქართლ-კახეთის უკანასკნელი ძლიერი მეფის სავალალო ხვედრი, – ხვედრი მეფე ლიორისა, მოტყუებულის, მიტოვებულის, სასოწარკვეთილის და მაინც სამშობლოს წინაშე „ზნეობრივი ვალდებულებების შეგნებით" (გ. ქიქოძე) გულანთებული მეფე-რაინდისა, „მკაცრი, დაუნდობელი, ულმობელი და ხშირად უსამართლო სინამდვილის წინაშე" (გ. ქიქოძე) სრულიად მარტოდ დარჩენილი ადამიანისა.

ეს ყველაფერი დიდი ხნის წარსული არ იყო, გუშინდელობას წარმოადგენდა და თუ პოლიტიკოსებისა და ანალიტიკოსებისათვის მომხდარის გააზრების ჟამი იყო დამდგარი, ხალხური ცნობიერებისათვის საინტერესო თავად მომხდარი იყო, რადგან თავისი პასუხი იმთავითვე გააჩნდა იმაზე, რა როგორ მოხდა და რატომ. მისთვის ერეკლე იყო ეპოქის შემოქმედი, ქვეყნის პატრონი, საყვარელი მეფე, საყვარელი იმიტომაც, რომ არასთდეს უღალატია ქვეყნისა და ხალხისათვის და ეს ყველაფერი ხალხმა იმ უამრავ ზეპირსიტყვიერ ლექს-სიმღერებში გამოხატა, რომელთაგან მრავალი პირდაპირ ერეკლე მეორეს დაუკავშირა, ბევრი კი ერეკლეს ეპოქის გამორჩეულ ისტორიულ პიროვნებებსა და სახალხო გმირებს.

[1] შემდეგ კი მთელი საქართველოს გაერთიანება სრულიად სხვა პრინციპ-ზე (იგულისხმება „იველიელთა ერთობის ტრაქტატი" 1790 წლისა), ფედერალიზმისა თუ კონფედერალიზმის.

და რაკი ასეთი უხვი ზეპირსიტყვიერი მასალა არსებობს, თავისთავად დგება მისი რაობის რკვევის საკითხი: რა არის ეს ყველაფერი? არის ერთი, მთლიანი, ეროვნული ეპოსის გამოვლინება თუ ლირიკული რაფსოდიები ან უბრალოდ ერეკლე მეორის სახელთან დაკავშირებული ფრაგმენტული ზეპირსიტყვიერი ტექსტები, ანუ სხვადასხვა ჟანრის ნიშნების შემცველი ფრაგმენტები?

ამ მასალაზე თვალის ერთი გადავლებითაც კი ამკარა ხდება, რომ ყველა ზეპირსიტყვიერი ტექსტი რაიმეს პოეტურ თხრობას შეიცავს. ამიტომ არსებითი და წამყვანი მათში რაიმე ამბავია. ხოლო უკვე ამ ნიშნით ისინი ეპოსის სფეროს განეკუთვნება, რადგან ფართო გაგებით ეპოსი სწორედ თხრობაა. აქედან თავისთავად უკვე ის დასკვნა გამომდინარეობს, რომ ერეკლე მეორის შესახებ ჩვენი ხალხის მიერ შექმნილი ზეპირსიტყვიერი ტექსტების აბსოლუტური უმეტესობა თავისი ბუნებით ეპიურია. მათში ერეკლე მეორის ცხოვრება-მოღვაწეობის სხვადასხვა ამბებია მოთხრობილი: ერთში ან ერთბაშად რამდენიმეში – ერთი კონკრეტული ამბავია გადმოცემული, მეორეში – მეორე, სხვაში (ან სხვებში) – სხვა და ა. შ. ამას გარდა (და რაც ყველაზე მთავარია!), ამ ტექსტებში ერეკლე მეორის ცხოვრება-მოღვაწეობის თითქმის ყველა ფაქტი და მოვლენაა მოთხრობილი. ასე რომ, თუ ამ ტექსტებს ადამიანური სიცოცხლის თარგზე დავალაგებთ, დავინახავთ, რომ ეს ტექსტები ერეკლე მეორის ზეპირსიტყვიერ ისტორიას გადმოსცემენ – დაბადებიდან სიკვდილის ჩათვლით. ეს კი იმასაც მოწმობს, რომ ასეთი დალაგებული ტექსტები ერთ დიდ ამბავს შეიცავენ, ერეკლეს ამბავს, ანუ ერეკლეს ეპოსს, რადგან ასეთი დალაგებით სტრუქტურის არსებობაც ვლინდება და კომპოზიციური მთლიანობაც. და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია ეროვნული, ტრადიციული ეპოსისათვის – ვლინდება ეროვნულიც და ზეეროვნულიც, დროითი და ზედროითიც.

ე. ი. ეს ზეპირსიტყვიერი ტექსტები შინაარსითაც და სტრუქტურითაც შეესატყვისება ტრადიციული ეპოსის „მოთხოვნებს“, ანუ ფორმითაც და შინაარსითაც შეესაბამება ხალხურ ეპოსს.

ამ აზრის სისწორეს ერთი ასეთი ფაქტიც ცხადყოფს: XIX საუკუნის ფოლკლორისტებიდან მოყოლებული (პ. უმიკაშვილი, ალ. გარსევანიშვილი, გარკვეულწილად ზ. ჭიჭინაძე, ივ. ბუქურაული, და სხვები) XX საუკუნის მკვლევართა ჩათვლით (განსაკუთრებით სოლ. ცაიშვილი, ქს. სიხარულიძე), თითქმის ყველა, ვინც კი ერეკლე მეორის ან მისი თანამედროვე სახალხო გმირების შესახებ ჩვენს ზეპირსიტყვიერებაში დაფიქსირებულ ლექს-სიმღერებს, თქმულება-გადმოცემებს შეხებია, უგრძვნია, რომ ისინი ერთი დიდი ამბის ნაწილებია (ფრაგმენტებია) და თავი ვერ შეუკავებია მათი გამთლიანების „ცდუნებისაგან“. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ჩვენს ფოლკლორისტებს პროფესიონალური ალღოთი შეუმცდარად უგრძვნიათ ამ ეპოსის არსებობა და უცდიათ მისი ფიქსირება.

უკანასკნელ ხანს ერეკლეს ლექს-სიმღერების ეპიკურ ხასიათზე ყურადღება ზ. სპარსიაშვილმა გაამახვილა და ერეკლეს ეპიკური თავგადასავლის არსებობის მტკიცებაც სცადა.[1]

თუმცა ერეკლეს ეპოსის თანამედროვე (ამჟამინდელი) „მდგომარეობა“ ზემოთაღნიშნულის საგანგებოდ, გულდასმით, ნაბიჯ-ნაბიჯ დამტკიცებას საჭიროებს. ამ მიზნით ვცდერ ამ ზეპირსიტყვიერ მასალაში იმ ნიშნების არსებობა უნდა დაიძებნოს, რაც საერთოდ ეპოსს, როგორც სიტყვიერების გვარს, ახასიათებს, ხოლო შემდეგ – ის, რაც ხალხურ ეპოსს, ანუ ტრადიციულ ეპოსს. მართალია, ძიების ეს გზა მასალისადმი

[1] ზ. სპარსიაშვილი, „ეს ჩვენი მეფე ერეკლე“, თელავის იაკობ გოგებაშვილის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1999 წელი. ზ. სპარსიაშვილმა ერეკლე მეორეზე შექმნილი ზეპირსიტყვიერი ტექსტები თრად დაჰყო. ერთ ნაწილში ეპიკურობის სიჭარბე შენიშნა და სათავგადასავლო შინაარსის ტექსტებად მიიჩნია. მათზე დამყარებით გაიაზრა ერეკლეს მხატვრული თავგადასავალიც.

წინასწარ მომზადებული სქემისა (და მეთოდის) მისადაგებას გულისხმობს, ამით კი ამ მასალაზე ძალდატანების შთაბეჭდილებას ქმნის, მაგრამ ამ შემთხვევაში ეს ასე არაა. არაა იმიტომ, რომ წინასწარ ცნობილია, თუ რა ნიშან-თვისებათა ერთობლიობით გამოიყოფა ცალკე გვარად ისეთი ნარატიული (მათ შორის პოეტური) მასალა, რომელსაც, საზოგადოდ, ეპოსი ეწოდება. ერეკლესადმი მიძღვნილი ზეპირსიტყვიერი მასალის რაგვარობა კი ახლა ირკვევა, ანუ კვლევა ცნობილის დახმარებით უცნობის შესწავლას ისახავს მიზნად. ე. ი. კვლევა ცნობილიდან უცნობისაკენ წარიმართება, რაც მიღებულიც არის, აბრობირებულიც და გარკვეული შედეგების მომტანიც. ამით ზოგადად გაირკვევა ერეკლე მეორეზე შექმნილი ზეპირსიტყვიერი მასალის ეპოსისადმი მიკუთვნება-მიუკუთვნელობის საკითხი, ხოლო „დადებითი“ შედეგების შემთხვევაში, მისი ეპოსის რაგვარობის რკვევის საკითხიც თავისთავად დაისმის.



თეიმურაზ I
(ერეკლე II-ის პაპის მამა)



ერეკლე I
(ერეკლე II-ის პაპა)



თეიმურაზ II
(ერეკლე II-ის მამა)



ვახტანგ VI
(ერეკლე II-ის პაპა დედის მხრიდან)



„პატარა ქახი"
(ყმაწვილობისას)



ერეკლე II




ერეკლე მეფე ქართველ მეომრებთან
(ელზა თუშაბრამიშვილის ნახატი)



ერეკლე II-ის მეფობის პერიოდში თბილისის ზარაფხანაში მოჭრილი სპილენძის მონეტა

ქართლ-კახეთის სამეფოს დიდი სახელმწიფო გერბი ერეკლე II-ის მეფობის პერიოდში

(დედნის მიხედვით გადმოხატა დავით გულორდავამ)





მარიამ დედოფალი
(ცოლ-მცოლი)



გიორგი XII

თავი I
ეპოსის თეორიული საფუძვლები

„თხრობის წარმომავლობაზე ამაზე მეტი მაინც არა ვიცით რა, რაც ენის წარმოშობაზე".
რ. ბარტი

ეპოსი, გავრცელებული აზრის მიხედვით, ამბავს, თხრობას ემყარება. აქედან ეპიკურია ისეთი მხატვრული ქმნილება, რომელიც რაიმე ამბავს მოგვითხრობს, თანაც სულ ერთია, რა ფორმით — ლექსად თუ პროზად. მისი რაობის ასეთი, საკმაოდ ზოგადი, მახასიათებლით განსაზღვრის გამო, ეპოსის არეალში იმთავითვე გასაოცრად ნაირფერი მხატვრული პროდუქცია მოექცა: მითი, ზღაპარი, თქმულება, გადმოცემა, იგავი, ეპოპეა, მოგვიანებით მოთხრობა, რომანი, ნოველა და ა. შ.[1] ამ ასპექტში ვითარება სადღეისოდაც არ შეცვლილა. მიუხედავად იმისა, რომ „თხრობითმა ჟანრებმა იმრავლა და ეს სიმრავლე ამჟამად პირდაპირ გაოცებასაც კი იწვევს" (რ. ბარტი), ამ ყველაფერს ახლაც ეპოსს უწოდებენ.

ეპოსის თუნდაც ფორმალური განსაზღვრის ასეთი ზოგადობა ზეპირსიტყვიერებაზედაც ვრცელდება. და ეს იმის მიუხედავად, რომ თითქოს კარგა ხანია, გაირკვა ხალხური ეპოსის, კერძოდ, ტრადიციული ეპოსის, ბუნება; გამოვლენილია მისი მხატვრული სტრუქტურა, თხრობის საშუალებანი, ხერხები და ა. შ. დღესაც ეპოსს უწოდებენ ყველა ისეთ ფოლკლორულ ჟანრს, რომელთა საფუძველი ამბავი, ანუ ამბის თხრობაა. ეპოსია მითი, ზღაპარი, თქმულება, ლეგენდა, იგავი. ეპოსისაგან განასხვავებენ ამბავზე დამყარებულ, მარტო ერთი სახეობის

[1] XX საუკუნეში ეპოსს, აღნიშნულის გარდა, მიაკუთვნეს: ისტორია, დრამა, კომედია, პანტომიმა, ვიტრაჟი, კინემატოგრაფი, მხატვრული ტილო, კომიქსი, საგაზეთო საუბარი თუ ყოფითი საუბარი (იხ. რ. ბარტი), „თხრობითი ტექსტის სტრუქტურული ანალიზის შესავალი". წიგნში „Зарубежная эстетика и теория литературы XIX-XX в.," М., 1987, стр. 338.

ზეპირსიტყვიერ ნაწარმოებებს. ესაა ე. წ. „ისტორიული სიმღერა“. განცალკევების საფუძვლად აღიარებულია ამბის (ფაქტის) მხატვრული თხრობის მანერა (თუმცა ისიც მხოლოდ კლასიკურ, ანუ ე. წ. „ტრადიციულ ეპოსთან“ მიმართებაში). ისტორიული სიმღერის სპეციფიკად ერთი ფაქტის ასახვა და „მხატვრული განზოგადების სისუსტე“, ანუ ზედმეტი კონკრეტულობა სახელდება. თუმცა ასეთი განმარტების გაზიარება მაინც არ ხსნის „ისტორიული სიმღერის“ ეპოსისადმი საერთო კუთვნილებას. ეს ფაქტი, თავისთავად, იმასაც ცხადყოფს, რომ ეპოსის ასეთი ნიშნით (ამბითა და თხრობით) განსაზღვრა საკმარისი არაა. აქედან გამომდინარე, ამბავი და მისი თხრობა ერთი ნიშანთაგანია და არა ერთადერთი. ამ გარემოებამ მკვლევართა ყურადღება ბუნებრივად თავად ამბისა და მისი თხრობის რაგვარობაზე გადაიანაცვლა. მნიშვნელობა იმის ძიებამ შეიძინა, თუ რანაირი ამბავია გადმოცემული ეპოსში და როგორ არის მოთხრობილი ეს ამბავი. კვლევა-ძიების ამ ასპექტებმა კი ეპოსის სხვა, უფრო არსებითი, ნიშან-თვისებებიც გამოავლინა. XIX საუკუნეში, როცა ეპოსი და, კერძოდ, ხალხური ეპოსი განსაკუთრებულად ინტენსიური დაკვირვება-შესწავლის საგნად იქცა, მისი ბუნების განსაზღვრაში ზოგადად ასეთი შინაარსი გამოიკვეთა:[1]

ეპოსის უზოგადეს ნიშან-თვისებათა შორის უპირველესი ეპოსის საგანი, ანუ ამბავია. ეს ამბავი არ არის შემთხვევითი, რაგინდარა ამბავი.[2] იგი დიდი, საერთო ეროვნული, სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის მოვლენის თხრობაა; მოვლენისა, რომელიც ნგრევით, წალეკვით ემუქრება ერის ყოფას და

[1] ამ შინაარსის გადმოცემაში ვემყარები ჰეგელისეულ თვალსაზრისს, როგორც გამოკვეთილად სრულს, თანმიმდევრულს და მყარს (დღეის თვალსაზრისითაც ყავლგაუსვლელს, თანაც ლიტერატურათმცოდნეობასთან ერთად ესთეტიკის სიბრტყიდან გაანალიზებულ-შეფასებულს. შინაარსს გადმოვცემ ჰეგელის შემდეგი გამოცემის მიხედვით, Георг Вильгельм Фридрих Гегель, Эстстика в четырёх томах, т.III, М.,1971г.

[2] ჰეგელი, დასახ. ნაშრ., გვ. 433.

არსებულ სახელმწიფოებრივ წყობას. უმთავრესად ესაა თმის ვითარება, თანაც არა შინა (სამოქალაქო) თმისა, არამედ სამამულოსი (და ამდენად ისტორიულად მართალი). ეს სამართლიანობა აპირობებს ეპოსის ამბის საერთო საკაცობრიო და ზედროულ მნიშვნელობასაც (ღირებულებასაც).

ეპოსის ამბავს თავისი ლოგიკური დასაწყისი და დასასრული აქვს, შინაგანად მთლიანია და გასრულებული. მას გმირის მიზანი კრავს.[1] ამასთან ეპოსის ამბავი, როგორც წესი, კონკრეტულ პერსონაჟს უკავშირდება, მისი თავგადასავლის ფორმა აქვს მორგებული, ანუ ეპოსის სიუჟეტი მთავარი გმირის ბიოგრაფიაა,[2] მაგრამ არა მთლიანად.[3]

[1] ჰეგელი ამ ნაშნით ეპოსს დრამასაც ამსგავსებს, რადგან დრამაშიც ცენტრალური მომეტი კერძო ამბავია და იგი გმირის მიზნიდან გამომდინარეობს. მაგრამ ეპოსს დრამისაგან მთელენა და გმირის ქცევა განასხვავებსო.

[2] სწორედ რომ ბიოგრაფიაათ – ამტკიცებს ჰეგელი, რადგან, მისი აზრით, ეპოსის გმირი თავის თავგადასავალში ისევე იცვლება, როგორც ადამიანი ცხოვრების გრძელ გზაზე (დაბადება, დავაჟკაცება, ხანდაზმულობა, სიკვდილი...) ეს გარემოება საერთოდ ეპოსის არსებობის პირობაც კი არის, რადგან გმირი ეპოსის დასასრულსაც რომ ისეთი იყოს, როგორიც ამბის დაწყებამდე იყო, მაშინ ეპოსის კერძო ამბებს შორის კავშირი გაწყდებოდა და ეპოსი ნაწილებად დაიშლებოდაო. ამ აზრის მიხედვით, თავსგადამხდარი ამბავი გმირს სიბრძნეს, გამოცდილებას სძენს. ერთი კერძო ამბიდან გამოსულია უკვე სხვაგვარია (ჰკუანასწავლია). ახალი კერძო ამბავიც (ეპიზოდიც) ახალი საფეხურია მისი თავგადასავლის ეპიკური დინების გზაზე, ანუ გმირი ახალ საფეხურზეა ასული და ასე მეორდება ეპოსის საერთო ამბის გასრულებამდე.

[3] და ჰეგელის ეს დაკვირვება აქ იმ პრინციპულ მნიშვნელობას იძენს, რაც ხალხური ეპოსის შემდგომ შესწავლაში (განსაკუთრებით XX საუკუნის მეორე ნახევარში) ერთგვარად გზასაყარად იქცა. ეპოსის ამბის მთლად მთავარი გმირის თავგადასავალზე დაყვანამ, ეპოსის მთავარი ამბავი მხედველობის მიღმა დატოვა. ამის გამო ეპოსის სიუჟეტი ერთპლანიანი მხატვრული ნაწარმოების სტრუქტურაზე დავიდა. ამით „მოუხელთავი" გახდა რთულსიუჟეტიანი (ე. წ. ციკლურსიუჟეტიანი) ხალხური ეპოსი, რომელიც ეპიკური მხატვრული აზრთვნების განვითარების გვიანდელი დონის პროდუქტია და რომელიც ეპოსის საერთო ამბის (ისტორიული

ეპოსის ამბავი საბოლოოდ მაინც მთავარი (საერთო) ამბავია. ესაა საერთო ეროვნულ-სახელმწიფოებრივი კატაკლიზმის შინაარსის შემცველი ამბავი. მთავარი გმირის თავგადასავალი, პოეტური ბიოგრაფია კი ამ საერთო ამბავში შემავალი კერძო ამბავია. მთავარი კი ის არის, რომ საერთო და კერძო ამბები ეპოსში მთლიანურია, ამასთან თავთავის მნიშვნელობებსაც ინარჩუნებენ. ეს წვრილ-წვრილი ამბებიც გმირის საერთო თავგადასავალთან ისეთსავე მიმართებაში არიან, როგორც მისი პოეტური ბიოგრაფია ეპოსის საერთო ამბავთან, ანუ თავიანთი მნიშვნელობა აქვთ, მაგრამ სრულ აზრს გმირის თავგადასავლის მთლიანობაში იძენენ, მასთან განუყოფელი არიან. ამის გარეშე ისინი „პოეტურ ქრონიკებს" წარმოადგენენ.

გმირის თავგადასავლის შემადგენელი კერძო ამბები ერთმანეთს შედარებით თავისუფლად უკავშირდებიან. ამასთან, ისინი ეპოსში შესვლამდე გარკვეულწილად უკვე არიან დამუშავებული, ანუ ერთგვარი მხატვრული დონე უკვე აქვთ მოპოვებული. და, ბუნებრივია, ეპიკურ მთლიანობაში გარკვეულ ფუნქციას ასრულებენ.[1] ეს ფუნქციაა ეპოსში მოვლენათა მსვლელობის შენელება (ზოგჯერ შეჩერება). შენელება-შეჩერება კი, როგორც წესი, გმირის გადაწყვეტილებას უძღვის წინ.

ეპოსის გმირის თავგადასავლის კერძო (კონკრეტული) ამბები, ანუ ეპიზოდები, გარკვეული აზრით, **რიტუალურია**, რადგან ერთი და იმავე წესით და რიგით მეორდება და ერთსა და იმავე სტრუქტურას ემყარება. გმირიც ერთი და იმავე პრინციპით იქცევა. ეპოსში მთქმელი მარტო კერძო ამბავს და მასთან

ფაქტისა თუ მოვლენის) და მთავარი გმირის ამბის (თავგადასავლის), როგორც საერთო ამბავთან შეფარდებული კერძო ამბის მიმართების მხრივ რთულ (მრავალპლანიან) ეპიკურ სიუჟეტურ სტრუქტურას ქმნის და რომლის აგსებობა დადასტურებულია, ერთი მხრივ, ვ. პროპთან (მაგალითად, ვლადიმირის, იგივე კიევის ციკლის რუსული ეროვნული ეპოსი), მეორე მხრივ, სტრუქტურალისტებთან (მაგალითად, რ. ბარტთან).

[1] ჰეგელის, დასახ. ნაშრ., გვ. 464.

დაკავშირებულ სიტუაციას კი არ მოგვითხრობს, არამედ იმასაც გვიჩვენებს, რომ ამ კერძო ამბის საბაბი ეპოსის საერთო ამბავშია. ამის გამო ეპოსის მთლიანობა (შეკრულობა) კერძო ამბის შინაარსისა და, საერთოდ, ამ ეპოსის მსოფლხედვის ერთიანობითაა განპირობებული.

ეპოსი ლოგიკურად მაშინ გასრულდება, როცა საერთო ამბიდან გამომდინარე კერძო ამბავი (მოქმედება) დასრულდება და თანაც გაცნობიერდება საერთო ვითარება, ანუ თბიექტური რეალობა.

აქედან გამომდინარე, რა და რით იქცევს ყურადღებას ეპოსში? ესაა:

1. **ეპოსის სამყარო.** იგი ზღვარდადებულია. ესაა კონკრეტული ხალხის სააროსებო გარემო, საცხოვრისი. ამ სამყაროში ადამიანური ყოფა ზნე-ჩვეულებებს, ადათ-წესებს ემყარება. ანუ ეპოსში ტრადიციული საზოგადოებაა ასახული. მთავარი გმირი თავის არსებობას საზოგადოების სხვა წევრებთან ერთიანობასა და განუყოფლობაში მოიაზრებს;
2. **მთვლენათა მოტივირება.** ობიექტური რეალობა და გმირის ნებელობა ტოლფარდია. გმირი ემორჩილება ამ რეალობის ზეწოლას, მაგრამ მასში არ ითქვიფება, არ იკარგება, თავისთავადობასაც ინარჩუნებს, თუმცა ეპოსში შექმნილი ვითარების პროდუქტად წარმოსდგება;
3. **მთვლენის ასახვა.** ეპოსში მოქმედება თავისთავად ხდება, გმირის ნების გარეშე. მოქმედება ობიექტური მიზეზითაა განპირობებული და ობიექტურადვე მიედინება. გმირი თავისით და თავისთვის არ მოქმედებს. იგი ყოფიერების შუაგულში იმყოფება. ეს ყოფიერება მისი არსებობის მთავარი ორიენტირია, ჭეშმარიტი საყრდენია;
4. **ეპოსში ყოველ საგანს,** ნივთს თავისი მნიშვნელობა და დანიშნულება აქვს – გმირის ქონებას, ოსტატობას ან

რაიმე თვისებას ათვალსაჩინოებს. ამიტომ მათი აღწერა დეტალურია.

ახლა ისიც გავიხსენოთ, როგორ წარმოიდგენდა ვაგნერ კიდევ ძველი კვლევაძიებითი ტრადიცია ეპოსის მთავარ გმირს.

უკვე ითქვა, რომ ეპოსში ამბავი მთავარ გმირს უკავშირდება. ეს გმირი თავის არსებაში მთელი თავისი ერის მენტალობას განასახიერებს, ანუ მის არსებაში მთელი ერი ერთ ინდივიდად იქცევა. ამდენად გმირი მთლიანი, შეკრული პიროვნებაა. იგი ბუნებით (ხასიათით) დიადია, თავისუფალი და ადამიანურად მშვენიერი, ურყევია მიზნისაკენ სვლაში და საქმე ბოლომდე მიჰყავს. ამის გამო ეს გმირი ეპოსში შთაბეჭდილი გარდუვალობის (გინდა ბედისწერის) მსხვერპლი ხდება. ეს იმიტომაც, რომ, რაც ეპოსში ხდება, თავისთავად აუცილებლად მოსახდენია. ისიც წინდაწინ არის განსაზღვრული, რაც გმირს უნდა გადახდეს.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი დეტალი. იმის გამო, რომ ეპოსში ამბავი აღიწერება და არა მოქმედება, თხრობა იმაზეა, თუ რა გადახდება გმირს მიზნისაკენ სვლაში და არა ის, თუ რა ძალისხმევით მიიღწევის იგი ამ მიზნისაკენ, ანუ ეპოსში მთავარი გარემოებაა და არა გმირის გააზრებული ქმედება. ქმედება გარემოებით არის განპირობებული.

და ბოლოს, საინტერესოა იმის გახსენებაც, თუ რაში ხედავს ეპოსის სიცოცხლისუნარიანობას ძველთაგანვე მომდინარე მეცნიერული აზრი. ამის საფუძველია ეპოსში მოთხრობილი ამბისა და მისი მატარებელი ხალხის ცნობიერების განუყოფლობა. როგორც კი განუყოფლობა დაირღვევა, ეპოსი მოკვდება. ანუ ეპოსი მაშინ კვდება, როცა წყდება კავშირი ეპოსში ასახულ იდეალებსა და თანამედროვეობას შორის.[1]

[1] ჰეგელი ამ ნაშთით „ნიბელუნგების სიმღერასაც“ კი მკვდარ ეპოსს უწოდებს, რადგან ამ ეპოსში ასახულ იდეალებსა და საკუთარ თანამედროვეობას შორის კავშირს გაწყვეტილად თვლის. იგი ფიქრობდა, რომ მისი თანამედროვე გერმანელებისათვის ტროას გმირთა თავგადასავალი უფრო ახლოს იყო,

ასეა დანახული და გააზრებული საერთოდ ეპოსი, როგორც მხატვრული ფენომენი, ემპირიულად. აშკარაა, რომ ვერც ამ ნიშან-თვისებებით ხდება შესაძლებელი მისი იმდაგვარი დახასიათება, რაც ეპოსის ჟანრობრივ მრავალფეროვნებას რამდენადმე შეამცირებდა და მის რაობას სასურველ საზღვრებამდე დააკონკრეტებდა; თუნდაც საკუთრივ იმ ნიშნებს გამოავლენდა, რითაც ე. წ. ტრადიციული ეპოსი მაინც გამოცალკევდებოდა სხვათაგან (თუნდაც ზღაპრისაგან). მიუხედავად იმისა, რომ ეპოსის ეს საერთო დახასიათება ეპოსისმცოდნეობაში ძირითადად გაიზიარეს, არავის უარუყვია, მაინც ეს ზოგადობა იყო მისი შემდგომი შესწავლის, მის თავისებურებათა კვლევა-ძიების მძლავრი იმპულსი.

ამის შედეგიც იყო მეცნიერული აზრის ინტენსიური სვლა ეპოსის ბუნების ამოცნობისაკენ. კვლევა-ძიებებში ემპირიზმს ეპოსის ტექსტის სიღრმისეული შრეების განჩხრეკა შეენაცვლა და უაღრესად საინტერესო სურათიც გამოვლინდა.

* * *

XIX საუკუნის ბოლო ათწლეულებიდან მოყოლებული XX საუკუნის 80-იან წლებამდე (და გარკვეულწილად დღესაც, განსაკუთრებით ჩვენში), თითქმის ერთი საუკუნის განმავლობაში, ეპოსი ფოლკლორისტიკაში ყველაზე დაჟინებული ყურადღების საგანს წარმოადგენს. მას დღესაც ინტენსიურად იკვლევენ. აშკარად გამოიკვეთა ეპოსის ჟანრობრივი დანაწილების ტენდენციაც. ეპოსისმცოდნეობაში კარგა ხანია ცალკე დარგებიც კი ჩამოყალიბდა (მაგალითად, ზღაპარმცოდნეობა). ერთ დარგად მოიაზრება ე. წ. „ტრადიციული ეპოსი".

ვიდრე ნიბელუნგების ბედი. მათთვის ნიბელუნგები ისტორია იყო. ეს მაშინ, როცა „ნიბელუნგების სიმღერას" თითქოს არც სუბსტანციური შინაარსი აკლია (როგორი, ცოლქმრული სიყვარული, ვასალური ურთიერთობები), არც ეპიკური სივრცე. ამის მიუხედავად, ჰეგელისათვის ამ ეპოსის მთელი კოლიზია უფრო დრამატულ-ტრაგიკულია, ვიდრე საკუთრივ ეპიკური (იხ. ჰეგელის დასახ. ნაშრ., გვ. 484).

ამჟამად ხალხური ეპოსის კლასიფიკაციის ერთ პრინციპად იდეურ-თემატური ერთიანობაც არის მიჩნეული. ამ პრინციპით ასაბუთებენ, მაგალითად, სატრფიალო-სამოყვნურო, საგმირო-სარაინდო, საგმირო-ისტორიული ეპოსების არსებობას და ა.შ. ბოლო დროს საკუთრივ ეპოსს, კლასიკურ, ანუ ტრადიციულ ეპოსს, საგმირო შინაარსის ეპოსს უწოდებენ. ასეთს თვლიან კონკრეტულად ხალხურ ეპოსად, დანარჩენს კი არა. თუმცა რა პრინციპით უნდა გაიმიჯნოს საკუთრივ ეპოსისაგან ეს დანარჩენი, ვერაც არ არის საბოლოოდ და მთლიანად გარკვეული. ასე რომ, ეპოსის ზუსტი და მეტნაკლებად დასაბუთებული კლასიფიკაცია კვლავაც გრძელდება.

ეპოსისადმი ასეთი გამორჩეული ინტერესი სრულიად ბუნებრივია. უპირველესად იმიტომ, რომ ეპოსი ზეპირსიტყვიერების ჟანრებს შორის ყველაზე მონუმენტურია, ამასთან საგმირო ეპოსი მკვეთრად ეროვნულიცაა. არც ერთი ეპოსი არ "ხეტიალობს" ერთი ქვეყნიდან მეორეში, არც საერთაშორისო სიუჟეტს ემყარება სხვა ზეპირსიტყვიერი ჟანრების ნაწარმოებთა (მაგალითად, ზღაპრების) მსგავსად. ანუ ეპიკური სიუჟეტი ყველა ქვეყანაში ორიგინალურია, თვითმყოფადი. მისი არც გასესხება ხდება და არც სესხება. რატომ? იმიტომ, რომ ეპოსში (განსაკუთრებით საგმირო-საისტორიო ეპოსში) ხალხი საკუთარ წარსულს გაიაზრებს მხატვრულად (ეპიკურად) და აფასებს. ამავე მიზეზით საგმირო ეპოსში ნათლად არის ასახული ეროვნული ცნობიერებისა და მხატვრული აზროვნების ბუნება და თავისებურებანი, პოეტური ენერგიის ძალოვნება და ა. შ.

ეპოსისმცოდნეობა არსებითი მიღწევებით უკვე XIX საუკუნეში გამოირჩა. ყველაზე მთავარი (და არსებითიც!) ის იყო, რომ ამ საუკუნეში ცოცხალ ზეპირსიტყვიერ ტრადიციაში გამოვლინდა ხალხური ეპოსი. ნათქვამი რომ უფრო გასაგები გახდეს, უნდა გავიხსენოთ, რომ ტრადიციული ხალხური ეპოსი ზეპირსიტყვიერებაში საერთოდ ვირტუალურად ბინადრობს.

არც ერთ მთქმელს არ ახსოვს არცერთი ეპოსის ტექსტი ზეპირად, თავიდან ბოლომდე. ერთს ერთი ნაწილი ახსოვს, კონკრეტულად ის ნაწილი, რომელიც ყველაზე მეტად მოსწონს და ამის გამო მეხსიერებაში მყარად აქვს აღბეჭდილი, სხვას – სხვა და ა. შ. ანუ ზეპირსიტყვიერ ტრადიციაში ეპოსი ფრაგმენტებად ცოცხლობს. მაგრამ ძლიერია ეპოსის მთლიანობის განცდა. მთქმელმა, რომელსაც რაიმე ფრაგმენტი ახსოვს ზეპირად, სხვა, დანარჩენი ფრაგმენტებიც „იცის“ (უკეთ, მათი არსებობა იცის. იცის ზოგადად, ფაბულის ან სიუჟეტის, სულაც ამბის დონეზე). ასე რომ, ეპოსის მთლიანობის განცდა (გინდა შეგნება) წარმოსახვითია, მაგრამ მყარი. ეპოსის სიცოცხლის ეს სპეციფიკა აღმოაჩინა XIX საუკუნის ფოლკლორისტიკამ.[1] სწორედ ამიტომ იყო, რომ უმეტესწილად ამ დროის მკვლევრებმა მოუყარეს თავი ზეპირსიტყვიერებაში გამოვლენილ ფრაგმენტებს, ერთი პრინციპით დაალაგეს ისინი, გაამთლიანეს და უკანვე დაუბრუნეს ხალხს ერთიანი ეროვნული ხალხური ეპოსების სახით და ამით გადაარჩინეს დავიწყებას, უკვალოდ გაქრობას.

გამთლიანების პრინციპად უძველეს თხრობით ტექსტებში გამოვლენილი ქარგა მოიმარჯვეს, რომელიც ადამიანის

---

[1] საერთოდაც, XIX საუკუნე ჭეშმარიტად ფოლკლორისა და ფოლკლორისტიკის „ოქროს ხანაა“. უმთავრესად ამ დროს გამოვლინდა ზეპირსიტყვაობის ცოცხალ ტრადიციულ ყოფაში მისი ცხოვრების ფორმები და შინაარსი. ამ საუკუნეში გასრულდა უმთავრესად მისი ჩაწერის პრაქტიკული სამუშაოები. XX საუკუნეში ჩატარებულმა ფოლკლორულ-შემკრებლობითმა პრაქტიკამ ძირითადად წინა საუკუნეში დაფიქსირებულ ტექსტების მეხსიერებაში მყარად შემონახვის ფაქტები დაადასტურა. მანამდე უცნობი (და ახლაც, ანუ საკუთრივ XX საუკუნისა) ძალზე მცირე გამოვლინდა და ესეც კანონზომიერი იყო. XX საუკუნე ზეპირსიტყვიერების, გამოკვეთილად კი ხალხური ეპოსის, დასასრულის, ისტორიაში გადასვლის ხანად წარმოსდგა). XIX საუკუნეშიეე გამოვლინდა ეროვნული ხალხური ეპოსის ძეგლთა უმეტესობა და ტექსტოლოგიურადაც ამავე დროსვე გამთლიანდა. XX საუკუნეს ამ მხრივაც ძალიან ცოტა დარჩა გასაკეთებელი.

თავგადასავლის თხრობას ემყარება, ადამიანური სიცოცხლის ყველა მომენტის (ხანის) გათვალისწინებით: დაბადება, სიჭაბუკე, სიჭარმაგე, სიკვდილი, ადამიანის ამქვეყნიური არსებობის, სიცოცხლის, ცხოვრების სხვა ტრადიციულ მომენტებთან ერთად.

ისიც კარგად არის ცნობილი, რომ ეპოსისმცოდნეობაში XIX საუკუნის მიწურულიდან მოყოლებული არაერთი თეორია თუ მეცნიერული სკოლა გაჩნდა. ამ თეორიებისა თუ სკოლების წარმომადგენლები თავ-თავიანთი თვალთახედვით იკვლევენ ხალხური ეპოსის აქტუალურ საკითხებს დაწყებული ეპოსის წარმომავლობის პრობლემებით და დამთავრებული მისი მხატვრული სტრუქტურის რაობისა და პოეტიკის საკითხებით.

თეორიათა და სკოლათა ნაირფეროვნებაში კი ორი ძირითადი მიმართულება გამოიკვეთა: ერთი – უპირატესად XIX ს-ის ფოლკლორისტიკის ტრადიციების, კვლევაძიებითი მეთოდის (შედარებითი) გაღრმავება-სრულყოფის გზით განვითარდა, მეორე – თავად ეპოსის ტექსტუალურ სამყაროში „შეიჭრა". მის ტექსტს, როგორც ერთიან, შინაგანად ჩაკეტილ მთელს, მიაპყრო მზერა. ამ მთელის შიგნით სცადა თხრობის, ამბის აგება-გადმოცემის საერთო და საყოველთაო, უცვლელი მხატვრული ხერხების გამოვლენა; ტექსტის ნაწილებად დაშლის, ამ ნაწილების ურთიერთმიმართების, მთელის შიგნით თითოეულის მხატვრული ფუნქციის რკვევით სცადა თავად ამ მთელის რაობის დადგენა.

ძველ გზას გაჰყვა რუსული ფოლკლორისტიკა. მას, იმჟამად, წმინდა ფოლკლორისტულთან ერთად, უფრო ფართო მეცნიერული მიზნები ჰქონდა დასახული.

რუსულ ფოლკლორისტიკას XIX საუკუნის ბოლოს იმ კონცეფციის გაქარწყლების ამოცანა ედგა, რასაც საფუძველი ჩაუყარეს თ. ბენფეის თანამოაზრეებმა და მიმდევრებმა

(ვ. სტასოვი, ვ. პიპინი, ვს. მილერი და სხვ.) და რაც რუსულ ხალხურ ეპოსს სათავეებს მონღოლურსა თუ ინდურ-სპარსულ სამყაროში უძებნიდა.

მაშინ რუსული ეპოსისმცოდნეობის მიზანი ის იყო, თუ რუსული ხალხური ეპოსის აღმოსავლური წარმომავლობის თეზისს სრულად ვერ მოხსნიდნენ, მაშინ ზეპირსიტყვიერ ნასესხობათა არეში დასავლურიც (ბერძნულ-ბიზანტიურიც) შეეტანათ, ნასესხობის ორმხრივი ბუნება გამოეკვლიათ. ამით კი ფართო გზა გაეხსნათ საერთო სლავური ზეპირსიტყვიერი სამყაროს არსებობისა და ამ სამყაროში საკუთრივ რუსულის მოთავეობის მტკიცებისათვის.

ამ მისწრაფებათა გამოხატულება გახდა ა. ვესელოვსკის მედროშეობა რუსულ ფოლკლორისტიკაში თავისი აღმოსავლურ-დასავლურ სესხებათა, ურთიერთგავლენათა თეზისით, „ისტორიული პოეტიკითა“ და შედარებით-ისტორიული მეთოდის კვლევაძიებათა ქვაკუთხედად გადაქცევით.

ეს იდეა XX საუკუნეში უკვე ევროპულ მეცნიერულ-ფოლკლორისტულ ტრადიციებთან პოლიტიზებული გამიჯვნა-დაპირისპირების (მეთოდოლოგიის სფეროში) საფუძვლადაც იქცა. საბჭოთა ფოლკლორისტიკა ამ კონცეფციის სრულყოფის გზას დაადგა და შედარებით-ისტორიული მეთოდის შინაარსი „ისტორიულ-ტიპოლოგიურის“ მიმატებით გააღრმავა და დააზუსტა. XIX საუკუნის რუსული ფოლკლორისტიკის წინამძღოლ ა. ვესელოვსკის შემავჟამებელი აზრი – ნებისმიერი ხალხის ეპოსი საერთაშორისოათ, XX საუკუნის უთვალსაჩინოესმა ფოლკლორისტებმა ასე დააკონკრეტეს: ეპოსი საერთაშორისოა არა გენეტიკურად, არამედ ტიპოლოგიურადთ. ტიპოლოგიაში კი ეპოსის საერთო ჟანრობრივი ნიშნები იგულისხმეს (იდეური შინაარსი, სიუჟეტის აგებულება, მისი ნაწილები, ციკლიზაცია, სტილისტიკა, ეპოსის, როგორც ჟანრის, ევოლუცია და ა. შ. ამ უკანასკნელი პრობლემის რკვევაში კი გარკვეულწილად ნ. მარის

ე. წ. სტადიალური განვითარების თეორიასაც დაემყარნენ); ეპოსის ისტორიულ გზაზე საზოგადოებრივი განვითარების ყოველი კონკრეტული ფორმაციის შესაბამისად ახალ-ახალი ფორმების, ტიპების გაჩენა-დამკვიდრების კანონზომიერება აღიარეს.

ამ მიმართულების წარმომადგენლებმა, მოჭარბებული იდეოლოგიზებული თვალთახედვით სვლის მიუხედავად, მაინც შეძლეს ეპოსის (განსაკუთრებით საგმირო ეპოსის) წარმოშობა-განვითარების დასაბუთებული ისტორიის დაწერა. ამ ისტორიის მიხედვით ეპოსის წარმოშობას საფუძვლად დაედო გვაროვნული, შემდეგ ფეოდალური ეპოქების იდეალები. ამ იდეალების მხატვრულ გამოხატულებად წარმოდგა ეპოსის ყველაზე ადრინდელი ფორმა საგმირო ზღაპარი. ეს ფორმა განვითარებული ფეოდალიზმის ეპოქაში თანდათან რომანტიკულ ეპოსში, ანუ ე. წ. სახალხო რომანში გადაიზარდა.

ამ ისტორიაში განსაკუთრებულად ღირებული ეპოსის გმირის თავგადასავლის („ცხოვრების გზის") იმ ძირითადი ამბების (ეპიზოდების) გამოვლენაა, რაც, საერთოდ, ე. წ. ტრადიციული ეპოსის გმირის „ბიოგრაფიად" იწოდა. ესენია: სასწაულებრივი დაბადება, ჭაბუკობა, საგმირო ამბები, მაგიური უვნებლობა, ცხენისა და იარაღის მოპოვება, ქორწინება, ბრძოლა ურჩხულებთან და ა. შ.

მთავარი, რითაც ამ დაკვირვებათა უტყუარობა სხვა მიმართულების (განსაკუთრებით რიტუალურ-მითოლოგიური და ფუნქციონალური) მკვლევართა მიერაც დადასტურდა, შემდეგი დასკვნაა: გმირის თავგადასავლის შემადგენელი მოტივები, ამბები, ეპიზოდები საგმირო ეპოსზე ძველია (ადრინდელია) და მომდინარეობენ საზღაპრო, მითოლოგიური (შდრ. რიტუალურ-მითოლოგიური თეორიის კონცეფციას) წარმოდგენებიდან, წეს-ჩვეულებებიდან[1] და შორეული წარსულის

[1] სრულიად აშკარაა ე.წ. რუსულ-საბჭოური ფოლკლორისტიკის ამ დებულების სიახლოვე ევრო-ამერიკული ეთნოლოგიის (განსაკუთრებით რიტუალურ-მითოლოგიური და ფუნქციონალური თეორიათა) მტკიცებასთან

საზოგადოებრივი ურთიერთობებიდან.[1] ამასთან ეს მოტივები ისტორიული სინამდვილისა და საზოგადოებრივი ცნობიერების ცვლის შესაბამისად იცვლება: ძლიერდება და მტკიცდება ამბის ნამდვილობის რწმენა (ვ. ჟირმუნსკი); ქრება ის მოტივები (კერძო ამბები), რომლებიც ვეღარ ეგუება ახალ სინამდვილეს; მკვიდრდება გაიდეალებული ისტორიული სინამდვილე, ეპოსი იცლება ზღაპრულისაგან და ისტორიული ხდება.[2]

ხალხური ეპოსის კვლევაში ყველაზე შთამბეჭდავი შედეგები

ამავე საკითხზეც. სხვაობა უფრო ტერმინოლოგიურია, ვიდრე თუნდაც შინაარსობრივი (ერთში – რწმენა-წარმოდგენები, მეორეში – რიტუალები). ამასვე ამტკიცებს ის გარემოებაც, რომ ტრადიციული ეპოსის ტექსტში იგივე მოტივები, რიტუალური ამბები და ეპიზოდები გამოავლინეს ევროპელმა და ამერიკელმა ეთნოლოგებმა (ბ. მალინოვსკი და სხვ.). ისე, კაცმა რომ თქვას, სხვანაირად ვერც მოხდებოდა, რადგან ეპოსში ადამიანი, რაც არ უნდა თავისებურად აზროვნებდეს და შეიმეცნებდეს გარესამყაროს, ამ სამყაროში კი თავის ადგილს, მაინც თავის ცხოვრებას მოუთხრობს მსმენელს. და რაც არ უნდა გასაოცარი ფანტაზიების უნარით იყოს დაჯილდოებული, ეს ფანტაზია მაინც ადამიანის ბიო-ფიზიოლოგიური საზღვრებით არის ზღვარდადებული. ამიტომაც არის, რომ ერთი შეხედვით რეალობას დაშორებული ზებუნებრივ-ფანტასტიკურიც კი მჭიდროდ არის მიბმული ადამიანსა და მის ყოფაზე. ამაში სულ უფრო მეტად თანამედროვეობის (ჩვენი ცივილიზაციის, მართლაც, ფანტასტიკური მიღწევებიც გვარწმუნებს ბუნებისმცოდნეობასა თუ ჩვენი სამყაროს საერთო შეცნობაში). აბა სხვა რა უნდა დავარქვათ ამ ფაქტს, რომ რუმინეთში მიაკვლიეს მარადიულ ყინულებში შემორჩენილ ცეცხლისმფრქვეველ გველეშაპს-ხალხური ეპოსის ამ ძველსა და ყველაზე ძნელად სარწმუნო პერსონაჟს! თურმე მართლა არსებულა და პირიდან ცეცხლიც უფრქვევია (საყოველთაოდ ცნობილი და პოპულარული ტელეარხის „დისკოვერის" 2005 წლის თებერვალში რამდენიმეჯერ გადაცემული პროგრამის მტკიცებით).

[1] აზრი უფრო დაკონკრეტდება, თუ ვიტყვით: ცხოვრების წესისა და ამ წესის ადამიანის მიერ გააზრებიდან. რუსულ-საბჭოური ფოლკლორისტიკის ეს მოსაზრება ქმნის პრინციპულ განსხვავებას ევროპული და ამერიკული ეთნოლოგიისაგან.

[2] ვ. ჟირმუნსკი საგმირო ზღაპრიდან ამოზრდილებად მოიაზრებს ისეთ ხალხურ ეპოსებს, როგორებიცაა: შუააზიური ალპამიში, გერმანული სიმღერა ზიგფრიდზე და სხვა.

მოიპოვა XX საუკუნის რუსულ-საბჭოური ფოლკლორისტიკის უთვალსაჩინოესმა წარმომადგენელმა ვ. პროპმა. რუსული ხალხური ეპოსის კვლევას, რასაკვირველია, სხვებმაც დააჩნიეს ღრმა კვალი (მაგ., ე. მელეტინსკი). მაგრამ ჩვენთვის, ამჯერად, პრინციპული მნიშვნელობა ვ. პროპის თვალსაზრისს აქვს, თანაც რამდენიმე ასპექტში.

პირველი ისაა, რომ ვ. პროპმა ზურგი აქცია თავისი დროის რუსული ფოლკლორისტიკის კვლევაძიებით პრაქტიკას, მეთოდოლოგიას და სრულიად მოულოდნელი გეზი და მიმართულება მოიმარჯვა. ეს გეზი არა მარტო გამორჩეული იყო, არამედ ევროპულის თანახმიანიც (განსაკუთრებით სტრუქტურალისტებისა).

მეორე კი ის იყო, რომ ხალხური ეპოსის შესწავლაში ყველაზე მეტი შედეგების მომტანი აღმოჩნდა: ეპოსის აღმოცენების, განვითარების, არსებობის დიდი ისტორიის მეტნაკლებად სრული სურათის წარმოჩენა გახდა შესაძლებელი.[1]

პირველად ვ. პროპმა გარღვევა რუსულ ფოლკლორის-

---

[1] ვ. პროპზე, მის წვლილზე ეპოსისმცოდნეობაში ბევრია დაწერილი. დაინტერესებული მკითხველი ამ მხრივ არაერთ საინტერესო ფაქტს გაეცნობა ე. მელეტინსკის ნაშრომში – „ზღაპრის სტრუქტურულ-ტიპოლოგიური შესწავლა", რომელიც ბოლოსიტყვაობად ერთვის ვ. პროპის საეტაპო მნიშვნელობის ნაშრომის – „ზღაპრის მორფოლოგიის" ქართულ გამოცემას (იხ. ვ. პროპი, „ზღაპრის მორფოლოგია", გამომცემლობა „მეცნიერება", თბ., 1984, გვ. 202-230), ასევე საინტერესო წინასიტყვაობა ამ წიგნის ქართულენოვანი გამოცემის ავტორის, მარიამ კარბელაშვილისა (იქვე, გვ.3-21). მაგრამ უაღრესად მნიშვნელოვანია (და საუცხოო გზამკვლევიც) თავად ვ. პროპის წერილი "გადმოსცემა ზღაპრის სტრუქტურული და ისტორიული შესწავლა", რომელიც სტრუქტურალისტ კ. ლევი-სტრაუსის საპასუხოდ დაწერა და ამავე წიგნშია წარმოდგენილი (იხ. გვ. 22-45). ეს ნაშრომი ვ. პროპმა პირველად "ზღაპრის მორფოლოგიის" იტალიურ გამოცემას დაურთო (იხ. "Structtura e storia nello studio della favolla" წიგნში: "V.Ja. Propp. Morfologua della fiaba. . ., Torino, 1966, pp. 201-227). რუსულ ენაზე კი პირველად დაიბეჭდა წიგნში: В. Я. Пропп, Фольклор и действительность, М., 1976, стр. 132-152.

ტიკაში 1928 წელს განახორციელა, როდესაც გამოსცა წიგნი „ზღაპრის მორფოლოგია“[1]. ვ. პროპის მიზანი ზეპირსიტყვიერებისა და გარემომცველი სინამდვილის ურთიერთკავშირის დადგენა და მისი შინაარსის გამოვლენა იყო. ეს მიზანი რუსულ ფოლკლორისტიკაში სიახლეს წარმოადგენდა, თუმცა დამკვიდრებულ კვლევაძიებით ტრადიციებთან არც თუ დაშორებულს. ტრადიციულად მეცნიერულ ინტერესთა სფეროში რჩებოდა ისტორიზმი, ასევე ა. ვესელოვსკის „ინტუიციური მიგნება“ ზეპირსიტყვიერ ტექსტში მუდმივ ელემენტთა (მოტივთა) არსებობის თაობაზე.[2] ახალი იყო ისტორიულ-გენეტიკურ კვლევათა სტრუქტურულ-ტიპოლოგიური კვლევებით გასრულება. კიდევ უფრო მეტი სიახლის შემცველი აღმოჩნდა მისი კვლევაძიებითი მეთოდი.

ვ. პროპმა ყურადღება ზეპირსიტყვიერ ტექსტზე გადაიტანა და იმის გარკვევას მიჰყო ხელი, თუ ვინ, რას და როგორ აკეთებდა ზღაპარში, ანუ მოქმედი პირის – პერსონაჟის მოქმედებით დაინტერესდა. პერსონაჟის მოქმედებას, ანუ ქცევას კი ფუნქცია უწოდა. მან ნათელყო, რომ ჯადოსნური ზღაპრის სტრუქტურა (მორფოლოგია, ანუ კომპოზიცია) პერსონაჟის ფუნქციათა თანამიმდევრობას ემყარება.

ვ. პროპმა ჯადოსნურ ზღაპარში 31 ფუნქციისა და 7 პერსონაჟის არსებობა გამოავლინა. ეს 31 ფუნქცია პერსონაჟებზე სხვადასხვა კომბინაციით ნაწილდება და სწორედ ჯადოსნური ზღაპრის გარეგნულ მრავალფეროვნებას ჰქმნის, თორემ ყველა ერთსა და იმავე სტრუქტურას ემყარებათ. აი, ამის მიგნება გახდა ეპოსისმცოდნეობაში გარღვევის ტოლფასი მნიშვნელობისა, რისი უტყუარობაც მოგვიანებით ევროპელ და ამერიკელ ეთნოლოგთა კვლევა-ძიებამაც დაადასტურა, როცა ეპოსის ტექსტებში მუდმივ და ცვლად ელემენტთა არსებობა გამოვლინდა.

[1] В. Пропп, Морфология сказки, Л., 1928.

[2] А.Н. Веселовский, Историческая поэтика, М., 1940, стр.51.

ვ. პროპი კვლევაძიებითი მეთოდოლოგიით ყველაზე ძალიან სტრუქტურალისტებს ჰგავდა (თუნდაც ტექსტის თავდაპირველი დანაწევრებით და ნაწილების მეშვეობით მთელის რაგვარობის რკვევით), თუმცა ვ. პროპის განმარტებითვე, ეს არ იყო სტრუქტურალიზმის არეში დარჩენა. ეს კი იმით დადასტურდა, რომ მან ამ აღმოჩენილი სისტემის ისტორიული საფუძვლებისა და ფესვების ძიებასაც მიჰყო ხელი. „ზღაპრის მორფოლოგიას“ (1928) „ვადიმსნური ზღაპრის ისტორიული ფესვები“ (1946) მოჰყვა. ამით მან მორფოლოგიური ძიებანი ისტორიულ შესწავლას დაუკავშირა, ანუ „ფაქტებისა და მოვლენების მეცნიერული აღწერიდან მისი ისტორიული მიზეზების ახსნაზე“[1] გადავიდა.

სწორედ ეს გარემოებაა ამჟერად განსაკუთრებით საინტერესო ვ. პროპის კონცეფციაში, მით უფრო, რომ მან იგივე პრინციპი ხალხური ეპოსის შესწავლაშიც გამოიყენა და არა მარტო ე. წ. ტრადიციული ეპოსის მორფოლოგია გამოავლინა, არამედ ამ ეპოსის ჩასახვა-განვითარებისა და საერთოდ არსებობის ისტორიაც. ამ ისტორიამ ცხადყო, თუ რა შინაარსს და სტრუქტურას იძენს ეპოსი გვიან, ე. წ. „ტრადიციული ეპოსის“ სამყაროდან გასვლის შემდეგ, განსაკუთრებით მაშინ, როცა ეპოსში სულ უფრო დაჟინებით იჭრება ისტორიული სინამდვილე და ეგი საგმირო-საისტორიო ხასიათისა ხდება. ამ ისტორიის მიხედვით კი ეპოსის განვითარება უზოგადეს შტრიხებში ასეთი შინაარსისაა: ეპოსი სახელმწიფოს გაჩენამდელ ხანაში აღმოცენდა, გვაროვნული წყობის დაშლის დროს. იგი მითიდან წარმოიშვა, მაგრამ არა ევოლუციურად, არამედ მითისა და მითოსური იდეოლოგიის უარყოფის გზით.

ასეთი ადრეული ეპოსის სიუჟეტი საცოლის ძიებისა და მონოგამური ოჯახის არსებობის მკაცრელობათა მოტივებს ემყარებოდა.

---

[1] ვ. პროპი, ზღაპრის მორფოლოგია, თბ., 1984, გვ. 29.

ამ ეპოსის სამყარო ორი ან სამი (იშვიათად) სკნელისაგან შედგებოდა. ეპოსის გმირი ქვესკნელს მიემგზავრებოდა. ამასთან სტიაქათა ღვთაებებისაგან საჩუქრად დიდ სიკეთესაც იღებდა. შემდეგ დედამიწას ურჩხულებისაგან წმენდდა, მათ მიერ გატაცებულ საცოლესაც ათავისუფლებდა, შინ ბრუნდებოდა და თვალახს ქმნიდა.

ერთი მნიშვნელოვანი დეტალი ამ ადრეული ეპოსის მთრფთლთგიისა:

იმ ხალხთა ეპოსში, რომელთაც მეომარი მეზობლები ჰყავდათ და მათგან გამუდმებულ თავდასხმებს განიცდიდნენ, იმთავითვე გამოიძერწა თავისი მიწა-წყლის დამცველისა და ხალხის თავისუფლებისათვის მებრძოლი გმირის სახე. იგი ბუნებრივად იქცა საკუთარი ხალხის ზნეობრივ იდეალად. ასეთ ეპოსს, რამდენადმე თავისებური სიუჟეტი ჰქონდა, მრავალამბიანი (მრავალეპიზოდიანი). ცალკეული ეპიზოდი (პერსონაჟის ცალკეული გმირობები) რგოლებად ემატებოდა სიუჟეტს. ყოველი ასეთი რგოლი გმირის სახლიდან გასვლით იწყებოდა და მისი შინ დაბრუნებით მთავრდებოდა. ასეთი იყო სულ ადრინდელი ეპოსის სტრუქტურა და აშკარაა, რომ ვ. პროპის მიერ დახატული სურათი ზედმიწევნით ჰგავს სხვა მკვლევართა მიერ გამოვლენილი ე. წ. „ტრადიციული ეპოსის" სტრუქტურას, სადაც სიუჟეტის უმთავრესი ეპიზოდებია: გმირის სახლიდან გასვლა, საცოლის ძიება, ურჩხულთა დამარცხება, საცოლის მოპოვება, შინ დაბრუნება.

ფეოდალიზმის ეპოქაში ეპოსი თავისი ბუნებრივი განვითარების წესით ძველისა და ახლის კონფლიქტის ასახვით გვაროვნულ იდეალებთან სახელმწიფოს იდეალების დაპირისპირებას დაემყარა. ამ შინააარსის კონფლიქტით აიცსო ძველი სიუჟეტები. გაფერმკრთალდა ისეთი სიმღერები, სადაც ეპოსის გმირი ურჩხულებს, გველეშაპებსა თუ დევებს ანადგურებდა. ახალ ეპიკურ სიმღერებში კი იგი რეალური, ისტორიული მტრის

წინააღმდეგ მებრძოლად იქცა. ამ ეპოსის გმირი ეპოქის ყველაზე დიადი სიწმინდის და შენაძენის სამშობლოს დამცველი გახდა. იგი კონკრეტული ისტორიული ჭიდილის წიაღში იყო ნაშობი და თავისი ხალხის გმირულ სულს განასახიერებდა.[1]

უფრო მეტიც: ცოტა მოგვიანებით, ცალკეულ ტომთა ერთიან სახელმწიფოში გაერთიანებისა და ხალხის როლის თავჩენის კვალად, ეპოსის გმირი ხალხისა და სახელმწიფოს მეთაური (მეფე) ხდება.

ერთი საყურადღებო თეორიული დეტალიც: ეპოსის გმირი, როგორც კი სახელმწიფოს მეთაური ხდება, აქტიურ ფუნქციას კარგავს. ეპოსში თხრობის სიმძიმე (აქცენტი) სხვა გმირებზე გადადის. ეს გარემოება თავის დაღს ასვამს ეპოსის სტრუქტურასაც. იგი ციკლურ აღნაგობას იძენს. ასეთ ეპოსში მთავარი გმირი (ახლა უკვე ცენტრალური) უკანა პლანზე გადაინაცვლებს. ეპოსში შემავალ ცალკეულ სიმღერებს (ამბებს) თავ-თავისი გმირები უჩნდება. ისინი ცენტრალური (ანუ მთავარი) გმირის (მეფის) სამსახურს მიელტვიან. ამ გმირების ამბები (თავგადასავლები) კი ეპოსში ცალკეული ციკლების სახით შედის.[2]

ვ. პროპმა ეპოსის ამგვარი ციკლიზაციის მიზეზებიც გა-

---

[1] ვ. პროპი, დასახ. ნაშრომი, გვ. 61. მთავარი კი ის არის, რომ ვ. პროპის დაკვირვებით, ეს ეთაარება ეპოსის განვითარების კულმინაციურ სტადიას წარმოადგენს. ამის შემდეგ ეპოსი საგმირო იდეალებისაგან სრულიად იცლება და სოციალური ხდება.

[2] „ციკლის" ცნება, როგორც ცნობილია, ფოლკლორისტიკაში სხვადასხვანაირად არის გააზრებული. ერთნი თავდაპირველად გაფანტული ზეპირსიტყვიერი ნაწარმოებების გაერთიანებას (ერთ მთელად) უწოდებენ, მეორენი — ერთი კუთხის, რეგიონის სიმღერებს, სხვანი „ციკლის" ცნებას ერთი გმირის შესახებ შექმნილი სიმღერების აღსანიშნავად გამოიყენებენ.

ვ. პროპი „ციკლში" აერთიანებს სიმღერებს იმ გმირებზე, რომლებიც ერთ ხელმწიფეს ემსახურებიან. ამასთან ამ სიმღერათა სიუჟეტები ერთმანეთთან ყოველთვის აბ არის დაკავშირებული. თითოეული სიმღერა რაიმე მთლიანი და დასრულებული ტექსტია. ამის მიუხედავად, ერთი სამსახურით გაერთიანებული ეს გმირები იცნობენ ერთმანეთს და ხვდებიან კიდევაც (იხ. ვ. პროპის დასახელებული ნაშრომი, გვ. 62.)

მოავლინა. მართალია, ეს ე. წ. ვლადიმირის (კიევის) ციკლის ზეპირსიტყვიერი ტექსტების ანალიზის საფუძველზე მოახდინა, მაგრამ მისი დაკვირვებები არც ამ შემთხვევაშია გამორჩეულად კერძოობითი ღირებულებისა. მათ თავისებური ზოგადი, თეორიული იერიც დაჰკრავთ. ამიტომ მათი გახსენებაც არის მიზანშეწონილი.

ვ. პროპი ზემოაღნიშნული ციკლიზაციის პირველ მიზეზად ისტორიული სინამდვილის სპეციფიკას მიიჩნევს. ესაა ვლადიმირის მიერ სახელმწიფოს გაერთიანება. მეორე მიზეზი სახელმწიფოს გაერთიანებისათვის ისტორიული საფუძვლის არსებობაა. ეს საფუძველი კი სახელმწიფოს გაერთიანებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაა. თეორიულ ასპექტში ეს ეპოქალური, საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ისტორიული კატაკლიზმის არსებობას ნიშნავს, რაც ეპოსის პირობად ადრე ჰეგელმაც დაასახელა და ეჭვქვეშ ეპოსის არც ერთ მკვლევარს არ დაუყენებია.

ვ. პროპის მტკიცებით, ეპოსის უზარმაზარი მხატვრული შესაძლებლობები სწორედ ასეთმა ციკლურმა სტრუქტურამ გამოავლინა იმის გამო, რომ ეპოსში ხალხმა წარსულის ხსოვნა შემოინახა.[1] ეპოსი კი სიცოცხლისუნარიანი არის სამომავლო იდეალების ასახვით. იგი ამა თუ იმ ეპოქის მოვლენებს კი არ ასახავს, არამედ ამ ეპოქის მისწრაფებებს.[2]

ციკლური ეპოსის კლასიკურ ნიმუშად ვ. პროპი სწორედ ვლადიმირის (კიევის) ციკლის რუსულ ხალხურ ეპოსს მიიჩნევს,

---

[1] ასე თვლიდნენ რუსი ისტორიკოსები, მაგალითად, აკადემიკოსი ბ. გრეკოვი (В. Д. Греков, Киевская Русь) ვ. პროპი ასეთ თვალსაზრისს შეცდომად მიიჩნევდა (იხ. მისი დასახელებული ნაშრომი, გვ. 64)

[2] ვ. პროპი ხაზგასმით აღნიშნავდა – კიევის ეპოქის განდიდებით ხალხი კიევის რუსეთის რესტავრაციისაკენ კი არ მიიღტვოდა, არამედ სახელმწიფოებრივი ერთიანობისაკენ; იმ ერთიანობისაკენ, რაც კიევის რუსეთმა დაიწყო და ბოლომდე ვერ მიიყვანა (ვ. პროპი, დასახ. ნაშრ., გვ. 64)

თუმცა სხვაზეც მიუთითებს (მაგალითად, არტურის ციკლზე).[1]

ამ ეპიკურ ძეგლში სამერმისო იდეალები ვ. პროპმა შემდეგში დაინახა:

კიევის რუსეთში სახელმწიფოებრივი ერთიანობის შექმნას ფეოდალური დაქსაქსულობის პერიოდი მოჰყვა. და რაც მთავარია, კიევის რუსეთი სულაც არ იყო ისეთი, გამოკვეთილად ცენტრალიზებული, სახელმწიფო, როგორსაც ეპოსი გვიხატავს. **ასეთად კი ხალხი იმიტომ ხატავდა, რომ იმას უმღერდა, რასაც მიელტვოდა და არა იმას, რაც უკვე წარსულში იყო მთმხდარი და წარსულშივე დარჩენილი.**

ამაში ეძებნება ახსნა იმ ფაქტს, რომ რუსეთის სხვადასხვა კუთხის გმირები კიევისაკენ მიილტვიან. ისინი წარმომავლობით არ არიან კიეველები, მაგრამ კიეველები არიან ცნობიერებით, იდეურად. სწორედ ამით გამოხატავენ ეს გმირები კიევური ეპოქის სულისკვეთებას, გამოხატავენ თავიანთი მისწრაფებების კონცენტრირებით, წარმომავლობით კი საერთო რუსულ ხასიათს ავლენენ.

და კიდევ ერთი, თეორიულადაც საინტერესო, დეტალი: **ბერსონაჟები იმ მომენტიდან ხდებიან ამ ეპოსის გმირები, რომლებიც კიევში ჩადიან, ხოლო მათი გმირობები კიევიდან გასვლის შემდეგ იწყება.**[2] მათი გმირობები კი იმ მოსისხლე მტერთა წინააღმდეგ საერთო, სახალხო, სამართლიან ომებში ვლინდება, რომლებიც რუსეთის დამოუკიდებლობას ემუქრებიან.[3]

ვ. პროპისეულ მსჯელობებში მოცემულ შემთხვევაში მნიშვნელოვანი განვითარებული ფეოდალიზმის ხანაში ციკლურ-

---

[1] თუმცა ამის თაობაზე საპირისპირო აზრიც არსებობდა. მაგალითად, მ. ხალანსკიმ უფრო ადრე ასეთი აზრიც გამოთქვა: საერთო რუსული ეპოსის არსებობა ისეთივე ფიქციაა, როგორიც საერთო ძველი რუსული ენისათ (М. Халанский. Великорусские былины киевского цикла, Варшава, 1895, стр. 212). ვ. პროპმა შეძლო საპირისპიროს დამტკიცება.

[2] ვ. პროპი, დასახ. ნაშრომი, გვ. 64.

[3] იქვე, გვ. 65.

სტრუქტურიანი ხალხური ეპოსის არსებობის მტკიცებაა. მართალია, ვ. პროპი დაწვრილებით არ იკვლევს იმას, თუ რა რჩება ციკლურსტრუქტურიანი ეპოსის მთავარი გმირის წილად მას შემდეგ, რაც იგი უკანა პლანზე გადაინაცვლებს, მაგრამ აშკარად ჩანს მისი მაორგანიზებელი ფუნქცია. ამგვარი სტრუქტურის არსებობის ფაქტს კი ერეკლეს ეპოსის კვლევისათვის, დიდი მსგავსების გამო, არსებითი მნიშვნელობა აქვს, რაც ქვემოთ აშკარა ხდება.

რუსულ ფოლკლორისტიკაში ვ. ჟირმუნსკისა და, გარკვეულწილად, ვ. პროპის კვლევაძიებითი ტრადიციები ე. მელეტინსკიმ განაგრძო. საინტერესო ნაშრომში „საგმირო ეპოსის წარმოშობა" მან საგმირო ეპოსის ფორმები და მათი ჟანრული თავისებურებების კვლევის შედეგები წარმოადგინა. ასევე ცალკეული ეპიკური ძეგლების პირველწყაროები გამოავლინა. ამასთან შეისწავლა არქაული ეპოსიდან კლასიკური ეპოსის ჩამოყალიბების გრძელი გზა კარელია-ფინური რუნების, კავკასიის ხალხთა ეპიკური თქმულებების, ციმბირში მოსახლე თურქულ-მონღოლური მოდგმის ხალხთა ეპოსების, შუმერულ-აქადური წიგნური ეპოსის კვლევის საფუძველზე.

* * *

ეპოსისმცოდნეობაში საინტერესო და მეცნიერულად დიდად ნაყოფიერი მიმართულება ევროპელმა და ამერიკელმა ეთნოლოგებმა და ლიტერატურათმცოდნეებმა შექმნეს. ფორმალურად, აქ კიდევ უფრო მეტი სამეცნიერო სკოლისა და თეორიის არსებობაა დაფიქსირებული.

ამ მიმართულების უზოგადესი და არსებითი მახასიათებელი ე. წ. ისტორიზმის პრინციპის უარყოფაა, უფრო სწორედ, ზეპირსიტყვიერ ტექსტში საზოგადოებრივი იდეოლოგიის ზეგავლენისა, მისი გადამწყვეტი როლისა ცალკეული ზეპირსი-

ტყვიერი ჟანრის (განსაკუთრებით ეპოსის) ისტორიულ განვითარებაში (ცვლაში).

ამ მიმართულების წარმომადგენლებმა კვლევა-ძიების სიმძიმე ზეპირსიტყვიერ ტექსტზე გადაიტანეს, მისი სტრუქტურით (მორფოლოგიით) დაინტერესდნენ. მათ მხატვრული თხრობის „მექანიზმი“ გამოავლინეს და ნათელყვეს, რომ ეს „მექანიზმი“ ყოველი კონკრეტული საზოგადოებრივი ფორმაციის შესაბამისად კი არ იცვლება, არამედ, პირიქით, უცვლელია, „მარადიული ანუ ანტიისტორიული“. სწორედ ამ ანტიისტორიულობით მათი კვლევა-ძიება მეტი პერსპექტივის შემცველია, თუნდაც იმ გაგებით, რომ აწმყოში გარდასულის (თანაც დიდი ხნის) აღწარმოების (განმეორების), ძველის კიდევ ერთხელ ხილვის, განცდის, მასთან გაერთიანების, მის ნაწილად გახდომის შესაძლებლობას ქმნის.

კვლევა-ძიების პირველ ეტაპზე – აღწერის დონეზე – ასეთმა კვლევამ შთამბეჭდავი შედეგები იქონია, მართლაც, გამოვლინდა მხატვრული თხრობის „მექანიზმი“, მისი უცვლელი სტრუქტურა და ეს ორივე აღნიშნული მიმართულების მკვლევრებთან დადასტურდა (დადასტურდა თუნდაც ე. წ. „ფუნქციათა დონეზე“, თუნდაც ვ. პროპთან და მის მიმდევრებთან). შემდეგ ეტაპებზე, ანუ ზეპირსიტყვიერი ტექსტის განვითარების ზედა დონეებზე კი მთლად მოსახერხებელი ვერ აღმოჩნდა; ანუ გაირკვა, რომ ისტორიული დროის მსვლელობა მაინც ასვამდა თავის ნიშანს ზეპირსიტყვიერი ნაწარმოების სტრუქტურას, ე. ი. გაირკვა, რომ ისტორიის სრული უგულებელყოფა ვერ ხერხდება.

ცხადია, ისტორიაში პირწმინდად საზოგადოებრივი ფორმაციის იდეოლოგიური ზეგავლენა არ იგულისხმება. თუნდაც იმიტომ, რომ იდეოლოგია ძველ ფორმებში (სტრუქტურაშიც) „თავსდება“ და ამიტომ სულაც არ სჭირდება სტრუქტურის ცვლა საკუთარის დასამკვიდრებლად. იგულისხმება სწორედ მხატვრული სტრუქტურის ბუნებრივი განვითარება, ამ განვი-

თარების ისტორია, მხატვრული აზრთვნებისა და შესაბამისად ტექსტის სტრუქტურის გართულების ბუნებრივი გზა. ამ გზის გათვალისწინებამ (მაგალითად, იგივე ვ. პროპისა და მისი მიმდევრების მიერ) ხომ ნათელყო, რომ საგმირო ეპოსი XVI-XVII-XVIII საუკუნეებში ისეთი სტრუქტურის მქონე აღარ იყო, რომელიც ადრე; რომ არსებითი განსხვავებაა თუნდაც მითოლოგიური და ადრეული საგმირო, ე. წ. „ტრადიციული ეპოსის“ სტრუქტურასა და გვიანდელი, საგმირო-საისტორიო ეპოსის სტრუქტურას შორის; რომ ეს სტრუქტურა სწორედ ისტორიული რეალობის შეჭრამ შეცვალა. და, რაც მთავარია, ეპოსის სტრუქტურის ისტორიული დრთის შესატყვისი ცვლა ამ მიმართულების წარმომადგენლებმაც დაადასტურეს (მაგალითად, სტრუქტურალისტებმა, განსაკუთრებით რ. ბარტმა, მისმა მიმდევრებმა, სხვებმაც).

აღნიშნული მიმართულების თუნდაც უზოგადესი მიმოხილვა (ისევე, როგორც პირველისა) ამჯერად სცილდება შემოთავაზებული საკითხის კვლევის ამოცანებს. ამიტომ მხოლოდ იმ არსებითის გახსენებით შემოვიფარგლები, რაც ხალხური ეპოსისა და განსაკუთრებით საგმირო-საისტორიო ეპოსის კვლევაში არის ხელშესახები შედეგების მომტანი.

ეპოსის სტრუქტურის გამოვლენის თვალსაზრისით საინტერესო ერთი უმნიშვნელოვანესი თეორია რიტუალურ-მითოლოგიურად იწოდება. ეს თეორია XIX საუკუნის მიწურულს შეიქმნა და იმით გამოირჩა, რომ პირწმინდად უარყო ე. წ. ევოლუციონისტური თეორია ჰენრი მორგანისა, გლობალიზმიდან კონკრეტულ კულტურულ წრესა და კულტურაზე გადაინაცვლა. ამასთან, კულტურის ტრადიციული ერთიანი შესწავლის ნაცვლად მისი ელემენტების ცალ-ცალკე კვლევა დაისახა მიზნად (ენა, წეს-ჩვეულებები, და ა. შ.). კულტურის ცალკე ელემენტების შესწავლას უნდა წარმოეჩინა თავად ამ კულტურის რაობა, როგორც ნაწილის (ან ნაწილების) მეშვეობით – მთელისა.

ამ თეორიის წარმომადგენლებმა შთამბეჭდავი შედეგები მოიპოვეს და ეს იმიტომაც, რომ მას ნიადაგი XIX საუკუნის ეთნოლოგიასა და ფოლკლორისტიკაში დახვდა შემზადებული. ეს, ერთი მხრივ, ინგლისური „ანალიტიკური ფსიქოლოგიის“ წიაღი იყო, მეორე მხრივ, ზიგმუნდ ფროიდის „ფსიქოანალიზის თეორია“. არსებობდა მესამე წყარო – იუნგის არქეტიპების თეორია. რიტუალიზმ-მითოლოგიზმის მესაძირკვლეებად კი ამერიკელი ეთნოლოგი ჯეინ ბთასი, ინგლისელი ჯეიმს ფრეზერი და ფრანგი ემილ დიურკჰეიმი წარმოდგნენ. მათი უდიდესი დამსახურებაა მითსა და რიტუალს შორის არსებული კავშირის გამოვლენა. მათმა მიმდევრებმა XX საუკუნეში ეპოსის-მცოდნეობაში კიდევ უფრო შთამბეჭდავი შედეგები მოიპოვეს. ჯერ ფრანგმა ვან გენებმა გაარკვია, რომ მხატვრულ ტექსტში თავისებურად აირეკლებოდა ადამიანის სიცოცხლის საეტაპო რიტუალები (დაბადება, სიმწიფე, ქორწინება,... დაკრძალვა. იხ. მისი „გარდამავალი ჩვეულებები“, 1909), შემდეგ უკვე 30-40-იან წლებში, ეს თეორია საგრძნობლად სრულყვეს ლორდმა ფ. რ. ს. რაგლანმა და ს. ე. ჰაიმანმა.

ამ ეტაპზე დამტკიცდა, რომ მითი (როგორც თხრობითი ტექსტი) არსებითად რიტუალური ტექსტია, რადგან მითოლოგიური გადმოცემები რიტუალური (ანუ განმეორებადი) ამბის ილუსტრაციაა.

ეს თვალსაზრისი კიდევ უფრო გააღრმავეს ბ. მალინოვსკიმ და მისმა მიმდევრებმა, ე. წ. „ფუნქციონალური თეორიის“ წარმომადგენლებმა. ახლა უკვე მითსა და რიტუალს შორის ცოცხალი კავშირი დამტკიცდა (ბ. მალინოვსკის „მითი პირველყოფილ ფსიქოლოგიაში“, 1926). გაირკვა, რომ არქაულ საზოგადოებაში, ანუ იქ, სადაც მითი „გადმონაშთი“ არ არის, წმინდა პრაქტიკულ ფუნქციას ასრულებს. იგი კულტურის მდგომარეობის, სიცოცხლისუნარიანობის პირობაა, აკოდიფიცირებს აზრს, განიცდება „გვარის წმინდა წერილად“ და ასეთ

ფუნქციას მითი ადამიანური განვითარების ნებისმიერ ეტაპზე ინარჩუნებს იქ, სადაც შემორჩენილია ე. წ. ტრადიციული საზოგადოება.

კონკრეტულად ეპოსისმცოდნეობისათვის აქ მნიშვნელოვანი იყო იმის გარკვევა, რომ მითოსური მსოფლგანცდა არა ცნობს ისტორიულ (ე. წ. „პროფანულ") დროს, დროის შეუქცევადობას; რომ რიტუალებში პერიოდულად მეორდება წმინდა („საკრალური") დრო და იმავდროულად ქრება ისტორიული დრო. ეს კი აღნიშნულ დროთა ციკლურობას იწვევს, ხოლო ეს ციკლურობა (ამბის მრავალჯერ განმეორება) თავად ამბავს სინამდვილედ აქცევს, რადგან ისტორიული დროის დინებაში ჩაკარგული ადამიანი (ამის გამო ისტორიისადმი მტრულად რომ არის განწყობილი), რიტუალში თავისი არსებობის მარადიულ აზრს შეიცნობს (მ. ელიადე).

რიტუალურობა (ანუ დროის ციკლური კონცეფცია), ამ თეორიის თანახმად, ბუნებრივი და სოციალური წესრიგის მაგიური ქმედებებით შენარჩუნების მცდელობებია. და, რაც მთავარია, მითისა და რიტუალის ერთიანობისა და ტრადიციული ადამიანის სიცოცხლეში (თავგადასავალში) რიტუალური ამბის (ეპიზოდების) არსებობის მტკიცებამ შესაძლებელი გახადა ე. წ. „ტრადიციული ეპოსის" (ერთპლანიანი ეპოსის) სტრუქტურის მყარი უცვლელობის დამტკიცება, თუმცა ვერ მოხერხდა ეპოსის სტრუქტურის შემადგენელ ამბავთა (ეპიზოდების) ზუსტი რაოდენობის დადგენა. მიუხედავად ამისა, ეს გარემოება არც ითვლება ნაკლად. მას ახსნა ადამიანური ცხოვრების (თავგადასავლის) არაერთგვაროვნობაში ეძებნება, რისი მხატვრული თხრობაც არის საზოგადოდ ხალხური ეპოსი. ქართულ სინამდვილეში ოპტიმალურად მიჩნეულია[1] ჰოლანდიელი ფოლკლორისტის იან დე ფრიზის 10-ეპიზოდიანი მოდელი, სადაც ასეთი ეპიზოდებია გამოყოფილი:

[1] ზ. კიკნაძე, ქართული ხალხური ეპოსი, 2001, გვ. 14.

I. გმირი ისახება;

II. იბადება;

III. დაბადებულს საფრთხე ემუქრება;

IV. იზრდება;

V. უძლეველია;

VI. ებრძვის გველეშაპს და სხვა ურჩხულებს;

VII. დიდი განსაცდელის გავლით მოიპოვებს საცოლეს;

VIII. ჩადის ქვესკნელში;

IX. ბრუნდება იქ, საიდანაც გამოაძევეს და ამარცხებს მტერს;

X. კვდება.[1]

მაშ, ასეთია მეტ-ნაკლებად იმ ეპოსის გმირის თავგადასავლის (სიუჟეტის) სტრუქტურა, რომელსაც „ტრადიციულ ეპოსს" უწოდებენ. მაგრამ საკვლევაძიებო საკითხის – ერეკლეს ეპოსის სტრუქტურის გამოვლენისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს იმ მეცნიერულ შედეგებს, რასაც სტრუქტურალისტებთან, განსაკუთრებით კი რ. ბარტთან ვხვდებით.

სტრუქტურალიზმის მიზანი, როგორც ცნობილია, აღწერით-ემპირიულ მეთოდზე უარის თქმა და ფაქტების ერთ მნიშვნელობაზე დაყვანით ერთმნიშვნელობიანი აბსტრაქტული მოდელის შექმნა იყო. აქედან გამომდინარე, ტექსტის კვლევაში პირველ საფეხურზე ამ ტექსტის (როგორც ერთი მთელის) სტრუქტურული ელემენტების გამოვლენა, შემდეგ კი მათი განზოგადება და ერთმანეთთან შედარება იყო. ერთი სიტყვით, სტრუქტურალისტებისათვის ტექსტში მთავარი იყო არა ამბავი, არამედ სტრუქტურა.

ცნობილია ისიც, რომ ლიტერატურათმცოდნეობის (და ფოლკლორისტიკის) სფეროშიც იმავე პრინციპს (მეთოდიკას, მეთოდთლოგიას) იყენებდნენ, რასაც ლინგვისტიკაში.

სტრუქტურალისტების მიხედვით, ლინგვისტიკაში ფონემა შეიძლება აღიწეროს, მაგრამ თავისთავად (ცალკე) არაფერს

[1] ვიმოწმებ ზ. კიკნაძის მითითებული წიგნის მიხედვით, გვ. 14-15.

ნიშნავს. იგი სრულ მნიშვნელობას მაშინ იძენს, როცა სიტყვის შემადგენლობაში შევა, ანუ მისი ნაწილი გახდება, სიტყვა კი მაშინ, როცა წინადადებაში შევა, ანუ მისი ნაწილი გახდება.

ასე რომ, წინადადების აღწერა რამდენიმე დონეზე ხდება, ესაა ფონეტიკის, მორფოლოგიის, კონტექსტის დონეები.

ყოველ დონეს საკუთარი ერთეულები აქვს. ეს ერთეულები ნაკრებებს ქმნიან. ამ ნაკრებებში ერთეულები ერთმანეთს საკუთარი წესებით უკავშირდებიან, ანუ შეკავშირების საკუთარი წესები აქვთ. ამასთან ტექსტის ვერც ერთი დონე ვერ წარმოაჩენს ტექსტის სრულ შინაარსს სხვა დონეთა დაუხმარებლად. ყოველი დონის ერთეული მნიშვნელობას მაშინ იძენს, როცა ზედა დონის ერთეულის შემადგენლობაში შედის, ანუ ფონემა – სიტყვაში, სიტყვა – წინადადებაში.

სტრუქტურალისტებმა ლიტერატურათმცოდნეობაშიც სამი დონე გამოყვეს (დონეების თეორიაც კი შეიქმნა).[1] ესენია: „ფუნქციათა დონე", „მოქმედებათა დონე", „თხრობის დონე". ეს სამი დონე ამ სფეროშიც ერთმანეთს ინტეგრაციით უკავშირდება. ყოველი ფუნქცია აზრს პერსონაჟის მოქმედებათა დონეზე იძენს, ხოლო მოქმედება მაშინ აზრიანდება, როცა მასზე ვინმე მოგვითხრობს, როცა ის საკუთარი კოდის მქონე თხრობითი ეპიზოდის ობიექტი ხდება.[2]

---

[1] Э. Беневенист, Уровни лингвистического анализа, წიგნში „Общая лингвистика„ ,М., 1974, стр. 392. დონეების თეორიის შინაარსი ასე გამოიკვეთა – კ. ლევი-სტროსმა გამოავლინა მითოლოგიური დისკურსის (ეპიზოდის) ერთეულები (მითემები) და ბუდეებად დააჯგუფა. ამასთან დაადგინა, რომ მითემები შინაარსს ბუდეებში იძენენ, ბუდეები კი ერთმანეთთან კომბინირებენ. ც. ტოდოროვმა თრი მსხვილი დონე გამოყო – ა) ისტორია (თხრობის ობიექტი), რომელიც პერსონაჟების ქცევებსა და მათ შორის არსებულ სინტაქსურ კავშირებს მოიცავს, ბ) თხრობითი დისკურსი (ეპიზოდი), რომელიც თხრობითს დროებს, სახეებსა და კილოებს შეიცავს;

[1] რ. ბარტი, „თხრობითი ტექსტების სტრუქტურული ანალიზის შესავალი", წიგნში „Зарубежная эстстика и теория литературы XIX-XX в.,"М., 1987, стр., 393. ეს ნაშრომი რ. ბარტმა 1966 წელს გამოსცა. Barthes R., Introduction a·l·analyse struqturale des recits // comunikations 8., paris, 1966.

ამიტომ ტექსტის აზრი ამბის ბოლოს კი არ ვლინდება, არამედ მთელს ტექსტში. ეს აზრი ყოველთვის ხელისგულზე დევს და მაინც მაშინვე სხლტება ხელიდან, როგორც კი ერთ სიბრტყეზე დავუწყებთ ძებნას.[1] და ვფიქრობ, ეს უმნიშვნელოვანესი დაკვირვებაა, რასაც აუცილებლად უნდა გაეწიოს ანგარიში ხალხური ეპოსის კვლევაში.

თვალის ერთი გადავლებით, სტრუქტურალისტური კვლევა-ძიება უცნაური და გარკვეული აზრით პარადოქსულია იმდენად, რამდენადაც ვცდერ მოდელის (თეორიის) შექმნას გულისხმობს, შემდეგ ამ მოდელის მიხედვით ტექსტის სიღრმეში შეჭრას. მაგრამ თუ რ. ბარტს ვერწმუნებით, ეს მეთოდი ნარატოლოგიაში მიღებულია და ფართოდ არის გავრცელებული.

როგორია აღნიშნული პრინციპების რ. ბარტისეული ხედვა? მისი ფიქრით, პირველ (ფუნქციათა) დონეზე უნდა გამოიყოს თხრობითი ტექსტის ერთეულები, რადგან ყოველ თხრობით ტექსტს გარკვეული სისტემა (სტრუქტურა) აქვს. ეს სისტემა (სტრუქტურა) ერთეულებად და ერთეულთა კლასებად იყოფა. ყოველ ერთეულს თავისი ფუნქცია აქვს, ანუ რაიმე აზრს შეიცავს. ფუნქცია სწორედ აზრის გამოხატვის უნარია (ც. ტომაშევსკის დარად).

ყოველ ერთეულში რაღაც თესლია გარინდული. იგი თხრობას ახალი ელემენტით ანაყოფიერებს. ეს თესლი ან იმავე დონეზე მწიფდება ან სხვაზე. ამ ერთეულებს ფორმალურ კლასებში აერთიანებენ, გაერთიანებას კი სხვადასხვა დონეზე ახდენენ, ერთნი ერთზე, სხვანი – სხვაზე.

ერთდონიანი ერთეულების (იგივე ფუნქციების) კლასი დისტრიბუტიულია, სხვადასხვადონიანი-ინტეგრალური (რ. ბარტთან ერთდონიანი (დისტრიბუტული) ფუნქციები იმავე შინაარსისაა, როგორიც ვ. პროპთან).

ერთეულები ცალკე კლასებში გაერთიანების შემდეგაც (ანუ

[1] რ. ბარტი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 393.

კლასს შიგნითაც) ინარჩუნებენ თავიანთ კონკრეტულ ფუნქციებს. ყოველ კლასსაც თავისი ფუნქცია აქვს.

თხრობითი ტექსტის მთლიანი სტრუქტურა კი ქრონოლოგიასა და ლოგიკას (ანუ მოვლენათა თანმიმდევრობას და მიზეზობრივ სვლას) შეიცავს, – ფიქრობს რ. ბარტი. თუმცა უნდა ვივარაუდოთ, რომ გადამწყვეტი მისთვისაც ლოგიკაა და არა ქრონოლოგია, რადგან არა მარტო რ. ბარტი, არამედ საერთოდ სტრუქტურალისტები (კ. ლევი-სტროსი, გრეიმასი, ბრემონი, ტოდოროვი, სხვანიც) თხრობითი ტექსტის „დექრონოლოგიზებას“ და „ლოგიკირებას“ ცდილობდნენ მიზნის მისაღწევად-თხრობითი ტექსტის რაობის გასარკვევად.

ასეთია უზოგადესად სტრუქტურალისტების ხედვა და მიდგომა მხატვრული ნაწარმოებისადმი, რომლის არსი იმაში მდგომარეობს, რომ ნაწარმოების სტრუქტურა წარმოაჩენს მის რაობას, მასში ჩადებულ სათქმელს. ამასთან მათ გამოავლინეს ამ სტრუქტურის აგებულების შინაგანი მექანიზმი. მოცემულ კონკრეტულ შემხვევაში მთავარი და მნიშვნელოვანი ამ სტრუქტურის აგების პრინციპების ცოდნაა, რადგან მისი გათვალისწინებაც ხელს შეუწყობს ერეკლეს ეპოსის სტრუქტურის მიკვლევას. მართალია, ეს ხალხური ეპოსი დღემდე ისეა მოღწეული, როგორც თავის დროზე ცოცხალ ზეპირსიტყვიერ ტრადიციაში დაფიქსირდა ფრაგმენტებად, იმიტომ, რომ ყველა ხალხური ეპიკური ტექსტის მსგავსად იგი ხალხის მხატვრულ წარმოსახვაში (ვირტუალურად) იყო მთლიანი. მაგრამ სტრუქტურალისტების მიკვლეული თხრობითი ტექსტის სტრუქტურის პრინციპული გათვალისწინება მოგვცემს იმ „იარაღს“, რომელიც ამ ფრაგმენტებით მთლიანი ტექსტის აღდგენას შეგვაძლებინებს. აქ ვერც ის გარემოება შეგვიშლის ხელს, რომ სტრუქტურალიზმი კვლევას მთელის (მთლიანი ტექსტის) დაშლა-დანაწევრებით იწყებს, ერთეულების გამოვლენით. ერეკლეს ეპოსის მოღწეული ფრაგმენტები უმრავლეს

შემთხვევაში სწორედ ამ ეპოსის სტრუქტურული ერთეულებია. ეს ერთეულები კი ერთმანეთთან რ. ბარტისეული ინტეგრაციით ერეკლეს ეპოსის სტრუქტურას ავლენენ. ამიტომ უნდა ჩავთვალოთ, რომ ხალხურმა მხატვრულმა ცნობიერებამ (და უფრო მეხსიერებამ) უკვე შეასრულა სამუშაოს ნაწილი – ეპიკურ ტექსტში ერთეულები გამოყო. ახლა ამ ერთეულების სტრუქტურალისტური ლოგიკით გამთლიანება ამ ეპოსის მთლიან სტრუქტურას გამოავლენს.[1]

ასეთია ძირითადად ეპოსმცოდნეობის თეორიული ბაზა, ანუ ის ცოდნა, რაც ეპოსის, როგორც მხატვრული ფენომენის რაგვარობის გამოვლენა-განსაზღვრის შესაძლებლობას ქმნის და რისი გათვალისწინებაც აუცილებელია, ერთი მხრივ, ერეკლეს ეპოსის არსებობის დასამტკიცებლად, ხოლო, მეორე მხრივ, მისი მორფოლოგიის გამოსავლენად.

[1] ეს ფაქტი (ეპოსის ერთიანი ტექსტის ვირტუალურად, ხოლო ხსოვნაში ფრაგმენტებად არსებობა) თეორიის ასპექტშიც არ არის ინტერესმოკლებული, რადგან თავისთავად სტრუქტურალისტების თხრობითი ტექსტის შესწავლის არა მარტო სისწორეს, არამედ ბუნებრიობასაც ცხადყოფს კიდევ ერთხელ.

თავი II
ერეკლეს ეპოსის მორფოლოგია

თეორიული ბაზის, როგორც კონკრეტულ სფეროში დაგროვილი ცოდნა-გამოცდილების, არსებობა, ბუნებრივია, მხოლოდ კვლევა-ძიების პერსპექტივას განსაზღვრავს და სულაც არ შეიცავს დასახული ამოცანის გადაჭრის უტყუარ რეცეპტს, რადგან ჟანრულ თუ გვარეობრივ ასპექტში თავჩენილი მსგავსების მიუხედავად, ნებისმიერი ხალხის ნებისმიერი ეპიკური ქმნილება მაინც ინდივიდუალურია, არა მარტო იდეურ-შინაარსობრივად, არამედ სტრუქტურულადაც, არასოდეს ჰგავს სხვას.

ეს სირთულე საგრძნობია ერეკლეს ეპოსთან მიმართებაშიც, რადგანაც მას ჩვენამდე ერთიანი ზეპირსიტყვიერი ტექსტით არ მოუღწევია. ასორმოცდაათამდე ხალხური ლექს-სიმღერა და თქმ-ულება-გადმოცემა თავიანთი ვარიანტებით დაკვირვებულ თვალსაც კი მხოლოდ ამ ეპოსის არსებობას ავარაუდებინებს. ეგაა, რომ ეს ტექსტები ერთ პიროვნებას – ქართლ-კახეთის მეფეს – ერეკლე მეორეს უკავშირდება. ეს ისტორიული პიროვნებაა მთავარი პერსონაჟი.

ამ ტექსტების ერთიანი ეპიკური ქმნილებისადმი მიკუთვნებას ისიც ართულებს, რომ ისინი ჟანრობრივადაც სხვადასხვაობენ. ერთი ნაწილი აშკარად მითოლოგიური ელფერისაა, მეორე – ლირო-ეპიკური (ქს. სიხარულიძის დაკვირვებით), სხვანი – გამოკვეთილად ისტორიულ სიმღერებს ჩამოჰგავენ და ა. შ. ასეთი სიჭრელე, ერთი შეხედვით, ერეკლეს ეპოსის არსებობასაც ეჭვსქვეშ აყენებს და თითქოს მისი რეკონსტრუირების შესაძლებლობასაც გამორიცხავს. ამასვე მოწმობს ერეკლეს ეპოსისადმი ტრადიციული დამოკიდებულებაც ქართულ ფოლკლორისტიკაში და მისი რეკონსტრუირების გაუბედავი და ამდენად წარუმატებელი მცდელობანი პ. უმიკაშვილისა და სხვათა. ამაზევე მიუთითებს თითქოს ის ფაქტიც, რომ ქართუ-

ლი ხალხური საგმირო და საისტორიო სიტყვიერების თავგამოდებულმა მკვლევარმა ქს. სიხარულიძემაც გვერდი აუარა ტექსტის გამთლიანებას და ერეკლე მეორისადმი მიძღვნილი ზეპირსიტყვიერი ტექსტების ერთი ნაწილი უბრალოდ ე. წ. ერეკლეს ციკლში გააერთიანა, სხვა – ერეკლეს ეპოქის (ანუ ერეკლეს თანამედროვე) სახალხო გმირებისა და გამორჩეული ადამიანების ზეპირსიტყვიერ ციკლებში დაანაწილა.

ამაზე მეტი რაღა გინდათ – იტყვის იქვიანი სკეპტიკოსი. ერეკლეს ეპოსი რომ არსებულიყო, თუნდაც ქს. სიხარულიძეს არ დარჩებოდა შეუმჩნეველი და მკვლევარი, რომელმაც მთელი ცხოვრება შეალია საგმირო და საისტორიო სიტყვიერების შესწავლას, ამ ტექსტს როგორ არ აღადგენდაო.

მაგრამ არის კი ეს ასე? ალბათ, მთლად არა, რადგან, მართალია, ვეჟერ კიდევ XIX საუკუნეშივე ტექსტის გაერთიანების მცდელობა (პ. უმიკაშვილისა) მცდელობად დარჩა. მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ იმ დროს ზეპირსიტყვიერი ტექსტების პუბლიკაციები საერთოდ ლინგვისტიკის, ეთნოგრაფიისა და ხალხის ისტორიის ზოგად საკითხებს ექვემდებარებოდა.[1] ამიტომაც სპეციალური ფოლკლორისტული რეკონსტრუქციის ამოცანები არცა მდგარა. ანდა როგორ უნდა მდგარიყო, როცა ასეთი რეკონსტრუქციის მეთოლოგიაც არ არსებობდა და ეპოსის ტექსტის გამთლიანება თავად გამაერთიანებლის გემოვნებასა და მხატვრულ ალღოს ეფუძნებოდა. ამას გარდა (და რაც მთავარია), ეპოსის შესახებ ფოლკლორისტიკამ მაშინ ნაკლები იცოდა. ეპოსის ტექსტის გამთლიანების ცდები ერთსიუჟეტიან ეპოსებს შეეხებოდა, სადაც საფუძვლად ეპოსის გმირის თავგადასავალი ითვლებოდა. ასეთი ეპოსის (არსენას ლექსი, აბესალომ და ეთერი) ტექსტები კი პ. უმიკაშვილმა თავისი დახვეწილი გემოვნებისა და ფოლკლორისტული

[1] А.А.Петросян, Важные вопросы публикации текстов эпоса народов СССР, в сборнике: «Фольклор. Издание эпоса,» М., 1977, стр. 3.

ალღოს წყალობით წარმატებით გაამთლიანა და არსებითად შეგვინარჩუნა ეს ეპოსები.

სულ სხვა ვითარება შეიქმნა XX საუკუნეში, ქართული საბჭოთა ფოლკლორისტიკის წიაღში. იქ ზეპირსიტყვიერ ტექსტში ყველანაირ „ჩარევას" ტაბუ დაედო. აი, მაგალითად, რანაირ, პრინციპულ პოზიციას ამკვიდრებდა მ. ჩიქოვანი საბჭოთა ფოლკლორისტიკის თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძვლებიდან გამომდინარე, 1959 წელს. სწორედ ბ. უმიკაშვილის მიერ „აღდგენილი" ვერსიების ფოლკლორისტული ღირებულების შეფასების ასპექტში იგი მიუთითებდა: „ფოლკლორისტულ შემოქმედებაში ხელოვნური ჩარევა ნაწარმოებს ბუნებრივ სახეს უკარგავს და აძნელებს მის შესწავლას. ამის გამო მსგავსი პრაქტიკა დაგმობილ იქნა და თანდათან გაქრა".[1] მ. ჩიქოვანი

[1] მ. ჩიქოვანი, ქართული ეპოსი, წიგნი I, „მიჯაჭვული ამირანი", 1959, გვ. 16. დროებით გვერდზე რომ გადავდოთ ამ მოსაზრების მეცნიერული სიძაბუნის ასპექტი, ერთი პარადოქსიც ხდება თვალშისაცემი. დავაკვირდეთ, ზეპირსიტყვიერ ტექსტში როგორ ჩარევაზე ლაპარაკობს მ. ჩიქოვანი „აღდგენილ" ვერსიებზე. ანუ აღიარებს ეპოსის ბუნებრივი ფორმით (წარმოსახვით-„ვირტუალურად") არსებობის შეუძლებლობას, მაგრამ ეს მისი ერთი შეცდომაა. მეორე კი იმაშია, რომ ამის მიუხედავად, მაინც არ უთქვამს უარი ასეთი „აღდგენილი" ეპოსების კვლევაზე. მან ხომ დიდი ენერგია შეალია ხალხური ეპოსის შესწავლას, განსაკუთრებით და დიდხანს კი ამირანის ეპოსს იკვლევდა და ამ თემაზე არაერთი დიდტანიანი მონოგრაფიაც გამოაქვეყნა. ერთი მათ შორის ის წიგნია, საიდანაც ზემოაღნიშნული მოსაზრებაა ციტირებული. ასე რომ, თავად მ. ჩიქოვანიც უფრო ფორმალურად იცავდა საბჭოთა ფოლკლორისტიკის ამ თეორიულ დებულებას. ამის გამოხატულებას წარმოადგენს ამავე წიგნში დაფიქსირებული მისი შემდეგი აზრიც – ძველი ეპიკური სიუჟეტის „თავდაპირველი სახით აღდგენა" საერთოდ არ არის გამორიცხული. „ჩვენ ასეთი ღონისძიება დასაშვებად მიგვაჩნია", ოღონდ „სხვა ასპექტში უნდა დაისვას". თუმცა რას გულისხმობდა ამ სხვა ასპექტში, არ დაუკონკრეტებია. საბჭოთა ფოლკლორისტიკის ამ პოზიციას კი ასეთი გამართლება მოუძებნა. ეპოსის აღდგენის ხელოვნური ცდები იმიტომ არის მიუღებელი, რომ ისინი მცდარ მეცნიერულ კონცეფციას ემყარება, იმ კონცეფციას, რომლის თანახმად ეპოსი „წარმოშობის პირველ საფეხურზე ყველაზე სრული სახის მქონეა, ხოლო შემდეგ, დროთა ვითარებაში, სიუჟეტის დეფორმაცია ხდება

ამ დროს ქართული საბჭოთა ფოლკლორისტიკის თავკაცი იყო და მის სიტყვას ერთი მკვლევარის მიერ გამოთქმულ აზრზე გაცილებით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, სავალდებულო მეთოდოლოგიურ პოზიციას აფიქსირებდა. ვფიქრობ, სწორედ ამან იქონია გავლენა ქს. სიხარულიძეზე. იგი კონკრეტულად იმ წლებში იკვლევდა ინტენსიურად ქართულ ხალხურ საგმირო და საისტორიო სიტყვიერებას, როცა მ. ჩიქოვანის მონოგრაფიის „ქართული ეპოსის" პირველი წიგნი გამოქვეყნდა.[1] საბჭოთა ფოლკლორისტიკის იდეოლოგიზებული მეთოდოლოგიური პოზიციისათვის ანგსრიშგაწევა იყო იმის მიზეზიც, რომ ქს. სიხარულიძე ეპოსის კვლევაში არ გაჰყვა არც მისთვის კარგად ცნობილ ვ. პროპის (ოპალაში მყოფის) გზას და კვლევა-ძიებაში ფრთხილად, ავტორის მიუთითებლად დაემყარა მის ცალკეულ (კერძოობითი ღირებულების) მოსაზრებებს, ძირითადში კი ზუსტად დაიცვა საბჭოთა ფოლკლორისტიკის მეთოდოლოგიური პრინციპები, ზეპირსიტყვიერი ტექსტები (ბუნებრივია, გამთლიანების სერიოზული მცდელობის გარეშე) ეპოსის გმირების ციკლებად დაალაგა და საბჭოთა ისტორიული სკოლის კონცეფციის შესაბამისად ძირითადად იმის კვლევით დაკმაყოფილდა, თუ სად, როდის იყო შექმნილი ესა თუ ის ტექსტი და ვინ იყო ეპოსის გმირი. ამგვარმა პოზიციამ კი

და ამლება. „ამის გამო საჭიროდ თვლიდნენ ნაწარმოების ხელოვნურ შევსებას და შეკოწიწებას" (იხ. მისი დასახ. ნაშრ., გვ. 16.). მ. ჩიქოვანს აქ მხედველობაში აქვს XIX ს. ბოლოს და XX ს. დასაწყისში რუსულ ფოლკლორისტიკაში ფეხმოკიდებული ეპოსის ფეოდალურ-ბოიარული წარმოშობის თეორია, რომელიც ვ. კელტუიალამ და მისმა მიმდევრებმა დაამკვიდრეს. ეს შეხედულება რუსებმა შემდეგ თავად უარყვეს, მაგრამ მანამდე ისე გამოუვიდათ (მათ შორის მ. ჩიქოვანსაც), რომ ნაბან წყალს ბავშვიც გადააყოლეს.

[1] ქს. სიხარულიძის „ქართული ხალხური საისტორიო სიტყვიერების" პირველი ტომი 1961 წელს გამოქვეყნდა, ხოლო მეორე ტომი, სადაც ერეკლესა და მისი ეპოქის ლექს-სიმღერები, ანუ ერეკლეს ეპოსის ზეპირსიტყვიერი ტექსტები დაიბეჭდა, 1964 წელს.

საერთოდ ეჭვქვეშ დააყენა ერეკლეს ეპოსის არსებობა და ის აზრი დაამკვიდრა, რომ ქართულ ზეპირსიტყვიერებაში ერეკლეს სახე დიდად პოპულარული იყო. ეს უამრავი ლექსი-სიმღერის შექმნაშიც გამოიხატა, მაგრამ ეპოსი არ შექმნილა. ეპოსის ფრაგმენტები რაღაც უკონტურო, დაუმთავრებელ-გაუსრულებელი, კნინი ტექსტებით შემოგვრჩა, ხოლო ტექსტების უმეტესობა ერეკლე მეორის მიერ გადახდილი ბრძოლების თემაზე შექმნილი ისტორიული სიმღერებიაო.[1] ამ ზეპირსიტყვიერ ტექსტებზე ზედაპირული დაკვირვებით, ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ ასეთ თვალსაზრისს მართლაც აქვს საფუძველი. ცალკეულ ტექსტში (განსაკუთრებით კი ისეთებში, სადაც ერეკლეს მიერ გადახდილი ამა თუ იმ ბრძოლის ამბავია გადმოცემული) ერთი კონკრეტული ფაქტი თუ მოვლენაა ასახული და ისტორიული კონკრეტიკაც საგრძნობიცაა, აშკარად თვალში საცემიც.

ეს გარემოება თავისთავად განაპირობებს ერეკლეს შესახებ შექმნილი იმ ლექს-სიმღერების განჩხრეკის საჭიროებას, რომლებიც ისტორიულ სიმღერებს ჩამოჰგვანან. თუ მათი ისტორიული სიმღერებისადმი კუთვნილება დამტკიცდა, მაშინ ერეკლეს ეპოსის არსებობასაც მოეხსნება ეჭვი. მაგრამ ალბათ იმის გახსენებაც იქნება მიზანშეწონილი, თუ რა არის ისტორიული სიმღერა და რით განსხვავდება ეს ჟანრი ეპოსისაგან? თანამედროვე ფოლკლორისტიკაში კი ამ საკითხზე ასეთი აზრი არსებობს:

---

[1] უცნაურია, მაგრამ მსგავსი მოსაზრება თანამედროვე ქართულ ფოლკლორისტიკაშიც გამოითქვა. ასე, მაგალითად, ზ. კიკნაძის აზრით „ქართულ ფოლკლორისტიკაში ვერ ვადასტურებთ ისტორიული ხასიათის ეპოსს, სადაც განზოგადებულად იქნებოდა გადმოცემული ხალხის ისტორია, როგორც ეს, ჩვეულებრივ, ამ ჟანრის ეპოსებშია... არ ჩანს ისტორიული ან ფსევდოისტორიული გმირი, რომლის გარშემო რეალური ისტორიის თავისებურად გარდაქმნილ საგმირო ამბავთა ციკლიზაცია მომხდარიყოს". (იხ. მისი „ქართული ხალხური ეპოსი", 2001, გვ. 8).

ისეთი ზეპირსიტყვიერი ლექს-სიმღერები, რომლებიც ისტორიულ სიმღერებად იწოდებიან, გარეგნულად (ფორმით) ერთგვაროვანნი არ არიან. პირიქით, ფორმათა გასაოცარი მრავალფეროვნებით გამოირჩევიან. ამ ნიშნით ასეთი სიმღერები ერთიან ჟანრს ვერც კი ქმნიან (ვ. პროპი), ე. ი. ისტორიული სიმღერა ზეპირსიტყვიერი ჟანრი არაა. ამას ამტკიცებენ ვ. პროპი, ბ. პუტილოვი[1] და სხვებიც, ვისაც ეს საკითხი საგანგებოდ უკვლევია. ამდენად, ისტორიული სიმღერის არსებობის ერთ-ერთი არგუმენტი უნდა იყოს შინაარსი. ისტორიულია ისეთი ზეპირსიტყვიერი ლექს-სიმღერა, სადაც ისტორიული შინაარსია (ამბავი) გადმოცემული. მაგრამ ასეთი კრიტერიუმითაც-ისტორიულობითაც ვერ წყდება საკითხი, რადგან ამ ნიშნითაც საკმაოდ ნაირფერი ზეპირსიტყვიერება იყრის თავს ერთ ფოლკლორულ ჟანრში, მაგალითად, საკუთრივ ეპიკური ლექს-სიმღერები,[2] რაიმე ისტორიული ამბის შემცველი მოკლე ლექსითი ტექსტები და ა. შ.

ამიტომ ერთადერთი ნიშანი, რაც ისტორიული სიმღერის ცალკე ჟანრად განხილვის საფუძვლად მოიაზრება, ტრადიციულად, ამბის გადმოცემის ფორმა და მანერაა. გარკვეულია: ისტორიულ სიმღერაში ერთი კონკრეტული ფაქტი (ამბავი) არის გადმოცემული, თანაც (და რაც მთავარია!) თვალში საცემია კონკრეტულობა, გამორიცხულია მხატვრული განზოგადება და პირობითობა (საერთოდ ეპოსის ყველაზე დამახასიათებელი ნიშანთაგანი). ტრადიციული ფოლკლორისტიკის მიხედვით ყველაზე სერიოზული არგუმენტი ისტორიული სიმღერების ჟანრული გამორჩეულობის განსაზღვრაში ორ ფაქტორზეა დამყარებული – ერთია ეპოქა, როდესაც ისტორიული სიმღერა იქმნება, მეორე ის გარემო, სადაც ის იქმნება. ასე ფიქრობს,

[1] В. Пропп, Фольклор и действительность, М., 1976, стр. 61, Б. Путилов, Русский историко-песенный фольклор XIII-XVI веков, М.-Л., 1960.

[2] რუსულ ფოლკლორში ეს გარემოება კიდევ უფრო თვალშისაცემია. მაგალითად, ისტორიულია რუსული ხალხური ეპიკური ტექსტები-ბილინები, ე. წ. „სტარინები" და საკუთრივ ისტორიული სიმღერები.

მაგალითად, ვ. პროპი და ამ არგუმენტის საფუძველზე ისტორიული სიმღერების წარმომავლობას ეპიკურზე გვიანდელ ეპოქებს უკავშირებს (რუსული ფოლკლორის შემთხვევაში XIV-XVIII საუკუნეებს). ეპოქის გვიანდელობა მტკიცე ფაქტორად თითქოს ვერ უნდა ჩაითვალოს, რადგან უფრთ დიდი ისტორიის ხალხთა (მათ შორის ქართველების) ზეპირსიტყვიერებაში უფრო ადრინდელი (მაგალითად, V და ა. შ.) საუკუნეების ისტორიული სიმღერების არსებობაც ცხადყოფს და ეს მიუხედავად იმისა, რომ ამტკიცებენ, ისტორიული სიმღერის ხსოვნაში არსებობის ქრონოტოპი გაცილებით ნაკლებია ეპოსისაზეო.[1] რაც შეეხება ზემოაღნიშნულ მეორე ფაქტორს – გარემოს, რომელშიც იქმნება ისტორიული სიმღერა, ვ. პროპისავე მტკიცებით, ესაა არა გლეხკაცური, ანუ საერთო სახალხო სოციალური სივრცე თუ სინამდვილე, არამედ კონკრეტული სოციალური წრის (ფენის) მოლაშქრე-მეომრების, მხედრობის (რუსულში ე. წ. „ბუშკარების“ – მეზარბაზნეების და კაზაკობის) სოციალური გარემო.

ამას გარდა, ისტორიული სიმღერის ერთ არსებით თავისებურებად მათი მკვეთრად გამოხატული ლირიკული ელფერიც არის ჩათვლილი. ვ. პროპი ისტორიული სიმღერის ეპიკურისაგან განსხვავებაში ლირიკულობას ლამის გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებს. მაგრამ ვ. პროპის ამ მტკიცებასაც ფრთხილად უნდა მოვეკიდოთ, რადგან ლირიკულის (თუნდაც როგორც მომენტის) აბსოლუტური გამორიცხვა ეპოსიდან იმდენად შეუძლებელია, რომ ხალხური ეპოსის მკვლევარნი (ა. ვესელოვსკიდან მოყოლებული, მათ შორის ქს. სიხარულიძეც) ეპოსში ლირო-ეპიკური ჟანრის არსებობაზეც მსჯელობენ სრულიად სერიოზულად.

ისტორიული სიმღერის სხვა თავისებურებებად მკვლევარნი

[1] თუმცა ამ აზრის სისწორე კიდევ საჭიროებს კვლევა-ძიებას, იმის გარკვევას, ისტორიული სიმღერებია ისინი, თუ ჩვენამდე მოუღწეველი ხალხური ეპოსის ფრაგმენტები (იგულისხმება ისეთი ზეპირსიტყვიერი ტექსტები, როგორიცაა მაგალითად, ლექს-სიმღერები ვახტანგ გორგასალზე, თამარ მეფეზე და ა.შ.)

ასახელებენ სიმოკლეს და გუნდურ შესრულებას. თუმცა ეპოსისაგან ისტორიული სიმღერის გამოსაცალკევებლად მაინცდამაინც ვერც ეს ნიშნები გამოდგება, რადგან მოკლე შესაძლოა ეპოსის ცალკე არსებული ფრაგმენტიც იყოს და რომელიმე გუნდურადაც იმღერებოდეს, რადგან ეპოსიც ხომ საზოგადოდ იმღერებოდა!

ზემოაღნიშნული აშკარად ერთს ცხადყოფს, რომ ეპოსსა და ისტორიულ სიმღერას შორის ყველაზე ხელშესახები არგუმენტია ლირიკულობა,[1] უფრო სწორად, ზეპირსიტყვიერ ტექსტში ლირიკულობის კუთრი წონა. თუნდაც ამით უნდა შევიცნოთ ის თეორიულ-მეთოდოლოგიური ჩავარდნა, რაც ჩვენს ფოლკლორისტიკაშია, ანუ რაც ჩვენში ვერ ფიქსირდება, მაგრამ ასე თუ ისე განსხვავებულია, ვთქვათ, რუსულ ფოლკლორისტიკაში.

ეპოსისა და ისტორიული სიმღერის რამდენიმე განმასხვავებელი ნიშანი ცხადყოფს, რომ ეპოსში საერთო საქვეყნო (სახელმწიფოებრივი) მნიშვნელობის ამბავია მოთხრობილი, ისტორიულ სიმღერაში კი ეს მნიშვნელობა ლოკალურია, კერძოა (ისეთი, მაგალითად, როგორიცაა შითლასი და მთრეხელის ამბავი). ისტორიულ სიმღერაში აღარაა ფანტასტიკა და, რაც მთავარია, ჰიპერბოლა. ოგი არ არის აგებული გმირის ტრადიციულ გასვლაზე სამყოფელიდან, ცხენის შეკაზმვის, მტერთან შეხვედრის, ბრძოლა-გამარჯვებისა და სახლში დაბრუნების დეტალებზე და ა.შ.

[1] თუნდაც იმიტომ, რომ ქართულ ფოლკლორისტიკაში არა გვაქვს ისეთი განმასხვავებელი საშუალება, როგორიც რუსულს მოეპოვება, სადაც ლექსითი ფორმის ისტორიული შინაარსის ზეპირსიტყვიერი ტექსტები ასეა დახასიათებული: „ბილინა" (საკუთრივ ეპიკური), „სტარინა" (გლეხკაცურ გარემოში შექმნილი ეპიკური ისტორიული სიმღერები) და წმინდა ისტორიული სიმღერები (მხედრულ-„პუშკარული", „კაზაკური" წარმომავლობისა). აღნიშნულის თაობაზე ვრცლად იხილეთ: В.Пропп, „Жанровый состав русского фольклора", в журнале „Русская литература", 1964, №4, стр. 58-76; В.Пропп, "Принципы класификации фольклорных жанров" в журнале „Советская Этнография"1964, №4, стр.147-154.

ამასთან, ისტორიული სიმღერა ძველი საგმირთ ეპოსის მემკვიდრედაც არის გამოცხადებული, რადგან მას ენაცვლება, თანაც არა ერთბაშად, არამედ თანდათან, ისე, რომ გარკვეული დროის მანძილზე თანაარსებობენ, ხოლო შემდეგ ეპოსის ძველ სიუჟეტებსაც კი გამოიყენებენ.[1]

ამ ყველაფრიდან მაინც ის გამომდინარეობს, რომ მკვეთრი ზღვარი, შეუვალი განმასხვავებელი ნიშან-თვისება ეპოსსა და ისტორიულ სიმღერას შორის არ არსებობს. ამიტომ საკუთრივ ისტორიული სიმღერა უნდა ეწოდოს ისტორიული შინაარსის (ისეთ) თხრობით ლექს-სიმღერას, რომელიც კერძო ღირებულების მქონე, ერთი კონკრეტული ისტორიული ფაქტისა თუ მოვლენის თხრობას შეიცავს და არ არის ნაწილი (ფრაგმენტი) რაიმე უფრო დიდი ისტორიული ფაქტისა თუ მოვლენისა; რომელსაც არ ეძებნება არც იმავე ფაქტისა და მოვლენის წინა ამბის შემცველი ზეპირსიტყვიერი ლექს-სიმღერა და არც ისეთივე ზეპირსიტყვიერი ტექსტი, რომელშიც ამ ლექს-სიმღერაში გადმოცემული ამბის შემდეგ მომხდარი ისტორიული ფაქტი თუ მოვლენა იქნება გადმოცემული და ერთი და იგივე პერსონაჟი ეყოლება.

ხოლო თუ ზეპირსიტყვიერ ტექსტს შინაარსობრივად წინარე ან შემდგომი ამბის შემცველი სხვა ზეპირსიტყვიერი ტექსტები ეძებნება და თანაც ყველა ერთ პერსონაჟს უკავშირდება, ასეთი ტექსტები ერთიანი ეპიკური ზეპირსიტყვიერი ნაწარმოების ფრაგმენტებად უნდა მივიჩნიოთ. ამ აზრის არსებობის საფუძველს ხალხური ეპოსის მთლიანობაში წარმოსახვითი (ვირტუალური) არსებობა და სწორედ ფრაგმენტებად თავჩენის კანონზომიერებაც ქმნის. ამიტომ ეპიკური ფრაგმენტების ასეთნაირი არსებობა ეპოსის არარსებობის (ანდა დაშლის) ნიშნად არ უნდა ჩაითვალოს; ყოველ შემთხვევაში ეპოსის „გამთლიანების", აღდგენის (რეკონსტრუქციის) ხელშემშლელ (გამომრიცხავ) ფაქტორად არ უნდა იქცეს.

[1] В.Пропп, Русский героический эпос, М., 1958, стр.372.

აღნიშნული მოსაზრების მართებულობის გასამყარებლად საკითხს სხვა მხრიდანაც შევხედოთ, მისი სხვა ასპექტიც გავითვალისწინოთ. კერძოდ, ისიც გავიხსენოთ, რას უწოდებს ფოლკლორისტიკის თეორია ეპოსის ფრაგმენტს, ანუ კერძო ამბავს, ეპიზოდს. რა თავისებურებებით განსაზღვრავს ეპოსში მის არსებობას, რა არის ეპიკური ტექსტის ეპიზოდი?

ამ თვალსაწიერიდან ეპიზოდი, ანუ ეპოსის კერძო ამბავი, ჩვეულებრივ, სიუჟეტის კონკრეტული ნაწილია, რომელიც დიდი ამბის რაიმე ეპიზოდს მოგვითხრობს. ეპოსში ორი ტიპის ეპიზოდების არსებობა დასტურდება. ერთი გმირის თავგადასავალის ბუნებრივი ნაწილია (მაგალითად, გმირის ჩასახვა, დაბადება, გარდაცვალება და ა. შ.) ანუ ისეთი, რომელიც ერთხელ ხდება. მეორე – ხოლმეობითია, არაერთჯერადი. პირველის ეპოსისადმი კუთვნილების გარკვევა და ეპოსის ერთიან ტექსტში ადგილის განსაზღვრა, გმირის თავგადასავალის ლოგიკის საფუძველზე, იოლია, მეორისა – შედარებით რთული.

ხოლმეობით (მრავალჯერად) ეპიზოდებს უმთავრესად გმირის საგმირო საქმეების ამსახველი კერძო ამბები ქმნის. ხშირად გმირი მარტო ერთ მტერს არ ეომება ანდა ბრძოლების გადახდა რამდენჯერმე უხდება. ყოველი ბრძოლის ამბავი ეპოსის მთლიან ტექსტში ცალ-ცალკე, კერძო ამბად შედის, ე. წ. რგოლებად. ასეთი რგოლები ე. წ. მარტივსიუჟეტიან (ერთსიუჟეტიან) ეპოსებში თითქმის არ გვხვდება, რაგან ისინი თავის კვალს აჩნევენ სიუჟეტს და ართულებენ ანუ „მრავალშემადგენლიან“ სიუჟეტად აქცევენ. რგოლებს, ბუნებრივია, საკუთარი შინაარსი აქვთ და ამ მხრივ სხვაღასხვაობენ, მაგრამ ერთნაირი (და თანაც უცვლელი, მყარი) აქვთ სტრუქტურა. ყველა გმირის სახლიდან გასვლით იწყება და მისი სახლში დაბრუნებით მთავრდება.

და, რაც მთავარია, მრავალშემადგენლიანი (ანუ რგოლებიანი) სტრუქტურა ეპოსისათვის იმდენად ბუნებრივი ჩანს, რომ

ასეთი ეპოსები ერთსიუჟეტიან, ე. წ. ტრადიციულ ეპოსებზე უფრო ადრინდელებადაა მიჩნეული. ასეთ დასკვნასაც კი იცნობს ფოლკლორისტიკა – მრავალშემადგენლიანი სიუჟეტი უსწრებს მარტივსიუჟეტიანსო.[1]

ერეკლე მეორის ზეპირსიტყვიერ ლექს-სიმღერებში ტექსტები აღნიშნულ ორსავე ტიპის ეპიზოდების (კერძო ამბების) ნიმნებს შეიცავს. ერთი წყება თავისი ერთვგერადობით იქცევს ყურადღებას (ბუნებრივია, თავის ვარინტებთან შევგერების საფუძველზე ერთი ტექსტის ამორჩევის შემდეგ), სხვები – ხოლმეობით (მრავალვგერადობით). აქ ერთვგერადია ერეკლე მეორის დაბადების („ბატონიშვილ ერეკლესა"), გოლიათური ზრდის („ერეკლე ბატონიშვილი", „ჩვენი ბატონი ერეკლე"), საკოლის ძაების უკიდურესად გაფერმკრთალებული გამოძახილი („ერეკლე და გლეხის გოგო"), გარდაცვალების („რკინის კარის შეხსნა", „ბორაყის წაღება") და ა. შ. ტექსტები. ხოლმეობითია (მრავალვგერადია) ერეკლე მეორის მიერ გადახდილი ბრძოლების ამსახველი ლექს-სიმღერები. ყოველი ასეთი ბრძოლის თემაზე ჩვენმა ხალხმა ცალკე ლექს-სიმღერები შექმნა. თანაც თითოეულს არა ერთი და ორი ვარიანტი მოეპოვება. ეს საკითხი კარგად გაარკვია ქს. სიხარულიძემ. მართალია, იგი ქართული ფოლკლორისტიკის ხალხური ეპოსის ტექსტში ჩაურევლობის მეთოდოლოგიური პრინციპით მკაცრად იყო შეზღუდული, მაგრამ ფოლკლორისტული პროფესიონალიზმისა და ალღოს „მოძალებამ", ჩანს, თავისი გაიტანა. იგი ნებადართული-ისტორიული სკოლის კვლევა-ძიებით ტრადიციათა ფარგლებში ვერ ჩაეტია და არა მარტო იმის კვლევით შემოიფარგლა, რომელი ბრძოლა იყო გადმოცემული ამა თუ იმ ლექს-სიმღერაში და რამდენად ზუსტად ასახავდა ისტორიულ სინამდვილეს, არამედ ამ ყაიდის ზეპირსიტყვიერი

[1] В.Пропп, Русский героический эпос, 1958, стр. 61. თუმცა ასეთი ეპოსის ერთ ნიშნად მისი პრობლემად არსებობაც ცხადდება.

ტექსტები თემატურად (ცალ-ცალკე ბრძოლის თემაზე) ერთად დაალაგა. მართალია, თემატურად მსგავსი ლექსები ერთიანი ამბის წარმოჩენის მიზნით არ გაუერთიანებია, მაგრამ ტექსტებში ჩაურევლად ასეთი სამუშაო მაინც შეასრულა. ვარიანტებიდან მხატვრულად და ინფორმაციულად საუკეთესოებს ძირითადი ტექსტების სტატუსი მიანიჭა და ამით ერეკლეს ეპოსის გაბზრებისა და მთლიანი ტექსტის აღდგენის მტკიცე საფუძველი შექმნა.

ზეპირსიტყვიერი ტექსტების ქს. სიხარულიძისეულ დალაგებაში აშკარად ჩანს, რომ ერეკლე მეორის მიერ გადახდილი ბრძოლების ამსახველი ლექს-სიმღერები ერთიანი ეპოსის – ერეკლეს ეპოსის კერძო ამბების თხრობაა (ანუ ერეკლეს ეპოსის ეპიზოდებია). ასეთ ზეპირსიტყვიერ ტექსტებს განეკუთვნება: უსუფ ფაშასა და მისი მეკავშირე გივი ამილახვარის წინააღმდეგ ერეკლეს ბრძოლის ამსახველი ლექსები („ხევსურები გორის ბრძოლაში“, „თვალივის ბოლოს დაგრთვდეს“, „ომ იქნა გორის ბოლოსა“, „სამნი გვეტანნეს მხედარნი“, „სათავეს ევედა იმედა“, „უსუფ ფაშა“, „ერეკლემ შემოუთვალა ფაშას“, „ერეკლე“, „გივი ამილახვარი“), ერეკლეს ოსეთში ლაშქრობისა („სათრუსოდ“, „თრუსოს ჩავიდეს ხევსურნი“, „ერეკლეს უბარებია“), აბდულა ბეგთან ომისა („ბამბულია შეიკაზმა“, „აბდულის ყარაულები“), ჰაჯი ჩალაბთან ბრძოლისა („ერეკლემ, ჩვენმა ბატონმა“), აზატხანთან შებმისა („ისე ადიდა აზატ-ხან“, „აზატ-ხან წამომდგარიყო“, „აზატ-ხანი და ერეკლე“, „ხუნძახმა ცხენს მიმართა“), ერეკლეს ბრძოლისა სამცხე-ჯავახეთისათვის („ასპინძის თმი“, „ხევსურები აწყურთან“, „ხევსურები საურუმოში“, „ცამა დაიწყო ღრუბლობა“, „ერეკლე და ფაშა“, „მეფე ერეკლე ხერთვისის ციხეში“, „ირაკლი მეფის ლექსი“, „ასპინძას ერეკლე ვნახე“) და ბოლოს ერეკლეს ბრძოლისა აღა-მახმად ხანის წინააღმდეგ („ყენი რომ წინ წამოდგა“, „აღა მაღამეტ ხანი“, „ხოჯა ხანი წამოვიდა“, „თურქმანი ტფილისში“, „ასტახანი რომ დაიძრა“, „ყენი რომ წამოვიდა“).

ვიმეორებ, ამ ზეპირსიტყვიერ ტექსტებში გადმოცემული ამბების ისტორიულობა და ერეკლე მეორის ცხოვრების გზასთან შესაბამისობა გამორჩვლილვით ქს. სიხარულიძემ გაარკვია. ისტორიულად ცნობილია, რომ ეს ბრძოლები ერეკლე მეორემ მართლაც გადაიხადა. ამდენად, ეს ტექსტები ერთი პერსონაჟის თმების ამბავთა თხრობაა. ისინი ერთად ერეკლეს მეფობის ეპიკურ ისტორიას გადმოგვცემენ, ერთი დიდი ამბის ნაწილებია და უკვე ამ უბრალო და აშკარა ფაქტის გამო არიან ეპოსის კერძო ამბები (ეპიზოდები) და არა ეულად "შემორჩენილი ისტორიული სიმღერები.[1]

ამ აზრის მართებულობის მტკიცებისათვის, რასაკვირველია, ეს არ კმარა. იგი სხვაგვარადაც უნდა შემოწმდეს და დადასტურდეს. სხვა გზა კი, როგორც ზემოთ დავინახეთ, ამ ზეპირსიტყვიერი ტექსტების სტრუქტურის დადგენაა. ამ გზაზე კი ერთი დაბრკოლებაც აღმართება. ე. წ. კერძო ამბების (ეპიზოდების) შემადგენელი ლექს-სიმღერებია გასაერთიანებელი და ამბის ლოგიკით (დასაწყისი-დასასრული) დასალაგებელი. ქს. სიხარულიძეს ეს საქმე არ შეუსრულებია. როგორც უკვე ითქვა, მან ამ ტექსტებს თემატური პრინციპით მხოლოდ თავი მოუყარა, უბრალოდ ტექსტების გამთლიანებაც სცადა, ოღონდ ამ მცდელობის კვალი ძალზედ უმნიშვნელოა, თანაც მყარ კვლევა-ძიებით ტენდენციას არ წარმოადგენს, რადგან ადგილ-ადგილ სცადა და არა ყველგან. მაგრამ თუ ასე დავალაგებთ კერძო ამბებში შემავალ ზეპირსიტყვიერ ტექსტებს, მათი ერთგვაროვანი და, რაც მთავარია, ეპიკურობაზე მიმანიშნებელი სტრუქტურის არსებობაც აშკარა გახდება.

[1] იმის გამო, რომ ეპიზოდებში გაერთიანებულ ლექსებს ცალკე აღებულადაც თავისი გასრულებული შინაარსი აქვთ, რაც თითქოს მათი ისტორიული სიმღერებისადმი კუთვნილების ერთ პირობას ქმნის. მაგრამ არ უნდა დაივიწყოთ, რომ ეპოსის ეპიზოდებს (როგორც მთელს შემადგენელ ერთეულებს) ასევე მოეპოვებათ დამთუკიდებელი შინაარსი, ანუ ერთიანი (დასაწყის-დასასრულის მქონე) ამბავი.

ერეკლე მეორის მიერ გადახდილი ბრძოლების ამსახველი ლექსების უმეტესობას ტრადიციული დასაწყისი აქვს. ამ ტრადიციულობაში რამდენიმე ტენდენცია (ტიპი) დასტურდება. ლექსების ერთი წყება პოეტურ ფორმულებად ქცეული სტრიქონებით იწყება. ასე, მაგალითად, „ავაჩრდა ბატონიშვილი“, „ერეკლეს შემოუთვლია“ (მისი ნაირსახეობანი: „ერეკლეს უბარებია“, „ერეკლემ წიგნი მოგვწერა“), „ვაჩარს ეძახს ბატონიშვილი“. ასეთ სტრიქონებს მთხზველს სახალხო ლაშქრის სახელდახელოდ შეკრების, მამულისათვის თავდადებული კაი ყმების ქალაქისაკენ (თბილისისაკენ) გამგზავრების, შემდეგ მეფე ერეკლეს წინამძღოლობით მოსხვდურ მტერზე გალაშქრების, ბრძოლისა და გამარჯვებით უკან შეშოქცევის ამბის თხრობა. ანუ ასეთ ლექსებში ფორმალურად დაცულია ეპოსის კერძო ამბის ტრადიციული სტრუქტურა-გმირის გასვლა, ომი, უკან დაბრუნება. იმავე სტრუქტურაზეა აგებული სხვადასხვა ბრძოლათა თემაზე შექმნილი ის ზეპირსიტყვიერი ტექსტები, რომლებიც ტრადიციული პოეტურ ფორმულადქცეული სტრიქონით კი არა, განსხვავებულად იწყება. ეპოსისადმი მათ კუთვნილებაზე შემდეგი თავისებურებაც მიუთითებს – მათი დასაწყისი ისეთია, თითქოს შეწყვეტილი თხრობა განახლდათ. მთქმელი თითქოს რაღაც ამბავს გვიამბობდა, შეწყვიტა-შეისვენა, ან დიდი სათქმელის სხვა დეტალზე გადაერთო, შემდეგ კი ადრე დაწყებულს დაუბრუნდაო. ასე. მაგალითად, ერთი ლექსი ასე იწყება: „ასტახანი რომ დაიძრა, თან მოჰქონდა მთა და ბარი“. ასეთი დასაწყისით ერთია აშკარა. მთქმელი დარწმუნებული თუ არაა, ვარაუდობს მაინც, რომ ასტახანზე, მის გაშოლაშქრებაზე მისმა მსმენელმა იმდენივე იცის, რაც თავად მან, იცის, მანამდე რა იყო. ახლა კი მთქმელი იმ ამბის გაგრძელებას ჰყვება. ასეთი დასაწყისებიც ბევრია. და, ამდენად, ტრადიციული დასაწყისის მეორე ტენდენციის (თუნდაც სახეობის) არსებობას ცხადყოფს. ამ რიგის ტექსტებში კიდევ

ერთი ტრადიციული დასაწყისია „დაბარება“. ზოგიერთი ლექსი ასე იწყება „ერეკლეს უბარებია, თავი დამჭირდა ყმისაო“ (იხ. მაგ., ქს. ს., II, №№ 18.) გვხვდება ასევე ქართულ ფოლკლორში ცნობილი (ოღონდ ერეკლეს ეპოსთან მიმართებაში) დასაწყისიც „წერეთელმან დაიბარა“ (ქს. ს., II, №№ 32). აქ ამგვარი დასაწყისიც იმახსენებს მიმანაშნაებელი, რომ ტექსტი რაღაცის ნაწილია, ეპიკური სივრცის არსებობაზე მიანიშნებს, რომელსაც აქვს ცენტრი, სადაც მყოფობს მთავარი გმირი-ხელისუფალი, უფლებამოსილი კაი ყმათა თავისთან ხმობისა. კაი ყმა-გმირიც მთავარი გმირის დაძახებაზე დაუყოვნებლივ ცხადდება პატრონთან.

ამ დაძახებით ჩნდება გმირი, აქედან იწყება მისი ეპოსში თავჩენა, მისი თავგადასავალი. ამ დაბარების მერე ხდება იგი ეპოსის პერსონაჟი. მანამდე იგი არის და არც არის (შდრ. „იყო და არა იყო რა“). იყო როგორღაც უძრავად (იღია მურომელივით-კუტად), ეპიკური, „წმინდა“ დროის მიღმა.

ასევე ტრადიციული დასაწყისია „დიდება და მადლი ღმერთსა“, რომლის „ეპიკურობა“ საერთოდ არ საჭიროებს მტკიცებას.

ლექსების ტრადიციულ პოეტურ დასაწყისებში მეფე ერეკლე უმეტესად ვკერ ერთგულ „უნაგ ყმებს“ ომის ამბებს ატყობინებს, შემდეგ თავისთან – სატახტოში იბარებს და მტერზე აქედან (თავის სამყოფიდან) მიდის. ამასთან, ბრძოლის ამბების პოეტურ თხრობაში ერეკლე ბრძანებად არის მელექსის ყურადღების ცენტრში. უფრო მეტს კაი ყმებზე (ერეკლეს უნაგ ყმებზე) გვიამბობს. ხშირად გრძლად და დაწვრილებით მოგვითხრობს, ვინ რით გამოიჩინა თავი, რა გმირობა ჩაიდინა. ერეკლე კი, როგორც მთავარი პერსონაჟი, უკანა პლანზეა გადანაცვლებული. ასეთ ტექსტებში თვალშისაცემია მხატვრული განზოგადოებათა სიმწირეც. ეს ყველაფერი კი, ერთი შეხედვით, ასეთი ზეპირსიტყვიერი ტექსტების ეპოსისადმი კუთვნილებას ეჭვს ქვეშ აყენებს და ისტორიულ სიმღერებად მათ მიჩნევას უმაგრებს ზურგს. ამით კი სრულიად აშკარად ცხადყოფს, რომ

ეს ლექს-სამღერები ვერ ქმნის ისეთ ეპიზოდებს (კერძო ამბებს), რომლებსაც ბუნებრივად ემყარება ე. წ. ტრადიციული ეპოსის გმირის მთლიანი თავგადასავალი ასევე ტრადიციული გაგებით. მაგრამ რამდენად საფუძვლიანია ეს ეჭვი? რით შეიძლება ამ მოვლენის ახსნა?

ამ მიზნით უპირველესად უნდა გავიხსენოთ ერეკლეს ეპოქის დროითი ქრონოტოპი. ესაა XVIII საუკუნე. უმძაფრესი კატაკლიზმებით აღსავსე ისტორიული დრო. შიშველი დაპყრობითი პოლიტიკა მეზობელი მაჰმადიანური ქვეყნებისა და ომის. სისხლისღვრის ენაზე დაყვანილი ქვეყანათშორისი „ურთიერთობანი". ქვეყნის შენარჩუნების, ხალხის ფიზიკური გადარჩენისათვის დღენიადაგ ზრუნვის, ხსნის გზების ძიებისა და ხმლის ტრიალის, მკლავის ძალისა და ანთებული გულების იმედად დარჩენის შემაძრწუნებელი დრო-ჟამი. ეპოსისმცოდნეობა კი გვაუწყებს: ასეთი ეპოქის საგმირო (მით უფრო ისტორიული) ეპოსი, როგორც უკვე ვნახეთ, არა მარტო შინაარსის მხრივ არის თავისებური, არამედ სიუჟეტითაც ანუ სტრუქტურითაც.

ტრადიციული ეპოსის შინაარსი გამორჩეულად რეალური. ისტორიული ხდება. ეპოსის გმირიც რეალურ ისტორიულ მტრებს ებრძვის, ყველაზე დიდი ფასეულობა და სიწმინდე, ყველაზე დიდი სახალხო მონაპოვარი მამულია და გმირიც სამშობლოს დამცველია.

ეპოსში ჩნდებიან (მთავარი გმირის გვერდით) სხვა გმირებიც და მათთვისაც სამშობლოს დაცვაა ცხოვრების აზრი და ამქვეყანაზე არსებობის გამართლება. ამ გმირების თავდადების, ბრძოლებში გამოჩენილ გმირობათა ამბები ცალკე, კერძო ამბებად (ეპიზოდებად) ან ციკლებად ჩაერთვის საგმირო-საისტორიო ეპოსს, მის ციკლურ სტრუქტურას უდებს საფუძველს. ეპოსის გმირი კი, როგორც ხალხის მეთაური, ქვეყნის ხელისუფალი (მეფე) ხდება, ეპოსში გადმოცემულ ამბავში ერთგვარად უკანა პლანზე გადაინაცვლებს, მაგრამ მისი როლი და ფუნქცია

ეპოსში ამის გამო არც ფერმკრთალდება და არც იკარგება. პირიქით, იგი მთავარი (ცენტრალური) პერსონაჟი ხდება, ქვეყნის (სახელმწიფოს) ცენტრში მყოფი და მისი არსებობის განმსაზღვრავი, მისი მეტაფორა. ეპოსის დანარჩენი გმირები ამ ცენტრალურ პერსონაჟის (მეფის) მსახურნი ხდებიან, მისი მითითებებით თუ ხელმძღვანელობით იბრძვიან სამშობლოს დასაცავად, მას უქვემდებარებენ და უთანადებენ თავიანთ საქმიანობას. ეპოსში ამ პერსონაჟების (გმირების) თავდადება-თავგანწირვის ამბები კი, როგორც ითქვა, რგოლებად ემატება საერთო სიუჟეტს და ეპოსის ციკლებს ქმნის. „ციკლი“ წრეს ნიშნავს. წრეს კი ცენტრი აქვს. ეპოსის მთავარი გმირი ამ ცენტრშია, აქედან მართავს ქვეყანას. თავად ბასიური ხდება, თითქმის არაფერს აკეთებს, საგმირო საქმეებს მის სამსახურში მყოფი გმირები სჩადიან.

აი, სწორედ ამ ვითარებას ცხადყოფს ერეკლეს ეპოსი, ამგვარი სტრუქტურის არსებობა ვლინდება ერეკლე მეორის შესახებ ჩვენი ხალხის მიერ შექმნილ ლექს-სიმღერების თავმოყრისა და ლოგიკური (უპირველესად ერეკლეს ცხოვრების გზის ქრონოტოპის პრინციპზე) გამთლიანების საფუძველზე. ამ სტრუქტურის თავჩენაა ეს ე. წ. კერძო ამბები.

აღნიშნული ტექსტების ერეკლეს ეპოსისადმი კუთვნილება, რასაკვირველია, მარტო ამით არ მტკიცდება. ეს ერთი არგუმენტია, თანაც – არა ერთადერთი. უფრო მნიშვნელოვანი არგუმენტი კი ისაა, რომ ამ ყაიდის ზეპირსიტყვიერ ტექსტებში მთავარი, მამოძრავებელი, მოქმედების ინიციატორი და წარმმართველი ერეკლე მეორეა. იგი მარტო გმირებს კი არ უხმობს, მარტო კი არ მოუწოდებს თმისაკენ, ლაშქარს,[1] არამედ

[1] თუმცა ამ ლექს-სიმღერებში ლაშქარი მხოლოდ ეფემერულად თუ გაიელვებს და მარტო ბრძოლის მასშტაბურობის წარმოჩენის ფუნქცია აკისრია. მისი როლი თითქმის არ ჩანს. ომს მეფე და კაი ყმები იგებენ. თითქოს მათ გარდა არც არავინ იყოს. ეს ფაქტიც ამ ლექს-სიმღერების ეპიკურობის გამოვლენაა. ომს ლაშქარი (პროფესიონალი ჯგარი) ისტორიულ სიმღერებში იგებს.

თავადაც იბრძვის. ამასთან, ძალიან ხშირად, ბრძოლის მთელი სიმძიმე მასზე გადადის და გამარჯვების მომტანი, ბრძოლის ბედის გადამწყვეტი სწორედ ერეკლეა. მისი გმირობაა უმთავრესი, ლექს-სიმღერათა სხვა პერსონაჟები კი ბრძოლის, თუ შეიძლება ითქვას, ლოკალურ შეტაკებებში იჩენენ გმირობა-ვაჟკაცობას. და ეს ფაქტი სულაც არ არის მეფის პიროვნების „პროფანული" განდიდების ტენდენციის გამოვლენა (ამ თვალსაზრისით ფოლკლორმა ნაკლებად იცის რიდი და კრძალვა!), არც მარტო ტრადიციული ზეპირსიტყვიერი ჰიპერბოლაა. ამის დასტური ისიცაა, რომ მელექსე ხშირად კადნიერად ივიწყებს მეფის პერსონას და ზედმეტი (რომ არა ვთქვათ უადგილო) გულმოდგინებით ჩამოთვლის ბრძოლაში ნასახელარი კაი ყმების ღვაწლს და მათ მიმართ არც ტრადიციულ ზეპირსიტყვიერ გაზვიადების მხატვრულ ხერხს ერიდება.

ხშირად კაი ყმების წვლილიც მას შემდეგ „ახსენდება" მელექსეს, როდესაც ბრძოლის ყველა პერიპეტიის თხრობას დაასრულებს და მთავარი გმირის – ერეკლეს საარაკო შემართებას, მხედართმთავრულ ნიჭს, ბრძოლაში გამოვლენილ გმირობას უამბობს მკითხველს. ამის შემდეგ, როგორც პოსტ სკრიპტუმს (P. S.), დანართს, ისე გვიამბობს კიდევ ვინ რით ისახელა თავი.

ასეთი ზეპირსიტყვიერი ტექსტები თეორიულ ასპექტში ჩვენი ხალხის მხატვრულ ცნობიერებაში (ეპოსის განვითარებაში) იმ ვითარებას წარმოგვიჩენს, როდესაც ტრადიციულ, ე. წ. ერთსიუჟეტიანი (მარტივსიუჟეტიანი) ეპოსის სტრუქტურაში ციკლური ეპოსის სტრუქტურული ელემენტები ჩნდება. ჩნდებიან სხვა გმირები, თავთავისი მიკრო სამყაროებით და ეპოსის პერსონაჟის თავგადასავალში უმნიშვნელო თანამონაწილეობით. უმნიშვნელოთი იმიტომ, რომ ისინი ამინდს ვერ ვერ ქმნიან, გადამწყვეტი მაინც მთავარი გმირი-ერეკლეა, მაგრამ მათი არ-

სებობა უკვე აუცილებელია, აუცილებელია მათი შემწეობა.

აღნიშნული თავისებურება კი იმაზე მიმანიშნებელია, რომ ასეთი შინაარსის ზეპირსიტყვიერი ტექსტები ერეკლეს ეპიკური თავგადასავლის კერძო ამბებს (ეპიზოდებს) წარმოადგენს. ამით კი ის დადასტურება, რომ ჩვენს ზეპირსიტყვიერებაში არსებობს ერეკლე მეორეზე შექმნილი ისეთი ლექს-სიმღერები, რომელშიც მოთხრობილია ერეკლეს ეპიკური თავგადასავალი, ანუ ერეკლეს ეპოსი. არსებობს ხალხური ვერსია ერეკლე მეორის ცხოვრება-მოღვაწეობისა, რადგან ნაწილების არსებობა მთელის არსებობასაც ადასტურებს.

ასეთ ლექს-სიმღერებს წმინდა ისტორიულ სიმღერებს კიდევ ერთი ნიშნის გამო ვერ ვუწოდებთ. კერძოდ, ამ ტექსტებში, მართალია, ცალ-ცალკე კონკრეტული ბრძოლების ამბებია (ერთეული ფაქტები) მოთხრობილი, მაგრამ ერეკლეს მიერ გადახდილი ისტორიული ბრძოლების მხატვრულ მატიანეებს (მხატვრულ რეპორტაჟებს) მაინც არ წარმოადგენენ. მხატვრული განზოგადება და ამბის პირობითობა იმდენად აშკარაა და საგრძნობია, რომ სპეციალური კვლევა სჭირდება იმის დადგენას, რომელ ლექსში ერეკლეს მიერ გადახდილი რომელი ბრძოლის ამბებია გადმოცემული და ეს იმის მიუხედავად, რომ არაიშვიათად ამ ლექს-სიმღერებში ისტორიული პირთვნებებიც მოიხსენიებიან, ან სულაც მოქმედებენ. ხშირია შემთხვევები, როცა ერთი ამბის (ბრძოლის) მონაწილე პირი (უპირატესად მტერთაგან) სხვა ბრძოლის მონაწილეა, პირობითია ბრძოლის ადგილი და სხვ.

ზოგიერთ ზეპირსიტყვიერ ტექსტში ომის ბედი ერეკლეს მტრის ბელადთან ჭიდაობით ან ორთაბრძოლით (მაგალითად, კოხტა ბელადთან) წყდება, რაც ასევე ეპიკურობის ნიშანია და ა. შ. ამის გამო იყო, რომ ქს. სიხარულიძეს სპეციალური კვლევა-ძიება დასჭირდა ცალკეული ასეთი ზეპირსიტყვიერი

ტექსტის ისტორიულ წყაროებთან შედარების გზით, იმის გამოსაკვლევად, თუ რომელ ისტორიულ ფაქტზეა საუბარი ხალხურ ლექს-სიმღერებში.[1]

ამასთან, ასეთ ტექსტებში (რაც ყველაზე მთავარია!) საერთო-სახალხო, სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ამბებია (სამშობლოს დაცვა მომხდური მტრისაგან) მოთხრობილი და არა კერძო მნიშვნელობისა, მხოლოდ ერთი ადამიანის სასიცოცხლო ინტერესებს რომ არ სცილდება და ისტორიული სიმღერის თავისებურება რომაა.

ასე რომ, ზემოაღნიშნულის საფუძველზე ერეკლეს ეპიკური თავგადასავლის შედგენილობა ასე უნდა წარმოვიდგინოთ: **ბრთლოგი; ამბავი ერეკლეს დაბადებისა; ერეკლეს გოლიათური ზრდა; ამბავი ერეკლეს ბრძოლისა უსუფ ფაშასა და გევი ამილახვართან; ამბავი ერეკლეს თსეთში ლაშქრობისა; ამბავი**

---

[1] ასეთი პრინციპით აღდგენილი (გამთლიანებული) ერეკლეს ეპოსი მხატვრული ამბის მთლიანობის თხრობის თვალსაზრისით შესაძლოა ხარვეზიანი გვეჩვენოს, მაგრამ უნდა გავიხსენოთ, რომ მას, როგორც მთლიან ტექსტს, ხალხური ხვეწის პროცესი არ გაუვლია. ფრაგმენტები კი არასოდეს უწევს ანგარიშს მთლიანი (ერთიანი) ტექსტის ლოგიკას, თავის სისრულეს ტექსტის ინტერესებს არ წირავს.

მხატვრულ (პოეტურ) ხვეწას, სრულქმნას დრო სჭირდებოდა. რასაკვირველია, ასეთ ხვეწას ჩვენი ხალხის მხატვრული ალღო ჩაუტარებდა კიდევაც, რომ არა XIX საუკუნის ცოცხალ ქართულ ზეპირსიტყვიერ ტრადიციაში ინტერესის კანონზომიერი მინავლება საგმირო ეპოსისადმი და სოციალური ეპოსისაკენ ყურადღების წარმართვა („არსენას ეპოსი"), რაც ასევე ეპიკური ცნობიერების ბუნებრივი სვლა-განვითარების გამოხატულებაა; ანდა სხვა არანაკლებ სერიოზული ფაქტორის არსებობა: ერეკლეს სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური ნაღვაწისადმი წიგნიერ-ინტელექტუალური სამყაროდან მომდინარე გაორებული დამოკიდებულება და ამ ფაქტის არაბერდაბერი (შედარებით შორეული), მაგრამ მაინც გამაგულიცველებელი ზეგავლენა ჩვენს ზეპირსიტყვიერ ტრადიციაზე, რამაც ჩვენი ხალხის ცნობიერებაში ერეკლეს სახელს ბევრი ვერაფერი დააკლო, მაგრამ ეპოსის სრულქმნას კი აშკარად შეუშალა ხელი. ასეა თუ ისე ამ ეპოსს აქვს ერთიანი, მყარი, საგმირო-საისტორიო ეპოსის შესატყვისი სტრუქტურა, სადაც ყველა ნაწილი (კერძო ამბავი, ეპიზოდი, რგოლი) ლოგიკურად არის ერთმანეთთან დაკავშირებული.

ერეკლეს ბრძოლისა აბდულა ბეგთან; ამბავი ერეკლეს ბრძოლისა ჰაჯი ჩალაბთან; ამბავი ერეკლეს ბრძოლისა აზატ-ხანთან; ამბავი ერეკლესადმი ღალატისა; ამბავი ერეკლეს ბრძოლისა სამცხე-ჯავახეთისათვის; ამბავი აღა-მაჰმად-ხანის შემოსევისა და თბილისის დაცემისა; ამბავი რკინის კარის შეხსნისა; ებილთგი.[1]

ამ ცალკე ამბებში თემატურად და შინაარსობრივად ერთმანეთის შემავსებელი ლექს-სიმღერები ერთიანდება და, რომორც დასათაურებებიც ცხადყოფს, სრულ წარმოდგენას ქმნის ერეკლეს ეპიკურ თავგადასავალზე. თუმცა ამის მიუხედავად ერეკლეს ეპოსის მთლიან სტრუქტურას მაინც ვერ ავლენს.

საქმე ისაა, რომ ქართულ ზეპირსიტყვიერებაში ისეთი ლექს-სიმღერებიცაა დაფიქსირებული, რომლებიც ერთი შემთხვევით ერეკლე მეორის დროის სხვადასხვა სახალხო გმირებს ეძღვნება, მაგრამ ერეკლე მეორის პიროვნებასაც უკავშირდება. ამ სახალხო გმირებს თავ-თავისი თავგადასავალი აქვთ, ბედისწერა, ცხოვრების გზა, საერთო კი სამშობლოს მტრების წინააღმდეგ მათი ბრძოლაა. ამ ნიშნით ქს. სიხარულიძემ ასეთი ზეპირსიტყვიერი ტექსტები ცალკეული სახალხო გმირების ციკლებად გააერთიანა, თავისი „ქართული ხალხური საისტორიო სიტყვიერების" მეორე ტომში, ერეკლე მეორის ზეპირსიტყვიერი ტექსტების შემდგომ ცალკე განყოფილებაში მოათავსა და უწოდა „ერეკლე მეორის თანამედროვენი".[2] აქაა ლევან ბატონიშვილის, ძაღლიკა ხიმიკაურის (უპირატესად პროზაული), დილოიძის, მაია წულეიშვილის, თამრო ვამლოვანელის, თინა წავკისელის, გელა ნათელაშვილის, პაატა თემურიშვილის, გიორგი თილისძის, სალომეს, ტურა ქაიხოსროს, ალუდაურ გაბურის, იონეურ თეთრაულის სახელებთან დაკავშირებული პოეტური (ლექსითი) და პროზაული ზეპირსიტყვიერი ტექსტები. ზოგიერთ სახალხო გმირზე ათამდე ორიგინალური ტექსტია

[1] იხილეთ ტექსტი.

[2] იხ. ქს. სიხარულიძის მითითებული კრებული, გვ. 87.

შექმნილი (თავისი ვარიანტებით), ზოგზე ორი-სამი და ზოგზეც – უფრო ნაკლები, რაც, ბუნებრივია, მათი ხალხში პოპულარობის პირდაპირი ანარეკლია. მაგრამ ასევე ბუნებრივია, რომ ეს არ არის მთავარი. მთავარი და მნიშვნელოვანი კი ის არის, რომ ეს სახალხო გმირები მარტო ერეკლე მეორის თანამედროვენი კი არ არიან და მათს ტექსტებში ერეკლე უბრალოდ, სასახვათაშორისოდ კი არ მოიხსენიება, არამედ პერსონაჟია.

ეს გმირები ასპარეზზე (ეპოსის სივრცეში) მას შემდეგ ხვდებიან, რაც რაიმე მიზეზის გამო (ეს მიზეზი კი, ბუნებრივია, სხვადასხვაა) ადრინდელ სამყოფელს ტოვებენ. ისინი, როგორც წესი, ერეკლესაკენ მიემგზავრებიან (ქალაქს, ანუ თბილისს), მას სთხოვენ მფარველობას, მის სამსახურში დგებიან, მისი დავალებით ან მისი სახელით იბრძვიან მტრის წინააღმდეგ და იხვეჭენ სახელს, ყველა თავის მოქმედებას ერეკლეს „უთანხმებენ“, გმირობა-სახელიანობის საზომი და შემფასებელი მათთვის ერეკლეა. თავიანთ საქციელსა თუ ქმედებაზეც პასუხისმგებლობას ერეკლეს წინაშე გრძნობენ.

ამას გარდა, ეს გმირები არაიშვიათად ერთმანეთს იცნობენ, რადგან ერთი ეპიკური დროისა და სივრცის პერსონაჟები არიან, ერთ მეფეს ემსახურებიან და მის კარზეც ხვდებიან ერთმანეთს.

ერეკლეს ეპოქის ამსახველ ზეპირსიტყვიერ ტექსტებში ერეკლეს სამყოფელის თბილის-ქალაქის (ეპოსის ცენტრის) ლექს-სიმღერაც გვხვდება, ე. ი. ხალხის ეპიკურმა ცნობიერებამ ერეკლეს ეპოსის დროითი და სივრცული ცენტრის პოეტური სურათიც შეიქმნა. თბილისი ერეკლე მეორისადმი მიძღვნილ უამრავ ზეპირსიტყვიერ ტექსტში ფიგურირებს, როგორც ერეკლეს სამყოფელი ადგილი. როგორც წესი, თბილისისაკენ უხმობს მეფე ერეკლე გაჭირვების ჟამს კაი ყმებს (უნჯ ყმებს), აქედან გადის მათთან ერთად მტრის წინააღმდეგ საომრად. თბილისში იბარებს იგი სახელიანებს დასაგვილდოებლადაც (მაგალითად, ჰაგი

ჩალაბის წინააღმდეგ თმში ნასახელარ დათუკი ქვეშპარიშვილს). ასე რომ, ზეპირსიტყვიერ ტექსტებში აშკარად არის გამოკვეთილი ამ ქალაქის, როგორც ხალხის ისტორიული არსებობის მაორგანიზებელი ცენტრის, ფუნქცია. ლექს-სიმღერათა დიდზე დიდ ნაწილში თბილისი საკუთარი სახელით არ მოიხსენიება. იგი თითქოს გაურკვეველი, ბუნდოვანი ცნებაა ხალხისათვის. მაგრამ თუ გავიხსენებთ ჩვენი ხალხის ცნობიერებაში ლამის აქამდე მოღწეულ ტრადიციას, განსაკუთრებით ქართლსა და კახეთში, ყველაფერი ნათელი გახდება. უფროსი თაობა თბილისს დღესაც საკუთარი სახელით კი არ მოიხსენიებს, არამედ ქალაქს უწოდებს. მაგალითად, არავინ იტყვის „თბილისს ვიყავო" ან „თბილისში მივდივარო". იტყვის „ქალაქს ვიყავი", „ქალაქს მივდივარო" და თბილისს იგულისხმებს. და ეს ფაქტი თბილისისადმი გამორჩეული კრძალვის, სიყვარულის გენეტიკური გამოხატულებაა, მის ერთადერთობაზე მიმანიშნებელიც.

ბევრ ზეპირსიტყვიერ ტექსტში თბილისს თბილისიც ჰქვია, განსაკუთრებით იმ ლექს-სიმღერებში, რომლებშიც აღა-მაჰმად-ხანის შემოსევის ამბებია მოთხრობილი. ამ თემაზე შექმნილ ერთ ხალხურ ლექსში კი თბილისის საკმაოდ შთამბეჭდავი პოეტური სურათია დახატული. ეს დიდი ლექსია. წერილობით 1871 წელს არის დაფიქსირებული ლ. ჩერქეზიშვილის მიერ, კახეთში, სოფელ ჩაილურში. იგი ერეკლეს ლექს-სიმღერებით დაინტერესებულმა თითქმის ყველა ფოლკლორისტმა დაბეჭდა (პ. უმიკაშვილი, ს. ცაიშვილი, ქს. სიხარულიძე). ე. გოგიჩაიშვილმა საგანგებო ყურადღება მიაქცია მას და აღნიშნა, რომ ლექსის მეორე ნაწილი გითრგი ქებაძის ლექსიდან უნდა იყოს დამატებული, რომელსაც „საქართველოს გადაცემა რუსებზედ" ჰქვია. იგი დარია მამაცაშვილის ქართლში ჩაუწერია 1872 წელს და იაკობ გოგებაშვილისათვის გაუგზავნია, რათა მას, თავის მხრივ, პ. უმიკაშვილისათვის გადაეცა. მიუხედავად აღნიშნულისა, ფ. გოგიჩაიშვილს ამ მეორე ნაწილის ფოლკლორულობა მაინც არ

დაუყენებია ეჭვსქვეშ და აღნიშნა: ეს მეორე ნაწილი გიორგი ქებაძის ლექსის ვარიანტია, მაგრამ „ისიც შესაძლებელია, რომ არსებული ხალხური ლექსი ქებაძემ თავის ლექსში შეიტანა გადასხვაფერებულადო“.[1]

აი, ამ ხალხურ ლექსში თბილისი ყველაზე ვრცლად არის დახასიათებული, პირწმინდად ეპიკურ სტილში, ეპიკური მხატვრული აზროვნების სიბრტყეზე, გამოკვეთილი პოეტური ჰიპერბოლური ტენდენციით, ლამის მითოსური ზებუნებრიობით. ხალხურ ლექსში დახატული სურათის მიხედვით თბილისი მიწიერი სამოთხეა, სადაც ყველაფერი იდეალურამდე სრულქმნილი და ჯადოსნურია. აქ „ზამთარი არის ბროლისა, ზაფხული ზურმუხტისა“, „გარს ახვევია ბაღები“, აქვს ხმელეთის ბადალი აბანოები, მაღლიდან იგუნდით მოჭედილი ქვის აუზებით, გვერდითა ფანჯრებით და ჯადოსნური წყლით. „ვინც შავა, აგრე გახდების, როგორც თოვლია მთისაო“. ამიტომ „ქალი და რძალი გამოდის, ვით რომ ყვავილი ხისაო“.

თბილისს ამშვენებს წისქვილები, დუქნები, თეთრი ქვითკირის საყდრები, ხაზინები, მოკირწყლული ქუჩები... ასე რომ, ქებასაც ვერ შეჰკადრებ, რადგან სიტყვასაც არ ძალუძს მისი მშვენების გამოხატვა („ნეტა ქება როგორ ითქმის ამ თბილის ქალაქისაო“). აი, ასეთია თბილისის ზეპირსიტყვიერი ხატი და აქ „ერეკლე ბატონი ივლდა, ბადალი ხმელეთისაო.“ ეპოსის გმირებიც სწორედ აქ მოდითდნენ, აქ დგებოდნენ მეფის სამსახურში.

ამ შემთხვევაში კი სრულიად აშკარაა ერეკლეს ეპოსის ციკლური სტრუქტურა და მისი მრავალელემენტიანი სიუჟეტის არსებობა. აქ ციკლებს ვ. პროპისეული გაგებით კონკრეტული სახალხო გმირების ლექს-სიმღერები ქმნის. მეფე ცენტრალური პერსონაჟია. იგი ცენტრში (თბილისში) იმყოფება.

[1] ვიმოწმებ ქს. სიხარულიძის მიხედვით, იხ. მისი „ქართული ხალხური საისტორიო სიტყვიერება“, II, 1964, გვ. 271.

გმირები მასთან მიდიან. აქედან გადიან და ამის შემდეგ იწყება მათი საგმირთ საქმენი.

ამ გმირების თავგადასავლების ამსახველი ზეპირსიტყვიერი ტექსტები, ბუნებრივია, არც რაოდენობითაა ერთნაირი. არც ფორმით, არც შინაარსობრივი სისრულით და არც შინაგანი სტრუქტურით.

ზოგ სახალხო გმირზე ათეულზე მეტი ლექს-სიმღერაა დაფიქსირებული, ზოგზე სულ რაღაც სამი-ოთხი (ბუნებრივია, ამ ტექსტებს თავ-თავისი ვარიანტებიც მოეპოვებათ), ზოგიერთი გმირის შესახებ შექმნილი ზეპირსიტყვიერი ტექსტები უფრო ლექსებია (პოეზია), ზოგისაში პოეზია ნაკლებია, პროზაული ტექსტები ჭარბობს, ზოგიერთისა კი პირწმინდად პროზაა. ეპოსისათვის ეს ბუნებრივი ჩანს. თვით ერეკლეს ეპიკური თავგადასავალიც შეიცავს პროზაულ ტექსტებს, თუმცა პოეზია კი სჭარბობს. 140-ზე მეტი ზეპირსიტყვიერი ტექსტიდან ასამდე პოეტურია (ლექსითი).

შინაარსობრივადაც ზოგიერთი გმირის თავგადასავალი უფრო სრულია, ეპოსისათვის ბუნებრივი ეპიზოდებიც ბევრია, ზოგან ცალკეული ფრაგმენტებია (ორი-სამი, იშვიათად მეტი).

ამ ფრაგმენტებში, როგორც წესი, ერთი თემა ჩანს, ესაა ლეკებისა და ქისტების წინააღმდეგ ბრძოლა, საკუთარი მიწა-წყლის დაცვა მომხვდურ მტერთაგან. ესეც ბუნებრივია, რადგან ლეკიანობის თემა საერთოდ უმთავრესი თემაა XVIII საუკუნისა და XIX საუკუნის პირველი ნახევრის ქართულ ზეპირსიტყვიერებაში. თავად ამ ეპოქის ისტორიული სინამდვილე იყო გამორჩეული ამ მოვლენით და ერეკლეს სახელმწიფოებრივი მოღვაწეობის ერთ დიდ თავსატეხსაც ხომ ეს პრობლემა წარმოადგენდა! ეპოსის გმირებიც ამ ისტორიული რეალობის ნიადაგზე გამოდიოდნენ სახლიდან და დგებოდნენ ერეკლეს სამსახურში. ეს იყო მათი საგმირთ საქმეების უმთავრესი ასპარეზი (რასაკვირველია, უფრო დიდი მომხდურების-ირანელ-ოსმალთა წინააღმდეგ ბრძოლასთან ერთად).

ამას გარდა, აშკარაა ეპოსის თეორიული ისტორიის ასპექტში საინტერესო და მნიშვნელოვანი ტენდენცია. სამშობლოს დაცვის თემასთან ერთად, ჩნდება შინაური შუღლის თემაც, რომელსაც გამოვლენის მრავალფეროვნების მიუხედავად, ერთი საფუძველი აქვს – სოციალური. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ეპოსის სამყაროში იჭრება სოციალური უსამართლობის თემა, რაც ეპიკური მხატვრული ცნობიერების ახალ, უკანასკნელ საფეხურზე ასვლის (გადასვლის) მოახლოებას ცხადყოფს. და ეს იმიტომ, რომ ხალხური ეპოსი ბოლო სტადიაზე პირწმინდად სოციალურია. ქართულ ხალხურ ეპიკურ ტრადიციაში ამას არსენას ეპოსიც ცხადყოფს.[1] ერეკლეს ციკლის ეპოსში კი სოციალური პრობლემატიკა მხოლოდ უმნიშვნელო შენაკადად მოჩანს და მხოლოდ სახეობრივი სიახლის მომასწავებელია.

ერეკლეს ციკლის ეპოსის გმირებზე შექმნილი ზეპირსიტყვიერი ტექსტებიც ერეკლეს ლექს-სიმღერების ჩაწერის დროსვეა დაფიქსირებული წერილობით. ჩვენი პრაქტიკოსი ფოლკლორისტების ყურადღების არეში ამ ზეპირსიტყვიერი ტექსტების ეპიკური ელფერიც მოექცა იმთავითვე. ამაზე მიუთითებს ამ ფრაგმენტული ტექსტების გამთლიანების მცდელო-

---

[1] სხვათა შორის, ერეკლეს ციკლური ეპოსი ამ მხრივაც ცხადსყოფს, თუ როგორ აქორწურავს თავის თავს საგმირთ-საისტორიო ეპოსი და როგორ მზადდება ნიადაგი სოციალური ეპოსისათვის. მაია წყნეთელი, თინა წაგაისელი და თამარ გამლოველი არსენას წინამორბედნი არიან, იმ პრობლემის „შემომტანნი" ქართული ხალხური ეპოსის სამყაროში. რამაც არსენა და არსენობა შვა. არც ის უნდა იყოს შემთხვევითი, რომ ეს ქალები არსენას მეზობლები არიან, ერთი გეოგრაფიული და სოციალური სიერცის – ქართლის შვილები. საფუძველიც ერთია, მონღოლ-თათართა ბატონობის ეპოქის დანატოვარი სოციალური სისასტიკე, რისი ანარეკლიც არა მარტო ზეპირსიტყვიერებაში, არამედ ქართულ მწერლობაშიც ღიად გამოჩნდა (მაგალითად, ხალხოსან მწერალთა თხზულებებში). ასე რომ, სოციალური პრობლემატიკის სიმძაფრით ეს სივრცე იყო გამორჩეული ქართულ სინამდვილეში. სოციალური ეპოსი (არსენას ეპოსი) იმიტომაც იშვა ამ, სოციალურად უკიდურესად დამუხტულ, სივრცეში (თუ კუთხეში).

ბებიტა, რაც არის კიდევაც მათი ჩვენამდე მეტნაკლები შინაარსობრივი სისრულით მოღწევის მიზეზი. სხვადასხვა გმირის ზეპირსიტყვიერი ციკლების გამთლიანების ცდები აშკარად ჩანს თ. რაზიკაშვილის, პ. უმიკაშვილის, ზ. ჭიჭინაძის. ალ. გარსევანიშვილის, დ. ხიხანიშვილის, უფრო გვიან ქს. სიხარულიძის ფოლკლორულ კრებულებში, ანუ ყველასთან, ვინც კი შეხებია მათ. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ეს ჩარევები ზეპირსიტყვიერი გმირის ეპიკურ თავგადასავალში შერჩევას (სელექციას) გამორიცხავს. ანუ თავგადასავლების რეკონსტრუქცია რაიმე არსებული ზეპირსიტყვიერი ტექსტის უკუგდების საფუძველზე არაა ჩატარებული. გათვალისწინებული ყველა ტექსტი არის. ისინი უბრალოდ გმირის მხატვრული „ბიოგრაფიის" ქარგაზეა დალაგებულ-გამთლიანებული. ამიტომ ამ ტექსტებისადმი ფოლკლორისტული ნდობა-უნდობლობის საკითხი თავისთავად მოხსნილია.

ერეკლეს ციკლის ეპოსში ყველაზე სრულყოფილი, ზემოაღნიშნული თვალსაზრისით, მაია წყნეთელის, თამრო ვაშლოვანელის, თინა წავკისელის ეპიკური ციკლებია, შემდეგია ლევან ბატონიშვილის, ბაატა თემურიშვილის, გოთრგი თილისძის, გელა ნათელაშვილის, ძაღლიკა ხიმიკაურის, ტურა ქაიხოსროსა და ალუდაურ გაბურის ციკლები.

მაია წყნეთელი, თინა წავკისელი და თამრო ვაშლოვანელი ქართველ მკითხველს, პირველად დ. ჯანაშვილმა გააცნო, 1882 წელს „ივერიაში" (№ 12) დასტამბულ წერილში „ისტორიული სურათები". ეს სამი სახალხო გმირი ქალი მან სწორედ მეფე ერეკლესთან ყოფნის ნიშნით გააერთიანა. ისტორიული დროის ერთიანობასთან ერთად ამ გაერთიანება-დაკავშირების საფუძველი უთუოდ მისი პროფესიონალური ფოლკლორისტული ალღო თუ გუმანიც გამოდის. აი, რას წერდა დ. ჯანაშვილი მათ შესახებ: „თვალით შნახველთ და მოსწრე პირთ დაუტოვებიათ მოთხრობა, რომ ისინი ბევრჯელ გაჰყოლიან მეფე ერ-

ეკლეს ლაშქარში და გამოუჩენიათ დიდი "უშიშროება, მხნეობა და ვაჟკაცობა".[1]

მაიკ წყნეთელზე შექმნილი ტექსტების "უმეტესობა ალ. გარსევანიშვილმა გამოაქვეყნა.[2] ყველაზე სრულად კი ქს. სიხარულიძემ.

პრაქტიკოს ფოლკლორისტთა ტექსტოლოგიური მუშაობის შედეგია ისიც, რომ ამ სამი გმირის ეპიკური თავგადასავალი ერთნაირ ყალიბშია მოქცეული, ერთგვარ კალაპოტში მიედინება. ესაა თავგადასავალთა ქარგა, ეპიკური დრო და სივრცე. განსაკუთრებით საყურადღებოა თრიალეთი, ქართული ზეპირსიტყვიერების თავისებური ეპიკური სივრცე, ეპიკური სუნთქვით გაჯერებული, განსაცდელისაგან გასაქცევი, თავშესაფარებელი, სულიერ-ხორციელი სილაღის, სიმშვიდისა და ძალების მოკრების, „საკრალური" ადგილი, საიდანაც გმირები ფერშეცვლილები ბრუნდებიან.

ამას გარდა, თითქმის ერთნაირია სიუჟეტების სტრუქტურა. აქ შემდეგი ეპიზოდები გამოიყოფა:

1. წარმომავლობა (გმირის დაბადების შესაბამისი). სამივე გმირი გლეხისშვილია. მშობლები ან ადრე იხოკებიან (მიზეზი შვილის ვაჟკაცობაა), ან არ ჩანან (თინა წავკისელის შემთხვევაში);
2. სახლიდან გასვლა (გაჟარდნა). მებატონის ძალადობა (მაიკ წყნეთელის, თინა წავკისელის შემთხვევაში გაუპატიურება, თამრთ ვაშლოვანელისა — ტყვედ გაყიდვა);
3. ფერისცვალება (ერთი მხრივ, ვაჟად ქცევა, ვაჟკურად ჩაცმა, მეორე მხრივ, თრიალეთში გაქცევა);

---

[1] დ. ჯანაშვილი, „ისტორიული სურათები", „იერია", 1882, №12, გვ. 76-81.

[2] ალ. გარსევანიშვილი, „გმირი ქალი, მათე ყაჩაღად წოდებული", „სამშობლო", 1915 წ., №№102-104; ასევე (თქნავ შემოკლებით) გაზეთში „ახალი საქართველო", 1915, №№20.21. აქედან გადაბეჭდა ქს. სიხარულიძემ. იხ. მისი „ქართველი სახალხო გმირები", 1952, ტექსტები: №№ 110, 111, 115, 117.

4. ერეკლესთან მისვლა და მის სამსახურში დადგომა (შესვლა). ვაჟურად ჩაცმული, სახელშეცვლილი მაია (მათე) ერეკლეს ეახლება თბილისში, სასახლეში, სამსახურს სთხოვს და იბრძვის ლეკებისა და სპარსელების წინააღმდეგ.

ტყვეობიდან თავდახსნილმა თამრო ვაშლოვანელმა (კოჯრის სამხრეთ-აღმოსავლეთ მდებარე სოფელი) მომხვდური მტრისაგან თავისი სოფლის დაცვით ისახელა თავი. ერეკლემ თავისთან მიიწვია. თამრო მის სამსახურში ჩადგა და არაერთხელ ისახელა თავი მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში.

თინა წავკისელიც სპარსელებს ჩაუვარდა ტყვედ, გაიქცა და ერეკლეს კარზე ეახლა, მის სამსახურში ჩადგა. არა ერთ ლაშქრობაში გაჰყვა მეფეს და თავიც არაერთხელ ისახელა.

1. **საარაკო გმირობები.** მაია წყნეთელმა პირველად კახეთში ლეკების წინააღმდეგ ბრძოლაში გამოიჩინა თავი (20 წლისამ მხნეობით, ვაჟკაცობით, სიმარდით მეფე ერეკლეც კი გააოცა), მეორედ სოღანლუხის ბრძოლაში. აქ ხმალაშოღებული უშიშრად შეიჭრა მტრის გუნდში, მაწინავეს (ფალავანს) წაატალა თავი. გაკვირვებულმა მეფემ მაიას უთხრა, ამიერიდან შვილი ხარ ჩემი და მამა დამიძახეო.

თამრო ვაშლოვანელი არაერთგზის მედგრად დაუხვდა ვაშლოვანს შესულ მტრებს – ლეკებსა და თათრებს. ამის გამო მეფის მადლობაც დაიმსახურა. თამრო ხალხს საფარში (ციხესიმაგრეში) გახიზნავდა ხოლმე და მტერს მერე ებრძოდა.

ასევე მოიქცა თინა წავკისელიც, როცა მტერი წავკისს შეესია. ხალხი ციხეში გახიზნა, თვითონ ბრძოლით გაიკაფა გზა, თბილისს ჩაეიდა, ერეკლეს დამხმარე ჯარი სთხოვა. ციხეზე იერიშმიტანილ მტერს კი ფუტკრის სკებიდან ფუტკარი მიუსიეს.

2. **შური და ღალატი.** მეფესთან სიახლოვის გამო სამივე გმირმა იწვნია შურისა და ღალატის სიმწარე. მოშურნეებმა მაიას გზად მიმავალს შეატყობინეს, მეფემ შენი შებყრობა

დაგვავალა, მოკვლა უნდათ. მაიამ ისინი დახოცა, მაგრამ ცბიერებამ თავისი ქნა. იგი დაეტვედა მეფეში, ყაჩაღად გავარდა თრიალეთის ტყეში, რომელსაც „მაიას საბუდარი" შეერქვა. ყაჩაღობის (უფრო აბრაგობის) შემდეგ სომხითში დამკვიდრდა, სოფლის დამცველი შეიქნა.

თამრო ვაშლოვანელს მომუღარმა აზნაურმა დასწამა სამშობლოს ღალატი. მომუღლეები საფალავანო თრთაბრძოლებში გამარჯვებებმაც მოუმრავლა (თავადების ფალაჯანების დამარცხებამ განსაკუთრებით). თამრო გადაიკარგა, თავი გადაირჩინა, თუმცა ბოლოს მაინც მათი მსხვერპლი გახდა. მათ ჩაუვარდა ხელში. მათ კი თამრო მტკვარში გადააგდეს, საიდანაც ველარ ამოვიდა.

თინა წავკისელის თავგადასავალში ეს მოტივი არ არის.

3. ტყვედ ჩავარდნა. მაია სპარსელებს ჩაუვარდა ტყვედ მას შემდეგ, რაც აბრაგობას თავი ანება, მეფე ერეკლეს შეურიგდა, თავისი ქალობაც გაამჟღავნა და მეფეს ლაშქრობაში ქალურად ჩაცმული ახლდა, ასე იბრძოდა. ერთ ბრძოლაში მტერმა დაატყვევა, სპარსეთის გზას გაუყენა. მაია გამოიპარა.

თამრო ვაშლოვანელი ორჯერ იყო ტყვეობაში. პირველად, როცა კაცურად ჩაცმული იბრძოდა ერეკლეს ლაშქარში, თათრებმა დაატყვევეს, განჯაში წაიყვანეს. ერეკლეს შეატყობინა ეს ამბავი. ერეკლემ პაატა თემურაშვილს (ერეკლეს ცოცლის ეპოსის კიდევ ერთი გმირია!) დაავალა მისი გამოხსნა. მან შეასრულა მეფის დავალება, თამრო გამოიტაცა და მეფეს მიუყვანა.[1]

თამრო ვაშლოვანელი მეორედ თავადებმა დაატყვევეს და როგორც ზემოთაც ითქვა, მტკვარში მოუღეს ბოლო. გვამი ერთმა მეცხვარემ იპოვნა, სოფელს შეატყობინა, თრიალეთის ეკლესიაში დაკრძალეს.

---

[1] ეპოსის გმირთა შეხვედრა-დახმარების ფაქტი აღნიშნული აქვს ვ. კოტეტიშვილსაც (იხ. მისი „ხალხური პოეზია", გვ. 374-375)

თინაც ორჯერ იყო ტყვეობაში, ორივეჯერ თათრებთან. პირველად მეფე ერეკლეს დავალებით პაატა თემურიშვილმა იხსნა (კონტამინაცია, თუ მოტივის მოარულობა?). მეორედ აღა-მახმად-ხანის წინააღმდეგ ომში დაატყვევეს, მაგრამ დაბრუნდა.

4. სიკვდილი და დასაფლავება. სამიე გმირის სიკვდილის მიზეზი ისევ შური ჩანს. თამრო ვაშლოვანელის შემთხვევაში ეს აშკარად არის თქმული, დანარჩენ ორში კი – ივარაუდება. მაია სპარსელთა ტყვეობიდან გამოქცეული გზაში, ერევნის სიახლოვეს, მოკლეს.

ასევე გზაში, ბოლნისის მხარეს, მოკლეს თინა წავკისელიც, მოკლეს არა ბრძოლაში, არამედ ჩუმად. მიპარვით.

სამივე გმირი პატივით დაკრძალეს, განსაკუთრებით თამრო და თინა. თამრო – თრიალეთის ეკლესიაში (რომელში, სახელ-დობრ, არ არის მითითებული), თინა წავკისელი – ბოლნისის სიონის გვერდით. მისი ობლები კი ერეკლე მეფემ თავისთან, სასახლეში წაიყვანა და გაზარდა.

როგორც უკვე ითქვა, ამ სამი გმირის ეპიკური ციკლების ასეთი შედარებითი სისრულე პრაქტიკოსი ფოლკლორისტების ტექსტოლოგიური მუშაობის შედეგია. ტექსტების ჩამწერებ-მა (დ. ჯანაშვილმა და ალ. გარსევანიშვილმა) არა მარტო მთქმელთა ვინაობა შემოგვინახეს, არამედ ისიც დაუფარავად თქვეს, თუ რა ვარიანტები ჰქონდათ ხელთ და როგორ, რა პრინციპით გაამთლიანეს ეპოსის გმირთა თავგადასავლები.[1] ეს ფაქტი კი, ბუნებრივია, კიდეც ერთხელ ცხადყოფს ეპიკური ტექსტების გაერთიანების კეთილსინდისიერ მნიშვნელობას. ერ-

[1] თუმცა უნდა ითქვას, რომ ცალკეულ შემთხვევაში ტექსტების თავგადასავლად დალაგება მაინც არ არის უხარვეზო. ასე, მაგალითად, მაიას ეპიკურ თავგადასავალში ჯერ მაიას სიკვდილის ლექსია, თავისი ვარიანტებით (ქს. სიხარულიძის კრებულის მიხედვით, რომელიც პირდაპირ გამყვა წინამორბედებს. ესაა №№ 118, 119 ტექსტები. შემდეგ მოსდევს (120-ე ნომრად) ლექსი „მაიას თავგადასავალი (იხ. ქს. სიხარულიძე „ქართული ხალხური სასტორით სიტყვიერება". II, 1964, გვ. 103-104).

ეკლეს ეპოსში გმირი ქალების თვალში საცემი სიუხვე შემთხვევითი არ უნდა იყოს. აქაც, ალბათ, ჩვენი ისტორიული ყოფის ერთი კანონზომიერება გამოსჭვივის, კერძოდ, ქართველი ქალის საზოგადოებრივი (არაიშვიათად პირწმინდად მხედრულიც!) აქტიურობა ისტორიული კატაკლიზმების ჟამს. ჩვენი ისტორიიდან ამ თვალსაზრისით არაერთი ფაქტის მოტანა შეიძლება, მაგრამ მე-18 საუკუნე მაინც ამ მხრივაც გამორჩეული აღმოჩნდა. ამ ეპოქის არა ერთმა ქართველმა ქალმა დაგვამახსოვრა თავი. ის კი არა და ჩვენს მწერლობაშიც შეიქმნა სპეციალური წიგნები. ზემოთაღნიშნულის გარდა, ცნობილია დ.ბაქრაძის „ქართველი ქალები", (1891). ამ ეპოქის გმირი ქალების საინტერესო სახეებს ვხვდებით პ. იოსელიანის წიგნში „ცხოვრება გიორგი მეცამეტისა" (1895), გ. ლეონიძის ნარკვევში „გმირი გლეხის ქალი" (იხ. მისი წიგნი „გამოკვლევები და წერილები", 1958, გვ. 428-430) და სხვ.

პლ. იოსელიანის ცნობით, მე-18 საუკუნის ბუნებით ძლიერ ქალთა შორის გამორჩეული ყოფილა კავთისხეველი აზნაურის ქვლივიძის ქერივი ნინო, „დედაკაცი მწიგნობარი, ძლიერი სიტყვითა და ბრძენი ჭკუით", საუცხოო ცხენოსანი და მეომარი (პლ. იოსელიანი, დასახ. წიგნი, გვ. 8).

უცხოელების, პოლონელი კრუზინსკისა და ინგლისელი ჰანვეის გაოცება გამოუწვევია ქართველ მხედარ ქალს (სახელი არ შემოუნახავთ). რომელსაც ავღანელებთან ომში (1722 წელს) დაღუპული ქმრის სისხლი აუღია ისპაჰანში 1724 წელს. თურმე ქმრის სიკვდილი რომ შეიტყო, სახლში ვეღარ დააკავეს. ორი ობოლი ძმას დაუტოვა, თვითონ ისპაჰანში წავიდა და 1724 წელს, როცა ავღანელი მირ-მაჰმუდი ისპაჰანში ზარ-ზეიმით, დიდი ამალით შედიოდა, კაცურად ჩაცმული, ამხედრებული ამალის მიეჭრა და 20 ავღანელი გამოასალმა წუთისოფელს, თუმცა თავადაც დაიჭრა. როცა დაჭრილ-დასისხლიანებული მიუგვრიათ მირ-მაჰმუდისათვის

და მისი ქალობა გამჟღავნებულა, მეომრისათვის შესაფერისი პატივით შეუმკიათ. ეს ცნობილი ფაქტი დ. ბაქრაძესაც აქვს დადასტურებული. „ქართველი ქალებში" (გვ. 13), მ. ხუბუასაც (იხ. მისი „ქართულ-ირანული ურთიერთობებიდან", ენიმკის მოამბე, V-VI, 1940, გვ. 258) და გ. ლეონიძესაც (იხ. დასახ. ნაშრ. გვ. 247-248).

კიდევ ერთი გმირი ქალის (მჭადივკვარელი ქრისტინე ცქირიაშვილი) მამაცობა არის ცნობილი იონა ხელაშვილისა და გიორგი ლეონიძის წყალობით. ქრისტინეს თავისი მეომრებით გაუოცებია ქართველობა 1755 წელს ნურსალი-ბეგის (იგივე მუცალის) წინააღმდეგ თმ'ში, სოფელ მჭადივკვართან. მას ვკერ თოფით უხოცავს ლეკები, მერე ცხიდან გამოსულს მათი 7 საფარი გადაუწვავს. და ამასთან დაკავშირებით კიდევ ერთი დეტალი – ქალების მხედარ-მეომრებად აღზრდა და ბიჭური სამოსით სიარულიც ერთგვარ ტრადიციად მოჩანს ამ ეპოქაში. ამ ტრადიციის გამოძახილია უთუოდ ერეკლე მეორის ქალიშვილის, თეკლა ბატონიშვილის ამბავიც. ახალგაზრდობაში ვაჟკური ჩაცმულობა და სპორტულ-მეომრული წვრთნა (იხ. ი. უთურაშვილი, „თეკლა ბატონიშვილი", 1991, გვ. 14).

ლევან ბატონიშვილის ციკლი. ერეკლეს ეპოსის ამ გმირების ზეპირსიტყვიერ თავგადასავლებში, რომელთა მიმართაც პრაქტიკოს ფოლკლორისტებს არ გამოუჩენიათ დიდი ტექსტოლოგიური ინტერესი, თვალშისაცემად ფრაგმენტულია (შინააწრსობრივად ბუნდოვანიც) და გაურკვეველი. და ეს იმ ფონზე, რომ ერეკლეს ეპოქაში პოპულარული და მნიშვნელოვანი ფიგურა იყო. ლევან ბატონიშვილი ერეკლე მეორის უმნიშვნელოვანესი სახელმწიფო რეფორმის – რეგულარული ჯარის დაარსებისა და ეფექტური ფუნქციონირების სიმბოლო იყო, როგორც ამ „მორიგე ლაშქრის" მეთაურიც და სულისჩამდგმელიც.

ცნობილია, რომ „მორიგე ლაშქარი" 1773 წელს შეიქმნა. ერეკლემ ამ რეფორმით, ფაქტობრივად, დაშალა ფეოდალური

ლაშქარი და საყოველთაო სამხედრო ბეგარა დააწესა. ყოველი მამაკაცი (საარწმუნოებისა და წოდების განურჩევლად) ვალდებული იყო ერთიანი სამხედრო ბეგარა ეხადა. ჯარში უნდა წასულიყო საკუთარი იარაღით, ტყვია-წამლით, სურსათ-სანოვაგით... თუ გლეხი ღარიბი იყო, ეს ხარჯები მის მებატონეს უნდა გაეღო. ვაჭრებს, მწყემსებს, მებაღეებს, ხაბაზებს, მზარეულებს, მეწისქვილეებს, გუთნისდედებს შეეძლოთ თავიანი მაგიერი გაეგზავნათ მორიგე ჯარში.

ამ ბეგარისაგან თაყის აბრიდება მკაცრად ისჯებოდა.თავადი – 20 თუმნის გადახდით, აზნაური – 10 თუმნისა, მოხელე --ექვსი თუმნით, გლეხი – წკეპლით. ასევე ისჯებოდა მორიგეობაზე დაგვიანებით გამოცხადებაც.

ერეკლე მეორემ ამ რეფორმის წინ მოსახლეობის საყოველთაო აღწერა ჩაატარა და გაირკვა, რომ მორიგე ლაშქარში 24 ათასი კაცის მსახურება შეიძლებოდა. ეს კი ძალიან სერიოზული სამხედრო ძალა იყო იმ დროისათვის, თანაც რეგულარული, რაც კიდევ უფრო ამაღლებდა მის ეფექტურობას.

ცნობილია, რომ სწორედ „მორიგე ჯარის“ და მისი დაუღლელი, მამასავით მუხლჩაუხრელი მეთაურის ლევან ბატონიშვილის უდიდესი ძალისხმევით მოხერხდა აღმოსავლეთ საქართველოს ყველაზე დიდი, მთუხელეთებელი ჭირის – ლეკიანობის აღაგმვა. ეს უცაბედად დაეტყო კიდევაც ქვეყანას, ეკონომიკურად სამეფო ისე და იმდენად მოშძლავრდა, რომ ერეკლეს კიდევ უფრო მნიშვნელოვანი სახელმწიფოებრივი აღმშენებლობის საშუალება მიეცა. „მორიგე ლაშქრის“ იდეის ლევან ბატონიშვილის პიროვნებასთან გაუყოფლობა კი იმაშიც გამოვლინდა, რომ, როგორც ცნობილია, ლევანის უდროთ სიკვდილის შემდეგ „მორიგი ლაშქარიც“ მალევე დაიშალა და ლეკიანობის თაესატეხიც განახლდა.

ლევან ბატონიშვილი ამქვეყნიდან ახალგაზრდა წავიდა. მას ბევრის გაკეთება ვერ დასცალდა, თუმცა მაინც მოას-

წრო დიდი მამის ღირსეული შვილობა და ღიად წარმოაჩინა მამის სახელმწიფოებრივი, პოლიტიკური, ეროვნული ხედვის მემკვიდრეობა. ხალხმა ეს ასევე ამკარად დაინახა, გაიცნობიერა მტერმაც... შედეგი ჩვენთვის – XXI საუკუნის ქართველებისათვის – უკვე ამკარად არის ცნობილი. ლევანის სიკვდილით დაიმარხა ერეკლეს ეპოქის პერსპექტივა, ის პერსპექტივა, რომელიც მამასთან გვერდში დგომისა და ერეკლეს შემდგომ მისი გამეფების შემთხვევაში სრულიად სხვაგვარად წარმართავდა ჩვენი ქვეყნის ისტორიულ სვლა-გეზს და ბედ-იღბალს.

ჩვენი ხალხის ეპიკურმა ცნობისწადილმა, ალღომ ლევანის ცხოვრებაში უმთავრეს მხატვრულ ამბად – ლეკიანობის თემა, „მორიგე ლაშქარი" და მათი საქვეყნო მნიშვნელობა აქცია. ამ დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გააზრებაზე მიმანიშნებელი უნდა იყოს ლევან ბატონიშვილის ლექს-სიმღერებში მისი დაკავშირება „რუსთ ხელმწიფესთან", „ლევანის სტუმრობა მის კარზე", თუ „წუხილი ლევანის გარდაცვალების გამო" და სხვ. ამდენად, სრულიად ბუნებრივია, რომ ლევან ბატონიშვილის ციკლი ერეკლეს ციკლური ეპოსის ერთი ნაწილია, ნაკლებ-გამოკვეთილი, ფრაგმენტული, მაგრამ მაინც ბუნებრივი.

ქართულ ზეპირსიტყვიერებაში ლევან ბატონიშვილისადმი მიძღვნილი ათი ტექსტია გამოვლენილი, ერთი პროზაულია. აქედან ხუთი მეტ-ნაკლებად განსხვავებულია და შინაარსობრივად შეიძლება ძირითად ტექსტებად ჩაითვალოს (განმეორების მეტ-ნაკლები ინტენსიობით გამოვლენებს თუ არ ჩავთვლით), სხვები ამ ტექსტების ამკარა ვარიანტებია. ძირითადი ტექსტების იერის ეპიკური ფრაგმენტებიდან ერთია ლექსი „ბატონიშვილო ლევანთ", რომელიც ამ დროს გავრცელებული ზეპირსიტყვიერი მოტივის-მტრისაგან გატაცებული, ტყვეობაში მყოფი ქართველი ქალის შორიდან მოწვდენილი მოთქმა-გოდებისა, ხვეწნა-მუდარისა, გამოხსნისა და სამშობლოში დაბრუნების თაობაზე (გავიხსენოთ ეს მოტივი თამრო ვაშლოვანელისა და თინა წავკისელის თავგადასავლებშიც!).

მეორეა ლექსი „ლევანი“, რომელიც ქიზიყში ლევან ბატონიშვილის სიკვდილს, რუსთ ხელმწიფის ამ ფაქტის გამო წუხილს, თბილისში ლევანის სიკვდილის ამბისა და დანაბარების (არ მიგლოყოთ, მტერი გამილაღდებაო) მიტანას, ლეკების ამ ფაქტის გამო სიხარულს და ქართველების მუქარის ამბებს მოგვითხრობს.

ასევე ლევანის სიკვდილის თემას (ფაქტის დაუსახელებლად) ეძღვნება პოპარად ნარევი (სხვადასხვა ზეპირსიტყვიერი ტექსტების მთქმელისაგან ნაერთი) ლექსი „ხმალი სჯრის ბაგრატიევისა“, სადაც ლევან ბატონიშვილის საქმისადმი ჩვენი ხალხის დამოკიდებულებაა გაცხადებული. ეს ხალხის ლტოლვა-მისწრაფების, სამშობლო მზერის, მისი იდეალების გამოხატვაა, რაც მოწმობს კიდევაც ლექსის ეპიკურ ბუნებას, იმას, რომ ეპოსის ფრაგმენტია. გამოთქმა ბაგრატიონის ხმალი არ დაჩლუნგებულა, ისევ სჯრის, მამა-შვილის მოღვაწეობის სამშობლოსათვის ბრძოლის იდეის უკვდავების რწმენაა გამოხატული. და თავისთავად ჩვენი ხალხის მოქალაქეობრივი, ეროვნული და სახელმწიფოებრივი ცნობიერების სიმწიფესაც ცხადყოფს.

ამ ლექსშიც ლევან ბატონიშვილის რუსთ ხელმწიფესთან ურთიერთობაა ყურადღების ცენტრში. კერძოდ, მისი სტუმრობა, პატივით მიღება, ლეკიანობის თემის განხილვა. პოპარაა, რომ ჩვენი ხალხის მხატვრულ ცნობიერებაში ამოიზარდა ჩვენი სახელმწიფოებრივი არსებობის ისტორიული მოდელის ერთი საინტერესო დეტალი: ორ სახელმწიფოს შორის ურთიერთობის ურღვევობის გარანტად ჩვენი ტახტის მემკვიდრეთა „სტუმრობა“ მეკავშირეების სამეფო კარზე. ამავე ფონზე გამოკვეთა ხალხმა რუსეთთან იძულებით მოკავშირეობის ძიების უმთავრესი მოტივირება-ლეკიანობის მთვლენა.

ეს თემა ამ ლექსში შინარსობრივადაც უფრო გაშლილია. აქ ლევან ბატონიშვილი რუსთ ხელმწიფემ ხელდამშვენებული

გამოისტუმრა სამშობლოში. ლეკებს კი ამ ამბავმა თავზარი დასცა. რა გვეშველება, ახლა ჩვენზე ილაშქრებს, მის ზარბაზნებს რა გაუძლებსო. ხემოთქმულის დასტურია ისიც, რომ ამ ლექსში ერეკლეც ცოცხალია და ქვეყნის იმედია.

ლევან ბატონიშვილის ზებიოსიტყვიერ ტექსტებში გამოკვეთილ რუს ხელმწიფესთან სტუმრობის მოტივს ისტორიული საფუძველიც მოეპოვება. აქ ასახული უნდა იყოს 1772 წელს ლევან ბატონიშვილისა და ანტონ კათალიკოსის ელჩობა რუსეთის სამეფო კარზე, მფარველობის სათხოვნელად და შესაბამისი ტრაქტატის დასადებად.

ცნობილია, რომ ისინი პეტერბურგში ერთწლიანი მგზავრობის მერე ჩავიდნენ, ეკატერინე მეორეს ერეკლეს საჩუქრები და სათხოვარი გადასცეს. ერეკლე ოთხი ათას ვაჟკაცს თხოულობდა, ხარკსაც ჰპირდებოდა. მეფობა კი საქართველოში არ უნდა გაუქმებულიყო. რუსეთ-თურქეთის ომის გასრულებისა და საზავო ხელშეკრულების მზადების ვითარებაში, როგორც ცნობილია, ეკატერინე მეორემ ერეკლეს წინადადება უარყო. ლევან ბატონიშვილი და ანტონ კათალიკოსი რუსეთიდან შინ 1774 წელს დაბრუნდნენ.

პაატა თემურიშვილი. ერეკლეს ციკლური სტრუქტურის ეპოსში ერთი მნიშვნელოვანი პერსონაჟია პაატა თემურიშვილი. იგი ამ ეპოსის ქრესტომათიული გმირია იმ თვალსაზრისით, რომ მისი ეპიკური თავგადასავალი არა მარტო ერეკლესთან არის დაკავშირებული, არამედ ამ ეპოსის სხვა გმირებთანაც. პაატა თემურიშვილის ლექს-სიმღერები შინაარსობრივად ყველაზე გამოკვეთილად ამთლიანებს და სტრუქტურულად კრავს ამ ეპოსს.

მართალია, მის შესახებ შექმნილი ზებიოსიტყვიერი ტექსტები რაოდენობრივად არ არის ბევრი, სულ ორი ძირითადი ტექსტია („პაატა თემურიშვილი“ და უსათაურო), მაგრამ ინფორმაციულად აღნიშნული თვალსაზრისით გამორჩეულად

საყურადღებო ცნობებს შეიცავს. ასე. მაგალითად, ერთ ლექსში ის არის მოთხრობილი, თუ როგორ გამოთქვამს დიდი თონეთელი პაატა თემურიშვილი ერეკლეს სამსახურში შესვლის სურვილს, როგორ მიდის ერეკლეს კარზე თავისი რაჩმით და დგება მის სამსახურში. მეორე ლექსი კი პატარძლულის ცხირზე ლეკების თავდასხმის და პაატას მიერ მათი მოგერიება-დახოცვისა (მარტომ 60 ლეკი მოკლა) და საარაკო გმირობის ამბავს გვამცნობს. მაგრამ პაატა თემურიშვილი, როგორც უკვე ითქვა, ერეკლეს ციკლის ეპოსის სხვა გმირების თავგადასავლებშიც მონაწილეობს (პერსონაჟია), კერძოდ, თამრო ვაშლოვანელის ლექს-სიმღერებში. ვ. კოტეტიშვილმა გააკრკვია, რომ თამრო ვაშლოვანელი სწორედ პაატა თემურიშვილმა გაათავისუფლა ტყვეობიდან. ერეკლეს დავალებით თათრულად გადაცმული მარტო გადასულა ყარაბაღში და მარტოს გამოუტაცნია ქალი.[1]

ეს ტექსტები (განსაკუთრებით კი პირველი) საყურადღებოა იმითაც, რომ სოციალური პრობლემატიკაც ჩანს (პაატას ბრძოლა მუხრან ბატონთან, საბარათიანოს თავადებთან, მათი სიძულვილი, ერეკლეს მიერ ირანს გაგზავნილი პაატას თავადებისაგან გზაში მუხანათური გაქრობა). ამასვე ცხადყოფს ისიც, რომ თავადების წინააღმდეგ პაატას ბრძოლის ერთი მიზეზი მათი ერეკლესადმი მტრობა და „ძირის გამოთხრაც" იყო.

გელა ნათელაშვილი. ერეკლეს ციკლის ეპოსის გამორჩეული გმირია გელა ნათელაშვილი. იგი თავისი ეპიკური თავგადასავალითაც ერეკლესთან არის დაკავშირებული, წარმომავლობით და გმირული ამბებითაც ამავე ეპიკურ სივრცეს განეკუთვნება (მისი ასპარეზია მანგლისი, დიღომი, ბაზალეთი). ზეპირსიტყვიერება გელა ნათელაშვილის რვა ტექსტს იცნობს: „გელა ნათელაშვილი", „არშას შაიქნა თონთქორი", „გელა ნათელაშვილის მიერ ლეკების შეპყრობა", „გელანას ძაღლები", „გელანას სამართალი", „გელანას სიმდიდრე", „ახლა

[1] ვ. კოტეტიშვილი, ხალხური პოეზია, 1961, გვ. 396.

ქება ჩამოვთვალოთ". რვავე ტექსტს, ბუნებრივია, თავ-თავისი ვარიანტებიც მოეპოვება (იხ. ტექსტოლოგიურ დახასიათებაში).

გელა (გიორგი) ნათელაშვილი დიდი ვაჟკაცობაც ყოფილა და კარგა შეძლებულიც. ზეპირსიტყვიერი ტექსტები, მართალია, ფრაგმენტულად გვამცნობას ამ ეპიკურ გმირს (არ ჩანს მისი მეტნაკლებად ერთიანი ეპიკური თავგადასავალი), მაგრამ იმას კი ცხადყოფს, რომ ეს ბაზალეთელი კაცი მთელი თავისი ცხოვრებით ერეკლესთან ყოფილა დაკავშირებული, მის სამსახურში მდგარა. ამ თვალსაზრისით ზეპირსიტყვიერ ტექსტებში ორი ძირითადი თემაა შემონახული.

ერთია გელა ნათელაშვილის თავგამოდებული ზრუნვა ერეკლეს ლაშქრისადმი (უნდა ვიგულისხმოთ მორიგე ჯარი), სურსათ-სანთვაგით, ფურაჟით მისი მომარაგება და ეს არა ერთხელ, არამედ ძალზე ხშირად. მაგალითად, ვ. კოტეტიშვილმა ზეპირსიტყვიერი მასალის საფუძველზე გაარკვია, რომ გელა ნათელაშვილს ერეკლესა და მისი ლაშქრისათვის ხშირად უმასპინძლია, ჯარის გამოსაკვებად ასევე ხშირად 100-200 ორი მიურთმევია და 200-300 ფუთი ჯაგარიც გადაუცია.[1]

მეორე თემაა ერეკლეს ეპოსისათვის ტრადიციული ლეკიანობა. ზეპირსიტყვიერ ტექსტებში ლეკების წინააღმდეგ გელა ნათელაშვილის ბრძოლების ამბების თხრობაა წარმმართველი. ერეკლეს ეპოსისადმი ამ ტექსტების კუთვნილებას ის ფაქტი ცხადყოფს, რომ გელა ნათელაშვილი ლეკებს ერეკლეს მოწოდებითა და მითითებით ებრძვის. მაგალითად, ერთი ლექსი იმას გვიამბობს, თუ როგორ დაეცნენ ლეკები შუა ქართლს, როგორ შეატყობინა ერეკლემ გელა ნათელაშვილს და დაავალა შებრძოლება. გელა ნათელაშვილი თავისი რაზმით ლეკებს ნატახტართან ჩაუსაფრდა, არაგვის პირზე. ღამით ლეკები მიეპარნენ. გელა რამდენიმე კაცთან ერთად ფხიზლობდა, ცეცხლზე მწვადს წვავდა. ლეკების მისვლა შეიტყო. უკივლა, დაგიჭერთ, ღორის

[1] ვ. კოტეტიშვილი, დასახ. ნაშრ, გვ. 397.

ქონში ამოგთხუპნიოო. ამით გააქცია ლეკები, მერმე გაეკიდა და დაატყვევა. დატყვევებულნი თბილისის გზას გაუყენა. დიღომთან ლეკთა სხვა მოთარეშე რაზმს გადაეყარა, ნადავლითა და ტყვე ქართველებით მომავალი. მათაც შეება და გაჟლიტა. მეორე დღეს ახლა მანგლისს გააგზავნა შეფემ, იქაც საარაკო გმირობა გამოიჩინა, თუმცა თავიც დასდო.

ვ. კოტეტიშვილი გელა ნათელაშვილზე გამოთქმული ერთი ლექსის („ახლა ქება ჩამოვთვალოთ") კომენტარში აღნიშნავს: „ამბობენ, ეს ლექსი ამ ბრძოლების დამსწრემ გამოსთქვაო". ხალხის მეხსიერებას შემოუნახავს ეს გადმოცემა და დღესაც, მეფანდურე რომ დასძახის ამ ლექსს, თან ექსტატიურად მოგითხრობთ ამ გმირის საოცარ თავგადასავალს, და გაგრძნობინებთ იმ შინაურულ სიყვარულს, თუ შეიძლება ასე ითქვას, როგორც უყვართ ეს თავიანთი წრიდან გამოსული „წყლის ბორბალივით" ფიცხი კაცი".[1]

ერეკლეს ეპოში ეს გმირები თავიანთი საარსებო გარემოს ერთგვაროვნობით ამ ეპოსის ეპიკური სივრცის ერთი დიდი ნაწილის არსებობას ავლენენ. ეს საყურადღებო და მნიშვნელოვანი ფაქტია ამ ეპოსის სივრცის განსაზღვრის ასპექტშიც. ერთი შეხედვით, ეს ბუნებრივიც უნდა იყოს, რადგან თუ მითითებული პერსონაჟები თავიანთი ეპიკური თავგადასავლებით ამ ეპოსის სტრუქტურულ ერთეულებს წარმოადგენენ, ერეკლეს საარსებო გარემოში (მისი ეპიკური თავგადასავლის სივრცეში) თავისთავად უნდა შედიოდნენ. მაგრამ ეს რომ ყოველთვის ასე არ არის (და ამდენად ეპიკურ კანონზომიერებასაც რომ არ ავლენს), სხვა მხრივაც ობკვევა. მაგალითად, ერეკლეს ეპიკური თავგადასავლის ერთი დიდი ეპიზოდია (კერძო ამბავია) ერეკლეს ბრძოლა სამცხე-ჯავახეთისათვის (აწყურისა და ასპინძის ბრძოლები). აქ ამ ბრძოლების ამსახველი უამრავი ზეპირსიტყვიერი ტექსტი შეიქმნა, რაც

[1] ვ. კოტეტიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 397.

ზეპირსიტყვიერი ტრადიციის ინტენსიობასა და ეპიკური ალღოს, გინდაც ძლიერი მხატვრული ცნობისწადილის, მუხტის არსებობას ცხადყოფს. ამ ბრძოლებში ადგილობრივი ქართველებიც მონაწილეობდნენ და სხვებს არც ვაჟკაცობით თუ გულოვანობით ჩამოუვარდებოდნენ, მაგრამ პოეტურმა ფოლკლორმა არ შემოგვინახა ისეთი გმირი, რომელსაც თუნდაც ერეკლესთან კავშირის ასპექტში ექნებოდა თავისი, კონკრეტული ეპიკური თავგადასავალი. რას უნდა ნიშნავდეს ეს ფაქტი, ეპიკური მხატვრული ცნობიერების სისუსტეს ან არარსებობას? არა, რადგან ამ კუთხეში მოპოვებული ზეპირსიტყვიერი ტექსტები საწინააღმდეგოს წარმოაჩენს, ზეპირსიტყვიერი ტრადიციის ნაყოფიერ სიძლიერეს. მიზეზი კი შემდეგში უნდა იყოს – აწყურის, აბინძის ბრძოლები ერთი კონკრეტული ეპიზოდი იყო ერეკლეს ბრძოლისა ქვეყნის გასამთლიანებლად. ასეთი ბრძოლები კი საკმაოზე მეტიც კი ჰქონდა ერეკლეს (200-მდე). ისტორიული რეალობის გამო, ერეკლეს სახელმწიფოებრივი მოღვაწეობის სხვა ფაქტები ამ კუთხისაგან შორს ხდებოდა და ხშირ შემთხვევაში იქამდე ყურმოკვრით და გადმოცემით აღწევდა. ჩანს, ამ ფაქტების ხალხის ეროვნულ აღტკინებაზე ზეგავლენის ხარისხიც სუსტი იყო, არასაკმარისი საკუთარი ყოფის, ისტორიის ეპიკური განცდა-გააზრებისათვის. ესეც ერთი დასტურია (თუმცა არც თუ მაინცდამაინც პირდაპირი) იმისა, რომ სხვაგან (მათ შორის თბილისის შემოგარენშიც) ეს განცდა ძლიერი იყო. და იქცა კიდევაც საფუძვლად საკუთარი არსებობის ეპიკური ისტორიის შექმნისათვის (ეპოსის შექმნისათვის). და ამ ეპოსში ეს მხარე არ არის ერთადერთი.

ერეკლეს ეპოსის ეპიკური სივრცის კიდევ ერთი დიდი ნაწილია ერეკლეს ფიზიკურ და სულიერ არსებობასთან განუყოფელი თუშეთი და ფშავ-ხევსურეთი, ერეკლეს ბავშვობისა და ყრმობის სავანე, მისი პიროვნული ცნობიერების განმსაზღვრელი გარემო,

ისტორიულად მძაფრი ერთვნულობის მუხტით გაჯერებული, შეუპოვრობასა და პიროვნულ გაუტეხლობაზე დაფუძნებული სივრცე; გარემო, რომლის პიროვნულობის, ზნეობრიობის ფასეულობებით არის განსაზღვრული ერეკლეს დიდი პიროვნება და მისი პიროვნული სიდიადე.

აღნიშნული სულითხორცეული განუყოფლობის გამოვლენაა ისიც, რომ თუშური და ფშავ-ხევსურული ზეპირსიტყვიერება XVIII-XIX საუკუნეებში ერეკლეს პიროვნებითა და მისი ამბების მოთხრობით არის გაჯერებული. აქ ერეკლეა თავად საქართველო და არაფერია გარეშე ირაკლისა. მთელი საგმირთ-საისტორიო სიტყვიერებასაც ერეკლეს პიროვნებას დასტრიალებს, ყველაფერი მისი სახელით ხდება, მას უკავშირდება, გარდა არც ისე დიდი რაოდენობის კონკრეტული ისტორიული სიმღერებისა. უამრავი სახალხო გმირის ხსოვნაა აღბეჭდილი აქაურ ზეპირსიტყვიერებაში და ყველა რაღაცით ერეკლეს სახელს უკავშირდება. ზოგი სწორედ იმით შემორჩენია ხალხის პოეტურ ხსოვნას, რომ ერეკლეს მხარდამხარ ერთხელ მაინც უბრძოლია. ზოგს უყვრთ ღრმა კვალი დაუტოვებია ზეპირსიტყვიერებაში; დაუტოვებია იმით, რომ ერეკლესათვის ან ერეკლეს სახელით უერეკლოდაც ბევრი უბრძოლია ქვეყნის კეთილდღეობისათვის, ერეკლეს სამსახურში ჩამდგარა, მის სამსახურში მყოფს უმოვნია სახელი და ამიტომაც მისი ეპიკური თაყვადასაეალი მთლიანად თუ არა, ეპიზოდურად მაინც დარჩენილა ხალხის ხსოვნაში. ასეთ გმირებს განეკუთვნებიან გიორგი თილისძე, ძაღლიკა ხამიკაური, აღუდაურ გაბური.

გიორგი თილისძე. თავისი ეპიკური ამბებით ამ სივრცის ყველაზე გამორჩეული გმირია გიორგი თილისძე, გაორებული და წინააღმდეგობრივი პერსონაჟი; გაორებული თავისი ბუნებით და საგმირო (კაი ყმობის) კოდექსის მიმდევრობით (რომელიც სხვა თემებისადმი დაუნდობლობის, უდიერობის ზნეობრივ სანქციასაც იძლევა) თუ ერეკლესადმი ერთგულებისათვის

სხვადასხვაგვარად (სხვადასხვა რაკურსით) დანახულ-შეფასებული და მტერობით „გათვალწუნილი".

გიორგი თილისძეზე ათაბაგზე ლექს-სიმღერა შეუქმნია ხალხს. თითოეულს თავისი ვარიანტებიც მოეპოვება. ეს ათი ძირითად ტექსტებად ქს. სიხარულიძემ გამოარჩია. ძირითადად სწორად, თუმცა ამ ათიდან ერთი ლექსი – „ყარაულის შიბუჭს ჭალაში" შეცდომით მიეწერა თილისძეს. იგი ალუდაურ გაბურის ლექს-სიმღერებს უნდა მიეკუთვნოს. რადგან მასზეა შექმნილი. ეს თავად ქს. სიხარულიძემაც აღიარა.[1] სხვა ზეპირსიტყვიერი ტექსტებია: „გორგი", „ნეტარ არ გამახყიდდესა", „თუშები ლეკების წინააღმდეგ", „ლაშარს მოვიდა თილისძე", „თუშეთით კაცი მოვიდა", „თილისძემ უთხრა მამასა", „გორგის ნუ მაჰკლავთ", ერთი ბატარა ლექსი „თილისძეს ლოპოტაშია".

ამ ლექსების მიხედვით გიორგი თილისძე ერეკლეს სამსახურში მყოფი გმირია, გამორჩენილი ვაჟკაცი და ლეკების სულთამხუთავი. ერთ ლექსში („თუშები ლეკების წინააღმდეგ") ლეკებზე ლაშქრობაში თილისძე ერეკლეს ახლავს. თუშები ერეკლეს მეთაურობით ლაშქრობენ. ნისლში გზააბნეულმა ერეკლემ თუშებს შეუძახა „გზა ვერ გავიგე ტიალი, აღარვინ ხართა ხმალიანი?". მის ეპიკურ თავგადასავალში ორი ეიმა გამოიყოფა. ერთია ლეკებთან ბრძოლა, მეორე – ფშაველების რბევა.

პირველი თემის მიხედვით თუშეთის ერთგული დარაჯი და დამცველია, ქვრივ-ობოლთა ქომაგი და გაჭირვების (მან თემისაგან მოკვეთილი ქალიც კი იხსნა მძიმე სასჯელისაგან), მტერთაგან ძლეულ თანამოძმეთა მხსნელი. მაგრამ ხმლით იმდენი ულიტა ლეკები, რომ „ლეკების სულთამხუთავიც" კი დააარქვეს (თ. რაზიკაშვილი).

მეორე თემის ლექსებში გიორგი თილისძე ფშავთა მოშუღარია. ხალხის მეხსიერებას უფრთ ვრცლად ეს მეორე თემა შემორჩენია, რომლის თანახმადაც გიორგი ფშაურ სოფლებს

[1] იხ. მისი საისტორიო სიტყვიერების მეორე ტომი, გვ. 339.

არბეცდა, ცხვრის ფარებს იტაცებდა. ცაბაურთაზე თავდასხმის დროს ძმა დაჰღუპვია, მერე ხოშარას დასცემია, მაგრამ ძლეულა. მარცხნაჭამი ლაშარის ველარში მისულა შესაწირავით. ამ თემაზე შექმნილ ლექსებში იმაზეც არის ლაპარაკი, როგორ შეხვდნენ ოვდახის წეცრება სახლში უსახელოდ დაბრუნებულს, იმაზეც, როგორ შეიცხადეს თუშმა ქალებმა ქმრების დაკარგვა და ა. შ.

აი, ასე გაორებულია გორგი თიღისძის ეპიკური პიროვნება. შეუძლებელი იყო ამ ფაქტს გულგრილად დაეტოვებინა საისტორიო სიტყვიერების მკვლევარნი. ქს. სიხარულიძემ ისტორიული სკოლის კვლევაძიებით ტრადიციათა ფარგლებში შეისწავლა გიორგი თიღისძის ლექს-სიმღერები და გაარკვია, რომ მისი მხატვრული სახის ასეთი გაორების მიზეზი ერეკლესთან გამორჩეული სიახლოვე უნდა ყოფილიყო. ამას მაფიქსირებინებს ქს. სიხარულიძის შემდეგი დასკვნა – „გორგი თიღისძე შინაური შეღლის ცენტრში ერეკლე მეორის გარდაცვალების შემდეგ მოხვედრილა".[1] მან ისიც დააგინა, რომ ზოგიერთ ხალხურ ლექსში (მაგალითად, „რა ამბავია შატილსა", ან „გორგის ნუ მახკლაყთ, ქისტებო") მოხსენიებული გორგი სულ სხვა გმირია (გიორგი უთურგაულა) და არა თიღისძე. მაგრამ ამას მოკლემული შემთხვევაში არსებითი მნიშვნელობა არა აქვს. მნიშვნელოვანი ის არის, რომ გიორგი თიღისძე „ლეკების სულთამხუთავია" და ერეკლეს სამსახურში მყოფი ეპიკური გმირია. ამიტომ მის თავგადასავალს ერეკლეს ციკლის ეპოსში ეძებნება ადგილი, ამ ციკლური ეპოსის ნაწილია.

ალუდაურ გაბური. ერეკლეს ეპოსში მოიაზრება კიდევ ერთი პოპულარული გმირი ალუდაურ გაბური. მის შესახებ არც ისე ბევრი ზეპირსიტყვიერი ტექსტი მოგვეპოვება. ძირითად ტექსტებად სულ ორიოდეს გააზრება შეიძლება („ყარაული

[1] ქს. სიხარულიძე, ქართული ხალხური სგმირთ პოეზიის საკითხები, I ,1970, გვ. 93. თიღისძის ფშაველებთან შეღლის ამბებზე, როგორც ცნობილია. ვაჟა-ფშაველამაც გაამახვილა ყურადღება თავის ეთნოგრაფიულ წერილებში „ლაშარობა" და „ღაშარის ველარის დღეობა ანუ ლაშარობა".

შაბუს ჭალაში" და „წინა ალუდაურ გაბური"). ამ ლექსებში არც მისი მეტ-ნაკლებად სრული ეპიკური თავგადასავალია მოთხრობილი. სულ ორიოდე ფრაგმენტია შემორჩენილი, ხოლო მათში თხრობა იმდაგვარია, რომ აშკარად მიუთითებს სხვა ფრაგმენტების იმ დროის ზეპირსიტყვიერ ცოცხალ ტრადიციაში არსებობაზე.

ამ ლექსების მიხედვით, იგი ერეკლეს სამსახურში მყოფი სახელოვანი ვაჟკაცია, შიბუს ჭალაში დგას და დარაჯობს თავის სოფელ-ქვეყანას. აქ ერეკლეს დაყენებული ჩანს. დრო და დრო კი ერეკლეს კარზე ჩადის (ალბათ ერთგვარი ანგარიშის ჩასაბარებლად) და ძღვნად თავისი ნანადირევი ვეფხის ტყავები მიაქვს. ალუდაური (აქ სახელია) დღისით ნადირობდა, ღამით კი ყარაულად იდგა. ვეფხის ტყავების ერეკლესათვის მირთმევის თემა ალუდაურ გაბურის ყველა ლექსშია გამოკვეთილი. ერთგან მელექსე ამბობს: „ვეფხს მაჰკლავს, ტყავსა ჩაუტანს, ჩავას ერეკლეს კარზედა", მეორეგან მსმენელს გაახსენებს: „ტყავი ვეფხისა ერეკლეს ვინ ჩაუტანე კარზედათ".

ვრცლად ალუდაურ გაბურის თავგადასავალი ბესარიონ გაბურს სცოდნია და აკ. შანიძის თხოვნით დაუწერია.

ალუდაურ გაბური ამ ნაწერის მიხედვითაც ყარაულად ყოფილა შიბუს ჭალაში. ერეკლეს დაუნიშნავს. დღისით ნადირობდა, ღამით ყარაულობდა, ნანადირევი ტყავები ერეკლესთან სასახლეში ჩაუქონდა.

ალუდაურს ერთი ძმა ჰყოლია – იონა. ერთ ქისტს – ხამფიას იონას ღალატით მოკვლა გადაუწყვეტია, ხაფანგი დაუგია, მაგრამ იონა გადარჩენილა. და ეს ამბავი ძმისთვის უამბნია. ქისტი მიმხვდარა, რომ ძმები არ შეარჩენდნენ და დაუსწრია, თვითონ მისულა ჭიმღას. სახვეწარით. ძმები ამ დროს ბანზე მსხდარან. იონას ქისტისათვის თოფის სროლა დაუპირებია. ალუდაურს არ დაუნებებია, „შინ შამახვეწილ მტერიაო", უნდა დავინდოთო და შეურიგებია.

ეს ფაქტი, რასაკვირველია, ვაჟკაცობის, რაინდობის შთამბეჭდავი მაგალითია, მაგრამ ისიც სრულიად ცხადია, რომ მარტო ამით ვერ მოიხვეჭდა ალუდაური გაბურია იმ სახელს, რაც მის ლექს-სიმღერებში გამოსჭვივის, ვერ დაიმსახურებდა ვერც ერეკლეს ყურადღებას და ნდობას. აშკარაა, რომ ხალხში მისი სხვა ამბებიც უნდა ყოფილიყო ცნობილი. იმ მელექსეებმა კი, ვისაც ფოლკლორისტები შეხვდნენ, მხოლოდ აღნიშნული ფრაგმენტები იცოდნენ (ან ახსოვდათ). ეს ლექსები რომ უფრო დიდი ამბის (ეპიკური თავგადასავლის) ფრაგმენტებია, მათი სტრუქტურაც ცხადყოფს. თხრობა გმირის გაცხობის გარეშე იწყება და არც დასასრული აქვს. მთავარი კი მისი ერეკლესთან კავშირია, რაც ერეკლეს ციკლური ეპოსისადმი მიკუთვნების საფუძველია.

დილოიძე და ძაღლიკა ხიმიკაური. აშკარად ერეკლეს ეპოსის ბერსონაჟები არიან. დილოიძეზე შექმნილ ხალხურ ლექსთაგან ჩვენს დრომდე ერთმა მოაღწია („დილოიძე"). ეს საკმაოდ ვრცელი ლექსია და თუშების ჭარბა-ბელაქანში ლეკებზე ლაშქრობას გვიამბობს. დილოიძე თუშების წინამძოლია. თუშები გზაში ჩაუსაფრდნენ ლეკებს, რომლებიც კახეთიდან დიდი ნადავლით, მათ შორის ტყვე ქართველებით, ბრუნდებოდნენ. თუშებმა დახოცეს ლეკები (33 მარჯვენა მოსჭრეს), დავლაც იგდეს ხელთ, ტყვეები დაიხსნეს, კახეთს გაუგზავნეს, მერე ერეკლესთან მივიდნენ სასახლეში და სასიხარულო ამბავი ამცნეს.

მოცემულ შემთხვევაში აქ ანგარიშგასაწევია დილოიძის კავშირი ერეკლესთან, მის კარზე გამოცხადება, რაც მის სამსახურში ყოფნას მოწმობს. ლექსის ფინალის გარდა, ერეკლეს სახე ლეკებთან შეტაკების წინა ეპიზოდშიც ჩანს. თუშებმა ლეკებს რომ ალყა შემოარტყეს, დილოიძემ დასჭექა: „დაჰკარით, თუშის შვილებო, სახელ ვის გინდათ მტერზედა. მიუხდეთ მეფე ერეკლეს სახელოვანნი მტერზედა".

შესაძლოა, დილოიძის ეს სიტყვები ბრძოლის ზოგად მო-

ტივაციადაც მივიღოთ, მაგრამ ალბათ გაჭირდება, რადგან თქმა „მიუხდეთ მეფე ერეკლეს სახელოვანნი მტერზედა“, უკვე თავისთავად ნიშნავს მეფე ერეკლესთან მისვლის აუცილებლობას და დილოიძის სურვილიც ამას ცხადყოფს – სახელიანები მივიდეთო. საბედნიეროდ, ამ აზრის სისწორის სამტკიცებლად ქართულ ზეპირსიტყვიერებას სხვა, უფრო უტყუარი ტექსტები შემოუნახავს.

მართალია, დილოიძეზე ერთი ლექსია ჩვენთვის ცნობილი, მაგრამ ეს გმირი სხვა კაი ყმაზე შექმნილ ზეპირსიტყვიერ ტექსტებშიც ჩანს. უფრო სწორედ, პერსონაჟია. ესაა გადმოცემები ძაღლიკა ხიმიკაურზე, რომელიც ასევე ერეკლეს ეპოსის გმირია, ერეკლეს ასპინძის ომშიც ახლდა და სხვა ბრძოლებშიც, საარაკო გმირობაც გამოიჩინა და უცნაური, პირდაპირ ვაჟდოსნური ხმლიოთაც (კაცი მკლავზე გადაიხვევდა, გაუშვებდა და ხმალი ისევ ბზრიალით გაიშლებოდა). ხმალს (და საერთოდ გმირის იარაღს), როგორც ცნობილია, ხალხურ ეპოსში თავისი შინაარსთბრივ-აზრობრივი დატვირთვა აქვს. თუმცა აქ ეს არ არის მთავარი. ძაღლიკა ხიმიკაურის ხმალი გახდა მიზეზი მის ებიკურ თავგადასავალში დილოიძის, როგორც პერსონაჟის, გამოჩენისა.

ერთი გადმოცემის მიხედვით („ძაღლიკა ხიმიკაურის ხმალი“) დილოიძე ერეკლეს ახლდა ლეკ-ოსმალთა[1] წინააღმდეგ ომში. ამ ომში იბრძოდა ძაღლიკა ხიმიკაურიც და დილოიძემ თავისი

[1] აქ ასპინძის ომი უნდა იგულისხმებოდეს, რადგან ქართველთა ვაჟების უკან დაბრუნების გზა წალკაზე გადის და მეორეც ძაღლიკას ხმლის ამბავზე შექმნილი სხვა ხალხურ ლექსში ასპინძა კონკრეტულად არის ნახსენები. ეს ტექსტია „ძაღლიკა ხიმიკაური“, რომლის შესახებ წერილი ვაჟა-ფშაველამაც გამოაქვეყნა („ორი ამბავი მეფე ერეკლეზე მთაში დარჩენილი“, „ივერია“, 1902, №196). ვაჟას ცნობით, ძაღლიკა ხიმიკაურს ასპინძის ომში ძალიან უშველია. ამის გამო ერეკლეს ეჭი სიგელითა და მამულით დაუჯილდოებია. ამ ომში ერეკლეს ძაღლიკა ხიმიკაურის ხმალი მოსწონებია. ძაღლიკას დაუთმია მეფისათვის ხმალი, მაგრამ მაინც გამწყრალა და ამის მერე, რაკა ერეკლე ლაშქარს უხმობდა, ძაღლიკა აღარ ცხადდებოდა შეყრასთან.

თვალით ნახა მისი სასწაული ხმალი. ომში დილოიძემ საარაკო გმირობა გამოიჩინა. უკან რომ გამობრუნდა, ერეკლემ წალკის ხეობაში შეისვენა. მან დილოიძე იხმო და საარაკო გმირობისათვის ძღვნად წალკის ხეობა უბოძა. დილოიძემ იუარა, მეფეს საჩუქრად ძაღლიკას ხმალი სთხოვა. მეფემ ძაღლიკას ხმალი გამოსთხოვა, სამაგიეროდ მოოქროვილი თოფი აჩუქა, ამით დილოიძე კი დიდად გაახარა, მაგრამ ხამიკაური ნაწყენი დარჩა. ამ ნაწყენობამ კი დიდხანს გასტანა. საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ ერეკლეს სამსახურზედაც კი აიღო ხელი, ლაშქარში აღარ ცხადდებოდა.

ერთხელაც, როცა ისევ ომი გამოუხდა ერეკლეს და ძაღლიკასაც უხმეს, ქალებმა ლაშქრად ძალით გააგდეს. ძაღლიკა მეფესთან ხის ხმლით გამოცხადდა. მეფე მიზეზს მიუხვდა და ხამიკაურს სამეფო ხმალი უბოძა[1] – გვიამბობს თქმულება. სამწუხაროდ, ამ ამბის ლექსითი ქმნილება არ მოგვეპოვება, მხოლოდ პროზით შემოგვრჩა. არადა ბრწყინვალე ეპიზოდი იქნებოდა სამიეე გმირის ეპიკურ თაეგადასავალში. თუმცა ამ ზეპირსიტყვიერი ტექსტების არსებობამ მაინც გააკეთა თავისი საქმე. ერთი მხრივ, ერეკლეს ციკლის ეპოსის არსებობა ცხადყო, მეორე მხრივ, ისიც წარმოაჩინა, თუ რა დიდი და ღრმა საფუძველი ჰქონდა ამ ციკლური სტრუქტურის ეპოსს XIX საუკუნის ზეპირსიტყვიერ ტრადიციაში. კონკრეტულად კი ისიც

[1] ცნობილია, რომ ხიმიკაურის შთამომავლებს – ლიქოკელებს არ დაეწყებიათ ეს ხმალი. 1920-იან წლებში ერთი ლიქოკელი ზემო ალვანში დაეძებდა იმ ხმალს. უჩვენებიათ კიდეც ის ხმალი, ჟანგისაგან შეჭმული. ქარქაშგაქცეული, სამკაულებშემოძარცული. ხევსურს არ დაუკლერებია, ეს ის ხმალი არ ყოფილა და უკან ხელცარიელი გაბრუნებულა. ხიმიკაურის ხმალი ზემო ალვანში 1937 წელს დილოიძეთა შთამომავალთაგან შეუძენია თელავის მუზეუმის დირექტორს ა. მამულაშვილს. მასვე ახმეტაში ერთი ხევსურისაგან შეუძენია ერეკლეს მიერ ძაღლიკასათვის ნაჩუქარი თოფი და თელავის მუზეუმში ექსპონატებს შორის მიუჩენია ადგილი. ამის თაობაზე დაწვრილებით იხილეთ ქს. სიხარულიძე, ქართული ხალხური საისტორიო სიტყვიერება, წიგნი II, 1964, გვ. 321.

დაგვიდასტურა, რომ დილოიძეც და ძაღლიკაც ხიმიკაურიც ამ ციკლურსტრუქტურიანი ეპოსის გმირები არიან, გვიდასტურებს იმითაც, რომ ისინი ერთმანეთს იცნობენ, ურთიერთობენ, რაც ასევე დამახასიათებელია ასეთი სტრუქტურის შქონე ხალხური ეპოსისათვის.

ერეკლეს ციკლის ეპოსს თემატურად (ლეკების წინააღმდეგ ბრძოლა) უკავშირდება ხალხური საისტორიო სიტყვიერების კიდევ ერთი პერსონაჟი ტურა ქაიხოსრო (ქაიხოსრო ვაჩნაძე)[1]. იგი ერეკლეს მითითებით ებრძოდა ლეკებს და თავიც ისახელა. ეს კაი ყმობა სრულიად გააქარწყლა თვისტომთა დარბევამ საკუთარი ცოლის დედაკაცური ამპარტავნობის გამო. კერძოდ, გლეხ მარტიაშვილის დაყმევების მიზნით, ალაზანს გალმა ქართული სოფლის აწიოკებამ დაქირავებული ლეკების რაზმის დახმარებით. ამის გამო ეს პერსონაჟი წყევლა-კრულვით შემორჩა ჩვენს ზეპირსიტყვიერებას და არა სიმამაცითა და გმირობით.

ერეკლე მეორის სახელს. მის სახელმწიფოებრივ მოღვაწეობას გარკვეულად ჩვენმა ხალხურმა სიტყვიერებამ მისი ეპოქის სხვა ადამიანებიც დაუკავშირა. მაგალითად, იონეურ თეთრაული და სხვანი. ამ ადამიანების შესახებ თითო ან თითო-ოროლა ზეპირსიტყვიერი ნაწარმოები შეუქმნია ხალხს, არც ვარიანტები მოეპოვებათ. ამის გამო, მიუხედავად იმისა, რომ ქს. სიხარულიძეს თავისი „ქართული ხალხური საისტორიო სიტყვიერების" მეორე ტომში მათ შესახებ შექმნილი ზეპირსიტყვიერი ტექსტების ერეკლე მეორის თანამედროვეთა განყოფილებაში ცალკე ციკლებად წარმოადგინა, ერეკლეს ციკლურ ეპოსში

[1] მის შესახებ შექმნილი ზეპირსიტყვიერი ტექსტებიდან მხოლოდ ერთია ცნობილი („ტურა ქაიხოსრო"), ისიც პროზაული. ტექსტის ჩანაწერიც აქ გამოირჩევა ფოლკლორისტული დონით, ფრედაქტირებულია, არც ვარიანტები მოუპოვება. თავიდან დაიბეჭდა „დროებაში" (1885. №35) ს. მერკვილაძის ხელმოწერით. შემდეგ ქს. სიხარულიძემ გადაბეჭდა თავის საისტორიო სიტყვიერების მეორე ტომში (გვ. 132-133; 345).

მათ ადგილი ვერ ეძებნება. მათი მნიშვნელობა მხოლოდ ამ ციკლურსტრუქტურიანი ეპოსის ძლიერი ფონის არსებობას და მის სიმყარეს ადასტურებს.

ზემოაღნიშნული ცხადყოფს, რომ ჩვენი ხალხის მხატვრულმა ალღომ, ეპიკურმა ტრადიციამ XVIII-XIX საუკუნეებში რთული სტრუქტურის ე. წ. ციკლური სტრუქტურის მქონე საგმირო-საისტორიო ეპოსის შექმნა და ცენტრალურ პერსონაჟად მოიაზრა ეპოქის უდიდესი პიროვნება და ქვეყნის ხელისუფალი, სახალხო მეფე ერეკლე მეორე. ამასთან, ფოლკლორისტიკაში ცნობილი ასეთი ციკლურსტრუქტურიანი ხალხური ეპოსისაგან განსხვავებით, ე. წ. ტრადიციული ეპოსის პრინციპებით თავად ერეკლე მეორის ეპიკური თაყვანდასავალიც შექმნა, რომელიც ამ ციკლური ეპოსის ორგანული ნაწილის შთაბეჭდილებას უცილობლად ტოვებს.

თუ ამ ყველაფერს გავითვალისწინებთ, ერეკლეს ეპოსის სტრუქტურა ასე უნდა წარმოვიდგინოთ:

სქემაში 1 აღნიშნავს ერეკლეს ეპიკური თაყვანდასავლის უპირველეს ეპიზოდს – „პროლოგს";

2. „ამბავი ერეკლეს დაბადებისა";

3. „ერეკლეს გოლიათური ზრდა";

4. „ამბავი ერეკლეს ბრძოლისა უსუფ ფაშასა და გივი ამილახვართან";

5. „ამბავი ერეკლეს ლაშქრობისა ოსეთში";

6. „ამბავი ერეკლეს ბრძოლისა აბდულა ბეგთან";

7. „ამბავი ერეკლეს ბრძოლისა პაკი ჩალაბთან";

8. „ამბავი ერეკლეს ბრძოლისა აზატ-ხანთან";


9. „ამბავი ერეკლესადმი ღალატისა";

10. „ამბავი ერეკლეს ბრძოლისა სამცხე-ჯავახეთისათვის";

11. „ამბავი აღა-მახმად-ხანის შემოსევისა და თბილისის დაცემისა";

12. „ამბავი რკინის კარის შეხსნისა";

13. ეპილოგი.



ხალხ-ურ ეპოსში, როგორც თხრობით ტექსტში ასეთი რთული სტრ-ქტ-რის არსებობა. როგორც ეპოსის თეორიის ისტორიაში დავინახეთ, სტრ-ქტ-რალისტ-რი ლიტერატ-რათმცოდნეობითი კონცეფციითაც დასტ-რდება, განსაკ-თრებით თხრობითი ტექსტის სტრ-ქტ-რ-ლი მოდელის აგების (მოდელირების) რ. ბარტისე-ლი პრინციპით.

რ. ბარტისე-ლი მოდელირებით ერეკლეს ციკლის ეპოსში პირველ (ფ-ნქციათა) დონეს კონკრეტ-ლი გმირების (პერსონაჟების) თავგადასავლების კერძო ამბები ქმნიან. ეს კერძო ამბები კი ამ ეპოსის ერთეულებია. კონკრეტ-ლი გმირების თავგადასავლებში გაერთიანებით ისინი მეორე დონეს, ანუ ერთეულთა კლასებს ქმნიან. ანუ ეს თავგადასავლები ერეკლეს ეპოსში ერთმანეთთან ინტეგრალ-რად დაკავშირებ-ლი ერთეულთა კლასებია.

საბოლოოდ ეს კერძო თავგადასავლები, როგორც ერთეულთა კლასები, ასევე ინტეგრაციის პრინციპით კიდევ უფრო ზედა დონეზე ერეკლეს ეპოსის მთლიან სტრუქტურას ქმნიან (ანუ მთლიან შინაარსს ავლენენ), სადაც ყველაფერი უკვე ამბის თხრობის ქრონოლოგიასა და ლოგიკას ემყარება.

ცხადია, რომ ერეკლეს ეპოსის არსებობა, ერთი მხრივ, ვ. პროპისეული კვლევაძიებითი პრინციპებით დასტურდება, მეორე მხრივ – რ. ბარტის კონცეფციით.

ეს ეპოსი თავისი შინაარსით საგმირო-საისტორიოა და მისი არსებობა (და არსებობის კანონიერება) ამ სტრუქტურითაც მტკიცდება, რადგან XVIII საუკუნეში (რომელსაც განეკუთვნება ეს ეპოსი) საგმირო ეპოსი საერთოდ ასეთია, რთულ (ციკლურ) სტრუქტურაზე დამყარებული.

თავი III

ერეკლეს ზეპირსიტყვიერი თავგადასავლის ეპიკური სტრუქტურა

ერეკლე მეორის შესახებ შექმნილი ზეპირსიტყვიერი ტექსტების ბუნება, შინაარსი, როგორც დავინახეთ, არა მარტო ერეკლეს ეპოსის არსებობას ცხადყოფს, არამედ იმასაც ადასტურებს, რომ საკუთრივ ერეკლეს თავგადასავლის ვარიანტიც შეუქმნია ჩვენს ხალხს. ამ თავგადასაეალში სრულიად აშკარად ჩანს ტრადიციული ხალხური ეპოსისათვის დამახასიათებელი სიუჟეტური ერთეულები – ეპიზოდები. მათგან, ცხადია, ზოგი მხატვრულად ბოლომდე გააზრებულ-გასრულებულია, ზოგი ნაკლებად არის „დამუშავებული". ზოგისაც მხოლოდ კონტური თუ ილანდება ხალხური ეპიური მხატვრული აზროვნების ძალუმი მავკისკენის წყალობით. ცხადია ისიც, რომ ეპიზოდების მხატვრული სრულქმნილობის თუნდაც ასეთი არათანაბრობის პირობებშიც საკმაოთ საფუძველი რჩება თავად ეპიკური თავგადასავლის არსებობის მტკიცებისათვის, რადგან ციკლური ყაიდის ეპოსისათვის სულაც არ არის აუცილებელი, რომ ცენტრალურ გმირს თავისი თაეგგადასაეალი ჰქონდეს. მაგალითად, ვ. პროპის მიერ გამოვლენილი ვლადიმირის (კიევის) ციკლის რუსული ხალხური ეპოსის გმირს კიევის მთავარს – ვლადიმირს ასეთი თავგადასაეალი საერთოდ არა აქვს. იგი აბსოლუტურად უკანა პლანზე იმყოფება, ზის კიევში. მას რუსული ეპოსის გმირები – ილია მურომელი, ალიოშა პოპოვიჩი, დობრიანია ნიკიტიჩი და სხვები ემსახურებიან, მისი დავალებით ანდა სულაც მისი სახელით გმირობენ და სწორედ თავიანთი თავგადასავლებით ქმნიან ვლადიმირის ციკლის ეპოსის შინაარსს. ისიც კარგად არის ცნობილი, რომ ამ თვალსაზრისით ვლადიმირის (კიევის) ციკლის ეპოსი გამონაკლისი

არ არის. ანალოგიური სტრუქტურის ხალხური ეპიკური ძეგლები მსოფლიოს არაერთი ხალხის ზეპირსიტყვიერებაშია გამოვლენილი.[1]

ერეკლეს ეპოსი კი მსგავსი სტრუქტურის ეპიკური ძეგლებისაგან სწორედ იმით განსხვავდება, რომ ცენტრალურ გმირს საკუთარი ზეპირსიტყვიერი თავგადასავალიც მოეპოვება. ამ თავგადასავალში ბუნებრივად ერთიანდებიან მისი ეპიკური ციკლის „შემქმნელი" გმირები თავიანთი თავგადასავლებით.

ეს ფაქტი კი ადასტურებს, რომ ციკლურსტრუქტურიანი ეპოსის ცენტრალური პერსონაჟისაგან განსხვავებით, ერეკლე ბოლომდე არ გადაქცეულა პასიურ პერსონაჟად. ერეკლეს ციკლური ეპოსის ასეთი სტრუქტურის საფუძველი, რასაკვირველია, თავად ერეკლეს ისტორიული პიროვნებაა. მისი აქტიური როლი ეპოქის სახელმწიფოებრივ, პოლიტიკურ, ყოფით მოვლენებსა და კატაკლიზმებში და ამ ყველაფრის ხალხის მეხსიერებაში არსებობის ხარისხია.

ერეკლეს ეპოქა ქართული სახელმწიფოებრიობისა და ხალხის ფიზიკური გადარჩენისათვის დღენიადაგ ბრძოლის ავბედითი დრო იყო, „განუწყვეტელი ომიანობის ატმოსფერო", დაუსრულებელი „მიხტომა-თავდაცვის" რიტმზე დამყარებული.

ერეკლე მეორე სამეფოს მართვისათვის. როგორც ზუსტად არის კიდევაც დანახული, ომებსა და ბრძოლებს შორის იცლიდა. დროს პოულობდა, რათა „მართვა-გამგეობის ყოველი დარგისათვის თვალ-ყური ედევნებინა, ხშირად სიცხიან და ავდრიან დღეებში თავისი ესა თუ ის პროვინცია შემოევლო, მრავალი საჩივარი მოესმინა და გაერჩია და ამავე დროს

[1] მაგალითად, ერთი ასეთი ეპოსია "შორენის „კან მერგენი" (Л.П..Потапов. Очерки по истории Шории„ в сб:..Труды Института Востоковедения АН СССР", Т. v. 1936. стр.186-201; „Шорский Фольклор". Записи, перевод,вступительная статья и примечания Н.П. Дыренковой, Изд. АН СССР,1940. უფრო შთაბეჭდავი მაგალითებია ევროპული ეპოსების – მეფე არტურის ციკლი, მეფე კარლოსის ფინური ციკლი და ა. შ.

ფართო სააღმშენებლო მუშაობისათვის ხელმძღვანელობა გაეწია."[1] ნათქვამის სისწორეს ამ აღმშენებლობის მშრალი სტატისტიკაც კი ცხადყოფს.

1748 წელს განხორციელებული სასამართლო რეფორმა, ფიქრი და ზრუნვა კანონიერებასა და მართლმსაჯულებაზე (გერმანული საპოლიციო სამსახურის წესდების გადმოთარგმნა) რეგულარული (24-ათასიანი) არმიის – „მორიგე ლაშქრის" დაარსება, საქართველოს სახელმწიფოებრივი ერთიანობის ახალ პრინციპებზე დაფუძნების ცდა, რომლის უტყუარი საბუთია 1790 წლის „ივერიელთა ერთობის ტრაქტატი".[2]

ქართველ საზოგადოებას ეს ტრაქტატი გააცნო გაზეთმა „ვეთრვეიან ტაიმსმა" („ქართულმა გაზეთმა", №010, 17 მარტი, 2005 წელი) ჟურნალისტ გია ოქრობაგელი-ხეველის წინათქმაში ეს ისტორიული დოკუმენტი შეფასებულია როგორც „ისტორიული და უნიკალური ტრაქტატი", როგორც „ქართველთა ერთიანობისადმი ზრუნვის ერთ-ერთი უიშვიათესი წერილობითი წყარო, რომელშიც კარგად ჩანს, რომ ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე მეორე და საქართველოს სხვა მეფე-მთავრები შესანიშნავად გრძნობდნენ, რომ საჭირო იყო ივერიის მთელი ძალების მობილიზება ივერიელთა გადარჩენისა და ბედნიერებისათვის".

აქ ისიც შეიძლება ითქვას, რომ ამ დოკუმენტით საქართველო, ფაქტობრივ, გაერთიანდა, მაგრამ გაერთიანდა არა ფეოდალური სამყაროს ტრადიციული პრინციპით-ერთი სამეფო ტახტისა და ერთი მეცის ირგვლივ, არამედ ეპოქის

---

[1] გ. ქიქოძე, დასახ. ნაშრ. გვ.75

[2] ეს ტრაქტატი, როგორც ცნობილია, მკითხველმა საზოგადოებამ ბატონ თამაზ ქველიძის 1999 წლის პუბლიკაციით (ფირმა „ომეგას" გამოცემა) გაიცნო. მანამდე აკადემიკოს ისიდორე დოლიძეს ჰქონდა დაბეჭდილი „ქართული სამართლის ძეგლებში". ეს ტრაქტატი ცნობილი იყო გერონტი ქიქოძისათვის და სათანადოდ შეაფასა კიდეც ერეკლე მეორისადმი მიძღვნილ, ამ წიგნში მრავალჯერის მოხსენიებულ, მონოგრაფიაში (იხ. ამ მონოგრაფიის 154-ე გვერდი).

სულისკვეთებისათვის უჩვეულო და, რაც მთავარია, მომავლის (მომავალი ეპოქის) სახელმწიფოებრივი თანაარსებობის (ფედერაციისა თუ კონფედერაციის) პრინციპით. ეს ფაქტი კიდევ ერთხელ ადასტურებს ერეკლე მეორის ბიოგრაფის გერონტი ქიქოძის აზრის სისწორეს იმის თაობაზე, რომ ერეკლე მეორე როგორღაც ვერ ეტეოდა თავის სივრცეში და ხედვა-ცნობიერებით უფრო დიდი ეპოქის წინამორბედი იყოო. ბოლო ნათქვამის სისწორეს, ვფიქრობ, თაყვად „ივერიელთა ერთობის ტრაქტატიც“ ცხადყოფს, რომლის შინაარსიც „ვლორვეიან ტაიმსის“ პუბლიკაციის მიხედვით ამ წიგნს თან ერთვის. ზემოაღნიშნულის გარდა, ერეკლე მეორის სახელმწიფოებრივი აზროვნების მაჩვენებელია შემდეგი ფაქტებიც.

ქალაქისა და ხელოსნობა-მრეწველობის განვითარებისათვის ხელშეწყობა. ამის გამოხატულებაა ქალაქში გლეხობის მიზიდვა, ვაჭარ-ხელოსანთა საქმიანობაზე ზრუნვა, მათი გათავისუფლება საყოველთაოდ სავალდებულო „მორიგე ლაშქრში“ სამსახურისაგან, მედიცინის განვითარება (გიულდენშტედტის მაგალითი), სამთო წარმოებისა და მრეწველობის აღორძინება. ამასვე ცხადყოფს გიულდენშტედტის დაინტერესება კახეთის, ბორჩალოს, ყაზახის ნავთობით. ამ მიზნით გეოლოგიური ძიების ჩატარება ახტალასა და ალავერდში ოქროს, ვერცხლის, სპილენძის მოპოვება. ცნობილია, რომ ახტალის ვერცხლის საბადო ხაზინას წელიწადში 60 ათასი მანეთის მოგებას, მთელი სახელმწიფო შემოსავლის ერთმეათედს აძლევდა.

ამასვე მოწმობს თბილისში ვერცხლისა და სპილენძის ფულის მოსაჭრელი ზარაფხანის მოწყობა, მარილის საწმენდი, ზეთსახდელი ფაბრიკების, ლითონის სადნობი ქარხნების აგება და ა. შ.

ასევე შთამბეჭდავია ერეკლე მეორის კულტურული აღმშენებლობა. უპირველესი და უმთავრესი ნაშანსვეტი – ანტონ კათალიკოსის გვერდში დაყენება, საეკლესიო საქმეების მოწესრიგება, ინტერესის გაღვივება ევროპული ცივილიზაციისადმი

(მეცნიერება, ფილოსოფია, განათლება), სკოლებისა და წიგნის ბეჭდვის განახლება, ფილოსოფიური (სასულიერო) სემინარიის გახსნა თბილისში (1756), ასეთივე სკოლის დაარსება თელავში (1772), არისტოკრატიის შვილების გაგზავნა რუსეთში მეცნიერების, საშხედრო საქმის შესასწავლად, ახალგაზრდების რუსეთში გაგზავნა (სახელმწიფო ხარჯზე) სამთო საქმის დასაუფლებლად...

სტამბის აღდგენა თბილისში (ცნობილია, რომ სტამბის ხელმძღვანელმა მღვდელმა კეჟერაშვილმა... ორ წელიწადში 7400 ცალი სხვადასხვა წიგნი დაბეჭდა, რაც იმ დროისათვის არნახულად დიდ ტირაჟად ითვლებოდა)...[1]

აი, არასრული სტატისტიკა ერეკლეს სახელმწიფოებრივი, ეკონომიკური თუ კულტურული აღმშენებლობითი ნაღვაწისა.

სიტყვამ მოიტანა და უნდა ითქვას, რომ ერეკლე მეორის ბიროვნების წინაშე ჩვენი ისტორიული მეცნიერებაც დიდ ვალშია. უფრო მეტიც, ამ თვალსაზრისით უცნაურად პარადოქსული ვითარებაც კი დასტურდება.

დიდი ივანე ჯავახიშვილი თავის დროზე ქართველ ისტორიკოსებს ისეთ „გამოსარჩლებითს და ადვოკატურს“ ტენდენციურობას საყვედურობდა, სადაც ღირსებანი გაზვიადებულია, ხოლო ნაკლოვანებები – მიჩქმალული. ცნობილია, რომ ასეთი ტენდენციურობის კრიტიკაა წარმოდგენილი მის ნაშრომში „მამულიშვილობა და მეცნიერება“ (1904), სადაც მოურიდებლად არიან გაკიცხული იაკობ გოგებაშვილი და მოსე ჯანაშვილი (ნიკო მარის უნიადაგო კრიტიკის გამო).

ერეკლე მეორის ბიროვნებისადმი კი ზოგიერთი ჩვენი ისტორიკოსის ნაწერებში „ადვოკატურ-გამოსარჩლებითის“ დამოკიდებულების ნაცვლად საპირისპირო შეფასებები გამოსჭვივის.

დასანანია, რომ ერეკლე მეორის სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური მოღვაწეობის შესახებ ჯერაც არ შექმნილა ისეთი გამოკვლევა, სადაც ამ ნაღვაწის ყველა ასპექტი იქნებოდა განხი-

[1] გ. ქიქოძე, დასახ. ნაშრ., გვ. 77.

ლულია და პირუთვნელად შეფასებულია. ამ მხრივ გამონაკლისია გერონტი ქიქოძის გახმაურებული წიგნი „ერეკლე მეორე", მაგრამ ეს ძალიან კარგი ნაშრომიც მხატვრულ-ისტორიული ჟანრისაა და, რაც ყველაზე სამწუხაროა, სრულად არ მოიცავს ისტორიულად ღირებულ ფაქტობრივ მასალას.

ასევე გამონაკლისად მოჩანს წინამდებარე წიგნის რედაქტორის, ახალგაზრდა მეცნიერ-მკვლევრის, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ ნიკო ჯავახიშვილის ნარკვევები: „თაიმურაზ II-ისა და ერეკლე II-ის გამეფება ქართლსა და კახეთში და ადიღელ ფეოდალთა პოზიცია," „ქართულ-ადიღური ნათესაური კავშირები დიპლომატიის სამსახურში (XVIII საუკუნის 20-40-იანი წლებში), „ქართველი და ადიღელი ხალხის საბრძოლო თანამეგობრობის ისტორიიდან (XVIII ს. შუა ხანები)," „ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე II – უძლიერესი კავკასიელი მონარქი და ადიღელთა საამაყო ნათესავი," „ყაბარდოელთა საქართველოში ჩამოსახლების პროექტი (XVIII საუკუნის 70-80-იანი წლები)," „ქართულ-ადიღური ურთიერთობები XVIII-XIX საუკუნეთა მიჯნაზე." ეს ნარკვევები თავმოყრილია მის უახლეს მონოგრაფიაში „ნარკვევები ქართველი და ადიღელი ხალხების ურთიერთობის ისტორიიდან,"[1] სადაც, ერთი მხრივ, ერეკლე მეორის სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური მოღვაწეობის ბევრი ახალი, საინტერესო და ანგარიშგასაწევი ფაქტებია გამოვლენილი, მეორე მხრივ, ამ მოღვაწეობის მნიშვნელობის თბიექტური ხედვაა წარმოდგენილი.

ამას გარდა, უკანასკნელ ხანს ერეკლე მეორის შესახებ ისეთი ფაქტებიც (ხშირად გამაოგნებელიც!) ქვეყნდება, რომლებიც სპეციალისტებისათვისაც კი ნაკლებად არის ცნობილი.[2] ეს კი

[1] ნიკო ჯავახიშვილი, „ნარკვევები ქართველი და ადიღელი ხალხების ურთიერთობების ისტორიიდან", 2005.

[2] https://artinfo.ge/2016/12/erekle-mepheze-isethi-masalebi-gamovlinda-thmebi-qhalqhze-dagidgebath/?fbclid=IwAR31ksHk00HiqMjokic2OIcgq2PfzYxYzk4b-zGJx9-GMBXpM6n3XFDwpisw

თავისთავად იმასაც ცხადყოფს, რომ ერეკლე მეორის შესახებ შემორჩენილი ფაქტობრივი მასალა ამომწურავად ვერაფრით არ არის გამოვლენილი. ამ ფონზე სამწუხარო ისიც არის, რომ ზოგიერთი XXI საუკუნის გადასახედიდან მენტორულად „აფასებს" ერეკლე მეორის ნაღვაწს. დასკვნებს ერეკლეს ეპოქის საერთო კონტექსტიდან ამონარიდ ფაქტებს აფუძნებს და თავს საქართველოს უკანასკნელი დიდი მეფის გასამართლების უფლებას აძლევს. ამ უფლებას, მართალია, ვერავინ ვერავის წაართმევს, მაგრამ საკითხის მეცნიერული და ეთიკური ასპექტები ხომ რჩება?

ჩვენ, ქართველებს, ჩვენი მოღვაწეების დაფასება და აღიარება ხომ უცხოელთა აღიარებისა და დაფასების საფუძველზე გვჩვევია! ამიტომ მოდით, ამ უცხოთა (განსაკუთრებით ევროპელთა) ხედვით დანახულ-შეფასებული ერეკლე მეორის პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი „პორტრეტის" ზოგიერთი „შტრიხიც" გავიხსენოთ, რომლებიც ერეკლეს რუსულზე მეტად ევროპული ორიენტაციის ხელისუფლად და პოლიტიკურ მოღვაწედ გვიხატავენ. ამ თვალსაზრისით საყურადღებო ცნობები სხვადასხვა პერიოდულ გამოცემებშია გაბნეული, ხოლო მეტ-ნაკლები სისრულით პროფესორ ნოდარ ტაბიძის „ეტიუდებშია" წარმოდგენილი. აქ პრესის ისტორიისა და თეორიის საკითხების კვლევამ გახადა შესაძლებელი ერეკლეს შესახებ დასტამბული ფაქტების გამოვლენა, ხოლო ნ. ტაბიძის კვლევაძიებითმა სტილმა ამ ფაქტების გაერთიანება-გამთლიანებით საერთო სურათი გამოავლინა.[1] ამათგან მხოლოდ რამოდენიმე ფაქტი

[1] მაგალითად, ნ. ტაბიძემ დაადასტურა ზ. ჭიჭინაძის ცნობა იმის თაობაზე, რომ „XVIIIსაუკუნეში... რუსული გაზეთებს გარდა ქართველნი ფრანგულ გაზეთებსაც აქცევდნენ ყურადღებას, რადგან ფრანგული გაზეთებიც იძლეოდნენ ხშირად საქართველოს შესახებ ცნობებს (ზ. ჭიჭინაძე, „ისტორია ქართული გაზეთებისა და ჟურნალებისა," 1902, გვ. 3). ნ.ტაბიძის ცნობით, ეს პერიოდული გამოცემებია: „Mereure historique et politique„Minerva," „Nouvelles Litteraire" და სხვა (იხ. ნ. ტაბიძე, „ეტიუდები," 1986, გვ. 390).

მოვიხმოთ, კერძოდ, რუსულ გაზეთ „სანკტ-პეტერბურგსკიე ვედომოსტის“ 1752-1753 წლების ნომრებიდან.

აი, რას წერდა ეს გაზეთი 1752 წელს: „სპარსეთიდან ახლახანს მიღებული წერილების თანახმად ქართველი პრინცი ერეკლე კვლავ ბედნიერად განაგრძობს თავის წარმატებებს... ამბობენ, რომ ერეკლე პირდაპირ ისპაჰანისკენ წავიდა და რომ თავისი არმიით აქ ჩაკეტილი შაჰ დაუდი პრინცის მოახლოების შემთხვევაში ხსენებული სატახტო ქალაქის გადაწვას აპირებსთ.“[1] ამავე გაზეთის 1753 წლის 20 იყლისის ნომერში ისეთი უსამწველოდ გაზვიადებული ცნობაც კი დაიბეჭდა, თითქოს ერეკლე მეორეს ისპაჰანი უკვე აეღოს, ხოლო ძომდევნო ნომრებში ერეკლე მეორე ალექსანრე მაკედონელთან არის შედარებული.

ნ. ტაბიძემ ისიც გამოავლინა, რომ ერეკლე მეორე ევროპაშიც ინტენსიურად ეძებდა მოკავშირეებს, წერილებს უგზავნიდა რომის პაპს, საფრანგეთის მეფეს ლუი XVI-ს. ვენეციის რესპუბლიკას, სიცილიისა და სარდინიის მეფეებს, მოკავშირეობას სთავაზობდა. ავსტრიის იმპერატორს იოსებ მეორეს სთხოვდა დახმარებას ევროპულად გაწრთვნილი ორი პოლკის ჩამოსაყალიბებლად.[2]

ერეკლე მეორის სახელი არა მარტო ევროპულ პრესაში „ჟღერდა,“ არამედ იქაური საზოგადოების ცნობიერების უფრო ღრმა შრეებშიც იყო „შეჭრილი“. ამის ერთი საბუთია ქართულ

---

[1] ნ. ტაბიძე, „ეტიუდები,“ 1986, გვ. 391. “შესაძლოა ამ ფაქტს, მართლაც, ჰქონდა რეალური საფუძველი, რადგან იმხანად ერანის სამეფო ტახტი შაჰობის მაძიებელთა უთავბოლო ქიშპობის საგანი იყო და ერეკლე მეორეც თითქოს ფიქრობდა ამ პროცესში ჩარევას. არც ის არის გამორიცხული, რომ რუსული გაზეთის ამ ცნობის მიზანი (ფაქტის ნაადრევი გამჟღავნებით) ერეკლე მეორის ჩანაფიქრისათვის ხელის შეშლა იყო, რაც რეალურად განხორციელდა კიდევაც კაკაბიელი მაჰმადიანური სახანოების მმართველთა მიერ ერეკლეს საწინააღმდეგო კოალიციის შეკვრით.

[2] ნ. ტაბიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 393.

სინამდვილეში უკვე კარგად ცნობილი ფაქტი, კერძოდ, ერეკლე მეორის სახელის ხსენება გერმანელი დრამატურგის გ. ლესინგის კომედიაში „მინა ფონ ბარნჰელმში.“ როგორც ცნობილია, ამ ნაწარმოების პერსონაჟი ვერნერი ეკითხება მეორე პერსონაჟს – იუსტს, ხომ არაფერი გსმენია აღმოსავლეთის დიდ გმირზე – პრინც ერეკლეზეო. როცა უარყოფით პასუხს მიიღებს, ნაწყენი წამოიძახებს: „–შე კაი კაცო! ჩანს, გაზეთებსაც ისევე იშვიათად კითხულობ, როგორც ბიბლიას. მაშ, არ იცნობ პრინც ერეკლეს? ამ მამაც ვაჟკაცს, რომელმაც სპარსეთი დაიპყრო და დღეს თუ ხვალ ოტომანთა პორტაში შეიჭრება?.. საიდუმლოდ უნდა გაგანდო, იუსტ, სპარსეთში მივედივარ, რომ მისი უმაღლესობის პრინც ერეკლეს მთავარსარდლობით ერთი ორვეულ გავილაშქრო თურქებზე.“[1]

ცხადია, გ. ლესინგი ევროპულ საგაზეთო ინფორმაციებს ეყრდნობოდა, როცა ასე გაიაზრებდა ერეკლე მეორეს. ასევე ფრიდრიხ დიდიც, როცა აცხადებდა „ევროპაში მე ვარ პირველი, ხოლო აზიაში – ერეკლეო.“

ევროპაში ერეკლე მეორის ასეთ პოპულარობის ფონზე დაუჯერებელი აღარ უნდა იყოს ცნობა იმის თაობაზე, რომ ლ. ბეთჰოვენის „III სიმფონიის“ „ადრესატი“ ერეკლე მეორე ყოფილა. ეს ფაქტი 1997 წელს „რეზონანსში“ გამოაქვეყნა ბატონმა იური ვეკუამ.[2]

ლ. ბეთჰოვენს ერეკლე მეორის პიროვნებისა და მოღვაწეობის ამბები თურმე მისმა მეგობარმა, საქართველოში მოღვაწე ფრანკისკანელმა ბერმა ბონიფაციუს ებერჰარტმა გააცნო. მას ლ. ბეთჰოვენთან მიწერ-მოწერა ჰქონია. ი. ვეკუას გამოქვეყნებული აქვს ბონიფაციუს ებერჰარტის მიერ ლ. ბეთჰო-

[1] ციმორწმენა ნ. ტაბიძის „ეტიუდების“ მიხედვით.

[2] იხ. ი. ვეკუა, „ერეკლე მეფე და ბეთჰოვენი,“ გაზ. „რეზონანსი,“ 1997, 22 მარტი №77(765). ცნობა და საგაზეთო პუბლიკაცია მომზადდა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის, საქართველოს ისტორიის კათედრის პროფესორმა, აკადემიკოსმა მკვლევარმა ოთარ ბაბუციძემ. დიდი მადლობა მას.

ვენისადმი 1819 და 1822 წლებში გაგზავნილი წერილების შინაარსები, საიდანაც უტყუარად დასტურდება ზემოაღნიშნული ფაქტის სისწორე.

1819 წლის წერილში ვკითხულობთ: „ძმაო, ლუდვიგ, რომ იცოდე რა გმირი ხალხია და როგორ ვაჟკაცურად იტანენ ტანჯვას, რომელიც უფალმა რუსთა ბატონობის სახით მოუვლინა მათ.

ქართველების ქვეყანა ოდესღაც ღვთის მადლით ჰყვაოდა. მეფენი მისნი იყვნენ ბრძენნი და ძლევამოსილნი. უკანასკნელი მათგანი იყო დიდი კახი (ხაზგასმა ჩემია – თ. ჯ.) – ირაკლი მეორე.

ერეკლე მეორეს ქართველებმა სიყვარულით უწოდეს პატარა კახი, ხოლო მისი ნაღვაწით აღფრთოვანებულმა ევროპელმა ევროპული ყალიბი მოიმარჯვა და ერეკლეს „დიდი კახი“ უწოდა; არა ქართველთა „შეცდომის“ გასასწორებლად, არამედ „პატარა კახის“ შინაარსის ევროპული ცნობიერების ენაზე „გადასათარგმნად“.

ლ. ბეთჰოვენის „მეცხრე სიმფონიასთან“ ერეკლე მეორის სახელის კავშირი ცხადზე ცხადი ბონიფაციუს ებერჰარტის ლ. ბეთჰოვენისადმი 1822 წელს მიწერილი წერილიდან ხდება.

აი, რა წერია ამ წერილში: „ძალზე გამახარა იმ ამბავმა, რომ ირაკლიზე, რომელსაც ჩვენმა მეგობარმა მათიამ აღმოსავლეთის ნაპოლეონი უწოდა, სიმფონიის შექმნა გქონია გადაწყვეტილი და კიდევაც შედგომიხარ მუშაობას“.

ამის შემდეგ კი, ი. ვეკუას მიხედვით, მოვლენები ასე განვითარებულა: ლ. ბეთჰოვენს „მესამე სიმფონიისათვის“ მართლაც მიუწერია „ეძღვნება აღმოსავლეთის ნაპოლეონს.“ ეს ევროპაში ბევრისათვის გაუგებარი გამხდარა. ამიტომ სიტყვა „აღმოსავლეთის“ ზედმეტად მიუჩნევიათ და გადაუხაზავთ, დაუტოვებიათ „ეძღვნება ნაპოლეონს.“ ამ ფაქტს დიდი კომპოზიტორი ისე გაუგულისებია, რომ ეს მიძღვნა გაუუქმებია და სიმფონიი-

სათვის „გოლიათური“ უწოდებია. რატომაც არა! „დიდი კახი“ დიდი კომპოზიტორის ცნობიერებაში სწორედ რომ „გოლიათურს“ უნდა გატოლებოდა.

მოდით, ერეკლე მეორის დიდი საერთაშორისო აქტორიტეტის დამადასტურებელი კიდევ ერთი საინტერესო ფაქტიც გავიხსენოთ, რომელიც ასევე ბროფესორმა ნოდარ ტაბიძემ გამოამზეურა. ინდოეთში, ქალაქ მადრასში 1794-1796 წლებში გამოდიოდა სომხური ჟურნალი „აზდარარი“. მისი რედაქტორ-გამომცემელი ყოფილა ბარუთიუნ შმაკონიანი, მილიონერი, რომელიც სომხეთის მომავალს ერეკლე მეორის სახელს უკავშირებდა. ამ ჟურნალის ყოველი ნომრის თავფურცელზე სომეხთა კათალიკოსის შემდეგ ერეკლე მეორე მოიხსენიებოდა.

ბ. შმაკონიანს თურქების მიერ მიტაცებული სომხური მიწების გამოსყიდვა და ერეკლეს სამეფოსათვის მიერთება სდომებია. სანაცვლოდ კი ერეკლეს ეკონომიკურ დახმარებასაც ჰპირდებოდა.[1]

ასეთი იყო ერეკლე უცხოთა თვალში, დიდი ბოლიტიკოსი, წარმატებული ხელმწიფე, ენერგიული მებრძოლი...

და ამ ყველაფერს ერეკლე მეორე, როგორც მისი მემატიანეები თუ ბიოგრაფები გადმოგვცემენ, გასაოცარი, ადამიანისათვის ძნელადწარმოსადგენი ენერგიის წყალობით ახერხებდა. მისთვის ძილიც კი მხოლოდ ძალების მოკრება ყოფილა (სულ 4-5 საათი თუ ეძინათ), ხშირად საუზმის შეწყვეტაც კი უწევდა, რათა შემოსეულ ლეკებს ჩადგომოდა კვალში, მოეგერიებინა, გაერეკა, დაეწყვიტა. თან როგორ! დილით რომ უნდა „მარტყოფიდან და ავჭალიდან გაერეკა ლეკების მითარეშე რაზმები“, „სადილობის დროს დიდომში ჩნდებოდნენ, ხოლო ვახშმობის დროს – ტაბახმელაში“[2] და ახლა იქ დასდევდა...

---

[1] ნ. ტაბიძე. „საქართველო „აზდარარის“ ფურცლებზე,“ გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტის შრომები, 1, 2003, გვ. 12.

[2] გ. ქიქოძე, დასახ. წიგნი. გვ. 75

ერეკლე მეორემ მთელი ცხოვრება ბრძოლებში გაატარა. სამეფო სასახლიდან არც ერთი ომისათვის არ უხელმძღვანელია, ლაშქრობაში მეტი ათენ-აღამა, ვიდრე სასახლეში. თითქმის ყველა ბრძოლაში თავის ეპოსში „გადასული" კაი ყმების გვერდით იბრძოდა. ზოგჯერ რეალურადაც რაინდული ორთაბრძოლით გადაუწყვეტია ომის ბედი. ამის ერთი ბრწყინვალე მაგალითია თუნდაც კოხტა ბელადის მოკვლა, რასაც ზეპირსიტყვიერება სულ სხვადასხვანაირად მოგვითხრობს, მაგრამ ყოველთვის ეპოსის ტრადიციული თხრობით.[1]

აღნიშნული, რასაკვირველია, მაინც ერთი მიზეზია და არა ერთადერთი. და ეს იმიტომ, რომ ეპოსის ციკლურ სტრუქტურას, საერთოდ, ისეთი გმირი ქმნის, რომელსაც სახელმწიფოს ისტორიაში ნამდვილად შეუსრულებია დიდი როლი (განსაკუთრებით სახელმწიფოს გაერთიანების თვალსაზრისით). ამასთან, ეს მიზეზი მხოლოდ ეპოსის ისტორიულ საფუძველს ქმნის. თუმცა ვერც ეს იძლევა პასუხს კითხვაზე, რატომ ეძვირფასება ხალხს ასეთი ამბავი. ასე რომ, ამ ფაქტის ისტორიული ახსნა საკმარისი არ არის.[2]

და ეს იმიტომ, რომ ეპოსი მარტო ხალხის მიერ მოთხრობილი ისტორია არ არის. ეს რომ ასე არ იყოს, მაშინ ეპოსი

---

[1] ბრძოლის ბედი რაინდული შეჯიბრებით წყდება ასევე ერთი ხალხური ლექსის მიხედვით, რომელსაც „მეფე ერეკლე და ყეინი" ჰქვია. ეს ლექსი გვაიმბობს, რომ, თითქოს, ერთხელ ერეკლე ავად შეიქნა. ამ ამბავმა ყეენამდეც მიაღწია. ყეენმა — დრო დაბიძგვათ და საქართველოს აკლება განაზრახა. ერეკლემ ყეენს შეუთვალა: „ხალხის მოსვრა რად გვინდაო, მოდი, ვიჭიდაოთთაო, სანაძლეო რაც გინდაო, მაზე გავათაოთთაო". ყეენი დათანხმდა. ჭიდაობა ბაღში გაიმართა. „ხალხი ცქერად გადაიქცა, ენახოთ ეინა სჯობისაო... ენახოთ, მეფე ერეკლემ ხელი სტაცა ქაჯარში, წელში ისე მოკეცა, როგორც დანა სახსარში. წამოდგა მაშინ ყეინი, გადაუხადა ვალია. თავის ხელით შამააკრა თავის ქამარ-ხანჯალია (იხ. ქს. სიხარულიძე, ქართული ხალხური საისტორიო სიტყვიერება, II, 1964, გვ. 47. ეს ლექსი ქს. სიხარულიძეს 1936 წელს ჩაუწერია საგურამოში პავლე უნდილაშვილისაგან).

[2] იგულისხმება ეპოსის ის განმარტება, რომლის მიხედვითაც ეპოსი მხოლოდ წარსულის მოგონებაა.

იქნებოდა მხოლოდ „პოეტური მოგონება სამუდამოდ დაკარგულ წარსულზე" (ვ. ბროპი).

ეპოსის სიცოცხლისუნარიანობის მთავარი პირობა კი სამომავლო იდეალების ასახვაა. იგი იმდენად ეპოქის მოვლენებს არ ასახავს, რამდენადაც მის მისწრაფებებს (იდეალებს). ასე რომ, ერეკლეს ეპოქის განდიდებით ხალხი ერეკლესდროინდელი ქართლ-კახეთის რესტავრაციას კი არ უმღეროდა, არამედ იმ ერთიანობის სულისკვეთებას, თავისუფლებისათვის თავგანწირვას, რისთვისაც ერეკლე მეორემ მთელი ცხოვრება ითმა, მაგრამ ბოლომდე ვერ განახორციელა. ამას ერეკლეს ეპოსში ასახული ამბების თხრობის მანერაც ცხადყოფს. აქ, როგორც წესი, ყოველი ბრძოლის თხრობაში ხალხური მელექსე უმთავრესად იმას გვიამბობს, ვინ რა გმირობა ჩაიდინა, რით გამოიჩინა თავი და არასოდეს აღწერს ბრძოლათა ბატალურ სცენებს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მთავარი მომხდარის აღწერა კი არ არის, არამედ კარგ ყმათა გმირული სულისკვეთება, სამშობლოსათვის თავგასაწირად მათი მზაობაა. ესაა სწორედ ის სამომავლო ღირებულების მქონე ლტოლვა-მისწრაფება, იდეალი, რისი რეალური მაგალითი იყო თავად ერეკლე მეორეც და ამიტომ იქცა იგი თავისი ეპოქის ეპიკურ მეტაფორადაც.

ერეკლე მეორის პიროვნებაზე ბევრი დაწერილა და მომავალშიც კიდევ დაიწერება, რადგან მისი ნაღვაწის პირუთვნელი შეფასებისათვის აუცილებელი დროითი მანძილი ჩვენს ხალხს ჯერაც არ გაუვლია. ამ ეტაპზე კი ის არის უტყუარი, რომ ერეკლე მეორემ თხუთმეტი წლისამ აიღო ხელში ხმალი, როცა ნეიშინის მინდორზე ლეკთა მარბიელ ლაშქარს მკვირე რაზმით სძლია, სრულიად გაერანებულ კახეთს სული მოათქმევინა და ამ გზისათვის არასოდეს უღალატია.

საბედნიეროდ, ისტორიამ ამ ვითარების ერეკლესეული აღწერა-დახასიათებაც შემოგვინახა. მართალია, ეს აღწერა-დახასიათება სხვა პირის მონათხრობით შემოგვრჩა (ერეკლე

მეორის შვილიშვილის ალექსანდრე ვახტანგის ძე ვაჟამბაკურ-ორბელიანისა), მაგრამ უნიკალურობას ეს ფაქტი ამ ფორმითაც ინარჩუნებს. იგი ერეკლე მეორის პიროვნულ სამყაროშიც ჩაგვახედებს და მის გასაოცარ თავმდაბლობასაც ცხადყოფს, რადგან ჩვენი მეფე არაფერს ამბობს პიროვნულ წვლილზე. არადა კარგად არის ცნობილი, რომ სწორედ ერეკლე ეკვეთა მცირე, 200-კაციანი რაზმით ალაზნის გაღმა მხარეს გაამპარტავნებულ ლეკობას, ორთაბრძოლაში მოკლა მათი წინამბრძოლი. იმ დროს ერეკლე თხუთმეტი წლისა იყო. აი, როგორ უამბო ერეკლე მეორემ თავის შვილიშვილს ეს ამბავი:

„ჩემს სიყმაწვილეში ასეთი საშინელი ამბები მოხდა საქართველოში, მეტი აღარ შეიძლება. თუ მე არ მოესწრებოდი, ერთ ქართველსაც ვეღარ იბოვიდით, სულ გათათრდებოდნენ.

თავი რომ ვიცანი, საქართველოს თვალი გადავავლე. ვნახე სომხითი (ქვემო ქართლი) ოხრდებოდა. მთელი დანარჩენი ქართლი სულ ერთიან ლეკებს მორჩილებდნენ. აქეთი კახელებიც თითქმის მათ მორჩილებას აპირებდნენ. ამის მიზეზი იყო ოსმალები. ამისთვის, რომ ქართლი ოსმალოს ეჭირა და იქიდან ცდილობდა დაღესტნელთა ლაშქრობების მოწყობას საქართველოზე. ამ საშინელების მხილველმა მე ვეღარ მოვისვენე, რიგზე აღარც ძილი მქონდა და აღარც მეამებოდა რამ. ამ დროს ფშავში ვიყავით ჩვენ დახიზნულები. სანატრელს მამაჩემს ვთხოვე, ნება მოეცა ჩემთვის მახლობელ სოფელში წავსულიყავ, მაგრამ განზრახვა ჩემი სხვა იყო. დაუყონებლივ ალავერდში ჩავედი ორასის კაცით და გაღმამხარელებთან დავიწყე მოლაპარაკება. გაღმამხარელებს მეტად ეამათ, რომ მე ყმაწვილი, იმათ ვევედრებოდი ქრისტიანობა არ დაეკარგათ. ამის გამო გაღმამხარელებმა ყური აღარ აიხოცეს ლეკებს. აშაზედ ლეკები განრისხდნენ, გაღმამხარელებს რბევა დაუწყეს, აღარც ქიზიყი დაინდეს. ეს ამბავი რომ გავიგე, სასწრაფოთ კაცები გავუგზავნე, მამა-პაპის ვაჟკაცობა მოვაგონე – არას-

დროს მტრისგან დაჩაგრული არ ყოფილან და ახლა ასე წამხდარან, ლეკების ყმები შექმნილან. ამაზე გაღიმებულები შეუყარნენ, ანაზდად ლეკებს მიუხტნენ და საჩქაროდ გაიყვანეს (განდევნეს) თავისი მამულიდან. ამის გამგონემ, მე დაუყოვნებლივ ქიზიყელებსაც შეუთვალე ეგეთივე სიტყვა, რომლებმაც უარესი დამაროეს ლეკებს.

ღვთის მოწყალებით, კახეთი რომ განთავისუფლდა ლეკებისგან, მაშინვე პირველი თავადები გავუგზავნე მამაჩემ მეფეს, კახელების მაგიერად ვთხოვე მობრძანება.

ამ, დროს მე, თხუთმეტი წლისა, ვეღარავინ ვეღარ დამიჭირა (რადგან ვხედავდი ტყვევნას და ოხრებას საქართველოისას). სადაც ლეკის კვარი გამოვიდოდა, დავხვდებოდა, რაც უნდა ცოტა კაცები მყოლოდა. არ დავერიდებოდი, მაშინვე შევებმოდი და ღვთის განგებითაც ვაოტებდი იმათ კვარს. ბევრჯერ დღეში ორ-სამ ომს გადავიხდიდი და ღმერთიც ძლევას მაძლევდა. ერთხელ, ერთ დღეს ოთხჯერ დავამარცხე ლეკები და მეორეთ – ხუთჯერ. დიდათ შევაშინე და შევაძრწუნე ლეკები. ზედდატანებით სადიპშამ ოსმალები გარეკა ქართლიდან და საქართველომ ქრისტიანობა დაიბრუნა, თორემ უთუოდ გაათათრებდნენ მთელ საქართველოს".[1]

უფრთ მეტიც, როგორც გ. ქიქოძე ბრძანებს, „გამეფების შემდეგ ის შეეცადა ერანის მივარდნილ პერიფერიად ქცეული ქართლ-კახეთი ხელახლა დიდი მსოფლიო პოლიტიკის ასპარეზზე გამოეყვანა".[2] მან მთელი თავისი ნიჭი, შეძლება ამ დიად ამოცანას შეალია და გ. ქიქოძესავე სიტყვებით რომ ვთქვათ, სიცოცხლის „უკანასკნელ წუთამდე მას შერჩა გასაოცარი სულიერი ენერგია და ზნეობრივი ვალდებულების შეგნება, რაიცა მას ახასიათებდა მთელი მისი ხანგრძლივი და ქარიშხლიანი

---

[1] აღ. თბილელიანი. „დაღესტნიდან ლეკების გამოსვლა და სწყა აშბები, „ტფილისი, 1914, გვ. 2-3; ვიპოვნეთ წყაროდან ს. უთურგაშვილი, „თეიმურაზ ბაგრატიონი", 1991, გვ. 60-61).

[2] გ. ქიქოძე, ერეკლე მეორე (მეორედ გამოცემა), 1963, გვ.28

ცხოვრების მანძილზე. და როცა ის გარდაიცვალა, ხალხს შეიძლება მართლაც ეგონა, მიჰრულებია და ხელახლა გაიღვიძებს, რათა ერთხელ კიდევ მტერს შეებრძოლოსო".[1]

გ. ქიქოძისავე დახასიათებით, ერეკლე მეორე იყო „საქართველოს უკანასკნელი დიდი მეფე, რომელმაც ყოველივე იღონა, რათა ქართველი ერი სამშვიდობოზე გაეყვანა და მისთვის მომავალი კულტურული განვითარების გზები უზრუნველეყო. მისი სიცოცხლის უკანასკნელი წლები არსებითად ქართლ-კახეთის სამეფოს სულთმობრძაობას წარმოადგენდა; და ოთხ წელსაც არ გაუვლია მისი სიკვდილის დღიდან, რომ იმპერატორ ალექსანდრე პირველის მანიფესტის ძალით აღმოსავლეთ საქართველოს დამოუკიდებლობა მოისპო და ის ბიუროკრატიული რუსეთის იმპერიის უბრალო ადმინისტრაციული ნაწილი გახდა და ქართველი ერი დაადგა განვითარების გზას, რომელიც ნაკლებ შეესაბამებოდა ერეკლე მეორის მიზნებსა და ამოცანებს.[2]

ასეთი პიროვნება დიახაც რომ განასახიერებდა თავისი ხალხის სანუკვარ მისწრაფებებს. ერეკლე მეორის პიროვნებასა და ნაღვაწში ყველაზე უტყუარად ეს ხალხმა დაინახა და თავის ზეპირსიტყვიერებაში შემოუნახა შთამომავლობას ვითარცა ხალხის პირუთვნელი მსჯავრი წინააღმდეგ დროის კონიუნქტურით დადაღული ცალკეული ისტორიულ-მეცნიერული „გამოკვლევისა".

ჩვენმა ხალხმა მეფე ერეკლეს ეპოქას „სისხლის წვიმების დრო" უწოდა.[3]

და რაც მთავარია, ერეკლე მხოლოდ მეფედ, ქვეყნის ხელისუფლად კი არ აღიქმებოდა, არამედ ხალხის გმირად. იგი „ჩვენი მეფე ერეკლე" გახდა (მსგავსად დასავლური ეპოსების ზოგიერთი გმირისა, მაგალითად „სიმღერა, ჩემს სიდზე")

---

[1] გ. ქიქოძე, ერეკლე მეორე (მეთოხე გამოცემა), 1983, გვ. 175.

[2] გ. ქიქოძე, დასახ. ნაშრ., გვ. 177.

[3] იხ. „ქართული ხალხური საისტორიო სიტყვიერება", ქს. სიხარულიძის რედაქციით. წიგნი II, 1964, გვ. 134.

გამოთქმა „ჩვენი ერეკლე“, უფრო ზუსტად „ეს ჩვენი მეფე ერეკლე“ სემანტიკურადაც უტოლდება „ჩემს სიდს“, როგორც ქართული (აღმოსავლურ-ქრისტიანული) „ჩვენი“ – ევროპულ (დასავლურ-ქრისტიანულ) „ჩემს“ (ჰეგელი, ჰერდერი). ერეკლესა და მისი ეპიკური გმირების ზებირსიტყვიერ თავგადასავლებში კი სამშობლოს შენარჩუნებისათვის „სისხლის წვიმებში“ ბრძოლის ისტორია მოგვითხრო. ამიტომ ერეკლეს ბიროვნება სამშობლოს შენარჩუნებას – ეპოქის ამ უზენაეს ფასეულობას გაუტოლა და დროის დინების მიღმა ამ ფასეულობასთან ერთად მისი იდეადქცეული ბიროვნებაც დააყენა. ერეკლეს ამ ქვეყნიდან წასვლით არ გამქრალა ეს იდეა, იდეა სამშობლოსათვის ბრძოლისა, თანაც მარადიული ბრძოლისა. ერეკლეს ამქვეყნიური სიცოცხლის შემდეგ იგი იქცა ამ იდეად, ქართველი კაცის არსებობის საზრისად და ამიტომაც ამოიმღერებდა ქართველი კაცი:

„ალაპარ გვყავ მეფე ერეკლე...
მთაში ვაჟკაცო ხმლიანთ,
ბარად ჩამოდი, საომრად,
გზაში არ დაიგვიანო...

...ამოიმღერებს და კაი ყმას შეახსენებს, რომ არ მოშლილა ქართველთა სამკვიდრო, კვლავაც კვრიევობს კვრიევი (თბილისი), კვლავაც ურღვევია სიცოცხლის ის რიტმული მდინარება – მთიდან ბარად (თბილისში, ერეკლეს სამკვიდროში) ხმალამოწვდილი ჩამოსვლისა და აქედან მტერზე გალაშქრებისა, ანუ მიქცევ-მოქცევა, რაც ერეკლეს ეპოსის არქიტექტონიკის ღერძს წარმოადგენს და მის სპეციფიკასაც განსაზღვრავს.

ამ სპეციფიკის დახასიათების გზაზე კიდევ ერთი საკითხის გარკვევა ხდება აუცილებელი. ესაა ამ ეპოსში ისტორიული ფაქტის მხატვრული (ზებირსიტყვიერი) ასახვის რაგვარობა.

ერეკლეს ციკლურსტრუქტურიანი ეპოსი ისტორიულია, უფრო ზუსტად კი საგმირო-ისტორიული, რადგან მისი

ისტორიული ამბები ბრძოლა-გმირობათა ამბებია. ამის გამო ტრადიციული ხალხური ეპოსის მხატვრული დროისა და სივრცის პრინციპი თითქოს დარღვეულია. თითქოს ისტორიული სიზუსტით არის მოთხრობილი ერეკლეს მიერ გადახდილი ბრძოლები, მაგრამ ზეპირსიტყვიერ ტექსტებზე დაკვირვება იმასაც უტყუარად ცხადყოფს, რომ აქ აშკარად ისტორიული ამბის ისტორიული თხრობაა, თანაც ზეპირსიტყვიერების თარგზე და არა მომხდარის აღწერა, რადგან არც თუ იშვიათად ისტორიულ წყაროებთან საგანგებო შედარება-შეკერებაა აუცილებელი იმის გასარკვევად, თუ რომელ ბრძოლაზეა საუბარი ხალხურ ლექსიმღერაში. და ეს მაშინ, როცა ეს ზეპირსიტყვიერი ტექსტები ან უშუალოდ ამ ბრძოლათა მონაწილე-თვითმხილველთა მიერ არის შექმნილი, ან ისეთ მთქმელთაგან, რომელნიც მახლობელ დროში ცხოვრობდნენ და ამბავს კი არ თხზავდნენ, არამედ ისმენდნენ ამბის მკოდნეთაგან.

ხალხური მთქმელის ეპიკური ალღო მოსჩვენილს იმ ყალიბში მოაქცევდა, რაც მის მხატვრულ ცნობიერებაში ტრადიციულად იყო ფესვგადგმული და რასაც ფოლკლორის თეორეტიკოსები მხატვრულ განზოგადებას უწოდებენ. ნათქვამის უკეთ გასააზრებლად ერთი კონკრეტული ფაქტი მოვიშველიოთ:

ერეკლეს ეპიკურ თავგადასავალში ლეკთა წინამძღოლის – კოხტა ბელადის თრთაბრძოლაში ერეკლეს მიერ დამარცხების ამბავი საკმაოდ „პოპულარულია“, არაერთ ლექს-სიმღერაში მოიხსენება.

ამ ფაქტთან დაკავშირებით ისტორიულად ყვალაფერი ზედმიწევნით არის ცნობილი. როგორ გვიამბობს ამ ფაქტს ზეპირსიტყვიერება? ნაირნაირად და, რაც მთავარია, თითქმის ყველა შემთხვევაში სინამდვილეში (ანუ იმისაგან, რაც საისტორიო მწერლობამ შეიმოგვინახა) მომხდარისაგან განსხვავებულად ასახავს ზეპირსიტყვიერი ყალიბიო (სტრუქტურით). ფაქტს თავისუფლად გადაადგილებს დროსა და სივრცეში. ხან ეს

ხდება ერეკლეს ცხოვრების გარიჟრაჟზე, როცა იგი თხუთმეტი-თექვსმეტი წლისაა, ხან გვიან, ხანაც მთქმელი საეროთდ არ აკონკრეტებს როდის მოხდა ეს ფაქტი და სად. ამასთან, ერეკლე კოხტა ბელადს ხან როგორ ებრძოლება, ხან – როგორ. ხან მეფე ერეკლე ხმალს შემოჰკრავს და თავს წააცლის (უცაბედად), ხანაც თხრობა ტრადიციული ეპოსისათვის დამახასიათებელი ორთაბრძოლის წესების სრული დაცვით მიმდინარეობს. აი, კონკრეტული მაგალითიც:

1898 წელს „ივერიაში" (№ 34) ილია აღხაზიშვილმა გამოაქვეყნა ამ ფაქტის შემცველი ზეპირსიტყვიერი ტექსტი „ერეკლე და კოხტა ბელადი", რომელიც მესხეთში, სოფელ ხიზაბავრაში, მთქმელ სტეფანე ტატურაშვილისაგან იყო ჩაწერილი.

აქ მთელი ასპინძის ომი ორი პიროვნების ორთაბრძოლაზეა დაყვანილი.

„მეფემ უთხრა, ნუკი შევებმევით ვაჟკაცით. აი, ერთი თქვენგანი გამოვიდეს, ერთიც ჩვენგნით და ვნახოთ, ვინ ვის აჯობებსო. გამოვიდა კოხტა ბელადი. გავიდა ერეკლე თეთრ ცხენზე. თეთრცხენიანი დამიძახეთ, მეფე არ დაიძახოთთ.

ერთი უძახის, გამექეცაო და მისდევს, ხმალს მოუქნევს, მერე მეორე დაჰკივლებს – ახლა შენ გამექეცაო. მოუქნევს ხმალს, მაგრამ ისე სწრაფად შემოჰკრავს, კოხტა ბელადი ვერც კი იგრძნობს. ამაკლდინე, ვერ მომარტყიო, მაგრამ ცოტა რო გაინძრევა, ტანი ძირს გადმოვარდება, ფეხები კი უზანგში დარჩება".

ამას გარდა, კოხტა ბელადის მოკვლის ფაქტს ყველა მთქმელი თავის კუთხეს (ან სოფელს) უკავშირებს. მაგალითად, მესხმა სტ. ტატურაშვილმა თავის კუთხეს დაუკავშირა (და, ბუნებრივია, სამართლიანადაც!), მაგრამ კახელმა მოქმელმა კახეთის „მიაბა". ზაქარა ბაკაშვილმა სოფელ შილდაში 1944 წელს ქს. სიხარულიძეს ეს ფაქტი ასე უამბო:

„ერეკლეს ძალიან ფიცხელი ომი ჰქონდა. კოხტა ბელადი წამოვიდა წინდაწინ და იყალთოში, ერთ საყდარში, ოქროე-

ბი ჰქონდა თავმოყრილი. ალაზანზე დაუხვდა ერეკლე. მერმე დაიტაკნენ მანდა. კოხტა ბელადმა გაიძრო ხმალი. დაბლა ცხენი მიუგდო ერეკლემ. ცხენი გაჭრა შუაზე კოხტა ბელადმა. დაუსვა ერეკლემ ხმალი და ოთხად გაჭრა ცხენი და კაცი. ქაღალდში ეწერა რომაო, ორი არწივი შაიბა, ორი ვეფხვივით გულადიო".[1]

მსგავსი დამოკიდებულება ისტორიული ფაქტისა თუ მოვლენისადმი ერეკლეს შესახებ შექმნილ ლექს-სიმღერებში ყველგან დასტურდება, რაც ეპოსისათვის აუცილებელი მხატვრული განზოგადების არსებობას ცხადყოფს.

მხატვრული განზოგადება კიდევ უფრო აშკარა და თვალში საცემია ერეკლეს ზეპირსიტყვიერი თავგადასავლის იმ ეპიზოდების ეპიკურ თხრობაში, რომლებიც ხალხისათვის ნაკლებ ან საერთოდ არ იყო ცნობილი. ეს განსაკუთრებით ერეკლეს დაბადების, ზრდას, სიჭაბუკეს შეეხება. ერეკლეს ეპოსის ეს ეპიზოდები აშკარად მითოლოგიური ეპოსის სიბრტყეზეა გაბრეწული. ეს ფაქტი კი კიდევ ერთხელ ცხადყოფს, რომ ისტორიული რეალობის „ზეწოლის" პირობებშიც ჩვენში ზეპირსიტყვიერებამ ეპიკური თავგადასავლის ტრადიციული წარმოსახვით გაიაზრა ერეკლეს პიროვნება, მისი ცხოვრების გზა და მისი ეპოქა და პიროვნების შესაფერის ციკლურ სტრუქტურაში მოაქცია. ამასთან ეპიკური მხატვრული წარმოსახვის სიძლიერისავე წყალობით თავად ერეკლეს საკუთრივი ზეპირსიტყვიერი თავგადასავალიც შეძლებისდაგვარად ტრადიციული ხალხური ეპოსის თარგზე „გამოჭრა". ეს განსაკუთრებით მისი დაბადების, ზრდის, მოყმეობისა და გარდაცვალების ეპიზოდებზე ითქმის.

ამ ეპიზოდებში ამბის ეპიკური თხრობის სიღრმე პირდაპირ შესაბამისობაშია ისტორიის „ზეწოლასთან". რაც უფრო ნაკლებია ისტორიული ინფორმაცია ერეკლეს ცხოვრების ამა

[1] ქართული ხალხური საისტორიო სიტყვიერება, ქს. სიხარულიძის რედაქციით, წიგნი II, 1964,გვ. 61, 293.

თუ იმ ხანაზე (ეპიზოდზე), მით უფრო ძლიერია მისი ეპიკური ხალხური გააზრება. ასე, მაგალითად, ისტორიულად საზოგადოების თვალსაწიერში ნაკლებად იყო მოქცეული ერეკლეს დაბადებისა და ყრმობის წლები.

ცნობილია, რომ ერეკლეს დაბადებამდეც და შემდეგაც, კარგა ხანს, მის ოჯახს (მამას – თეიმურაზს, ბებიას – ანა დედოფალს) ხშირად უწევდა საცხოვრებელი ადგილის ცვლაც და ადგილსამყოფელის იდუმალების დაცვაც (თელავი, მანავი, მაღარო – ის ადგილები იყო, სადაც თავს აფარებდნენ). ანა დედოფლისა და იმამ ყულიხანის (დავითის – ერეკლე მეორის ბიძის) სიკვდილის შემდეგ კი თეიმურაზ მეორე ოჯახითურთ ფშავში გაიხიზნა. ამ დროს ერეკლე ოთხი-ხუთი წლისა იყო და დედ-მამასა და ბიძასთან ერთად მწყემსების გვერდით ცხოვრობდა.[1]

ერეკლე გლეხის ბიჭებთან იზრდებოდა, მათთან სწავლობდა ფარიკაობას, ნადირობას, მხედრობას, ჯირითს. აქედანვე შეიქმნა ხალხის ბედის მოზიარე და მოჭირნახულე. აქ საგულისხმო ის არის, რომ სამეფო ოჯახის ფშავში. ხანაც თუშეთში ყოფნა არ აფიშირდებოდა, სანდო ხალხს გარდა, არც არავინ იცოდა. და ამ არცოდნამ (ინფორმაციის არქონამ) აკი მისცა კიდევაც ხალხურ მხატვრულ წარმოსახვას სრული თავისუფლება! ეს არცოდნა მოერგო ხალხური ეპოსის იმ „მოთხოვნას", რომლის თანახმადაც ეპოსის გმირის არც დაბადებაა ცნობილი და (არაიშვიათად) არც მშობლები.

როგორ მოიქცა ამ შემთხვევაში ზეპირსიტყვიერება? როგორც იტყვიან, არც აცია, არც აცხელა და ვ. კოტეტიშვილის სიტყვებით რომ ვთქვათ, „ხალხის მეხსიერების სამარაგო ფონდში" უცებ გამოძებნა „მზა ფორმულა", უფრო მეტიც, „განსაზღვრული სიუჟეტური სქემა". რა მზა ფორმულასა და სიუჟეტურ სქემაზეა ლაპარაკი? საერთაშორისო გავრცელებისა

[1] გ. ქიქოძე, დასახ. ნაშრ., გვ. 25.

და ქართულ ზეპირსიტყვიერებაშიც უკვე რამდენჯერმე „აბრიობირებულ“ ლეგენდის სქემაზე, რომელიც განსაკუთრებით მყარად თამარ მეფის ზეპირსიტყვიერ ამბავს შიება. თითქოს თამარი მზის სხივისაგან დათრსულდა. სირცხვილის გამო, თამარი ხალხის თვალს გაერიდა, სასახლეში ჩაიკეტა და საიდუმლო მხოლოდ გამზრდელს გაანდო. როცა ბავშვი დაიბადა, გამზრდელს გაატანა და უსიერ ტყეში დააბოვებინა, ბავშვს ირემმა გაუწია დედობა, ძუძუ აწოვა და გადაარჩინა. ირემს ადევნებული ბავშვი მონადირეებმა აღმოაჩინეს. აბბაეი თამარის ყურამდე მივიდა. თამარმა ბავშვი სასახლეში მიაყვანინა. ეს ბავშვი ლაშა გიორგი იყო.

ეს ლეგენდა ქართულ ფოლკლორისტიკაში კარგად არის ცნობილი, მისი რამდენიმე ვარიანტი XIX საუკუნეში ჩაიწერეს.[1] ეს კი ცოცხალ ზეპირსიტყვიერ ტრადიციაში მისი ხსოვნის მაღალ ხარისხზეც მეტყველებს და ერეკლეს ეპიკური თავგადასავლის ხალხური თხზვის ქრონოტოპსაც ცხადყოფს. ამის ერთი დადასტურებაა ასევე ხევსურული ანდრეზი, რომელიც 1946 წელს ქს. სიხარულიძეს სოფელ გველეთის მკვიდრის ბერდია თათარას ძე არაბულისაგან ჩაუწერია. ამ ანდრეზის თანახმად თამარმა შვა ერეკლე მეფე ერთი მღაბიოსაგან. თამარმა ერეკლე გადაბუდო და ირემმა გაზარდა.[2]

მიუხედავად იმისა, რომ ერეკლეს დაბადების ეპიკური თხრობისათვის ცნობილი ამბავია გამოყენებული, ეს ეპიზოდი მარტო მზა ფორმულით არ არის შემოფარგლული. განსხვავებული, ერეკლეს ეპოსისეულია ერეკლეს გადაგდების ადგილი – თრიალეთი,

---

[1] უფრო ვრცლად ამის თაობაზე იხ. ვ. კოტეტიშვილი, ხალხური პოეზია, 1961, გვ. 365-367. ქს. სიხარულიძემ გაარკვია. რომ ამ ლეგენდის საუკეთური სქემა უფრო ადრე გუდრამ მამფალს დაუკავშირა ჩვენმა ზეპირსიტყვიერებამ. ცნობა ამის თაობაზე ვახუშტი ბატონიშვილთან გვხვდება მის „აღწერა სამეფოსა საქართველოსი, 1941, გვ. 225 (იხ. ქს. სიხარულიძე. ქართული ხალხური საისტორიო სიტყვიერება, ტ. I. 1961 გვ. 236).

[2] ქს. სიხარულიძის დასახ. კრებული, გვ. 248.

ალგეთი. თამარ მეფის ლეგენდაში (მის უამრავ ვარიანტში) ასეთი ადგილი ან უსიერი ტყეა, ან უსიერი მთა, ან უბრალოდ მთა.

თრიალეთი, მდინარე ალგეთი ერეკლეს დაბადების ეპიზოდში შემთხვევით არ ჩნდება. ამ სივრცეს კონკრეტული შინაარსობრივი და ფუნქციური დატვირთვა აქვს მთლიანად ერეკლეს ციკლის ეპოსში. თრიალეთთან არიან დაკავშირებული ერეკლეს ციკლის ეპოსის სხვა გმირებიც – მაია წყნეთელი, თამრო ვაშლოვანელი, თინა წავკისელი, პაატა თემურაშვილი.

თრიალეთი როგორღაც წმინდა (საკრალური) სივრცის მნიშვნელობას ატარებს. აქ იზრდება მეფე ერეკლე, თრიალეთის მიწა და ალგეთის წყალი ზრდის მას, ანიჭებს გოლიათურ ძალას, რასაც ვეჯჭვის პერანგიც კი ვერ უძლებს („ჩააცვეს ვეჯჭვის პერანგი, გაჰკრა ხელი და გახია").

თრიალეთს შეაფარებს თავს ერეკლეს შემწყრალი (დამდურებული) მაია წყნეთელი. ერთი ლექსის მიხედვით კი („მაიას თავგადასავალი")[1] მაია თრიალეთს თავს ერეკლეს გაცნობამდე აფარებდა. „თრიალეთის ხევ-ღნარებში შევინახევი თავიო" – ასე გვიამბობს მთქმელის პირით მაია წყნეთელი თავის ამბავს. ერთი ხალხური გადმოცემის თანახმად („გადმოცემა მაია წყნეთელზე") ერეკლესთან უთანხმოების შემდეგ მაია, გადასულა თრიალეთში და დაბინავებულა ერთ ტყეში, რომელსაც თურმე „მაიას საბუდარს" ეძახდნენ.[2]

ხალხური გადმოცემით („გადმოცემა თამრო ვაშლოვანელზე") „თრიალეთის დიდ საყდარში თამარი ასაფლავია".[3]

ერეკლემ თინა წავკისელიც ამ სივრცეში (ბოლნისის სიონის გვერდით) დაასაფლავებინა.[4]

---

[1] იხ. ქს. სიხარულიძის ქართული ხალხური საისტორიო სიტყვიერება, ტ. II, 1964, გვ. 103-104.

[2] იქვე, გვ. 107.

[3] იხ. ქს. სიხარულიძის ქართული ხალხური საისტორიო სიტყვიერება, ტ. II, 1964, გვ. 109.

[4] იქვე, გვ. 115.

პაატა თემურიშვილიც ამ მხარეშია ნაგმირალი. მისი მოყმეობის ერთი დასტური ისიცაა, რომ საბარათიანოც აქვს შეძრული.[1]

თრიალეთში ერეკლეს ეპოსის გმირები თითქოს ძალას იკრებენ, სხვანაირსი, (ჩვეულებრივ ადამიანზე) აღმატებულნი ხდებიან, სხვა ნიშანდასმულნი, რაღაც სიწმინდეს ზიარებულნი. ერეკლეს ეპიკური გამორჩეულობის პირთბაც ამ რაღაც წმინდასთან ზიარებაა. ე. ი. თრიალეთი ის საკრალური სივრცეა, სადაც ამ ეპოსის გმირთა ფერისცვალება ხდება. ერეკლე ამიტომაც „არს ღვთისაგან დავლათიანი".[2] რა უნდა იყოს თრიალეთის ეპიკური საკრალიზაციის მიზეზი? რას იძლეოდა ამ თვალსაზრისით ისტორიული რეალობა ერეკლეს ეპოქაში? თუმცა მანამდე ქართულ ზეპირსიტყვიერებას მივმართოთ, ვნერ ის ვნახოთ, თუ რას გვაუწყებს ამის თაობაზე ჩვენი ფოლკლორული ტრადიცია. აქ, ერთი 'შეხედვით, თითქმის არაფერია ხელჩასაჭიდი. მხოლოდ რაღაცის ხსოვნის კვალი მოჩანს და ეს ხსოვნაც ფოლკლორულ ტექსტებზე მეტად არქაური მატერიალური კულტურის ძეგლებსა და ძველ ტოპონიმიკაში უფრო შემორჩენილა.

მართალია, თრიალეთის მატერიალური კულტურის ძეგლები ქართული საისტორიო მეცნიერების ყურადღების არეში XIX საუკუნის გასულიდან მოექცა და არაერთი საისტორიო გამოკვლევაც შეიქმნა, მაგრამ კვლევა-ძიებამ ისიც არაერთხელ ცხადჰყო (და ეს დღეს უფრო აშკარა ხდება), რომ აღმოჩენილ-გამოვლენილი მხოლოდ ნაწილია (აისბერგის წვერებსავით) იმ ძველთაძველი მატერიალური და სულიერი კულტურისა, რომელიც ვნერაც ელის თავის მკვლევარს, და თუ ამაზე აშკარად მატერიალური კულტურის ძეგლების ნაშთები ღაღადებენ, სულიერი კულტურის სიდიადეს აქაური ძირძველი ქაჩთული ძარღვიანი მეტყველება და მხატვრული აზროვნების

[1] იხ. ქს. სიხარულიძის ქართული ხალხური საისტორიო სიტყვიერება, ტ. II, 1964, გვ. 121.

[2] იქვე, გვ. 18.

გასათვალისწინებელი ტრადიციები ცხადყოფს, ამ რეგიონიდან გამოსულ ქართველ მწერალთა სიტყვისოსტატობასა და ხედვაშიც რომ არის არეკლილი.

თრიალეთის მატერიალური კულტურის ძეგლებსა და ძველ ტოპონიმიკაში შემორჩენილი ძველი ქართული რწმენა-წარმოდგენებისა თუ მითოსური ცნობიერების ფრაგმენტების თვალსაზრისით საინტერესო ცნობები წარმოდგენილია ცნობილი მკვლევრის ლ. მელიქსეთ-ბეგის ნაშრომში „თრიალეთ-წალკის მატერიალური კულტურის ნაშთებისა და ტოპონიმიკის შესწავლისათვის“.[1]

მოცემულ შემთხვევაში ჩვენთვის მნიშვნელოვანი ლ. მელექსეთ-ბეგის მიერ თრიალეთში (და წალკაშიც) წყლის, თევზის, ქალის კულტის ძლიერი ფესვგადგმულობის აღმოჩენა და იმის მტკიცებაა, რომ საქართველოში, ვეფხვისთყაოს გარდა, ეს კულტი ისე არ არის გავრცელებული.[2]

აღნიშნულის მაუწყებელი, მისი აზრით, თავად „თრიალეთის“ და „წალკის“ პალეონტოლოგიაა. ორივე ტოპონიმი წყალს აღნიშნავს: „თორ“-„თრ“ (ქართული), „მითრ“ (სომხური) ნიშნავს წყალს. წყალს აღნიშნავს „წალკა“-ც: „წალ“+„კა“//„წყალ“+„კალ“.

„წალ“=ქართულ „წყალ“-ს, „წყაროთ“-ს. (შდრ. „წალ+კოტი;“ ასევე: „წავ-კისი“← „წყალ-კისი“.

წყალ“=„თორ“ („თრ“).

„კა“ „კალ“-ის შეკვეცილი ფორმაა და „წყალს“ (განსაკუთრებით სლავურში), წყლის ცხოველს – თევზსაც აღნიშნავს. ამის გამოძახილია კალ-მახი, ამირანის მამის სახელი „სულკალმახი“ და ისიც, რომ ოსური ამირანი ვეშაბთნაშობიაა და მას „ზარნაკალმა“-საც უძახიან.[3]

---

[1] დაბეჭდილია აკადემიკოს ნ. მარის სამეცნიერო მოღვაწეობის 45-ე წლისთავისადმი მიძღვნილ სამეცნიერო კრებულში „მარქსისტული ენათმეცნიერებისათვის“. ტფილისი, 1934, გვ. 27-44.

[2] ლ. მელექსეთ-ბეგი, დასახ. ნაშრ., გვ. 33.

[3] აქ ლ. მელიქსეთ-ბეგი ეწყობრება ნ. მარის გამოკვლევას „რა წილი აქვს

წყლის, თევზის კულტის საფუძველი. ამ მკვლევრის ფიქრით, თრიალეთ-წალკის რეგიონის გეოგრაფიაა, წყლით გავლებულობა, თავ-ფარაჯის, ტაბაწყურის (ტბის ყურას) აუზები, გარშემო ალყად შემორტყმული მთები, „საიდანაც წალკის წყაროები ჰსჩქეფს“.[1] თავად კულტის გამოძახილი კი ამჟამინდელი ქრისტიანული ეკლესიების ზედ წყალზე (წყაროებზე) შენებაა, რომელთა ადგილებზე ძველი წარმართული სალოცავები არსებობდა. ასეთი ეკლესიების მაგალითებად ლ. მელიქსეთ-ბეგი ასახელებს „აიაზმას“ (ვახუშტი ბატონიშვილის მიხედვით „თეთრ წყაროს“), „ყიზი-ქილისას“ (ნიშნავს „ქალის ეკლესიას“), „ედი-ქილისას“ (თურქულად ნიშნავს „შვიდ ეკლესიას“). წყალზე (წყაროებზე) ეკლესიები საქართველოში სხვაგანაც არსებობს.

ასეთივე ეკლესია არსებობს, მაგალითად, დღევანდელი მარნეულის რაიონის სოფელ თფრეთში. ამ ეკლესიაში იატაკის მაგივრობას წყალში ჩაწყობილი დიდი ლოდები სწევს, რომლებიც ერთმანეთისაგან სულ ცოტა ნახევარი მეტრითაა დაშორებული. წყალში კი კალმახები და ვეება თრაგულები დაცურავენ. ისინი, რა თქმა უნდა, ხელშეუხებელია.

ლ. მელიქსეთ-ბეგი წყაროებზე აშენებულ ეკლესიებზე საუბარში თევზებს არ ახსენებს (?), მაგრამ ისინი წყლის (და არა მარტო) და თევზის (ვეშაპთიდების?) კულტის არსებობის ყველაზე ამკარა „მოწმეები“ არიან. სწორედ ეს თევზები ადასტურებენ წარმართულისა და ქრისტიანობის მისტერიალურ სიმბიოზს. ვეშაპთიდთა ამირანულ სამყაროს აზიარებენ მნახველს და თავიანთი უძრავი მზერით თითქოს გამომცდელად უკიჟინებენ: თუ გაიხსენებ (ამოიცნობ) შენამდე მოტანილ მითხსს. ასეა „შეჩერებული“ დრო-ჟამის სვლა და ცხადყოფილი მითხსის მარადჟამობა.

ქართული ენის შექმნის და განვითარების მსოფლიო ისტორიაში“ (ტფილისი, 1910) და მარსა და სპირნოვის ცნობილ ნაშრომს „Вишапы“.

[1] ლ. მელიქსეთ-ბეგი, დასახ. ნაშრ., გვ. 33.

ამ იდუმალი სამყაროს ამომცნობი და „წამკითხველი" კი დღეს იქ აღარავინაა, რელიგიური რიდი და კრძალვა დარჩენილა ამ თევზების გადამრჩენელად, რადგან „სხვა ხალხის ისმის აქ ჟრიამული". მაგრამ მაშინ, როცა ერეკლეს ეპოსის გმირები მკვიდრობდნენ ამ მიწაზე, ამ მითოსის, რწმენა-წარმოდგენების ხსოვნა ჯერ კიდევ არსებობდა. ბუნებრივია, ეს რწმენა (თუნდაც მისი ხსოვნა) არის სწორედ გამჯღავნებული ერეკლეს ეპოსში.

ახლა ისიც გავიხსენოთ, რას გვეუბნება თრიალეთზე ჩვენი ისტორია. ისტორია გვაუწყებს, რომ ერეკლეს ეპოქაში თრიალეთი „აგარიანთა შემოსევის" უმთავრესი ობიექტი იყო. ამის გამო იქ აღარაყის დაედგომებოდა. ამის შედეგად, კონკრეტულად ქვემო ქართლი ანუ სომხითი ოცდაათი წლის განმავლობაში სრულიად უდაბური ყოფილა და ხელახლა მხოლოდ მეფე ერეკლეს წყალობით დასახლებულა.[1]

ერეკლე მეორეს აქ ქართველები კი დაუსახლებია, მაგრამ ლეკიანობას თავისი გაუტანია, აქაური ქართველების დარბევასა და ტყვევნა-ხოცვაზე ხელი არ აუღია. ვინც გადარჩენილა, აყრილა და სხვაგან გახიზნულა. ესეც კარგად ცნობილი სამწუხარო ფაქტია. ექვთიმე თაყაიშვილი თავის დროზე წერდა:

„წინდელი პირწმინდად ქართული მოსახლეობა XVIII საუკუნეში თანდათან შეთხელდა და საუკუნის მიწურულს თითქმის ყველა გადასახლდა ლეკ-თათართა გამუდმებული თავდასხმების გამო. ახალმოსულებს – ბერძნებსა და სომხებს, აქ მზა ტაძრები დახვდათ, ზოგჯერ ბერგამენტის საეკლესიო წიგნებითურთ და თავიანთ სამრევლო ეკლესიებად გადააქცეს, თავიდან ყოველგვარი გადაკეთების გარეშე. მაგრამ შემდეგ თანდათან იწყეს გათავისება, გადაკეთება, გაფართოება, ზოგჯერ კი მათ ადგილებზე ახლების შენება, – უშნოებისა და მთუხერხებლებისა."[2]

---

[1] გ. ქიქოძე, ღასახ. ნაშრომი, გვ. 83.

[2] Такаишвили Е.С.. Археологические экскурсыи, разыскания и заметки, вып. IV, 1907. стр.30.

ე. თაყაიშვილის აზრს ლ. მელიქსეთ-ბეგიც ადასტურებს და ციტირებულ ნაშრომში პირუთვნელად წერს:

„თრიალეთ-წალკას (ისევე, როგორც ჯავახეთს) ამჟამად ძველი მოსახლეობა არ გააჩნია, ვინაიდან ეს უკანასკნელი XVIII-XIX სს. მოთხრებათა შედეგად აქა-იქ მიიფანტა, ან გაწყვეტილ იქმნა.

ახლა კი თრიალეთში 1829 წელს და შემდგომში ოსმალეთიდან გადმოსახლებული ბერძნები (26.312 თურქულად, 2.652 ბერძნულად მოუბარი), სომხები (11.615) და თურქები (2.400), გერმანელები (1.088) და სხვანი ცხოვრობენ". აქ 1932 წლის ვითარებაა დაფიქსირებული.[1]

ლ. მელიქსეთ-ბეგმა ისიც დაადასტურა, რომ ახალმა მოსახლეობამ ძველი ტოპონიმიკაც შეცვალა, თურქეთიდან წამოღებული „მშობლიური" სახელწოდებები გადააფარა ქართულს (ამის დადგენაც იმის წყალობით მოხერხდა, რომ ქართული ტოპონიმიკა ვახუშტი ბატონიშვილს აქვს დაფიქსირებული).

თრიალეთში მოსახლეობის შეცვლა ერეკლეს ეპოსის დასრულებისთანავე მოხდა. ერეკლეს დროს კი უმთავრესად მოსახლეობისაგან დაცლილი და გაუდაბურებული იყო. ამის დასტურია ის ფაქტიც, რომ ქართველი კაცის ცნობიერებას ამ სივრცისათვის (გამოკვეთილად ალგეთისათვის) დაუკავშირებია ამტანობის, ძლევამოსილების ჩვენს გენეტიკურ კოდში გარდასული რწმენა. ამიტომაც არის დაფარული დიდი აზრი ჩვენი ხალხის ქადილში.

„კიდევაც დაიზრდებიან
ალგეთს ლეკვები მგლისანი,
ისე არ ამოსწყდებიან
ჯავარი არ სჭამონ მტრისანი."

ესეც ალგეთის საკრალურობის გამოვლენაა, თავისებური დასტური ერეკლეს ეპოსის სივრცის ეპიკურობისა.

[1] ლ. მელიქსეთ-ბეგი, დასახ. ნაშრ., გვ. 29.

ეპიკური ცნობიერებისათვის ეს ფაქტი (დაუსახლებლობა, გაუდაბურება) სივრცის საკრალურობისათვის სრულიად საკმარისი საფუძველია, როგორც ადამიანის ფეხდაუდგმელი, შეურყვნელის და ღვთაებრივის საბრძანისი. ასეთ საკრალურ სივრცეში მხოლოდ რჩეული, მოყმე (კაი ყმა) შედის და იქიდან ნაწილიანი გამოდის. ეს მოვლენაც კარგად არის ცნობილი მითოსური ცნობიერებისათვის.

აღნიშნული ცხადყოფს, რომ თრიალეთის სივრცე გავკერებული ყოფილა წარმართული რწმენა-წარმოდგენებითა და მითოსით. ამკარაა ისიც, რომ XVIII საუკუნეში ეს მითოსური სამყარო მყარად იყო გამჯდარი აქაურ ტრადიციულ ყოფაში, მკვიდრი ქართული მოსახლეობის შეცვლამდე. ამ რწმენა-წარმოდგენების ცოდნა საქართველოს სხვა კუთხეებსაც სწვდებოდა. ამიტომაც არის, რომ მათი ხსოვნა ერეკლეს ეპოსშიც აირეკლა.

ერეკლეს ციკლის ეპოსში ისტორიული ამბების სიუხვის მიუხედავად, თავად ერეკლეს, როგორც ამ ეპოსის ცენტრალური გმირის, ზეპირსიტყვიერი პორტრეტი ისეა გამოძერწილი, როგორც ტრადიციულ ხალხურ ეპოსს სჩვევია, ანუ მხატვრული გაზვიადების ხერხით. ერთადერთი ისტორიული რეალია, რასაც ხალხის ეპიკურმა წარმოსახვამ გვერდი ვერ აუარა, ესაა მისი ტანი. ივი ამის გამო „ტანად პატარა კახია," თორემ სხვამხრივ პირწმინდად ეპიკური პერსონაჟია. გამორჩეული ფიზიკური ძალით, შეუძლია ხმლის ერთი დაკვრით შუაზე გაჭრას ცხენ-კაცი. მაგალითად, ერეკლემ კოხტა ბელადი

„ისრე გადასჭრა ცხენზედა,
წყალივით გაავლო ხმალი,
რომ თვითონაც ვერ შეიტყო,
გადაეარდა ლეკი მყრალი."[1]

[1] ქს. სიხარულიძე. ქართული ხალხური საისტორიო სიტყვიერება. II, 1964, გვ. 31-32

სხვა ლექსებში ერეკლეს გამოჩენა მტერზე თავზარდამცემად მოქმედებს, რადგან უკვე გადმოცემით იცის მისი მკლავის ძალის ამბავი. ერთ ხალხურ ლექსში ნათქვამია „გაუთამაშა ირაკლიმ, შუა გაჰკვეთა ბელადი."[1]

კლასიკური ეპოსის გმირის დარად ერეკლეს უძლეველობა ვეადრსნური შემწეების დახმარების შედეგიც არის. უპირველესად, ესაა ხმალი, თოფი და ცხენი. ხმლისა და ცხენის ვეადრსნურობა ხალხურ ლექს-სიმღერებში აშკარად არის გამოკვეთილი, თოფისა — ნაკლებად (ალბათ იმის გამო, რომ თოფი პატრონის თვალის სიმახვილეს ავლენს და ვერ ქმნის მტერზე პირდაპირ მისვლა-შერკინების ეპოსისათვის ტრადიციულ სარაინდო პასაჟს).

ერეკლეს ხმალი ხალხური ლექს-სიმღერების თანახმად ფრანგულია (უცხოა!) ან ხევსურეთშია ნაჭედი. ზოგი ხალხური მთქმელის ცნობიერებაში ეს ხმალი საფრანგეთშია გამოჭედილი, მერმე ხევსურეთშია „ნადები"(?) და ა. შ. მაგრამ იგი თითქმის ყოველთვის თუშეთშია „ნაფერი" და ამის შემდეგ არის იგი ერეკლესაგან ნაკურთხი და სათმრად ვეღარგარდასახული:

„ხმალო ხევსურეთს ნადებო,
ალვანში თუშმა გაგფერა,
გაკურთხა მეფე ერეკლემ,
სათმრად ვეღარი დაგწერა".

ასეც „ახასიათებს" ერეკლეს ხმალს ხალხური მელექსე. ასეთია ეს ხმალი გარეგნულად, თითქმის არაფრით გამორჩეული სხვებისაგან, რადგან „გაფერილი" და „ნაკურთხი" სხვა ხმლებიც იქნებოდა იარაღის დამზადების ტრადიციული ტექნოლოგიის წყალობით. შესაძლოა, წარმომავლობით ყველა არ ყოფილიყო უცხოური (ფრანგული) და ამის გამო გამორჩეულად საუცხოო. ერეკლეს ხმლის ვეადრსნურობა მის შინაგან ბუნებაშია. ამ

[1] ჭს. სიხარულიძე, ქართული ხალხური საისტორიო სიტყვიერება, II. 1964, გვ. 37.

ვაჟკაცობის ერთი ნიშანია პატრონთან ადამიანურ ენაზე მეტყველება. ეს ხმალი ესაუბრება პატრონს, ურჩევს სად, როგორ მოიმარჯვოს, რომ მტერს სძლიოს. ამის თაობაზე ხალხს ასეთი ლექსიც შეუქმნია:

ერეკლემ შემოუტია
ამ თავის გორდა ხმალსაო:
—რას შვრები, ჩემო ფრანგულო,
რატომ არ გამცემ ხმასაო?
— გულუშიშრადა შემამკარ,
ძალა ატანე კლავსაო
და მაშინ სეირს მიყურე,
სად გავაგორებ თავსაო!".[1]

ამას გარდა, ეს ხმალი თავისთავად (პატრონის სურვილისამებრ) ირჯება ომში. ეს მისი ვაჟკაცობის კიდევ ერთი ნიშანია. ერთი ხალხური ლეგენდა გვიამბობს, რომ „ერეკლემ ხმალი წინ დაიდვის და ისევ თავისთავად შემაერტყისო". ან „ერეკლე როცა ლოცვაზე დადგებოდა, ხმალს მზის შუქზე დაჰკიდებდა და ლოცვას როცა გაათავებდა, ი სხივისგან ისევ აიღებდა ხმალსაო".[2]

თითქოს ზღაბართა სამყაროდან არის გამოსული ერეკლეს ცხენიც. მის ეპიკურ პორტრეტს აშკარად შემორჩენილი აქვს ვაჟკაცობაზე, ვიდრე „გამოწვლილვითი" აღწერა-დახასიათება, მაგრამ საგმირო-საისტორიო ეპოსში ხალხური მელექსე ამბის დამაჯერებლობის შესანარჩუნებლად ერეკლეს ცხენის ვაჟკაცობას ველარ „გაამეტებდა". ამიტომ ამ ვაჟკაცობაზე მინიშნების ხერხით გაასრულა ეს დეტალი. აი, როგორია ეს სურათი ერეკლეს ზეპირსიტყვიერ ტექსტში:

---

[1] ქს. სიხარულიძის მითითებული კრებული, გვ. 53.

[2] იქვე, გვ. 86.

„ერეკლემ რო ცხენი გასძრა,
სისხლმა გაიღო თქაფანი,
უძრავად კაცსა მოჰკლავდა
იმისი ცხენის ქაქანი."[1]

ამ „ქაქანში" ამკარად იგრძნობა ვეფხისტყაოსნური რაშის ტექსტოლოგიანი სუნთქვა, მტრის შემმუსვრელი და პატრონის მტერზე გამარჯვების მნიშვნელოვანი პირობა. და ეს არის კიდევაც ერეკლეს პიროვნების ეპიკური გააზრება-წარმოსახვის ერთი ნიშანთაგანი. ამასვე ცხადყოფს ერეკლეს გარდაცვალების ზეპირსიტყვიერი თხრობის მანერა და სიბრტყეც.

ამ ამბავზე შექმნილ ზეპირსიტყვიერ ტექსტებში ერეკლეს სიკვდილის ფაქტი „რკინის კარის" შეხსნასთან არის გატოლებული. და ეს გამოთქმა მარტო რეალური ცხოვრებისეული მოვლენის მეტაფორა არ არის, ანუ იმის აღნიშვნა, რომ ერეკლეს პიროვნება, მისი საერთაშორისო პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი ავტორიტეტი „რკინის კარობას" უწევდა ქვეყანას. იგი ერეკლეს სიკვდილის ეპიკური გააზრების დადასტურებაა. რთგორც ხალხის პოეტურ წარმოსახვას სჩვევია, ამ შემთხვევაში გმირის (ერეკლეს) სიკვდილი ხალხის სამკვიდროს დაქცევაა, მთელი სივრცის იავარქმნა, დროის დინების უკუღმა შებრუნება და გმირით გამყარებული ამქვეყნიური წესისა და რიგის მოშლა-დარღვევა. უფრთ მეტიც, გმირის სიკვდილის მაცნე ხალხისათვის სწორედ ამ წესრიგის მოშლაა. ძალიან ბევრ ხალხურ ლექსში ეს ამბავი ასეა გააზრებული:

„ვერ გაიგეთა, ქართველნო?
შეგვეხსნა რკინის კარია,
მზე გაგვიბრუნდა უკუღმა,
ჩავარდა შუა ზღვაშია.
მთვარე დაბნელდა, გაშავდა,
აღარ გვინათებს ცაშია.

[1] ქს. სიხარულიძე, დასახ. კრებული, გვ. 27-28.

ატირდნენ წვრილნი ვარსკვლავნი,
ცამაც დაშალა ნამია.
აღარ გვყავს ნეფე ერეკლე,
არც იმის საომარია."[1]

აქ სრულიად აშკარაა სიკვდილის მითოსური გააზრების ფაქტი, მაგრამ გამითიურება ამით არ ამოიწურება. ამ ტექსტებში იმაზეც არის საუბარი, რომ ვიდრე ერეკლე ცოცხალი იყო, „ცხენს იგზდა," „მისძრა და მოსძრა ზღვანია" („მთანია"), „დასაყლით ხოცა ოსმალნი", „აღმოსავლეთით სპარსია", ხოლო შემდეგ ერეკლეს ანდერძის ფორმით ასეთი აზრიც არის თქმული: „ახლა თქვენ გაიმაგრონდით ქალაქის მეიდანია". ზოგ ლექსში ამ სიტყვების ადრესატები ერეკლეს შვილებია, ზოგში მთელი ხალხია ნაგულისხმევი. თუმცა ამ შემთხვევაში მთავარი ადრესატების ვინაობა კი არაა, არამედ მითითება ქალაქსა (თბილისზე) და მის ცენტრზე – მეიდანზე, მოწოდება მათს გამაგრებაზე ანუ არმოშლაზე. რატომ მაინცადამაინც ქალაქისა და მისი მეიდანის გადარჩენა-შენახვაზეა გადატანილი აქცენტი? იმიტომ, რომ თბილისი ერეკლეს ეპოსის ეპიკური სივრცის ცენტრია (ქართული მითოლოგიის ტერმინოლოგიით „კვრიეი"), ხოლო მეიდანი – ცენტრის გული. ეს ცენტრი და მისი გული უნდა გადარჩეს (ურყევად დარჩეს), რათა არ მოიშალოს (არ გაქრეს) სივრცე. თუ იარსებებს „კვრიეი", იარსებებს მასათ შემოსაზღვრული სამყაროც სივრცეც.

მითოსურობას ცხადყოფს აგრეთვე ამ თემაზე შექმნილ ზეპირსიტყვიერ ტექსტებში გატარებული შემდეგი აზრიც:

ნეფის ერეკლეს სიკვდილი
ვინა სთქვა? რა სათქმელია?
ზეცას წავიდა, ღმერთთანა,
ქრისტესთან წილნაყარია."

XIX საუკუნიდან მოყოლებული ყველა ფოლკლორისტი,

[1] ქს. სახარულიძე, ღასახ. კრებული, გვ. 287 და სხვაც.

ვინც კი ასეთი ლექს-სიმღერები გამოაგზავნინა და ჩაიწერა, აღნიშნავს, რომ „ხალხს სწამს, ნეფე ერეკლე და თამარ ნეფე ცოცხლები არიან ღმერთთან და როცა გაუჭირდება საქართველოს, მიეშველებიან, – მირონი ნეფე ერეკლეს ძვლებს ჩამოსდისო.“[1]

როგორც იტყვიან აქ კომენტარიც ზედმეტია, იმდენად ცხადია არა მარტო მხატვრული წარმოსახვის მითოსურობა, არამედ ეპიკურობაც.

ერეკლეს ზეპირსიტყვიერ თავგადასავალში ტრადიციული ხალხური ეპოსის შელახული, ფუნქციადაკარგული რემინისცენციებიც გვხვდება. ერთი მაგალითი უნდა იყოს ხალხური ლექსი „ერეკლე და გლეხის გოგო“. ეს პატარა ლექსი გვამცნობს:

ნეტავი, ქალო, ვიცოდე
მთიდან მახვალ თუ ბარათა?
ყურძნის საკრეფად ყოფილხარ,
ხელში გიჭირავს კალათა,
შენმა თვალმა და წამწამმა
მე გული გამიხალვათა.

გლეხის გოგოს უპასუხია:

მეფენი ბევრი მინახავს,
რო მოდიოდეს ჯვარითა,
შენ ჩემს თავს აბა ვინ მოგცემს
და ვერც წამიყვან ძალითა.“[2]

---

[1] ეს სიტყვები თავის დროზე თ. რაზიკაშვილმა დაურთო ამ თემაზე მის მიერ ჩაწერილ ერთ ლექსს, მაგრამ იგივე აზრი სხვების მიერაც არის დაფიქსირებული (იხ.ქს.სიხარულიძის დასახ. კრებული, გვ. 289, 290-291).

[2] იხ. ქს. სიხარულიძის დასახ. კრებ. გვ. 53-54. ეს ლექსი ა. კაპანაძეს ქართლში, სიღნაღის რაიონში ჩაუწერია მთქმელ ტატა ამირბაბარაშვილისაგან. პირველად ვ. კოტეტიშვილმა დაბეჭდა „ხალხურ პოეზიაში“ (1961, გვ. 53). ქს. სიხარულიძემ აქედან გადაბეჭდა, თან ყ. კოტეტიშვილის შენიშვნაც გაიმეორა. თითქოს „ახალგაზრდობაში“ ერეკლე ბატონაშვილმა ქართლის ერთ-ერთ სოფელში გაიარა თავისი ამალით. თვალი მთჰკრა ერთ ლამაზ ქალიშვილს, თვალუყურება გოგონას, ძალიან მოეწონა და ლექსად შეუკითხა, რაზედაც

აქ თვალში საცემია ამბის ფრაგმენტულობა და ალოგიკურობაც. მაგრამ ესეც რომ არ იყოს, მაინც აშკარაა ხალხური სატრფიალო ეპოსის (თუნდაც „ეთერიანის") დასაწყისის ეპიკური თარგი. ამიტომ საყვედურია. რომ ერეკლეს ზეპირსიტყვიერ თავგადასავალში ამ თემაზე უფრო ვრცელი და ბრწყინვალედ სრული ლექსიც არსებობდა.

ეს ლექსი ასეთი ვარაუდის საფუძველს აშკარად იძლევა და ეპოსის გმირის მიერ საცოლის ძიების ეპიზოდის ფრაგმენტს ნამდვილად წააგავს.

დანარჩენი ეპიზოდები ერეკლეს ზეპირსიტყვიერი თავგადასავლისა რეალურ, ისტორიულ ამბებს ასახავს. ესაა ის უმთავრესი ომები და ბრძოლები, რომელთა გადახდაც მოუხდა ერეკლეს თავისი სახელმწიფოებრიცი მოღვაწეობის რთულსა და ფათერაკებიან გზაზე. ჩვენი ხალხის მეხსიერებაში ყველა მნიშვნელოვანი ბრძოლა აღიბეჭდა და სრულიად ზუსტი და ობიექტური შეფასებაც მიეცა. ეს იოლად გასარკვევი აღმოჩნდა, რადგან ამ ბრძოლების ზეპირსიტყვიერ თხრობათა გარდა არსებობს ისტორიული წერილობითი წყაროები თუ ცნობებიც და მათი შედარების საშუალებაც.

ასეთი შედარებითი კვლევა-ძიება მეტ-ნაკლებად და ამთავითვე თითქმის ყველა ფოლკლორისტმა ჩაატარა, ვინც კი ერეკლეს ზეპირსიტყვიერ ტექსტებს შეხებია ამა თუ იმ კუთხით. ყველაზე სრულად კი ეს სამუშაო ქს. სიხარულიძემ განახორციელა. მან ჯერ ცალკეულ ბრძოლათა ამსახველი ლექსები დაალაგა თემატურად, შეძლებისდაგვარად გააერთიანა კიდევაც ზეპირსიტყვიერი ტექსტები. ამის შემდეგ ყოველი ბრძოლის ზეპირსიტყვიერ თხრობას მოუძებნა საისტორიო წყარო და გაარკვია (კომენტარის დონეზე) რა ბრძოლაზე

გოგონამ ასეთი „ქედიდური და ლაღი პასუხი მისცა" (ვ. კოტეტიშვილი. გვ. 354-355; ქს. სიხარულიძე. გვ. 285). თუმცა ასეთი განმარტება ცოტა ძნელად დასაჯერებელია არა სიტუაციურად, არამედ ბრწყინვალედ და კითხვა-პასუხის ლოგიკით.

გვიამბობს მთქმელი კონკრეტულ ლექსში და სად და როდის მოხდა ეს ბრძოლა სინამდვილეში.[1] ასე რომ, ერეკლეს ზეპირსიტყვიერი თაყვადასავლის რეალობასთან მიმართების საკითხი უკვე გარკვეულია ქს. სიხარულიძის მიერ. ე. ი. ფოლკლორისტიკის ასპექტში შექმნილია საფუძველი ისტორიული სინამდვილის ზეპირსიტყვიერი ასახვის თავისებურების გამოსავლენად.

ქს. სიხარულიძის მიერ ერეკლეს ბრძოლების თემატიკის შესაბამისად ზეპირსიტყვიერი ტექსტების დაჯგუფება თბტიმალური ჩანს. ამას ის ფაქტიც ცხადყოფს, რომ ერეკლე მეორის მიერ გადახდილ თრასზე მეტი ბრძოლიდან თითქმის იგივე ბრძოლები მიიჩნია მნიშვნელოვნად და თხრობისათვის ღირებულად მისმა ლიტერატურულმა ბიოგრაფმა გერონტი ქიქოძემ,[2] რომლის მხატვრულ-ისტორიული ნარკვევის ფორმით დაწერილი მონოგრაფია, „თვისობრივად ახალი ჟანრის დამკვიდრების ცდად" მოიაზრა ქართულმა ისტორიულმა მეცნიერებამ.[3]

გ. ქიქოძე მართლაც ზედმიწევნით ზუსტად ჩაწედა ერეკლე მეორის ეპოქის არსს, თაყვად ერეკლეს ნაღვაწის სულის-კვეთებას და „ერეკლე მეორე წარმოგვიდგინა ერის ხსნის გოლგოთაზე ამაყალ მძიმე ჯვარისმტყორთელ მეფე-რაინდად, სამშობლოს გადარჩენის დიდ ბომონზე შეწირულ პიროვნებად. ამ ლეგენდადქცეული მოღვაწის სახით მწერალი (გ. ქიქოძე – თ. ჯ.) ხედავს ეროვნული გმირის იდეალს".[4] აქაც ეროვნული გმირის იდეალია ერეკლე მეორე და ალბათ ამიტომაც ექცევა ერთი და იგივე ამბები ერეკლეს ზეპირსიტყვიერ თუ საისტორიო თაყვადასაკლებში.

---

[1] ამ თვალსაზრისით იხ. ქს. სიხარულიძე, ქართული ხალხური საისტორიო სიტყვიერება, II, 1964, გვ. 217-301. აგრეთვე „ქართული ხალხური საგმირო პოეზიის საკითხები". 1970 და ბევრი სხვაც.

[2] იხ. გ. ქიქოძე. ერეკლე მეორე (ისტორიული მონოგრაფია), IV გამოცემა, 1983.

[3] იქვე, გვ. 180.

[4] იხ. გ. ქიქოძის დასახ. წიგნის ბოლოსიტყვაობა ლ. ტუხაშვილისა „გერონტი ქიქოძე და მისი „ერეკლე მეორე", გვ. 181.

ერეკლეს ბრძოლების ზეპირსიტყვიერი ამბების ისტორიული წყაროების ცოდნა, ბუნებრივია, მათს მიმოხილვას (თუნდაც გასახსენებლად) ამ ეპოსის სრული გაანალიზება მაინც მოითხოვს. მაგრამ კონკრეტული მასალის შედარებით თუ შეპირისპირებითი პრინციპით მიმოხილვამდე ერთი დეტალის გახსენებაც არის აუცილებელი.

ზემოთ უკვე ითქვა, რომ ერეკლეს ეპოსში, როგორც ციკლური სტრუქტურის საგმირო-საისტორიო ეპოსში, გმირი პასიურია, უკანა პლანზეა (გარკვეულწილად), უფრო აქტიურნი სხვა გმირები არიან, რომლებიც ერეკლეს კარზე მიდიან და მისი მითითებებით გმირობენ. საგულისხმოა, რომ საკუთრივ ერეკლეს ზეპირსიტყვიერ თავგადასავალში შემავალი კონკრეტული ბრძოლის თემაზე შექმნილ ლექს-სიმღერებსაც მსგავსი სტრუქტურა აქვთ. ისინი თავის შიგნით ერეკლეს ციკლური ეპოსის მოდელს მინიატურულ მასშტაბებში განასახიერებენ, ე. ი. ყოველი ასეთი ლექსი ერეკლეს ციკლური ეპოსის მიკრომოდელია. აქაც ერეკლე უხმობს თავის „უნაკ ყმებს", ისინი იარაღს ისხამენ, ჩადიან თბილისში, აქედან გადიან საომრად მეფესთან ერთად... ამ ლექსებშიც მთქმელს ზოგჯერ გარკვეულ ეტაპზე „ავიწყდება" ერეკლე, იმას გვიამბობს, ვინ და რით გამოიჩინა თავი მოკლეშულ კონკრეტულ ბრძოლაში (თუმცა აქ ამ სხვა გმირებს საკუთარი თავგადასავალი არ აქვთ).

თხრობის ასეთი სტილი ამბავს აფერემთალებს, აკლებს შთამბეჭდავობას და ფრაგმენტულობის განცდას ქმნის (ესეც არის ერთი მიზეზი იმისა, რომ ერეკლეს ზეპირსიტყვიერი თავგადასავალი ერთგვარად მოუხელთებელი აღმოჩნდა ფოლკლორისტიკაში). სინამდვილეში კი ეს იმ სტრუქტურის ბრალია, რომელიც ერეკლეს ეპოსის საფუძველს წარმოადგენს და თავისი „ყოვლისმეტყველობით" კონკრეტულ ლექსებშიც არის „შეჭრილი". უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, ესაა ეპიკური თხრობის ის მოდელი, რასაც ემყარება ერეკლეს ეპოსის შემქმნელი

ზეპირსიტყვიერება. მთქმელი ყოველ ასეთ კონკრეტულ ლექსს ეპოსის სტრუქტურაზე აგებს და მისი მიკრომოდელი გამოსდის.

ერეკლეს ზეპირსიტყვიერ თავგადასავალში მოთხრობილი რეალური (ისტორიული) საფუძვლების მქონე ამბები როგორ ალიბეჭდა ხალხის მეხსიერებაში. რა არის ერეკლეს ხალხური თავგადასავალი და კიდევ ერთი დეტალი.

ზემოთ უკვე ითქვა, რომ ერეკლეს ცხოვრების რიტმი მტერზე განუწყვეტელ „მიხტომა-თავდაცვის" მცდელობებს ემყარებოდა. ეს რიტმიც რაღაცნაირად უნდა ასახულიყო მის ეპიკურ თავგადასავალში და ბუნებრივია, აისახა კიდეცაც. ეს იმაში გამოვლინდა, რომ იმ ხალხურ ლექს-სიმღერებში, რომლებიც ერეკლეს ბრძოლათა ამბებია მოთხრობილი, ერეკლე ან ლაშქრობაშია და იბრძვის, ან ვაჟარს (უნაგ, ყმებს) უხმობს საომრად („თავი დამჭირდა თქვენიაო"). ეს რიტმი განსაკუთრებით ცხადად თუშ-ფშავ-ხევსურულმა ლექს-სიმღერებმა აღბეჭდა.

ამისავე გამოძახილია ერეკლეს ზეპირსიტყვიერ თავგადასავალში თმებისა და ბრძოლების თემაზე შექმნილი ლექსების სიუხვეც. თუმცა ისტორიულად, რეალურად გადახდილი თმებისა თუ ბრძოლების „დამახსოვრება" ზეპირსიტყვიერებამ მაინც ვერ შეძლო (ანდა როგორ უნდა მოეთხრო ერეკლეს მიერ გადახდილი ყველა ბრძოლის ამბავი – 200-მდე დიდ-პატარა ბრძოლისა?). ხალხის ცნობიერებამ უტყუარად ამთარჩია უმთავრესი, საეტაპო მნიშვნელობის თმები და ბრძოლები, ისეთები, რომელთა შედეგებსაც არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა ჩვენი ქვეყნისათვის.

პირველი მნიშვნელოვანი ამბავი, რასაც ზეპირსიტყვიერება ერეკლეს დაბადებისა და ზრდის შემდეგ მოგვითხრობს, ესაა მისი ბრძოლა უსუფ ფაშასა და გივი ამილახვრის წინააღმდეგ.

რას გვამცნობს ამის თაობაზე ჩვენი ისტორია?

1740-41 წლებია, ქართლ-კახეთის ძნელბედობის დრო. ქართლს ვექილი, ანუ სამოქალაქო გამგე დიდგვაროვანი

გივი ამილახვარი განაგებს. ეს ნადირ-შაჰის საჩუქარია ამ პირობებისათვის, შან'შე ერისთაყის დამარცხების შემდეგ. ნადირ-შაჰი ძლეყამოსილია დაბრუნებული ინდოეთიდან. ერეკლე ბატონიშვილია. ნადირ-შაჰის სკოლაგაველილი. უკვე თელაყშია, მამასთან (1739 წლიდან), ხალხის თვალში „ნათათარალია."

ნადირ-შაჰს დაღესტნის საქმის მოგვარება უნდა, ასიათასიანი არმიით შეესია... ეგარს ფურაჟი სჭირდება. ვინ უნდა გაიღოს, თუ არა ქართლმა? მძიმეა ხარკი, ათასობით ცარტო ურმები სჭირდება ერანის ეგარს... დაიმშა ქვეყანა.... გაუსაძლისობამ გივი ამილახვარი ააყანყა. მომხრეებიც გამოუჩნდნენ, თურქლეკებიც გვერდში დაიყენა. მაინც ორად გაიყო აზრი. ქართლსა და კახეთში ბევრმა არ ინდომა გივი ამილახვრის მომხრეობა, ერანელთა მხარეს დადგა. ამათ შორის აღმოჩნდნენ მამა და შვილი კახთბატონი თეიმურაზი და ერეკლე ბატონიშვილი. ბრძოლის ბედიც ამან გადაწყვიტა.

თეიმურაზმა გივი ამილახვრის მომხრეთაგან ვერ არაგვის ხეობა გაწმინდა, მერე – ქსნისა, ერეკლე კი მცირე ეგარით გივი ამილახვარს ცხინვალთან მიუხტა, სძლია მის თურქლეკთა ერთიან ეგარს, ამოწყვიტა. ომში თურქეთიც ჩაერია, გივი ამილახვარს ახალციხის ფაშას (ჯუსუფის) მეთაურობით დიდძალი ეგარიც მიაშველა და ფუელიც, დაღესტნის ეგარის დასაქირავებლად.

გივი ამილახვარმა და უსუფ ფაშამ თეიმურაზს გორთან შეუტიეს, შეავიწროვეს... თეიმურაზი გორის ციხეში გამაგრდა. გივი ამილახვარმა და უსუფ ფაშამ ლეკთა ბელადი მალაჩი თთხი ათასი კაცით დაღესტანში გაგზავნეს, ახალი ეგარის დასაქირავებლად. თეიმურაზმა ეს ამბავი გაიგო და ერეკლეს აცნობა. ერეკლემ კახელებსა და თბილისის ერანულა გარნიზონის ნაწილს მოუყარა თავი და მტერს საგურამოსთან ჩაუსაფრდა. მტერი ამას არ ელოდა, მშვიდად მიადგა ადიდებულ არაგვს და იქვე, ნაპირზე, გასვლა იწყო. ერეკლე თავს დაესხა,

უკუაქცია, მერე თავად შევარდა წყალში, მდინარეს გავიდა, ვაქურ ეკვეთა ლეკთა ბელადს – მალაჩის და მოკლა. მტერი აირია, ურიცხვი ამოწყდა. გაიმარჯვება ერეკლე ბატონიშვილმა. ნადირ-შაჰმა დიდად დაუმადლა ეს გამარჯვება მამა-შვილს. ერეკლეს თქროთი დარახტული ცხენი, მძიმე ხმალი და კახეთის მეფობა უბოძა, თეიმურაზი კი ქართლის ტახტზე დაამტკიცა.

1744 წელი დასჩერებოდა ქართლ-კახეთს, ახალი დროის დადგომას ანიშნებდა გატანჯულ ხალხს, კარგა ხნის წინ მეფობაგაუქმებულ ქვეყანაში მეფე-პატრონების გაჩენას, თანაც როგორი მეფეებისა, მაჰმადიანებისა კი არა, – ქრისტიანებისა. არადა საუკუნეზე მეტი დრო გასულიყო, რაც ქრისტიანი მეფე აღ ენახა ქართლსა და კახეთს. ამიტომ სასიკეთო პირი უჩნდებოდა ცხოვრებას.

იმ უთავბოლო დროებაში ხალხმა მაინც მოიცალა ზეიმისათვის და დიდებული დახვედრა მოაწყო თბილისში ამ ფაქტს გამო. ქალაქის ქუჩები და მოედნები ყვავილებით მორთო, გააჩირაღდნა... ლილოს გზით მობრძანებულ თეიმურაზს მეტეხთან სამღვდელონი და მოქალაქენი დახვდნენ. მალე დიდუბიდან ერეკლე ბატონიშვილიც ეწყია. დიდმა ნადიმმა და სახალხო დღესასწაულმა თურმე რამდენიმე დღეს გასტანა. მაღლა ასულიყო მამა-შვილის სახელმწიფო ზეობის გაბრწყინებული მზე. მაგრამ დიდი ხნით კი? – ძალიან ახლოს იყო ამ მზესთან შავი ღრუბლებიც, ერთი – ლეკთა, სხვა კი ისევ იმ დამარცხებული გიჟი ამილახვრისა...

მამა-შვილი ზეიმის შემდეგ კახეთს გაემართნენ, რათა ერეკლეს სამეფო ტახტზე ასვლა ოფიციალურად გაეცხადებინათ, მაგრამ საგარეჯომდე მიაღწიეს. აქ ლეკთა შემოსევის ამბავი დახვდათ. 3000 ცხენოსანი ლეკი ყაბახს შეესიათ. თეიმურაზი თბილისს გაბრუნდა, ვაჟს გაუძღვა, ლეკთა მარბიელ რაზმებს დაეწია, სძლია და ნადავლი დააყრევინა. ლეკები, ისევ და ისევ ლეკები... „ყველაზე დიდი უბედურება... მთელი აღმოსავლეთ საქართველოსთვის.“

ეს ის ლეკებია, ძველი ჰერეთის ტერიტორიაზე, „ჭარსა და ბელაქანში, ბატარა რესპუბლიკები რომ შექმნეს და კოლექტიური ბატონობის უღელი დაადგეს გადარჩენილ ქართველ ქრისტიან გლეხობასაც", თავიანთი მარბიელი ვეარებით მოუშორებელ ჭირად რომ მოევლინენ ქართლ-კახეთს.

რამდენჯერ მოუწევთ მამა-შვილს ხმლის ტრიალი და მოსრვა ლეკთა... რამდენჯერ!

მანამდე კი სურამის ციხეში გამაგრებული გივი ამილახვრის საქმეც ბოლომდე მისაყვანი ჰქონდათ თეიმურაზსა და ერეკლეს. ბრძოლამ ვერაფერი ქნა, დიპლომატიამ გასჭრა. გივი ამილახვარი გატყდა. ციხის კარი გააღო. ნადირ-შაჰს დაამორჩილდა და ერანის გზას გაუყვა განაჩენის მისაღებად.

ერეკლეს ზეპირსიტყვიერ თავგადასავალში ეს პიროვნება მეტად აღარ ჩანს. ისტორიულად კი ცნობილია, რომ გივი ამილახვარი ჰავჟი-ჩალაბის წინააღმდეგ უკვე ერეკლეს გვერდში ედგა და ომობდა.

ასეთია რეალურ-ისტორიული ასპექტი იმ ამბისა, რასაც ზეპირსიტყვიერებაში გივი ამილახვრისა და უსუფ ფაშას წინააღმდეგ ერეკლეს ბრძოლის ამბავი ჰქვია.[1]

როგორ გაიაზრა ეს ისტორიული მოვლენა ხალხმა და რა შემორჩა მის მეხსიერებას? არა გივი ამილახვრის ავკაცობა ნადირ-შაჰის წინააღმდეგ, არამედ უპირველესად უსუფ ფაშას ერეკლეს წინააღმდეგ გამოლაშქრება „გურჯის ქვეყნის" წასართმევად, შემდეგ ცხინვალთან ბრძოლის ხსენება, ხევსურთა ხმობა, მათი ლაშქრის თბილისში ჩასვლა, შემდეგ გალაშქრება უსუფ ფაშასა და გივი ამილახვრის წინააღმდეგ. ამასთან გივი ამილახვარი მხოლოდ გაკვრითაა ნახსენები („მათი ფრანგულის ამაწვდა ამილახორის ბრალია"). ძუნწად, მაგრამ ზუსტად არის ნათქვამი მთელი ამ ომის მიზეზი – „ამილახვრის

[1] ისტორიული ფაქტების თხრობა აქაც და შემდეგაც უმთავრესად გ. ქიქოძის დასახელებულ წიგნს ემყარება. გივი ამილახვრისა და უსუფ ფაშას წინააღმდეგ ერეკლე თეიმურაზის ბრძოლის ამბები ვრცლად იხ. გვ. 44–55.

ბრალიაო". ზოგიერთ ასეთ ლექსში მთქმელი ამკარად გულისხმობს, რომ მისმა მსმენელმაც შესანიშნავად იცის ამ ბრალეულობის შინაარსი და მისი თხრობა ზედმეტად მიაჩნია. ხოლო რა იცის და რომ მართლა იცის, ეს ამბავში შემავალი სხვა ზეპირსიტყვიერი ტექსტებიდან ირკვევა; იცის, როგორ განუდგა მერყევი პოზიციის ფეოდალი („ხან აქეთა ხარ, ხან იქით, საითაც ქარნი ჰქრიანო"), როგორ ჩაიკეტა სურამის ციხეში „გუნებათაღლითიანი".

ხალხის მეხსიერებამ არც გივი ამილახვრის განდგომის მიზეზი დააფიქსირა, არც მამულიშვილურ მცდელობათა შინაარსი. იგი მტრის მომხრედ დაიგულა; გორის ბრძოლის გამოძახილიც მოგვაწოდა და საგურამოსთან ერეკლეს გამარჯვებაც ლეკთა ბელად მალაჩისა და იმ ლაშქარზე, რომელიც უსუფ ფაშამ და გივი ამილახვარმა დაღესტანში ვაჟარის დასაქირავებლად გააგზავნეს; ანუ გვიამბო უსუფ ფაშასა და გივი ამილახვრის წინააღმდეგ ერეკლეს (და არა ერეკლე – თეიმურაზის) ომის ამბავი, ამბავი და არა აღწერა, თანაც ამბის ხალხისეული ვარიანტი. ეს აბავი კი ამ თემაზე შექმნილ და ჩვენამდე მოღწეულ ზეპირსიტყვიერ ტექსტებში სწორედ ეპოსის თარგზეა მოთხრობილი. აქ ერეკლეა მთავარი, ხალხის გმირი, ქვეყნის მტრისაგან გამწყმენდი. მთელ ამ ეპიზოდს (ისევე, როგორც სხვებს) ეს იდეა აერთიანებს და ერთ ამბად წარმოგვიდგენს.

ერეკლეს ზეპირსიტყვიერ თავგადასავალში შედარებით ნაკლებად ცნობილი ეპიზოდია „ამბავი ერეკლეს ოსეთში გალაშქრებისა". ამის უპირველესი გამოძახილია ამ თემაზე შექმნილი ზეპირსიტყვიერი ტექსტების სიმცირეც. სულ თრიოდე ლექსია დაფიქსირებული. თანაც ამ ლექსების ჩამწერ-გამომცემელთა შორის არც იმის თაობაზეა ერთიანობა, თუ სახელდობრ რომელი ისტორიული ფაქტის გამოძახილია ამ ლექსებში. ასე, მაგალითად, აკ. შანიძე, რომელმაც ამ ამბის შემცველი ხალხური ლექსები („თრუსოს ჩავიდეს ხევსურნი",

„სათრუსოოდ") გადაბეჭდა ნ. ურბნელის მიერ „ივერიაში" (1891, №№ 90) გამოქვეყნებული ტექსტებიდან, ვარაუდობდა, რომ ამ ლექსებში საუბარი უნდა იყოს ერეკლეს გადასვლაზე თერგის ხეობაში 1753 წელს. იგი ომან მდივან-ბეგის ამ ცნობას დაემყარა, რისი მიხედვითაც ერეკლემ ოსებისა და ჩერქეზების ვკარი დაიხმარა მუხისა და ყარაბაღის ხანების ლაშქრის წინააღმდეგ ომში.[1]

ქს. სიხარულიძემ გაარკვია, რომ ამ ლექსებში ლაპარაკი უნდა იყოს, ქართველთა ლაშქრის ოსეთში გადასვლაზე, თრუსოს ათხრებასა და მთიულების ალაგმვაზე, რის შესახებაც იგივე ისტორიკოსი – ომან ხერხეულიძე გვაწვდისო ცნობებს.[2] ეს კი 1746 წელს მოხდაო. სამართლეს ქს. სიხარულიძის ცნობა უნდა შეესაბამებოდეს, რადგან ამ ხალხურ ლექსებში დაიხმარე ვკარის დაქირავებაზე კი არ არის საუბარი, არამედ სწორედ თრუსოს გადაწვა-ათხრებაზე.

ქართლის ტახტის ერთ-ერთი მაძიებელი, ანტონ კათალიკოსის გამაჰმადიანებული ძმა – არჩილი (აბდულა ბეგი) ქართლის სამეფო საგვარეულოს ის წარმომადგენელი იყო, რომელმაც ერეკლე II ენერგიული ბრძოლა გაუმართა.

ისტორიულად ცნობილია, რომ როდესაც თეიმურაზ II ნადირ-შაჰის ბრძანებით ისპაჰანს წასასვლელად გაემზადა, ქართლის გამგებლად დროებით აბდულა-ბეგი დანიშნა, რომელიც იმხანად ოვსახიანად სამშვილდის ციხეში ცხოვრობდა. მან ერეკლეს შეუთვალა, – კახეთს არ გედავები და ქართლზე ხელი აიღეთ.

ერეკლემ მოლაპარაკება სცადა, თბილისელი ებისკოპოსი მიუგზავნა, მაგრამ ამ საქმიდან არა გამოვიდა რა. ამიტომ ერეკლემ ლეკთა ვკარი იქირავა და სამშვილდის ციხეს შემოერტყა, თუმცა ვერ აიღო, უკან გაბრუნდა.

---

[1] იხ. აკ. შანიძე, ხალხური პოეზია, I, ხელსურული, 1931, გვ. 363.

[2] ქს. სიხარულიძე, დასახ. ნაშრ. გვ. 238.

აბდულა-ბეგი ცახიდან გავიდა, აზერბაიჯანის მმართველს ამირ ასლან-ხანს 8000 ავღანელი მოლაშქრე გამოსთხოვა, კოდას მიაღწა და ერეკლეს თბილისის დატოვება მოსთხოვა. ერეკლემ უარი შეუთვალა, ქალაქი გაამაგრა. ხარიყალასა და მეტეხის ციხეებიდან ყიზილბაშები განდევნა, თაბორის კოშკიც აიღო. აბდულამ შეტევა ველარ გაბედა, უკან გაბრუნდა. ბოლოს ერეკლემ აბდულა-ბეგი მაინც შეირიგა, საუფლისწულო მამულიც მისცა. ასევე შეუნდო აბდულას მხარეზე გადასულ ბარათაშვილებსა და ყაზახელ მაჰმადიანებსაც.[1]

ამ ისტორიული ფაქტის ზეპირსიტყვიერ მოთხრობაში მხოლოდ ის ეპიზოდია დამახსოვრებული, რომელიც აბდულას თბილისზე მისვლა-მუქარას შეეხება. ხალხისთვის აბდულა-ბეგი „პამპულიაა", მტერი... ამიტომაც არა მარტო დაგმობილია, არამედ სასაცილოდაც არის აგდებული, გამასხარავებულია როგორც უნიათო და ურჯულო ავანტურისტი.

ერეკლეს ზეპირსიტყვიერ თავგადასავალში ორ ამბავს (ეპიზოდს) ქმნის ბრძოლები ნუხის-ხანის ჰაჯი-ჩალაბისა და თავრიზის მფლობელის აზატ-ხანის წინააღმდეგ. ამ ბრძოლებზე უამრავი ლექს-სიმღერა შექმნა ჩვენმა ზეპირსიტყვიერებამ. სრულიად აშკარაა, რომ ხალხმა სწორედ გაიაზრა ამ ბრძოლათა მნიშვნელობა საქართველოსათვის, რადგან აქ გამარჯვებამ კარგა ხნით განსაზღვრა ქართლ-კახეთის ჰეგემონობა მთელ სამხრეთ კავკასიაში.

ისტორიიდან ცნობილია, რომ 1747 წელს ნადირ-შაჰის მოკვლამ სპარსეთში არეულობა გამოიწვია. ორი-სამი წლის მანძილზე ტახტს ერთი-მეორეს ეცილებოდნენ შაჰობის მაძიებელნი. ერეკლე მეორე ფხიზლად ადევნებდა თვალს იქ, ისპაჰანში, მომდინარე ამბებს. ერთხანს ჯავაროსნული ომიც კი ჩაიფიქრა. გადაწყვიტა ჯარით ერანში ჩასულიყო და წესრი-

[1] გ. ქიქოძე, დასახ. ნაშრ. გვ. 59-65.

გი დაემყარებინა.[1] ამ მიზნით ერეკლემ დაღესტნის, შირვანის, აზერბაიჯანის ხანებს კავშირის შეკვრაც კი შესთავაზა. მათ ერეკლეს წინადადებას ეჭვით შეხედეს, – ერეკლეს ერანის ტახტზე ასვლა უნდათ. ამიტომ პირი ერეკლეს წინააღმდეგ შეკრეს, მაჰმადიანთა კოალიციას სათავეში ნუხის ხანი ჰა-ჯი-ჩალაბი ჩაუდგა.

ერეკლემ და თეიმურაზმა აღარ დააყოვნეს, ნუხის სახანოში შეიჭრნენ და თავიდან მტერს სძლიეს, თუმცა მწარე მარცხიც იწვნიეს. აღმოჩნდა, რომ ჰაჯი-ჯალაბს საფარი მოეწყო ქვეითი ჯარით. ქართველები მახეში გაებნენ, იძლიენენ და ალაზნისაკენ უკან დაიხიეს. ბევრი სწორედ ალაზანში დაიხრჩო. თაყვად ერეკლეს ცხენი მოუკლეს და ტალახში ჩაფლული გლეხმა დათუკი ქვებირიშვილმა გადააჩრჩინა. სწრაფად მიჰგვარა თავისი ცხენი და სამშვიდობოს გაიყვანა (ამ ამბავს დაწვრილებით სწორედ ხალხური ლექსი გვიამბობს).[2]

ეს ამბავი 1752 წელს მოხდა. ამ მარცხმა ერეკლეს მაჰ-მადიანი ვასალები და მოკავშირეები აშკარად გაუორგულა, განუდგნენ განჯის, ერევნის ხანები, ყაზახ-ბორჩალოც. კახეთს მოთარეშე ლეკები შეესიენენ. სამხრეთში ამოძრავდა აზატ-ხან-იც. მან მდინარე არეზი გადალახა, ნახჭევანის სახანო დაიჭირა, ერევნის სახანოც მოარბია და ერევნის ციხეს შემოერტყა.

ერეკლემ თავი მოუყარა ქართლ-კახეთის, ყაზახ-ბორჩალოს ჯარს და ერევანს მიადგა. აზატ-ხანმა ციხეს ალყა მოხსნა, უკან დაიხია. ერეკლემ ერევანი გაამაგრა და იქაური საქმეები მოაწესრიგა. აზატ-ხანი ვერ დამშვიდდა, ხელახლა გადმოლახა მდინარე არეზი და მდინარე გარნიჩაის ნაპირას მაღლობზე გამაგრდა. ერეკლემ ბრწყინვალე სამხედრო ტაქტით სძლია მტერს. ქართველმა კავალერიამ მტერს ორმოც კილომეტრზე

[1] გ. ქიქოძე, დასახ. ნაშრ. გვ. 70.

[2] ამ დათუკი ქვებირიშვილის შთამომავლები დათუკიშვილების გვარს ატარებენ.

სდია და აკაფა. არეზის აქეთა მხარე სრულიად გაიწმინდა აზატ-ხანის რაზმებისაგან. ახლა ერეკლემ ჰავკი-ჩალაბისათვისაც მოიცალა. იდგა 1752 წელი.

ერეკლე მეორემ ოთხი ათასი ჩერქეზი მოლაშქრე დაიხმარა, ქართლ-კახეთის ჯარს შეუერთა ჰავკი-ჩალაბისა და მისი მოკავშირე განჯის ხანის წინააღმდეგ გაილაშქრა, შამშადილში მტერი სასტიკად დაამარცხა. აზატ-ხანი შეშინდა და ზავი ითხოვა, განდგომილი ვასალებიც შემოუბრუნდნენ. ის კი არა და შირვან-აზერბაიჯანის მფლობელებმაც მეგობრული კავშირი შესთავაზეს. ქართლ-კახეთის საშეფოს ავტორიტეტი უზომოდ გაიზარდა და სამხრეთ-აღმოსავლეთის საზღვარზე კარგა ხნით მშვიდობიანობა დამყარდა.[1]

ერეკლეს ეპოსში ერთ ეპიზოდში („ამბავი ერეკლეს ბრძოლისა ჰავკი-ჩალაბთან") ქართველთა მარცხის ამბავია მოთხრობილი. აქაც აქცენტი მეფე ერეკლეს გადარჩენასა და დათუკი ქვეპირიშვილის თავგამოდებაზეა გადატანილი. მეორე („ამბავი ერეკლეს ბრძოლისა აზატ-ხანთან") – უმთავრესად აზატ-ხანის მარცხისა და გაქცევის თხრობაა.

რეალური, ისტორიული ფაქტია მოთხრობილი ეპიზოდში „ამბავი ერეკლეს ღალატისა". ცნობილია, ვახტანგ მეექვსის უკანონო ვაჟმა, რუსეთსა და ინგლისში განათლებამიღებულმა (არტილერისტმა) ბაატა ბატონიშვილმა 1776 წელს შეთქმულება მოაწყო ერეკლეს წინააღმდეგ. ამ შეთქმულებაში მონაწილეობდნენ: ზაალ ორბელიანი, აბდულა ბეგისშვილი, დავით ბატონიშვილი, მეფის სახლთუხუცესი დიმიტრი ამილახვარი, რამდენიმე თავადი და რუსეთის მთავრობის მსტოვარი. ვინმე ბაკუნინი. მათ ერეკლე უნდა მოეკლათ, ოჯახი ამოეწყვიტათ და ბაატა გაეძეფებინათ. ბაატა ვინმე დათუნა ფეიქარს გაეცდო, რადგან მისი ცოლი ერეკლეს ასულის – ქეთევანის ძიძა იყო. ამ ძიძას უნდა შეეპარებინა შეთქმულები ერეკლეს სასახლეში. დათუნა ფეიქარმა ეს საიდუმლო მოძღვარს ქრისტესია

[1] გ. ქიქოძე, დასახ. ნაშრ., გვ. 74.

მღვდელს აღსარებაში უთხრა. მღვდელმა ერეკლეს აცნობა. ერეკლემ თავად გამოიძია ყველაფერი და საქმე სამეფო დარბაზს გადასცა, განსახილველად. შეთქმულები სასტიკად დასაჯეს.[1]

ზეპირსიტყვიერებამ ეს ფაქტი თავისებურად შემოგვინახა. დათუნა ფეიქარმა აღსარებაში კი არ გათქვა შეთქმულება, არამედ ანგელოზთა ჩაგონებით აღიარა მეფის წინაშე. ხალხური ლექსის თანახმად, შეთქმულებმა დათუნა ფეიქარი ერანში გააგზავნეს ქერიმ-ხანთან, დახმარების სათხოვნელად, თან საიდუმლო წერილიც გაატანეს. გზაში დათუნა ანგელოზებმა დაარწმუნეს, „როგორ შეიძლება მეფის ღალატი?" ერეკლემ საიდუმლო წერილიც წაიკითხა და დამნაშავენი მკაცრად დასაჯა. ლექსში დაწვრილებით არის ჩამოთვლილი ვინ რა სასჯელი მიიღო. დათუნა ფეიქარი კი მეფემ დააჯილდოვა, კახეთში ცხინე და ქალაქი უბოძა.

ერეკლეს ზეპირსიტყვიერ თავგადასავალში ყველაზე ვრცლად მოთხრობილია სამცხე-ჯავახეთისათვის ერეკლეს ბრძოლის ამბავი და ეს ბუნებრივიცაა. საქართველოს ისტორიიდან კარგად არის ცნობილი ერეკლეს ბრძოლა ჯერ აწყურთან, რუსთა სამხედრო ვერაგობა (გენერალ ტოტლებენის ღალატი). შემდეგ ბრწყინვალე გამარჯვება ასპინძასთან. „ასპინძის ომის" სახელით ეს ფაქტი საისტორიო მწერლობის გარდა, XIX საუკუნის ქართულ მწერლობაშიც საკმაოდ ვრცლად აისახა, არაერთმა მწერალმა შექმნა მხატვრული ქმნილება.

და მაინც, ასეთი საგანგებო ინტერესის გასაგებად ერთი ისტორიული რეალია გავიხსენოთ:

სამცხე-ჯავახეთის ცენტრი – „ახალციხე XVII-XVIII საუკუნეებში წარმოადგენდა ლეკთა მოთარეშე რაზმების საფარს და ერთ უდიდეს ბაზარს, სადაც ქართველი ტყვეების აღებ-მიცემობა წარმოებდა. ამ მოთარეშე და მარბიელმა რაზ-

[1] გ. ქიქოძე, დასახ. ნაშრ. გვ. 89-90, 125.

მებმა, რომელთაც აღმოსავლეთ საქართველოში თითქმის შეუძლებელი გახადეს მშვიდობიანი შრომა, არანაკლები ზიანი მიაყენეს ქართველ ერს, ვიდრე აღმოსავლეთის დიდი იმპერიების თაყვანისმცემნი".[1]

სრულიად ნათელია, რა შინაარსი უნდა ჰქონოდა ჩვენი ხალხის ცნობიერებაში ახლებურად, აქაურ საფამოს და რა რიგის სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური ამოცანა უნდა ყოფილიყო ერეკლე II ამ ქართული მიწა-წყლის თურქთაგან გაწმენდა.

ამიტომ არის, რომ ზეპირსიტყვიერებაში შემოგვრჩა უამრავი ლექს-სიმღერა და თქმულება-გადმოცემა აწყურისა და ასპინძის ბრძოლებზე და ჩვენი ფოლკლორისტების საგანგებო ინტერესის სფეროშიც მოექცა. ეს ინტერესი კი იმაშიც გამოიხატა, რომ XIX საუკუნეშივე თითქმის ყველა პრაქტიკოსმა ფოლკლორისტმა, ვინც კი ერეკლეს სახელთან დაკავშირებულ ზეპირსიტყვიერ მასალას შეეხო, ასპინძის ომის ამსახველი ლექს-სიმღერები ასე თუ ისე გააერთიანა და ერთ დიდ ამბად დაალაგა ხალხური ეპოსის თარგზე. სულ ბოლოს ასეთი მუშაობა ქს. სიხარულიძემ ჩაატარა და შეძლებისდაგვარად კიდევ უფრო დახვეწა, დააკონკრეტა ზეპირსიტყვიერი ტექსტები, ამბის შინაარსობრივი სიზუსტის თვალსაზრისით. ასე რომ, ამ ეტაპზე ერეკლეს ეპოსის მოკვეთილი ეპიზოდის ტექსტოლოგიურ ასპექტს (გამთლიანების მიზნით) ცვლილება თითქმის აღარ განუცდია.

ჩვენს საისტორიო მწერლობასა და ლიტერატურაში კარგად ცნობილი ისტორიული ფაქტის ზეპირსიტყვიერ თხრობას შეიცავს ერეკლეს ეპოსის ეპიზოდი „ამბავი აღა-მახმადხანის შემოსევისა და თბილისის დაკლემისა". ამ თემაზე ჩვენმა ზეპირსიტყვიერებამ დიდძალი მასალა (ლექს-სიმღერები და თქმულება-გადმოცემები) შემოგვინახა. ამ მასალასაც ამჩნევია პრაქტიკოს-ფოლკლორისტთა ტექსტოლოგიური მუშაობის კვალი, ამბის სრულად გადმოცემის მიზნით ცალკეული

[1] გ. ქიქოძე. დასახ. ნაშრ. გვ. 12

ზეპირსიტყვიერი ტექსტების გაერთიანების თვალსაზრისით. თუმცა ეს კვალი უფრო სუსტია, ვიდრე ამას ასპინძის ომის თემატიკის ლექს-სიმღერებში ვაწყდებით. სრულიად ბუნებრივი ჩანს ხალხური ეპიკური ცნობიერების ინტერესი ჩვენი ქვეყნის ისტორიის უაღრესად ტრაგიკული დროისა და მოვლენისადმი. აღა-მახმად-ხანის შემოსევა, თბილისის აოხრება, წარმოუდგენელი იყო არა მარტო მასშტაბებით, არამედ სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური ზარალის თვალსაზრისით. ეს შეუმცდარად აისახა ხალხურ ლექს-სიმღერებში. ღრონდ რეალურ-ისტორიული ხედვისაგან განსხვავებით, ეს მარცხი, ჩვეულებრივ, უამრავ ბრძოლათა ერთ მარცხად კი არ ჩათვალა, არამედ ერთი ეპოქის დასასრულად.

მართალია, ზეპირსიტყვიერებამ კრწანისის ომის შემდგომი საქართველოს, თბილისის ამბებიც შემოგვინახა, მაგრამ ოქ უკვე, აშკარად, სხვა სამყაროა, ფერცვლილი დრო და სივრცეა, სამანმორღვეული და კარშეხსნილი. „დროება გამოცვლილია" და საზღვარი ამ ცვლილებისა ის არის, რომ „რუსი ხელმწიფედ დაგვივდა, ერეკლე გარდიცვალაო."[1]

ამ ახალი, „დროებაგამოცვლილი" ვითარების ამსახველ ხალხურ ლექს-სიმღერებში ის თემებია წარმოდგენილი, რომლებიც სწორედ ძველის, რაღაც დიდისა და დიადის დასრულებას ცხადყოფს. ეს თემებია – ერეკლეს გლოვა, სამეფო ტახტის მაძიებელთა უსუსური, სათავკერძო და უნამუსო ბრძოლა-კინკლაობა, რამაც აღა-მახმად-ხანის შემოსევაზე დიდი ზარალი და უბედურება დაატეხა თავს ქართლ-კახეთის სამეფოს და საქმე მის გაუქმებაზე მიიყვანა. ჩვენი ხალხის მხატვრულმა ცნობიერებამ და ალღომ შეუმცდარად ამოიცნო ეს ერეკლეს სიკვდილის შემდეგდროინდელი უთავბოლო, სწრაფადცვალებადი და გამაოგნებელი მოვლენების მორევში.

---

[1] ეს ნაწყვეტი ერთი ხალხურია ლექსიდან არის („ფეტვიათ აფუღაკამ თქვა"), რომელიც პ. უმიკაშვილს 1884 წელს ხევსურეთში ივ. ოჩიაურისაგან ჩაუწერია.

ჩვენს ფოლკლორისტიკაში ეს ტექსტებიც კარგად არის ცნობილი. არაერთ პრაქტიკოს ფოლკლორისტს დაუბეჭდავს, მაგრამ ამ შემთხვევაშიც ყველაზე სრული ქს. სიხარულიძის პუბლიკაცია მოჩანს, რაც მისი „ქართული ხალხური საისტორიო სიტყვიერების“ მეორე ტომში ცალკე განყოფილებაშია თავმოყრილი („ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმება“).[1] აქ ერთი ლექსი („დავით ბატონი“) იმას გვიამბობს, თუ როგორ ცდილობს ტახტზე ასვლას დავით ბატონიშვილი (ოღონდ არ ჩანს რომელი – ერეკლეს შვილი თუ შვილიშვილი) ყეენის ჯარის დახმარებით, მეორე – ალექსანდრე ბატონიშვილის ისეთსავე მცდელობას ლეკთა ჯარით და ქალაქის არევას, მესამე – ისევ ალექსანდრე ბატონიშვილის შემოსევას თრიალეთის ჯარით და ომს 1800 წელს სოფელ კაკაბეთთან, მდინარე ივრის ნაპირას („ნიახურას ომი“). განსაკუთრებით ბევრი ლექსი ალექსანდრე ბატონიშვილის მიერ ტახტზე ასვლის მცდელობებს ასახავს. ზოგიერთ ზეპირსიტყვიერ ტექსტში ახალი დროის ისტორიული პერსონაჟი – გენერალი პავლე ციციანოვი ჩნდება („ციციანისთანა შვილსა,“ „ციციანოვი“ და ა. შ.). მაგრამ ძირითადი თემა ამ ფონზეც ერეკლეს გლოვაა, მისი დროების დაპირისპირება ახალ ვითარებასთან. მთავარი კი ის არის, რომ ამ თემაზე შექმნილ ლექს-სიმღერებში ერეკლეს დრო „ვაჟობის“, „ქორწულად ნავარდის“ დრო-ჟამია, გმირულ-ჰეროიკული სულისა, ხოლო ახალი დროება – ჟამი უძლურებისა და დაკნინებისა.

ამ თვისობრივადაც განსხვავებულ ეპოქებს კი მხოლოდ ერთი რამ აკავშირებს – გმირულ-ჰეროიკული სული და ქვეყნის თავგანწირვისათვის მზაობის შეგრძნება, იდეალი, რაც ქართველი კაცის ცხოვრების წესი იყო „მეფე ერეკლეს დროშია“.

ესეც ცხადყოფს, რომ ერეკლე მეორის შესახებ შექმნილი და ჩვენს ზეპირსიტყვიერებაში შემორჩენილი ტექსტები

[1] იხ. ქს. სიხარულიძის, მითითებული კრებული, გვ. 195-214. აქ 22 ძირითადი ტექსტია დაბეჭდილი.

ერთი დიდი ეპოქის, ერთი დიდი ამბის ეპიკური თხრობის ფრაგმენტებია. ეს ფრაგმენტები ცოცხალ ზეპირსიტყვიერ ტრადიციაში ვითომ ცალ-ცალკე არსებობის მიუხედავად ერთი მთლიანი ზეპირსიტყვიერი ტექსტის ნაწილებია და ამბის თხრობის პრინციპით მათი დალაგება ეჭვმეუტანლად ცხადყოფს ერეკლეს ეპოსის არსებობას.

შესაძლოა ამ წიგნში შემოთავაზებული ცდა ამ ტექსტების დალაგება-გამთლიანებისა არ აღმოჩნდეს ოპტიმალური იმ გაგებით, რომ რაიმე აკლდეს, ან გამორჩენილი აღმოჩნდეს ერეკლეზე შექმნილი ზეპირსიტყვიერი ტექსტებიდან,[1] ან

[1] რაგორცაა, მაგალითად, ქ. სიღნაღთან დაკავშირებული ლეგენდა, რომელიც სურამის ციხის ლეგენდის ცვლას განეკუთვნება – ციხის კედლის შენების დარღვევისათვის ადამიანის შეწირვის კედელში ჩატანების (ცოცხლად) გარდაუვალობის მიტივით. ქ. სიღნაღის ლეგენდის პერსონაჟია ერეკლე მეორე. იგი რჩევას ხალხს ეკითხება – როგორ უნდა მოიქცნენ – ჩაატანონ კედელში ცოცხალი ადამიანი და გაასრულონ გალავანი, თუ უარი თქვან და მიაბრუნონ შენებლობა. ბოლო თუ ჩატანებას გადაწყვეტენ, ვის გაიმეტებს ხალხი მსხვერპლად. ლეგენდის კულმინაცია (სიუჟეტურიც და იდეურიც) მსხვერპლის გაღების ნებაყოფლობასა და ქვეყნის თავგანწირად მზაობას ეხმაურება. პირველი თეორწყვრა მოხუცი სთავაზობს თავს. შემდეგ ცალხელა მეომარი. ბოლოს სამი შვილის დედა გამოთქვამს შვილის შესაწირად მზაობას. ამ ლეგენდას ყველა უცხოს, ტურისტებს უამბობენ სიღნაღელი ექსკურსიამძღოლები (გიდები). ამ ლეგენდაში ერეკლე მეორე „შემთხვევითი", რიგითი პერსონაჟი არ არის. ცნობილია, რომ ქალაქ სიღნაღის მშენებლობა (დაარსება) ერეკლე მეორის სახელმწიფოებრივი აღმშენებლობის ცრანდიოზული და ჩაფიქრებათ რეალიზებული პროექტი იყო.

სიღნაღი მხოლოდ ვაჭრობა-ხელოსნობის ერთ-ერთი ცენტრი კი არ უნდა ყოფილიყო, არამედ რეგიონული მასშტაბის ციტადელი – ქიზიყის დაცვის სტრატეგიული პუნქტი, ყველაზე საიმედო საფარი. ამ მიზნით ქალაქი მთელი სამხრეთ კიგკასიის რეგიონის მასშტაბით უპრეცენდენტო გალავნით შემოიზღუდა – ოთხკილომეტრიანი ქვიტკირის კედლით და 26 ბურჯით (თითოეული ბურჯის, როგორც ცნობილია, კახეთის კონკრეტული სოფლის სახელი ჰქვია). თვითონ ქალაქის ცაგეგმარება (და შეძლებისდაგვარად არქიტექტურაც) თბილისს იმეორებდა. სიღნაღის გალავნით მთელი აღმოსავლეთი კონტროლდებოდა. ერეკლე მეორის სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური ხედვით სიღნაღი კახეთის მეორე ქალაქი უნდა გამხდარიყო ვაჭრობისა

მომავალში გამოვლინდეს (მაგალითად, როგორც ნ. ჯავახიშვილის მიერ სოფელ ზემო მლეთაში ნინო ობგაიძე-ბუთხუზისაგან და გიორგი გოგბაიძისაგან ჩაწერილი ორი ლექსი ასპინძის ომის თემაზე); შესაძლოა სხვა თვალსაზრისითაც დაიხვეწოს ეს გამთლიანებული ტექსტი, რადგან დიდი მცდელობის მიუხედავადაც ვერასოდეს გამოირიცხება ფოლკლორისტის გემოვნებისა თუ სუბიექტურობის მომენტი, მაგრამ მიუხედავად ამ ყველაფრისა, შემოთავაზებულ ტექსტს მაინც აქვს ფოლკლორისტული არსებობის უფლება, რადგან ჩვენი ხალხის მიერ არის შექმნილი, პირწმინდად ზეპირსიტყვიერია. არსად არც ერთი სიტყვა არ არის ჩამატებულ-შესწორებული, არც ერთი პასაჟი არ არის გარანდული შემდგენლის მიერ. ასეთია ერეკლეს ეპიკური თავგადასავალი — ხალხური, ხალხის მიერ შექმნილი.

და წვრილ მრეწველობა-ხელოსნობით. ამიტომაც იყო, რომ 1887 წელს საქართველოში ჩამოსული რუსეთის მეფეს — ალექსანდრე მესამეს სხვა ღირსშესანიშნაობებთან ერთად ერეკლეს ქალაქი — სიღნაღიც გააცნეს. აღნიშნული კი, უთუოდ შეიცავს სიღნაღის ლეგენდის ერეკლეს ეპოსისადმი მიკუთვნების საფუძველს ვარიანტების აღმოჩენის შემთხვევაში.

თავი IV

ერეკლეს ეპოსის ტექსტოლოგიური ისტორია

ქართულ ფოლკლორისტიკაში ერეკლე მეორეზე ჩვენი ხალხის შექმნილი 142 ზეპირსიტყვიერი ტექსტია გამოვლენილი. ამ რაოდენობას ქმნიან, „ძირითად" ფოლკლორულ ტექსტებად მიჩნეული ლექსები ქმნიან, თორემ მათი რაოდენობა გაცილებით მეტია. ამ 142-დან თითქმის ყველას რამდენიმე ვარიანტი მოეპოვება. ეს ტექსტები, XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან მოყოლებული, ერთი საუკუნის დროით მონაკვეთში არის გამოვლენილი ზეპირსიტყვიერ ტრადიციაში. ნაწილი პოეტურია, ნაწილი — პროზაული (30-ზე მეტი). პოეტური ტექსტების უმეტესობა მთაშია გამოვლენილი, პროზაულისა — ბარში. თითქმის ყველა გამოქვეყნებულია, მხოლოდ რამდენიმეა დაცული საარქივო მასალებში. ყველაზე ადრეული ჩანაწერი 1864 წლით არის დათარიღებული, იგი პ. უმიკაშვილს უკავშირდება. ეს არის ქიზიყური ლექსი, რომელიც ერეკლე მეორის ჰავდი ჩალაბის წინააღმდეგ ბრძოლაზე მოგვითხრობს (იხ. პ. უმიკაშვილის „ხალხური სიტყვიერება", I, 1937, გვ. 563-564). ყველაზე გვიანდელი ჩანაწერი 1991 წლისაა.

ეს გარემოება სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ჩვენს ცოცხალ ზეპირსიტყვიერ ტრადიციაში ერეკლე მეორის შესახებ შექმნილი ყველა ლექს-სიმღერა უკვე გამოვლენილია. ეჭვის საფუძველი ის არის, რომ დრო და დრო კვლავ ჩნდება უცნობი, ნაკლებცნობილი ზეპირსიტყვიერი ტექსტები და ვინ იცის ერეკლეს ეპოსისათვის რა სერიოზული და საინტერესო ტექსტი გამოვლინდეს მომავალში. ამის ერთი მაგალითია წინამდებარე წიგნის თანაავტორის, პროფესორ ნიკო ლეკიშვილის მიერ გამოქვეყნებული ხალხური ლექსი ასპინძის ომის თემაზე:

„ასპინძას ვახლდი ბატონსა
ოგბაიძეთა გეარისა,
ვდილდოდ მიბოძა ფრანგული –
შენზედ ალალი არისა.
ორპირს წარწერა ამშვენებს –
„პატარა კახის არისა,"
გაჭირდეს, დავიხარჯები,
ზნე არის ჩემი გვარისა."

ეს ლექსი ნ. ჯაფახიშვილს 1987 წელს მთიულეთის სოფელ ზემო მლეთაში ჩაუწერია 90 წელს მიღწეული ნინო ნიკოლოზის ასულ ოგბაიძე-ბუთხუზისაგან. აი, ასე მთუელოდნელად გამოგვიჩინა ზეპირსიტყვიერებამ ერეკლეს ებიკური თავგადასავალის უცნობი პასაჟი და კიდევ ერთი ქართველი გმირი მთიული გიორგი ოგბაიძე. ერეკლე უბრალო კაცს ასეთი იარაღით არ დააჯილდოვებდა, თუ არა თმში გამოჩენილი ვაჟკაცობისათვის. ასევე უცნობი ზეპირსიტყვიერი ტექსტია მის მიერვე 1991 წელს გიორგი ნიკოლოზის ძე გოგბაიძისაგან (1914-1994) ჩაწერილი ლექსი:

„თმში მივდივარ, ბიჭებო,
ხმალი მიჭირავს რვალისა,
ლევანის ნაბოძებია –
„პატარა კახის" ეაჟისა.
ხმლის ჩრდილში პირჯვარს ვიწერავ,
ნაბანს კი ვივლებ ტანზედა,
არ მეკარება მტრის ტყვია,
ჯვილა მადგია თავზედა".

ეს ლექსიც ნ. ჯაფახიშვილის წიგნებშია დაბეჭდილი.[1]

[1] იხ.: ნ. ჯაფახიშვილი, „ქართული ფალერისტიკა (ჯილდოთმცოდნეობა)". 1995. გვ. 14. მისივე „დაჯილდოება ძველ საქართველოში," 1998. გვ. 6; აგრეთვე „ოგბაიძენი", 2005. გვ. 46, 76.

ეს ზეპირსიტყვიერი ტექსტები უმთავრესად აღმოსავლეთ საქართველოშია ჩაწერილი – თუშეთში, ფშავ-ხევსურეთში, მთიულეთ-გუდამაყარსა და ხევში. ბარში ტექსტების დიდი რაოდენობა გამოყოლენილია ქართლში, კახეთში (ყვარელი, შილდა, საბუე...), გარეკახეთში (განსაკუთრებით პატარძეულში). დიდი ნაწილი ამ ტექსტებისა ჩაწერილია სამხრეთ საქართველოში – სამცხე-ჯავახეთში, ახალციხისა და ასპინძის რაიონებში (განსაკუთრებით სთფლებში ხიზაბავრა, ტოლოში). საქართველოს სხვა რეგიონებში ზეპირსიტყვიერი ტრადიციის ასეთი ინტენსიურობა დაფიქსირებული არ არის.

ამ ფაქტს სრულიად ბუნებრივი ახსნა აქვს. კახეთი და, ცოტა მოგვიანებით, ქართლი ერეკლე მეორის ცხოვრება-მოღვაწეობის ტერიტორიები შეიქმნა. მთიანეთი, გამორჩეულად თუშეთი და ფშავ-ხევსურეთი, ის გარემოა, სადაც მან ბავშვობისა და ყრმობის დროის უმეტესობა გაატარა. ერეკლე მეორე, ფაქტობრივად, აქ გაიზარდა და აქ ჩამოყალიბდა მისი ცნობიერება. მისი ოჯახი კარგა ხანს იქ იყო გახიზნული. ეს ფაქტი კარგად არის ცნობილი ჩვენი საისტორიო წყაროებიდან, ხოლო მისი საფუძველი შესანიშნავად აქვს ამოცნობილ-დახასიათებული გერონტი ქიქოძეს[1]. მისი დაკვირვებით, „თუშ-ფშავ-ხევსურეთი

[1] როგორც უკვე ითქვა ჩვენს სინამდვილეში სწორედ გერონტი ქიქოძეს ეკუთვნის ყველაზე სერიოზული მხატვრულ-ისტორიული წყარო ერეკლე მეორეზე. სადაც ქართველოლია ამ სათაყვანებელი მეფის პიროვნება, სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური ნაღვაწი ერეკლე მეორის თანადროული სინამდვილის (საგარეო თუ საშინაო ვითარების) ჭრილშია აღწერილ-დახასიათებული. ეს გამოკვლევა ჩვენი ისტორიის მეცნიერების თვალსაზრისით ასეც არის შეფასებული. გ. ქიქოძე ერეკლე მეორესა და ქართლ-კახეთის ისტორიას წარმოგვიდგენს არა ამ მეფის ხნოვობრივ-ეპიკური პოზიციის ილუსტრირებით, არამედ პრაქტიკული შეხედულების. ჩვენებით და ამ შეხედულებს აფასებს დისტანციიდან-ეპოქიდან. როცა „უკვე ჩამკვიდრებული იყო ეროვნული სახელმწიფოებრიობის დაკარგვით გაღიზიანებული ვნებათაღელვა და

და თიანეთი, ეს მაგარი ზურგი, რომლითაც კახეთი კავკასიონის ქედს ემიჯნება, ისევ მყარი და არასტუმართმოყვარე ბუნებითაა დაჯილდოვებული. ეს არ არის სავსებით უნაყოფო მიწა-წყალი. აქ მხოლოდ ადამიანს განსაკუთრებული გარჯა სჭირდება, რათა თავი გამოიკვებოს. ადამიანი ბავშვობიდანვე ეჩვევა ბუნების წინააღმდეგ ბრძოლას. ამიტომ იმოავიოვე იწრთობა გარეშე მტრის წინააღმდეგ საბრძოლველად.

როგორც ეთნიური შემადგენლობისა, ისე ზნე-ჩვეულებებისა, ყოფა-ცხოვრებისა და ფსიქოლოგიის მხრივ, აქ ძველი იბერიული მოსახლეობა ყველაზე ნაკლებ შეიცვალა საქართველოს ისტორიის მანძილზე, რადგან მას მთის კალთები იცავდა გარეშე ქვეყნების შემოტევისა და ზეგავლენისაგან.

ეს მთაგორიანი პროვინცია კახეთის საფარს და მარაგს წარმოადგენდა ერთსა და იმავე დროს. აქ აფრებდა თავს კახეთის მოსახლეობის ნაწილი, როცა ბარს მტრის ლაშქარი იჭერდა და, ნაწილობრივ, აქედან იწყებოდა კახეთის ხელ-ახალი დასახლება,

---

შესანიშნავად ჩანდა გვიანი შუა საუკუნეების ქართული პოლიტიკური ალტერნატივის ერეკლესეული გადაწყვეტის ყველა ასპექტი" (იხ. წიგნი გ. ქოქოძე, „ერეკლე მეორე", მეოთხე გამოცემა, 1983 და ბოლოს დართული ნარკვევი ლ. ტურაშვილისა" გ. ქოქოძე და მისი „ერეკლე მეორე", გვ. 180.

ამ შემთხვევაში საკითხის პოლიტიკურ-საბელმწიფოებრივი ასპექტების შეფასება-ანალიზი არ არის ჩემი მიზანი (თუნდაც იმიტომ, რომ ამის რკვევა და მით უფრო პოლიტიკური შეფასება ფთლკლეთრისტის საქმე არ არის). გ. ქოქოძის გამოკვლევაც მხატვრულ-ისტორიულია და „ერეკლეს ეპოსის" რაობის რკვევაში მხოლოდ ამ ასპექტშია გამოყენებული (როგორც ხალხური ეპოსის რეალურ-ისტორიული წყარო და საძირკველი). ჩვენში, ტრადიციულად, ასეთი სახის ფოლკლორისტულ ძიებებში დიდი (ხშირად აღბათ გადაჭარბებული) შეფასება ეძლევა უცხოელ მოგზაურთა თუ დამკვირვებელთა მიერ დატოვებული არალიტერატურული დანიშნულების აღწერა-დახასიათებებს (ხშირად ზედაპირულს) და ფრიად სერიოზული კვლევაძიებითი დასკვნების საფუძვლადაც გამოიყენება ხოლმე. რატომ უნდა იყოს ნაკლებად მნიშვნელოვანი მსგავსი გამიზნულობის, თანაც გაცილებით ღრმა და დასაბუთებული დაკვირვების შემცველი, ჩვენი (ქართველი) მკვლევრის თვალსაზრისი? მით უფრო ისეთი რანგის მკვლევრისა, როგორიც გეროსტატი ქიქოძე იყო.

როცა იქ ხალხი მასობრივად იჟლიტებოდა. სხვათა შორის ამით აიხსნება ის, პირველი შეხედვით, გაუგებარი სასწაული, რომ მიუხედავად ჰეკატომბებისა, რომელთაც საქართველოს მტრები ალაზნის და იორის ნაპირებზე მართავდნენ, მიუხედავად ხალხის აყრისა და გადასახლებისა, რომელსაც ისინი კახეთში ახდენდნენ, მოსახლეობა რასიულად აქ ნაკლებ შეიცვალა, ვიდრე მოსალოდნელი იყო, და ტოტაოდენი ცვლილებით დღევანდელი კახელიც იმავე ურმულს, ოროველას და მრავალჟამიერს მღერის, რომელსაც მისი წინაპარი მღეროდა, შეიძლება ვიდრე კიდევ ქრისტინობის გავრცელებამდე".[1]

სწორედ ეს გარემოება იყო კახეთის მეფეთა, განსაკუთრებით ერეკლე მეორის გამორჩეული ინტერესის მიზეზი საქართველოს ამ მხარისადმი (და არა მარტო ბავშვობა-ყრმობის გაუხუნარი შთაბეჭდილებები). იმავე ფაქტში ეძებნება ახსნა ერეკლეს ეპოსის გამორჩეულად ინტენსიურ ვიბრირებას ამ მხარის ტოკხაღლ ზეპირსიტყვიერ ტრადიციაში, რომლის ძალუმი ფეთქვა XIX-XX საუკუნეების ფოლკლორისტულმა ჩანაწერებმა დაადასტურა.

სამცხე-ჯავახეთში ერეკლე მეორის ეპოსის ინტენსიურობის საფუძველი ამ მხარისადმი ერეკლეს გამორჩეული სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური ინტერესი, ძალისხმევა და მისი შედეგებია. ცნობილია, რომ ერეკლე მეორე ბაგრატიონების დინასტიის ისტორიულ გზას დაადგა და აქედან ჩაიფიქრა საქართველოს მომავალი გაერთიანება, ყოველ შემთხვევაში ამ გაერთიანების საძირკვლის დაბრუნება-გამყარება. რომ არა რუსული პოლიტიკის ორგემაგეობა და აშკარა ღალატი (გენერალ ტოტლებენის შესრულებით), ეგებ მისი ჩანაფიქრი ასრულებულიყო კიდეც. უამსაძირკვლოდ კი ეს ვერ მოხერხდა. ამ საძირკვლის უქონლობაც გახდა მიზეზი იმერეთის შემოერთებაზე „უარისა", რასაც ვერ ჰპატიობდნენ ერეკლე მეორეს, თუმცა იმას კი ივიწყებენ, რომ ეს უარი იმ დიდი ხიფათის აისბერგი იყო,

[1] გ. ქიქოძე, დასახ. ნაშრომი. გვ. 5.

რაც მწარედ ჩასაფრებთდა საქართველოს სწორედ ახალციხის საფაშოში თსმალეთის სახით.

ამ სახელმწიფოებრიც-პოლიტიკური აქციების ზეპირსიტყვიერ გამოძახილს მოწმობს ისიც, რომ ერეკლე მეორის 'შესახებ შექმნილი ლექს-სიმღერებში ამწყურის, ასპინძის ბრძოლები და ერეკლეს ხერთვისის ციხესთან მისვლის ამბებია მოთხრობილი.

ასეთია ერეკლეს ეპოსის გავრცელების არეალი. ფოლკლორისტიკის ენაზე ეს ყველაფერი იმას მოწმობს, რომ ეს ეპოსი რეგიონულია და არა საერთო ეროვნული. ამიტომ იგი ამ ნიშნითაც ვერ უნდა ჩაითვალოს ეპოსად, თუნდაც ფოლკლორისტიკის ქრესტომათიული თვალსაზრისით. თუმცა ეს მთლად ასე არ არის. აქ ერთი მნიშვნელოვანი გარემოებაა გასათვალისწინებელი და მოკლედ თქმის მიზნით ისევ გ. ქიქოძეს მოვუსმინოთ. XV საუკუნიდან (II ნახევარი) საქართველო ოთხ პოლიტიკურ ერთეულად დაიყო – ქართლის, კახეთის, იმერეთის სამეფოებად და სამცხე-საათაბაგოდ. ბაგრატიონთა დინასტიაც სამ შტოდ გაიყო და, რაც ყველაზე სავალალო შეიქმნა, „მათ შეგნებაში ჩქარა დაიჩრდილა, როგორც სისხლის ნათესაობის, ისე საქართველოს ერთიანობის იდეა." თითოეული მეფე „თავის სამფლობელოს, უწინარეს ყოვლისა, საგვარეულო სამკვიდროდ, თავის მამულად სთვლიდა."[1] თუ ასეთი იყო ცნობიერება ხელისუფალთა, მათი, ვის ხელშიც იყო ჩვენი ხალხის ბედი, აღვილი გასაგები უნდა იყოს ერის სხვა ნაწილის ცნობიერება თუ არა, მოქალაქეობრივი პოზიცია მაინც. არსებობის საფუძველი, მისი სივრცისეული პარამეტრები საკუთარი მეფის მკლავის ძალით შემოსაზღვრული მიწა-წყალი იყო. ეს იყო მისი სამშობლო, მამული. მის იქით არსებული მიწა-წყალი და ქართველობა (თავისი ცხოვრებით მცხოვრები) „ნათესავის". „ჩვენიანის" საარსებო სიერცე იყო. განა ამის გამოხატულება არ არის ის ფაქტებიც, რომ არც თუ იშვიათად

[1] გ. ქიქოძე, დასახ. ნაშრომი, გვ.7.

„ქართლელების ალმა ხნულს კახელები დაღმა ფარცხავდნენ“ და პირიქით?!

მადლი ღმერთს! ახლა ამის გაფიქრებაც კი ეუცხოება ჩვენს თვალსა და ყურს, მაგრამ, როგორც იტყვიან, ეს იყო და ფოლკლორისტიკის ასპექტში ერეკლეს ეპოსი ამის გამო ვერ ჩაითვლება რეგიონულ ეპოსად. ეს ეპოსი ეროვნულია იმიტომაც, რომ მასში ქართველი ხალხის საერთო ეროვნული იდეალებია ასახული, სამშობლოს თავის უფლებისათვის ბრძოლა. სამშობლოს ცნება კი არც ერთ ზეპირსიტყვიერ ტექსტში და აქედან არც ერთი მთქმელის თუნდაც მხატვრულ ცნობიერებაში კონკრეტული სახელმწიფოებრივი, ადმინისტრაციული საზღვრებით არ არის შემოფარგლული. „საქართველო,“ ასე ხშირად რომ იხსენიება ამ ლექსში-სიმღერებში, ქართველთა სამკვიდროა, თავისი და იმ თავისიანებისაც, მეზობლებად რომ გასულან.

ერეკლეს ეპოსის ტექსტის ჩაწერა-პუბლიკაციის ისტორია

ერეკლე მეორის ლექსები და თქმულება-გადმოცემები ინტენსიურად იბეჭდებოდა XIX საუკუნის მეორე ნახევრის ქართულ ჟურნალ-გაზეთებში („კრებული“, „იერია“, „დროება“, „მატნე“,...), სხვა პერიოდულ გამოცემებსა და ფოლკლორის-ტულ კრებულებში. ამ მხრივ განსაკუთრებით პ. უმიკაშვილი, თ. რაჭიკაშვილი, ი. ჭავჭავაძე, ვინმე მესხი (კ. გვარამაძე), ზ. ბილანიშვილი, ივ. ბუქურაული გამოირჩნენ, თუმცა უყურადღებობა არც იმდროინდელ სხვა პრაქტიკოს ფოლკლორისტებს გამოუჩენიათ.

XX საუკუნის დასაწყისში ადრე მოპოვებულ და მის დროს გამოვლენილ ზეპირსიტყვიერ ტექსტებს ე. თაყაიშვილმა მოუყარა თავი თავისი რედაქციით გამოცემული „ხალხური სიტყვიერების“ მეორე წიგნში. დიდი ადგილი დაუთმეს ასევე

აკ. შანიძემ (კრებულში „ხალხური პოეზია", I, ხევსურული, 1931) და ვ. კოტეტიშვილმა („ხალხური პოეზია", 1934-1961). სპეციალური ფოლკლორული კრებული გამოსცა სოლ. ცაიშვილმა („ერეკლე მეფის გმირული სახე ხალხურ შემოქმედებაში", 1942). ამას გარდა, ერეკლე მეორის ლექს-სიმღერები და თქმულება-გადმოცემები შემდგომში გამოცემულ თითქმის ყველა ფოლკლორულ კრებულში დაიბეჭდა. მასალის მხრივ ყველაზე სრული ქს. სიხ"რაულიძის მიერ გამოცემული „ქართული ხალხური საისტორიო სიტყვიერების" სამტომეულის მეორე ტომია (1964). აქედან პოეტური ტექსტები თითქმის უცვლელად შევიდა „ქართული ხალხური პოეზიის" სრული კორპუსის მეთერთმეტე ტომში (1984), რომელიც ქს. სიხარულიძისავე რედაქტორობით გამოიცა.

ქს. სიხარულიძის „ქართული ხალხური საისტორიო სიტყვიერების" მეორე ტომის გამოსვლის შემდეგ ჩვენს ზეპირსიტყვიერ ტრადიციაში ახალი თითქმის არაფერი გამოვლენილა, ორი-სამი უმნიშვნელო ლექსის გარდა. სხვათა შორის ამის დასტურია 1984 წელს გამოცემული „ქართული ხალხური პოეზიის" მეთერთმეტე ტომიც.

ერთი საუკუნის განმავლობაში ზეპირსიტყვიერმა მასალამ სერიოზული სელექციაც გაიარა. უამრავი ზეპირსიტყვიერი ტექსტი მოექცა ჩაწერ-გამომცემელთა გემოვნების „ქურაში" შერჩევის პროცესში. კრიტერიუმები, ბუნებრივია, მხატვრულ-ესთეტიკური, ინფორმაციულ-ფუნქციური ვარგისიანობა იყო. ამ თვალსაზრისით სერიოზული მუშაობა ვ.ერ კიდევ ბ. უმიკაშვილმა გასწია, თუმცა არა ისეთი სიღრმისა, როგორც ეს „ეთერიანსა" და „არსენას ლექსზე" ჩაატარა. ამ ორი ხალხური ეპიკური ძეგლისაგან განსხვავებით, შერჩევა და სხვადასხვა ფრაგმენტების გაერთიანება მთლიანად ერეკლეს ეპოსს კი არ შეეხო, არამედ მის ცალკეულ ნაწილებს. მაგალითად, ბოლო ნაწილს („რკინის კარის შეხსნა"), რომელიც სხვადასხვა

ზეპირსიტყვიერი ფრაგმენტის გაერთიანებით გაამთლიანა და ისე მიაწოდა მკითხველს. „ერეკლეს ლექსის“ შექმნის ეს ცდა მან თაყდაპირველად „ივერიაში“ (1898, №№ 39) გამოაქვეყნა, საბა-ურით „ვერ გაიგეთა ქართველნო“. გაზეთის რედაქციამ ზეპირ-სიტყვიერ ტექსტს ასეთი შენიშვნაც კი დაურთო: „ეს ლექსი შედგენილია პ. უმიკაშვილის შეკრებილ სხვადასხვა ვარი-ანტებისაგან“. დავაკვირდეთ, „შეკრებილიაო!“ ეს კი იმას ნიშ-ნავს, რომ ერეკლეს ეპოსის გამოწვლილვაც ჩაიფიქრა მრავალ-რიცხოვანი ზეპირსიტყვიერი ტექსტებიდან, ზეპირ ტრადიციაში უამრავ ფრაგმენტად, ქაოტურად რომ მოჩანდა და მხოლოდ ხალხურ ეპიკურ წარმოსახვაში რომ არსებობდა მწყობრი ეპოსის სახით. ამ მასალამ ზეპირსიტყვიერი ტექ-სტების „მხატვრულად სრულქმნის“ ფოლკლორისტული პროცესიც გაიარა. ამის კვალი შესაბამის ფოლკლორულ ტექსტებზე დართულ შენიშვნებში აშკარად ჩანს აკ. შანიძის, ვ. კოტეტიშვილის, ქს. სიხარულიძის კრებულებში. ამასთან პ. უმიკაშვილის შემდეგ, ასეთივე მუშაობა გასწია მისი კრებულის გამომცემელმა ფ. გოგიჩაიშვილმა. ასე რომ, მასალა კიდევ ერთხელ დამუშავდა. სხვაგანაც, ერეკლე მეორის ლექს-სიმღერათა ტექსტებზე დართულ შენიშვნა-კომენტარებში, არც თუ იშვიათია მითითებანი ცალკეული ლექ-სის ტექსტოლოგიურ გამართვა-გაჩალხვაზე.

უჩვეულოდ და საძრახი ამ მოვლენაში არც არაფერი იყო, რადგან ჯერ კიდევ XIX საუკუნის ფოლკლორისტული ტექსტო-ლოგიის მეთოდიკა ამართლებდა მას. მაგალითად, თავის დროზე თ. რაზიკაშვილმა ქართლში მთქმელ ბეჟანა პაატაშვილისაგან ჩაიწერა ლექსი „აზატ-ხანი და ერეკლე“. ეს ლექსი მან 1894 წელს „კვალში“ (№ 20) გამოაქვეყნა. ზეპირსიტყვიერ ტექსტს ასეთი შენიშვნა დაურთო: „რას მოშდევ გურჯო ერეკლე...“ ეს ექვსი სტრიქონი მე მაქვს კრებულში ჩაწერილი სრულებით აზრშეცვლით. იმას რო ყური უგდოს კაცმა, იფიქრებს ნამდვილად, ვითომ „აზატ-ხანს ერეკლე გაექცოს და არა

ერეკლეს აზატ-ხანი." ლაპარაკია ზეპირსიტყვიერ ტექსტზე, რომელსაც ფოლკლორისტებმა უწოდეს „ხუნძახმა ცხენსა მიჰმართა", კერძოდ, ამ ლექსის იმ სტრიქონებზე, რომლებიც ქს. სიხარულიძემაც სხვა დამოუკიდებელ ლექსად მიიჩნია და თავის „ქართული ხალხური სიტყვიერების" მეორე ომში ცალკე, №31 ტექსტად დაბეჭდა, სათაურით„ხუნძახმა ცხენსა მიჰმართა." ამ და მსგავს მოვლენებთან დაკავშირებით თ. რაზიკაშვილმა ასეთი მეთოდოლოგიური დასაბუთება წარმოადგინა: „ამიტომ მართებს მაძიებელს, ერთს რომელიმე ვარიანტს არ ერწმუნოს, ვიდრე ყველა ვარიანტები არ შეადაროს, მომეტებულად, რასაკვირველია, იმ შემთხვევაში, როცა ლექსი ისტორიულია.

ხალხს ძალიან აზიზი გემოვნება აქვს. მისი ყური ტკბილ ხმოვანებისაა და აღმაფრენით აღმოთქმული სიტყვის ტრფიალია, თვით დიდი ლექსიდან სწავლობს ძალდაუტანებლად იმ ადგილებს, რომელნიც მართლა მარგალიტივით ჩამძივებულნი არიან".

ეს მარტო თ. რაზიკაშვილის თვალსაზრისი არ არის. ეს ეპოქის აზრია, ფოლკლორისტული მეცნიერული აზრი, თავისთავად უაღრესად ზუსტი, ანგარიშგასაწევი, რომლის უტყუარობაც თუნდაც ბ. უმიკაშვილის წყალობით გამთლიანებულმა „ეთერიანმა" და „არსენას ლექსმა" დასტურყო, რამაც ზეპირსიტყვიერ ტრადიციაში (წარმოსახვაში) არსებული ერთიანი ეპოსის ორი მნიშვნელოვანი ძეგლის არსებობა დაამტკიცა.

ასე რომ, ერეკლე მეორის ლექს-სიმღერებისა და თქმულება-გადმოცემების ტექსტებს უკვე ჩაუტარდა სასელექციო და ფოლკლორისტული ტექსტოლოგიური მუშაობა. ჩვენამდე ამ ტექსტებმა „მხატვრულად სრულქმნილი სახით" მოაღწია, თუმცა „გაუმართავი ნაწარმოებებიც" გადმოგვეცა მათ ვარიანტებად. „ერეკლეს ეპოსის" შემოთავაზებული ტექსტი უმთავრესად ამ „მხატვრულად სრულქმნილ" ტექსტებს ემყარება. ამასთან, ბუნებრივია, სხვა ვარიანტების მონაცემებსაც ითვალისწინებს

ინფორმაციული, ფუნქციური და „მხატვრული სრულქმნის" ასპექტებში.

ნათელია, რომ ამ შემთხვევაში ვარიანტებზე მუშაობის, მათი შერჩევის პრინციპების მეთოდოლოგიური საკითხიც დგება, რადგან ვარიანტების შედარება-შეპირისპირების საფუძველზე შერჩევის რამდენიმენაირი გაზრება არსებობს.

ცნობილია, რომ ზეპირსიტყვიერი ტექსტის ვარიანტების შესაბამისი ადგილებით მექანიკური შევსება ფოლკლორისტიკაში გაუმართებლად ითვლება. დაგმობილია ფორმალისტების პრაქტიკაც, რომლის მიხედვითაც ზეპირსიტყვიერებაში ჭეშმარიტად ის ფაქტი თუ მოვლენა ცხადდებოდა, რომელიც ყველაზე ხშირად მეორდებოდა ვარიანტებში. ამით კი (ანუ სტატისტიკური გამოთვლით) „არქეტიპი" თუ „პრაფორმა" დგინდებოდა. და ეს იმიტომ, რომ არაიშვიათად „პრაფორმა" თუ „არქეტიპი" ყველაზე უფრო იშვიათი იყო, ანდა სულაც გამქრალი.

ვარიანტების შედარება-შეპირისპირების მიზანი, რასაკვირველია, მაინცდამაინც ნაკრები ტექსტის შედგენა არ არის. მთავარი ეპოსში ჩადებული იდეის დადგენაა. ტექსტის გაერთიანებაც ამ იდეის გამოვლენას უნდა უწყობდეს ხელს. აქიტომ ვარიანტების შედარებისას ყველა დეტალია გასათვალისწინებელი. ეპოსის მონოგრაფიული შესწავლის დროს ყველა დეტალს აქვს მნიშვნელობა. თუმცა ისიც არის შენიშნული, რომ ეპოსში ყველა დეტალის გათვალისწინება შეუძლებელია. ამიტომ საჭიროა შერჩევა, რაც თავისთავად აძლიერებს სუბიექტურობის მომენტს, თუმცა ეს ნაკლებსაშიში მოვლენაა.

ვარიანტების შედარებისას უპირველესად გადასაწყვეტი ამოცანა თხრობის ყველა რგოლის (ეპიზოდის) დადგენა, მოქმედების მსვლელობის გაანზრება, თხრობის დასაწყისის (კვანძის) განყოთარების, დასასრულის (კვანძის გახსნის) განსაზღვრაა.

წმინდა ფოლკლორისტულ ასპექტში აქ ბუნებრივად ჩნდე-

ბა კითხვა, ასეთი გზით გამთლიანებულ ტექსტს შეიძლება ჰქონდეს მეცნიერული ღირებულება?

შეიძლება და ფოლკლორისტიკას დღეს ამაზედაც მოეპოვება პასუხი. მაგალითად, ვ.პროპი ფიქრობს,რომ ასეთი ტექსტი არც ერთი ჩანაწერით არ იქნება დადასტურებული. იგი არც „არქეტიპი" იქნება, არც „ძირეული რედაქცია" და არც „ნაკრები ვარიანტი". მიუხედავად ამისა, **ასეთი ტექსტის გამოვლენა სრულიად აუცილებელია და მეცნიერულადაც გამართლებული. რატომ? იმიტომ, რომ ასეთი ტექსტის დადგენა იქნება ხალხური ჩანაფიქრის გახსნა, გამომჟღავნება, გამოვლენა ერთიანობასა და მხატვრულ მთლიანობაში.**

ვარიანტების აღნიშნული პრინციპით შედარება სიუჟეტის კომპოზიციის კანონზომიერებას გამოავლენს, კომპოზიცია, თავის მხრივ, იდეის ამოხსნასთან მიგვიყვანს, რადგან იდეა თხრობის ერთობლიობაში (მთლიანობაში) მჟღავნდება. იდეის გამოვლენა კი ეპოსის ისტორიული შესწავლის პირველი პირობაა. ხალხური იდეა ყოველთვის გამოხატავს ეპოქის იდეალებს. იდეა კი ის გადამწყვეტი კრიტერიუმია, რითაც ეპიკური სიმღერა მიეკუთვნება კონკრეტულ ეპოქას.

ერეკლეს ეპოსის ზეპირსიტყვიერი ტექსტის გამთლიანებაც სწორედ ამ მეთოდოლოგიური პრინციპით არის განხორციელებული.

ფოლკლორისტიკა (და საერთოდ ფართო მკითხველი საზოგადოება) განა ამ პრინციპით გაერთიანებულ (გამთლიანებულ) ერთსა თუ ორ ხალხურ ეპიკურ ძეგლს იცნობს? მაგალითად, თუნდაც ისეთი ეპოსების დასახელებაც იკმარებს, როგორიცაა „კალევალა" ან „დავით სასუნელის ეპოსი".)

ცნობილია, რომ „კალევალას" დიდი ხნის განმავლობაში პოპულარული ტექსტი ე. ლიონროტის მიერ 1849 წელს გამთლიანებულ კომპოზიციას ემყარებოდა. აქედან ლ.პ. ბელსკიმ თარგმნა რუსულ ენაზე და იმდენად მნიშვნელოვან მოვ-

ლენად აღიქვეს რუსეთში, იმავე წელს (ე. ი. 1889 წელს) რუსეთის მეცნიერებათა აკადემიამ მთარგმნელს ა.პუშკინის პრემიაც კი მიანიჭა.

ამის შემდეგ კარგა ხანი გავიდა და ე. ლონროტის გამთლიანებული ტექსტი უკვე ო. კუუსინენმა დაიწუნა. მან, ფაქტობრივად, ახალი კომპოზიცია შექმნა, „კალევალას" რუნები რაოდენობრივად შეამცირა, უკუაგდო ისეთები. სადაც ჭარბად იყო ხალხური ლირიკის, მითოლოგიის, შელოცვების ელემენტები და რომლებიც 100 წლის წინ ე. ლონროტმა შეიტანა გაერთიანებულ ტექსტში კარელიური ხალხური პოეზიიდან.

ე. კუუსინენმა ტექსტიც გადაამუშავა, სტილითაც დაუახლოვა „კალევალას" რუნები ხალხურ მომღერალთა საშემსრულებლო ტრადიციას. მიუხედავად ზეპირსიტყვიერ ტექსტებში ასეთი ფოლკლორისტული ჩარევისა, ო. კუუსინენის მიერ გამთლიანებული „კალევალა" დღეს საყოველთაოდ მიღებულია და სხვა ენებზეც ეს ეპოსი ამ ტექსტიდან არის თარგმნილი (მაგალითად, რუსული 1960 წლის გამოცემა პეტროზავოდსკისა).

ასევე კარგად არის ცნობილი, თუ რა ხანგრძლივი და სერიოზული მუშაობა ჩაუტარდა „დავით სასულელის" ტექსტს. 50-ზე მეტი ვარიანტიდან ისეთები ამოირჩა, გაირანდა და დალაგდა, რომლებიც სიუჟეტის განვითარებას, ეპოსის საერთო სულისკვეთებას და სტრუქტურას შეესაბამებოდა. ამ ეპოსის საერთო რიტმის „შესანარჩუნებლად" (ამ ერთიან რიტმზე ეპოსის გასაწყობად) თითოეული სტრიქონი გადაისინჯა, ზოგჯერ ამ მიზნით ცალკეული სიტყვა გადაადგილდა, ზოგი დაემატა კიდევაც. ამას გარდა ჩატარდა ამ ეპოსის ცალკეული ვარიანტის კილოსა და ენის უნიფიცირება, ცალკეული დიალექტის ფონეტიკის მიახლოება არარატულ დიალექტთან.[1]

[1] А. А. Петросян, Важные вапросы публикций текстов эпоса народов СССР, в сборнке: Фольклор. Иэдание эпоса. М., 1977, стр. 19

ეს მაგალითები, ბუნებრივია, მხოლოდ იმის გასახსენებლად მოვიტანე, თუ რა სიღრმის ტექსტოლოგიური „ჩარევა", გაჩალხვა-გარანდვაა დასაშვები ხალხური ეპოსის ტექსტის გამოვლენისა და გამოლიანებისათვის.

ცალკეული ეპიზოდების (თაყვების) შესაბამისად „ერეკლეს ეპოსის" გამოლიანებული ტექსტი შემდეგ ზეპირსიტყვიერ მასალას ემყარება:

I. ეპიგრაფი

ხევსურულული ლექსია. იგ. ბუქურაულის მიერ ჩაწერილი, პირველად ჟურნალ „მთამბეში" გამოქვეყნდა, 1896 წელს (№ 10)[1]2. ტექსტს ჩამოვაშორე ბოლო ოთხი სტრიქონი, ამკარად გაუმართავი, მხატვრულად მდარე, ინფორმაციულად გამოუსადეგარი „რა ცხენსა გარდავჯდებოდა, რა ტურფა ჩილი ხეაო! რა ხანსა ომში შევიდეს, მეტისმეტ მამაციაო".

II. პროლოგი

ამ ლექსის ავტორმთქმელად მესტვირე კიჭიაშვილია მიჩნეული (იხ. იოანე ბატონიშვილის „კალმახთბა". I, გვ. 295). ამასთან ეს ფრაგმენტია. კიჭიაშვილის ლექსი უფრთ ვრცელი ყოფილა. ამ სახით ეს ფრაგმენტი ქართლში თ. რაზიკაშვილს ჩაუწერია. პირველად ე. თაყაიშვილის კრებულში დაიბეჭდა („ხალხური სიტყვიერება", ნაწილი პირველი, გვ. 180). ლექსს ერთი ვარიანტი სოფ. ხიზაბავრაშიც ჩაუწერია თ. რაზიკაშვილს, მთქმელ ი. ლაზარიშვილისაგან. ეს ვარიანტი ბ. უმიკაშვილის

[1] გადაბეჭდა ა. შანიძემ (იხ. მისი დასახელებული კრებული, № 55, გვ. 22). შემდეგ ქს. სიხარულიძემ (იხ. მისი დასახ. კრებ., II, № 58. გვ. 51), ასევე „ქართ. ხალხ. პოეზია," ტ. XI, № 133, გვ. 59.

კრებულშიც შევიდა („ხალხური სიტყვიერება", I, ფ. გოგიჩაიშვილის რედაქციით, 1937, გვ. 106), შემდეგ სოლ. ცაიშვილმაც გადაბეჭდა („ერეკლე მეფის გმირული სახე ხალხურ შემოქმედებაში, 1942, გვ. 20, №6) და ქს. სიხარულიძემაც (იხ. მისი დასახ. კრებ., II, №62, გვ. 52).

III. ამბავი ერეკლეს დაბადებისა

ეს საკმაოდ გავრცელებული ლექსია. უამრავი ვარიანტია ცნობილი. ძირითადად მიჩნეული ტექსტი ჩაწერილია გარეკახეთში. სოფ. პატარძეულში, ზ. ბილანიშვილის მიერ 1883-1887 წლებში, პირველად ე. თაყაიშვილის კრებულში გამოქვეყნდა (ნაწილი I გვ. 111). იგივე ტექსტი თ. რამბაკაშვილსაც ჩაუწერია და მ. ვ. ჯანდიერსაც (ხმლეტაში), გამოქვეყნდა ვ. კოტეტიშვილის „ხალხურ პოეზიაში" (გვ. 90), გადაბეჭდილია სოლ. ცაიშვილის კრებულშიც (№2, გვ. 19). უფრო ვრცელია (მოიცავს ლექსს „პატარა კახი", ქს. სიხ., II. №4, გვ. 9) ი. ძამიაშვილის მიერ კახეთში, სოფ. შრომაში, 1937 წ. ჩაწერილი ლექსი. ეს ვარიანტი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შოთა რუსთაველის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტის ფოლკლორის არქივშია დაცული (№328) და „ქართული ხალხური პოეზიის" XI ტომშიცაა წარმოდგენილი.[1]

ლექსი მოარულ მოტივზეა შექმნილი. მსოფლიო ფოლკლორში კარგადაა ცნობილი გმირის ირმის ძუძუთი გაზრდის მოტივი. ქართულ ზეპირსიტყვიერებაშიც ასეა. ერთი ვარიანტის მიხედვით ბირმაში ლაშა გიორგია, სხვა ვარიანტებით ერეკლეა, ზოგგან იგი თამარის შთამომავალია, ზოგგან- ბირმაში (დაწერ. იხ. ქს. სიხარულიძის „ქართული ხალხური საისტორიო სიტყვიერება", II, გვ. 217-218).

[1] ლექსი გადაბეჭდილია „ქართული ხალხური პოეზიის" მეთერთმეტე ტომშიც (№85, გვ. 40).

IV. ამბავი ერეკლეს გოლიათური ზრდისა

ა) „ეს ჩვენი მეფე ერეკლე", ლექსი მოხევურია, ჩაწერილია 1953 წელს, ყაზბეგის რაიონის სოფ. ვარდისუბანში, მთქმელი იოსებ ავსავღანიშვილია, ჩამწერი-ეთერ ავსავღანიშვილი. ეს ლექსი უაღრესად გავრცელებულია. სხვადასხვა ვარიანტი 1872 წლიდან მოყოლებული არა ერთ ჩამწერს აქვს დაფიქსირებული. ასე, მაგალითად, 1872 წელს ერთი ვარიანტი ბ. უმიკაშვილმა ჩაიწერა მცხეთაში. ზუსტად მისი მსგავსი ვარიანტი 1945 წ. რაჭაში (სოფ. წესი) ეთერ არვლედიანიძემაც ჩაიწერა მთქმელე საბა მერკვილაძისაგან. თუმცა ამ ვარიანტებს წინ ორი სხვა, არც თუ გამართული (აზრობრივადაც და მხატვრულადაც) სტრიქონი უძღვის — „ძმათა ერთია ყრილობა, გინდა შენ მოჰკლა, გინდა მე."

ვარიანტებს შორის ქს. სიხარულიძემ უპირატესობა მიანიჭა ტექსტს რომლის, პირველი სტრიქონი ასე იკითხება: „ერეკლე ჩვენი ბატონი". ეს ტექსტი თ. რაზიკაშვილისეულია, ქართლში ჩაუწერია. იგი ე. თაყაიშვილის კრებულში დაიბეჭდა (I ნაწილი, გვ. 180). გადაბეჭდა ა.შანიძემ (იხ. მისი „ხალხური პოეზია". I, ხევსურული, გვ. 364),[1]

ბ) ლექსი „ბატონი მეფე გვიცოცხლოს" „ივერიაში" დაიბეჭდა (1877, №40), გადაბეჭდეს სოლ. ცაიშვილმა (იხ. მისი კრებული, №14, გვ. 22). ქს. სიხარულიძემ (იხ. მისი კრებ. II, №59, გვ. 51), დაიბეჭდა „ქართული ხალხური პოეზიის" მრავალტომეულშიც (ტ. XI. №134, გვ. 59).

[1] დაბეჭდილია „ქართული ხალხური პოეზიის", მეთერთმეტე ტომში, №86, გვ. 41.

V. ამბავი ერეკლეს ბრძოლისა უსუფ ფაშასა და მის მოკავშირე გივი ამილახვართან

ა) ლექსი „უსუფ ფაშამ უთხრა მამას" ჩაწერილია მესხეთში ვინმე მესხის (ი. გვარაშაძის) მიერ. პირველად დაიბეჭდა ე. თაყაიშვილის კრებულში (ნაწილი პირველი, გვ. 416), შემდეგ სოლ. ცაიშვილმაც გადაბეჭდა (№ 34, გვ. 40). ქს. სიხარულიძის კრებულში რიგით მეექვსე ტექსტია (გვ. 12) დაიბეჭდა აგრეთვე ქართული ხალხური პოეზიის მრავალტომეულში (ტ. XI, № 91, გვ. 42).

ბ) ლექსი „ერეკლეს შემოუთვლიან". მესხურია, ვინმე მესხის ჩაწერილი. პირველად ე. თაყაიშვილის კრებულში დაიბეჭდა (ნაწ. I. გვ. 415-416), შემდეგ სოლ. ცაიშვილმაც გადაბეჭდა (№ 33, გვ. 39). ქს. სიხარულიძესთან რიგით მეშვიდე ტექსტია და ასეა დასათაურებული — „ერეკლემ შემოუთვალა ფაშას". ლექსი გადაბეჭდილია ქართული ხალხური პოეზიის მრავალტომეულში ("შემდგომში — „ქხპ მრაე.") XI, № 92, გვ. 42-43.

გ) „ავარდა ბატონიშვილი" ლექსი სათაურით „ხევსურები გორის ბრძოლაში" აკ. შანიძემ ჩაიწერა სოფ. თვალიეში, 1913 წელს, მთქმელ მინდია ქისტაურისაგან (იხ. აკ. შანიძის დასახ. კრ., № 48, გვ. 17-18), ლექსის დასათაურებაც მას ეკუთვნის. ა. შანიძეს ლექსის გამორჩეულობაც აქვს აღნიშნული ამბის დაწვრილებითი თხრობის (ომის მონაწილეთა მითითების თვალსაზრისით) გამო. ქს. სიხარულიძესაც ეს ვარიანტი მიიჩნია საუკეთესოდ და ძირითადად ტექსტად წარმოადგინა (იხ. მისი დასახ. კრ., გვ. 10, № 5), თორემ უამრავი სხვა ვარიანტიც არის ცნობილი. მაგალითად, ივ. ბუქურაულის მიერ აღუდა ზვიადაურისაგან ჩაწერილი, რომელიც „ივერიაში" გამოქვეყნდა (1888, № 136). დაბეჭდა ა. შანიძესაც (იხ. მისი კრებ.. გვ. 358--359); პ. უმიკაშვილის მიერ ხახმატში ბეგრდია გამღიცარაულისაგან ჩაწერილი 1874 წელს (იხ. პ. უმიკ. კრ.,

გვ. 99; თ. რაზიკაშვილის მიერ ხევსურეთში ჩაწერილი ვარიანტი, რომელიც ა. შანიძემაც შეიტანა თავის კრებულში (გვ. 360-361); ა. შანიძის მიერ 1911 წელს ბარისახოში ბაბო ჭინჭარაულისაგან ჩაწერილი ტექსტი (იხ. ა. შანიძის კრ., გვ. 360). ივ. ბუქურაულის მიერ ხევსურეთში ჩაწერილი ვარიანტი (ჟურნ. „მთამბე", 1896, № 10); ს. მაკალათიას კრ. „ხევსურეთში" დაბეჭდილი ტექსტი, რომელიც სოლ. ცაიშვილმა გადაბეჭდა (№ 50, გვ.62); პ. უმიკაშვილისეული ვარიანტი (იხ. მისი დასახ. კრ., გვ. 100); ე. არჯევანიძის მიერ რაჭაში (სოფ. წესი) 1945წ. ჩაწერილი ვარიანტი; ე. ბალიაურის მიერ ხევსურეთში ჩაწერილი ტექსტი, სადაც „ავარდა ბატონიშვილის" ნაცვლად არის „გავარდა ალექსანდრეი" და სხვა. დაბეჭდილია ქს. სიხარულიძის კრებულში (№ 5, გვ. 10-11), ქხპ მრავალტომეულში(ტ. XI, № 90, გვ. 41-42).

დ) ლექსი „ერეკლე ბატონიშვილი" ერეკლეს გოლიათური ზრდის ეს ლექსი იმ მოარული პოეტური ნაწარმოების ვარიანტია, რომელიც ერეკლეს მიერ ყაჯრის პერანგის გაგლეჯას მოგვითხრობს. ოღონდ ესაა, რომ აქ ზოგან ცნობას ერთი კონკრეტული ფაქტის ანარეკლიც ებმის. ესაა ერეკლეს მიერ საგურამოსთან ლეკთა ყაჯრის დამარცხების ამბავი. რაკი ეს ისტორიული ფაქტი უსუფ ფაშასა და მისი მოკავშირე ლეკების დამარცხებას უკავშირდება, ტექსტი ერეკლეს ეპოსის ლოგიკური თანამიმდევრობის თვალსაზრისით აქ შევიტანე. ეს ვარიანტი ქს.სიხარულიძეს ძირითად ტექსტებში აქვს შეტანილი (იხ. მისი დასახ. კრ., № 2, გვ. 9). ეს ლექსი დ. ხიზანიშვილს ჩაუწერია ფშავში (იხ. მისი „ფშავური ლექსები", გვ. 137), გადაბეჭდილი აქვს ა. შანიძესაც (იხ. მისი დასახ. კრ., გვ. 364). დაბეჭდილია აგრეთვე ქხპ მრავალტომეულში (ტ. XI, № 89, გვ. 41).

ე) შემდეგი ლექსი კი — „ერეკლემ წიგნი მოგვწერა" — მე-8 ნომრად ქს. სიხარულიძეს ძირითად ტექსტში აქვს შეტანილი (იხ. მისი კრ., გვ. 13, სათაურით „ერეკლე"). ტექსტი ჩაწერილია

1938 წელს, სოფ. გარბანში, ი. სავაძის მიერ მთქმელ ივანე ლეგიაძისაგან. დაბეჭდილია აგრეთვე ქხპ მრავალტომეულში (ტ. XI, №93, გვ. 43).

ვ) ლექსი „ეს გივი ამილახვარი“ თ. რაზიკაშვილის მიერ არის ჩაწერილი ქართლში, დაბეჭდილია ე. თაყაიშვილის კრებულში (ნაწილი I, გვ. 185-186). ქს. სიხარულიძის კრებულში №9 ტექსტია (გვ. 14–15). შეტანილია ქხპ მრავალტომეულშიც (ტ. XI, №94, გვ. 43-44).

ზ) „ამილახვარსა გივსათ“ – ჩაწერილია თ. რაზიკაშვილის მიერ, ქართლში. დაბეჭდილია ე. თაყაიშვილის კრებულში (ნაწილი I, გვ. 186). ქს. სიხარულიძეს ძირითად ტექსტებში აქვს დაბეჭდილი (იხ. მისი დასახ. კრ., გვ. 15). შეტანილია ქხპ მრავალტომეულში (ტ. XI, №96, გვ. 44).

თ) ლექსი „შე გით ამილახვართ“ ჩაწერილია თ. რაზიკაშვილის მიერ, ფშავში. დაიბეჭდა მიხეილ ჩიქოვანის რედაქციით გამოცემული „ხალხური სიტყვიერების“ ოთხტომეულის მესამე ტომში (№23, გვ. 14). ქს. სიხარულიძის კრებულში (II, №11, გვ. 15), ქხპ მრავალტომეულში (ტ. XI, №96, გვ. 44).

ი) „ამილახვარო, რა ხარო“ – ამ ვრცელი ლექსის ფრაგმენტი გარეკახეთში, სოფ. პატარძეულშია ჩაწერილი ზ. ბილანიშვილის მიერ. დაიბეჭდა ე. თაყაიშვილის მითითებულ კრებულში (გვ. 112). ლექსი, ჩაწერისავე აღიარებით, მთლიანად ვერ ჩაუწერია. შესულია აგრეთვე ქს. სიხარულიძის კრებულში (II, №12, გვ. 15).

ამბავი ერეკლესა და გლეხის გოგოს შეხვედრისა, ტექსტი ჩაწერილია ქართლში, სოფელ გარიყულაში, ანეტა კაპანაძის მიერ, მთქმელ ტატა ამირბარაშვილისაგან. დაბეჭდილია ვ. კოტეტიშვილის „ხალხურ პოეზიაში“ (გვ. 34). ქს. სიხარულიძის კრებულში ტექსტი 67-ე ნომრით არის დაბეჭდილი (გვ. 53). გადაბეჭდილია ქხპ მრავალტომეულშიც (ტ. XI, №139, გვ. 60).

VI. ამბავი ერეკლეს ლაშქრობისა ოსეთში

„ერეკლე ბატონიშვილი ას ღვთისაგან დავლათიანი“ სათაურით „სათრუსოდ“ ხევსურეთშია ჩაწერილი ნ. ურბნელის (ხიხანიშვილის) მიერ, მთქმელ ბადია ბალიაურისაგან. პირველად გამოქვეყნდა „ივერიაში“ (1891, №90), შემდეგ ვ.ერ ა. შანიძემ გადაბეჭდა (იხ. მისი კრ., გვ. 20-21, №51), მერმე სოლ. ცაიშვილმა (იხ. მისი კრ., გვ. 24-25, №18). გადაბეჭდილია ქს. სიხარულიძის კრებულში (II, №16, გვ. 18), ასევე ქხპ მრავალტომეულში (ტ. XI, №97, გვ. 44).

ოსეთში ერეკლეს „გადასვლის“ თემაზე სხვა ლექსები და მათი ვარიანტებიც არის ცნობილი. ერთია **„ვლარს ეძახს ბატონიშვილი“** (ქს. სიხარულიძის კრებული, №15), თავისი უამრავი ვარიანტით, მეორე — **„თრუსოს ჩავიდნენ ხევსურნი“** (ქს. სიხარულიძის კრებულ. №17). ეს ლექსები თემატურადაც და შინაარსობრივადაც ერთსა და იმავე ფაქტს ასახავენ. მათი სხვადასხვა ლექსად წარმოდგენა განაპირობა ა. შანიძის მოსაზრებამ იმის თაობაზე, თითქოს ლექსში „თრუსოს ჩავიდნენ ხევსურნი“ ასახული იყოს ერეკლეს გადასვლა თერგის ხეობაში 1753წელს. ა. შანიძემ ეს მოსაზრება ომან მდივან-ბეგის ისტორიის ერთ ფაქტს დაამყარა, კერძოდ, ომან ხერხეულიძის ცნობით, 1753 წელს ნუხის ხანის შვილის აღაქიშისა და ყარაბაღის ხანის წინააღმდეგ ერეკლემ ოსები და ჩერქეზები გამოიყვანა („ქართლის ცხოვრება“, II, გვ. 485. იხ.: ა. შანიძის დასახ. კრ., გვ. 363).

ქს. სიხარულიძემ სამართლიანად არ გაიზიარა ა.შანიძის მოსაზრება და გაარკვია, რომ ამ ლექსშიც ასახული უნდა იყოს ერეკლეს გადასვლა ოსეთში, თრუსოს დაწვა და მოთარეშე მთიელთა ალაგმვა. ქს. სიხარულიძეც „ქართლის ცხოვრების ცნობას დაემყარა“ (II, გვ. 390). ეს აზრი ქს. სიხარულიძემ ვ.ერ წიგნში „ქართველი ხალხის ბრძოლა საქმობლოსათვის ერეკლე მეორის ხელმძღვანელობით“ (1942) გამოთქვა, შემდეგ

„ქართული ხალხური საისტორიო სიტყვიერების" მეორე ტომში (გვ. 238) გაიმეორა.

ასე რომ, ამ ლექსებში (მათი ვარიანტებითურთ) ერთი და იგივე ამბავია მოთხრობილი. ამიტომ უპირატესობა, ბუნებრივია, ინფორმაციულად უყურთ დატვირთულს მიენიჭა, თორემ მხატვრულად ისინი თანაბარი ღირებულებისანია, თანაც „ერთ თარგზე მოჭრილი." ინფორმაციული სისავსის თვალსაზრისით ტექსტს ლექსიდან „თრუსოს ჩავიდნენ ხევსურნი" ოთხი სტრიქონია დამატებული: „ხკვირობენ აზნაურები:// „ხევსური როგორ ცდისაო"// „თმაიშვილი იქნება"// „ერეკლე იტანისაო", აღნიშნული ლექსების ჩაწერა-გამოქვეყნების ისტორია კი ასეთია:

ა) „ვდარს ეძახის ბატონიშვილი" 1874 წელს პ. უმიკაშვილს ხახმატელი ბერდია გამღივარაულისაგან ჩაუწერია ხევსურეთში. ეს ლექსი მანვე გამოაქვეყნა (იხ. პ. უმიკაშვილის კრ., გვ. 100), შემდეგ სოლ. ცაიშვილმა გადაბეჭდა (გვ. 23-24, №17). მისი „ბ" ვარიანტი ა. შანიძემ ჩაიწერა ღულელ მინდია ქისტიაურის თქმით, 1913 წელს, სოფ. თვალიეში (ა. შანიძის კრ., გვ. 20, №50); „გ" ვარიანტი ივ. ბუქურაულისეულია. მან იგი „ალამბეში" (1896, №11) გამოაქვეყნა, გადაბეჭდა ა. შანიძემ (იხ. მისი კრ., გვ. 362-363); „დ" ვარიანტი ვ.ტუსიშვილმა ჩაიწერა მთქმელ ბერდია ბრაბულისაგან და ა. შანიძემ დაბეჭდა (იხ. ა. შანიძის კრ., გვ. 362). ამას გარდა, ცნობილია ე. აფსავანაშვილის მოხევური ტექსტი (ჩაწერილია სოფ. ტყაბრიშეტში, 1960 წელს, ივანე მაისურაძისაგან) და გ. ლომთათიძის ჩანაწერი სოფ. ლიქოკში (მთქმელი შიო სისაური), რომელიც დაიბეჭდა კრებულის „საუნჯე ხალხური შემოქმედებისას" მესამე ტომში (1935, გვ. 66) და სოლ. ცაიშვილმა გადაბეჭდა (იხ. მისი კრ., გვ. 28-29, 22); გადაბეჭდა აგრეთვე ქს. სიხარულიძემ (II. №15, გვ. 17), შეტანილია ქხპ მრავალტომეულში (ტ. XI, №111, გვ. 50-51).

ბ) ლექსი „თრუსოს ჩავიდნენ ხევსურნი" ხევსურულია. ნ. ურბნელს მთქმელ ბადია ბალიაურისაგან ჩაუწერია, 1891 წელს

„ივერიაში" (№ 90) გამოქვეყნდა. გადაბეჭდილია ა.შანიძის მიერ (იხ. მისი კრებ., გვ. 21, № 52). შეტანილია ქს. სიხარულიძის კრებულშიც (II, № 17, გვ. 18-19), ასევე ქხპ მრავალტომეულში (ტ. XI, № 98, გვ. 44-45).

VII ამბავი ერეკლეს ბრძოლისა ბდფულა ბეგთან

➢ ამ ამბავს ქმნის შემდეგი ტექსტები:

ა) „ბამბულია შეიკაზმა" ამ ლექსის ჩანაწერი ვახ. კოტეტიშვილს ეკუთვნის, ქს. სიხარულიძემ სხვა ვარიანტებს შორის ამ ჩანაწერს მიანიჭა უპირატესობა და ძირითად ტექსტად წარმოადგინა თავის კრებულში (№ 21 გვ. 21). ერთი ვარიანტი ი. გოგებაშვილმა გამოაქვეყნა (იხ.მისი თხზულებანი, ტ. V, 1957, გვ. 562) და იქიდან სოლ. ცაიშვილმა გადაბეჭდა (№ 32, გვ. 38-39); ერთი – პ. უმიკაშვილმა სოფ. ნორიოში ჩაიწერა, 1872 წელს (იხ. მისი კრ., გვ. 104); ერთი ყარიანტი ე. თაყაიშვილის ზემოთ მითითებულ კრებულშია დაბეჭდილი (ნაწილი I, გვ. 415) და აქედან სოლ. ცაიშვილმაც გადაბეჭდა (№ 30, გვ. 37). ამას გარდა, სხვა ვარიანტებიც არსებობს, მაგალითად, 1938 წელს აბ. მახარაძის მიერ იყალთოში ჩაწერილი; ა. კარგარეთელისეული 1939წლისა; ი. ძამიაშვილისა, 1937 წელს კახეთში, სოფ. შრომაში ჩაწერილი; გ. გოგოლაძის მიერ 1937 წელს სოფ. ბარალეთში ჩაწერილი ტექსტი და სხვა (ამის თაობაზე იხ. ქს. სიხარულიძის დასახ. კრ., II, გვ. 242). ლექსი გადაბეჭდილია ქხპ მრავალტომეულშიც (ტ. XI, № 100, გვ. 45).

ბ) ლექსი „ერეკლემ შემოუტია" სათაურით „ერეკლე და მისი ხმალი" პირველად „ივერიაში" დაიბეჭდა (1887, № 185). XIX საუკუნეშივე გამოვლინდა მისი არაერთი ვარიანტი. ასე, მაგალითად, თ. რაზმიკაშვილმა ქართლში ერთი ვარიანტი ჩაიწერა, ტექსტი ე.თაყაიშვილის კრებულში დაიბეჭდა (ნაწილი

I, გვ. 180). ქართლში ვარიანტების არსებობა დააფიქსირეს ა. კაპანაძემ (სოფ. გარიყულაში, დაიბეჭდა ვ. კოტეტიშვილის „ხალხური პოეზიაში", გვ. 130), ნიკო ასათიანმა (სოფ. ხიდისთავში, 1892 წელს, ინახება ფ. ა. №3527), ვ. სონღულაშვილმა (დიღომში, 1952 წელს, დაიბეჭდა მის მიერვე შედგენილ კრებულში „ხალხური სიტყვიერების მასალები, ელ. ვირსალაძის რედაქციით, ნაწ. I," 1955, №17, გვ. 10). ამას გარდა, ერთი ვარიანტი ნ. ასათიანმა ახალციხეშიც აღმოაჩინა 1929 წელს, ხოლო მეორე ასპინძის რაიონის სოფ. ტოლოშში, 1930 წელს.

ქს. სიხარულიძემ უკეთესად „იერიაში" გამოქვეყნებული ვარიანტი სცნო და თავის კრებულში 64-ე ნომრად შეიტანა (გვ. 53). ტექსტი გადაბეჭდილია ქნპ მრავალტომეულშიც (ტ. XI, №137, გვ. 60).

გ) „ხმალო, ფრანგისა ნაჭედო"-ც კარგად ცნობილი ლექსია, საყოველთაოდ არის გაცრცელებული და მრავალი ვარიანტია გამოვლენილი. სხვაობას უმთავრესად ქმნის ერთი სტრიქონი — „ხმალო, ფრანგისა (ან საფრანგეთს) ნაჭედო". ლექსის ორი ვარიანტი თ. რაზიკაშვილმა ჩაიწერა. ერთი ხევსურეთში (დაიბეჭდა ა. შანიძის კრებულში, №305, გვ. 127); გადაბეჭდა სოლ. ცაბაშვილმა, №8, გვ. 352); ორი ვარიანტი ივ. ბუქურაულმა გამოავლინა თუშეთში, ერთი ა. შანიძემ დაბეჭდა ისე, რომ რამდენიმე სტრიქონი ჩამოაცილა, რადგან სხვა ლექსისად მიიჩნია (გვ. 505), მეორეც ა. შანიძემ გამოაქვეყნა, ოღონდ სხვა ხალხურ ლექსს ჩამოაშორა, რაზეც „რითმის მიხედვით განსხვავებული (იხ. ა. შანიძის დასახ. კრებული, გვ. 506). ამ ლექსის კიდევ ერთი ვარიანტი ი. კარგარეთელმაც ჩაიწერა (ეს ტექსტიც ა. შანიძემ დაბეჭდა თავის კრებულში, გვ. 506).

ქს. სიხარულიძემ უკეთესად მიიჩნია ვარიანტი, რომელიც შეიცავს სტრიქონს „ხმალო, ხევსურეთს ნადებო" (იხ. მისი კრებ., II. გვ. 52). ლექსი შეტანილია ქნპ მრავალტომეულშიც (ტ. XI. №136, გვ. 60).

დ) ლექსი „აბდულის ყარაულები" ქს.სიხარულიძის კრებულში (№20, გვ. 21) „აბდულას" სახელწოდებით არის დაბეჭდილი. იგი ხევსურულია, თ. რაზიკაშვილის მიერ არის ჩაწერილი, დაბეჭდილია ა. შანიძის კრებულში (№53, გვ. 21-22), გადაბეჭდილი აქვს სოლ. ცაიშვილსაც (№31, გვ. 37-38), შეტანილია ქხპ მრავალტომეულშიც (ტ. XI, №99, გვ. 45).

VIII. ამბავი ერეკლეს ბრძოლისა ჰაჯი ჩალაბთან

➢ ამ ამბავს შემდეგი ლექსები ამთლიანებს:

ლექსი „ერეკლემ, ჩვენმა ბატონმა" საკმაოდ გავრცელებულია და არაერთი ვარიანტია ცნობილი.

საერთოდ, ერეკლეს ბრძოლაზე ჰაჯი-ჩალაბის წინააღმდეგ ზეპირ ტრადიციაში სულ ორი ლექსია გამოვლენილი. ქს. სიხარულიძემ თავის კრებულში ისინი 24-ე და 25-ე ნომრებად წარმოადგინა. მეორე ლექსს, რიგით 25-ეს („მთიულებს შემოუთვალეს", გვ. 24), რომელიც აპ. ცანავამ ჩაიწერა 1946 წელს, სოფ. ძმიანში, ალექსი ჭინჭარაულისაგან (დაიბეჭდა ელ. ვირსალაძის კრებულში „ქართველ მთიელთა ზეპირსიტყვიერება, მთიულეთ-გუდამაყარი," 1958, №117, გვ. 153-154), ქს. სიხარულიძე ეჭვით მოეკიდა, შეიძლება „ეს ლექსიც ასახავდესო 1751 წლის ომს... ავკი ჩალაბის წინააღმდეგ (გვ. 248). თუმცა ლექსის შინაარსიდან (განსაკუთრებით სტრიქონები: „თბილისის ბოლოს მთვიდა ვეარები თათრებისა", იხ. ქს. სიხარულიძის კრებ., II, გვ. 24) სულ სხვა გამოდის. მასში სხვა ვითარებაა ასახული, ანუ ლეკ-თათართა რომელიღაც თავდასხმა თბილისზე. ასე რომ, აპ. ცანავას მიერ ჩაწერილი ლექსი ამ ამბავს უნდა ჩამოშორდეს.

რაც შეეხება პირველ ლექსს, „ერეკლემ, ჩვენმა ბატონმა", ქს. სიხარულიძემ სრულიად საფუძვლიანად უპირატესობა

მიანიჭა ვარიანტს, რომელიც ამოწერილია „ივერიაში" (1890, №255) გამოქვეყნებული ფელეტონიდან „ხალხის გმირი დათუკი ქვეპირიშვილი". ამას გარდა, თავის დროზე ამ ლექსის ათიზე მეტი სხვა ტექსტი არის ჩაწერილი. ასე, მაგალითად, თ. რაზიკაშვილის მიერ კახეთში ჩაწერილი (დაიბეჭდა ე. თაყაიშვილის კრებულში, I, გვ. 374) ზ. ბილანიშვილის მიერ პატარძეულში ჩაწერილი. ეს ტექსტიც ე. თაყაიშვილმა დაბეჭდა (იხ. მისი კრებ., I, გვ. 112). ამ ვარიანტის მსგავსი ლექსი მარაბდაში ჩაუწერია ნინო ბარათოვს (დაბეჭდა, პ. უმიკაშვილმა, იხ. მისი კრებ., გვ. 101. გადაბეჭდა სოლ. ცაიშვილმა, №39, გვ. 44-45). ერთი აღრეული ჩანაწერია პ. უმიკაშვილისეული ვარიანტი. იგი მას თბილისში 1864 წელს ჩაუწერია, ნუკრიანელი მეფანდურისაგან. პ. უმიკაშვილს ამ ლექსის ერთი ვარიანტი 1871 წელსაც ჩაუწერია და მის არქივში ინახება. მის არქივშია ასევე ამავე წლით დაოარიღებული კახური ლექსი ლ. ჩერქეზიშვილის მიერ ჩაწერილი (იხ. პ. უმიკაშვილის დასახ. კრებ., გვ. 564). ამას გარდა პ. უმიკაშვილს ორი ვარიანტი ხევშიც (სტეფანწმინდაში) ჩაუწერია 1881 წელს (იხ. პ. უმიკაშვილის დასახ. კრებ., გვ. 102; გვ. 135).

აღნიშნული ლექსის რამდენიმე ვარიანტი „აკაკის კრებულშიც" არის გამოქვეყნებული (1898, №12; 1899, №8-ს. მერკვილაძის ჩაწერილი); ცნობილია კახეთში, სოფ. მელაანში ვ. პეტრიაშვილის მიერ ჩაწერილი ვარიანტი (იხ. ქს. სიხარულიძის დასახ. კრებ., გვ. 248). ერთი ვარიანტი, სათაურით „რა ქნა ჩვენმა ბატონმა," ქართული ხალხური პოეზიის მრავალტომეულშიც არის შეტანილი (ტ. XI, №103, გვ. 46-47).

IX. ამბავი ერეკლეს ბრძოლისა აზატ-ხანთან

ჩვენს ფოლკლორისტიკაში ამ თემაზე სამი ძირითადი ხალხური ლექსია ცნობილი – „აზატ-ხან წამომდგარიყო", „აზატ-ხანი და ერეკლე", „ისე ადდიდა აზატ-ხან". ამ ლექსების უამრავი ვარიანტი არის დაფიქსირებული. ქს. სიხარულიძემ თავის კრებულში მათ 26-ე და 29-ე ადგილები დაუთმო. ამაყე თემას მიაკუთვნა მან მოხევური ლექსი „თამასხანი" (რიგითი №28). შინაარსის მიხედვით იგი მართლაც ამ თემატურ რკალს ეკუთვნის, რადგან ლექსში საუბარია თამაზ ხანის მიერ განვლის ციხის დარბევაზე, მაგრამ კონკრეტულად ერეკლესთან შეტაკებაზე არაფერია ნათქვამი. ამბავიც არასრულია, ფრაგმენტული. აღნიშნული ლექსები შეტანილია ქსპ პრაეალტომეულშიც (ტ. XI, №104, 105, გვ. 47).

ა) ლექსი „ისე ადიდდა აზატ-ხან" მრავალი ვარიანტით არის ცნობილი. ერთი ვარიანტი „ივერიაში" (1888, №131) დასტამბულ წერილშიც („ყიზლარი") არის შეტანილი. ძირითად ტექსტად, ქს. სიხარულიძის მსგავსად, მიჩნეულია თ. რაზიკაშვილის მიერ ქართლში ჩაწერილი ტექსტი, რომელიც ე. თაყაიშვილის კრებულში (ნაწილი I, გვ. 179) დაიბეჭდა. მანამდე კი „კვალში" (1894, №20) გამოქვეყნდა.

ქს. სიხარულიძემ თ. რაზიკაშვილის ტექსტის ერთი ნაწილი (ბოლო 12 სტრიქონი) სხვა ლექსად მიიჩნია, რადგან მისი აზრით, პირველ ნაწილში (40 სტრიქონი) ასახულია 1752 წლის ბრძოლა აზატ-ხანის წინააღმდეგ, ხოლო მეორე ნაწილში – 1755 წლის ბრძოლა ავარიის ხანთან ნურსალ-ბეგთან. ამიტომ მეორე ნაწილს უწოდა „ხუნძახმა ცხენსა მიჰმართა" და თავის კრებულში 31-ე ნომრით შეიტანა. რადგან ლექსის შინაარსი 1755 წლის ბრძოლის კონკრეტულ ფაქტობრივ მასალას არ შეიცავს და ღიაბარაკია მხოლოდ დამარცხებული მტრის გაქცევაზე, ამიტომ თ. რაზიკაშვილისეული ვარიანტი უფრო

მისაღებად მოჩანს. რაც შეეხება ლექსის სხვა ვარიანტებს: ერთი ვ. კოტეტიშვილმა 1930 წელს სოფ. ბალანთაში ჩაიწერა, თითო-თითო გ. გოგოლაძემ (1930წ., სოფ. ბარალეთში) ი. ძამიაშვილმა (1937, კახეთში). ი. ლაზარიშვილმა (სოფ. ხიზაბავრაში), დაიბეჭდა პ. უმიკაშვილის კრებულში, გვ. 106), ე. არჯევანიძემ (რაჭაში), ნ. ხუცაშვილმა (ახალქალაქში, დაიბეჭდა „ივერიაში", 1889, №204); ორი ჩანაწერი ეკუთვნის თ. რაზიკაშვილს. ისინი ე. თაყაიშვილის კრებულში გამოქვეყნდა (ნაწილი I, გვ. 178), და სოლ. ცაიშვილმა გადაბეჭდა (იხ. მისი დასახ. კრებული, №9, 10. გვ. 21). ასევე დაბეჭდილია ქხპ მრავალტომეულშიც (ტ. XI, №106, გვ. 47-48).

ბ) ლექსი „აზატ-ხანი და ერეკლე" ჩაწერილია მესხეთში, ვინმე მესხის (გვარაშაძის) მიერ, გამოქვეყნდა ე. თაყაიშვილის კრებულში (ნაწ. I, გვ. 416-417) და გადაბეჭდა სოლ.ცაიშვილმა (№27, გვ. 34). ლექსი მხატვრულად არც თუ ეფექტურია, ამასთან აშკარად ჩანს სხვა ხალხური ლექსების კვალი და ინფორმაციულობის ასპექტშიც ახალს არაფერს შეიცავს. იგივე უნდა ითქვას ლექსზე „აზატ-ხან წამომდგარიყო" (ქს. სიხარულიძის კრებ., №26, გვ. 25, ქხპ მრავალტომეული, ტ. XI, №105, გვ. 47).

X. ამბავი ერეკლესადმი მიმართ ღალატისა

ერეკლეს ეპოსში ეს ლექსი ერთადერთი ჩანაწერით არის წარმოდგენილი. ტექსტი პ. უმიკაშვილის კრებულშია დაბეჭდილი (გვ. 103). აქედან სოლ. ცაიშვილმაც გადაბეჭდა (№44, გვ. 53-54). ქს. სიხარულიძემ თავის კრებულში ძირითად ტექსტებში შეიტანა მე-13 ნომრით. ამასთან სწორად შენიშნა, ლექსი ხალხური პოეზიის ტაბაური ნიმუში არ არის და პოეტურადაც მდარეა, „სუსტი, მძიმე და გაუმართავიო"

(იხ.: ქს. სიხარულიძის კრებული. II, გვ. 233). ეს მაშინ, როცა მანამდე ლექსს გარკვეული ტექსტოლოგიური სწორებანი პ. უმიკაშვილის კრებულის გამომცემელმა ფ. გოგიჩაიშვილმა ჩაუტარა. ცალკეული სიტყვები მოაკლია „ლექსის გამართვის მიზნით". ასეთი სახით ლექსი შესულია ქსპ მრავალტომეულში (ტ. XI, №109, გვ. 49-50).

მიუხედავად ამისა, იმის გამო, რომ ამ ლექსს ინფორმაციული თვალსაზრისით აქვს მნიშვნელობა, – რეალური ისტორიული ფაქტის ერთადერთი მთხრობელია, – ერეკლეს ეპოსში მაინც უნდა მიეკუთვნოს ადგილი.

XI. ამბავი ერეკლეს ბრძოლისა სამხეთ-ჯავახეთისათვის

ერეკლეს თავგადასავალის ეს ეპიზოდი ყველაზე საყურადღებო აღმოჩნდა არა მარტო ჩვენს ზეპირსიტყვიერებაში, არამედ მწერლობაშიც. ასპინძის ომის თემაზე არაერთმა ქართველმა მწერალმა თუ პოეტმა შექმნა მხატვრული ნაწარმოები, თუმცა ზეპირსიტყვიერებას სიუხვით მაინც ვერ გაუტოლდა. ასი წლის განმავლობაში უამრავი ლექსი გამოვლინდა და კიდევ უფრო მეტი მათი ვარიანტი დაფიქსირდა. აქ „ამბავს" რამდენიმე ხალხური ლექსი და მათი ვარიანტები ქმნის.

ა) ამ ვრცელ ლექსს „ასპინძის ომი"-ს პოემასაც უწოდებენ (იხ. ქს. სიხარულიძის დასახ. კრებული, გვ. 261). იგი უამრავი ვარიანტით არის ცნობილი. ერთი ტექსტი, რომელიც ვინმე მესხმა მესხეთში ჩაიწერა, ასპინძის ომს თითქმის ისტორიული სიზუსტით მოგვითხრობს. ეს ტექსტი ე. თაყაიშვილმაც დაბეჭდა თავის კრებულში (ნაწ. I, გვ. 417-418) და სოლ. ცაიშვილმაც გადაბეჭდა (იხ. მისი მითით. კრებ., №40, გვ. 45-48) იგი ვარიანტებს შორის საუკეთესოდ მიიჩნია ქს. სიხარულიძემაც და თავის კრებულში 33-ე ნომრად შეიტანა.

ინფორმაციული სისრულის მიზნით სამცხე–ჯავახეთისათვის ერეკლეს ბრძოლის ამსახველ საბაზო ტექსტად ეს ვარიანტი არის არჩეული. ოღონდ ეგაა, რომ ტექსტში (ყოველგვარი ტექსტოლოგიური ჩარევის გარეშე, მინიშნებებით – ეპიზოდებით – აღნიშნულ თემაზე შექმნილი სხვა ლექსებიც არის დამატებული.

ერთია ხევსურული ლექსი „ხევსურები აწყურთან", რომელიც თ. რაზიკაშვილმა ჩაიწერა (დაბეჭდილია ა. შანიძის კრებულში, №49, გვ. 19-20; გადაბეჭდილია სოლ. ცაიშვილის მიერ, №41. გვ. 48-51; ქხპ მრავალტომეულში, ტ. XI, №113, გვ. 51-52). ჩამატება იმან განაპირობა, რომ ვინმე მესხისეულ „ასპინძის ომში" აწყურთან მომხდარი ამბები ძალზე მწირად არის, ხოლო ხევსურული ლექსი უშუალოდ აქ მომხდარ ბრძოლას მოგვითხრობს. ამას გარდა, ხევსურულ ლექსში უფრო დაწვრილებით არის მოთხრობილი იმის შესახებ, თუ როგორ შეიყარა ერეკლეს ხმობაზე ქართველთა ჯარი. ხევსურული ლექსი დაწვრილებით გვიამბობს ისტორიულად ცნობილ ფაქტს-ერეკლეს ერთგული ხევსურების თავგანწირულ ბრძოლას ასპინძის ომში.

მეორე ლექსია ამ თავის ბოლოს დამატებული „მეფე ერეკლე ხერთვისის ციხეში". ეს ლექსიც ვინმე მესხის ჩაწერილია მესხეთში და ასევე დაბეჭდილია ე. თაყაიშვილისა (ნაწ. I, გვ. 418-419) და სოლ.ცაიშვილის (№37, გვ. 42-43) კრებულებში, ქხპ მრავალტომეულში, ტ. XI, №117, გვ. 53-54. ქს. სიხარულიძესაც ძირითად ტექსტებში აქვს შეტანილი (№38, გვ. 36). იმის გამო, რომ ლექსში კონტამინაციის წყალობით დასაწყისში (პირველი ექვსი სტრიქონი) ერეკლეს მიერ ჯავახეთის პერანგის გახევის თემაზე შექმნილი სტრიქონებია შეტანილი, ისინი მოვაცილე. დანარჩენ სტრიქონებში კი ერეკლეს ხერთვისის ციხეში მისვლის ამბავია მოთხრობილი (ასპინძასთან ბრძოლის მოგების შემდეგ). იგი ინფორმაციული

თვალსაზრისით ასევე მნიშვნელოვანია, ავსებს და ამთლიანებს სამცხე–ჯავახეთისათვის ერეკლეს ბრძოლის ამბავს.

რაც შეეხება ბრძოლის („ასპინძის ომი") სხვა ვარიანტებს. ერთი ვარიანტი ვ. კოტეტიშვილის ჩაწერილია, უპასპორტო, დაბეჭდილია ქს. სიხარულიძის კრებულში (II, გვ. 261), ერთი გ. გოგოლაძეს ჩაუწერია სოფ. ბარალეთში, ერთიც იაკ. ლაზარიშვილს სოფ. ხიზაბავრაში (დაიბეჭდა „ივერიაში", 1889 წ., №200). ტექსტი შემდეგ პ. უმიკაშვილის კრებულშიც დაიბეჭდა (იხ. პ. უმიკაშვილის დასახ. კრებული. გვ. 106) და სოლ. ცაიშვილმაც გადაბეჭდა (№16, გვ. 23) ამას გარდა, ერთი ვარიანტი ე. არჯევანიძემ 1945 წელს რაჭაში (სოფ. წესი) ჩაიწერა. ცნობილია სხვა ვარიანტებიც.

ბ) ლექსის „ხევსურები აწყურთან" ზემოთ მითითებული ტექსტის გარდა, ცნობილია შემდეგი ვარანტები:

1. ი. ჭავჭავაძის მიერ 1871 წელს ჩაწერილი, რომელსაც ერთვის საყურადღებო შენიშვნა-განმარტება (დაიბეჭდა პ. უმიკაშვილის კრებულში, გვ. 97-98, გადაბეჭდა სოლ. ცაიშვილმა, №19, გვ. 5-26);

2. ხახმატელი ბერდია გამღივარაულისეული (დაიბეჭდა პ. უმიკაშვილის კრებულში, გვ. 98-99);

3. ხევსურული, სოფ. დათვისელი ბერდია არაბულისეული (დაიბეჭდა ვ. კოტეტიშვილის კრებულში, – გვ. 271-272; გადაბეჭდა სოლ. ცაიშვილმა, – №49, გვ. 60-62);

4. ასევე ხევსურული (დაიბეჭდა ს. მაკალათიას „ხევსურეთში", გვ. 43-44; გადაბეჭდა სოლ. ცაიშვილმა, №20, გვ. 26-27).

ასპინძის ომის თემატიკის ლექსებს აშკარად ამჩნევია ერეკლეს ეპოსის შექმნის ტენდენცია. ამის ერთი გამოვლენაა მოარული (მაგ., „ჯაჭვის ბერანგის გახევა") ლექსების ამ ციკლში შეტანის ფაქტიც. ერეკლეს შესახებ შექმნილი ლექსების ერთიანი არეალის არარსებობა უნდას იყოს ამ ეპოსის გამთლიანება-გასრულების ხელშემშლელი მიზეზი. განსაკუთრებით კი ის ფაქტი,

რომ ყოველი კუთხის მთქმელი თავისი კუთხის სამზერიდან ხედავდა და აფასებდა, აანალიზებდა ერეკლეს ნაღვაწ-ნაამაგარს.

XII. „ამბავი აღა-მახმად-ხანის შემოსევისა და თბილისის დაკლებისა":

ეს ამბავიც რამდენიმე ხალხური ლექსის საფუძველზეა გამთლიანებული.

ა) ერთია „ყენი რომ წინ წამოდგა". ეს ლექსი ქართლშია ჩაწერილი გ. თუმანიშვილის მიერ. დაბეჭდილია პ. უმიკაშვილის კრებულში (გვ. 109-110), გადაბეჭდა სოლ. ცაიშვილმა (№ 43, გვ. 52-53), ქს. სიხარულიძემ (II, № 41, გვ. 38), შეტანილია ქხპ მრავალტომეულში (ტ. XI, № 120, გვ. 54). ლექსში უმთავრესად ასახულია აღა-მახმად-ხანის მცდელობა შუშის ციხის აღებისა. ამიტომ ტექსტს მიმატებული ბოლო 9 სტრიქონი, შინაარსობრივად გაუმართავი, ჩამოვაცილე.

ბ) ლექსი „აღა მაღამეტ ხანი" ჩაწერილია კახეთში, სოფ. ვაჩნაძიანში, ალ. ჯანდიერის მიერ, 1870 წელს, გამოქვეყნებულია პ. უმიკაშვილის კრებულში (გვ. 107-108), გადაბეჭდილია სოლ. ცაიშვილის (№ 45, გვ. 55), ქს.სიხარულიძის მიერ (II, № 42, გვ. 38-39), ქხპ მრავალტომეულში (ტ. XI, № 121, გვ. 54-55). იმის გამო, რომ ლექსში დაწვრილებით არის მოთხრობილი, თუ როგორ მოადგა აღა-მახმად ხანი თბილისს, კრწანისის ბრძოლა თითქმის არაა ასახული, ხოლო ერეკლეს მარცხი და მთიულეთს წასვლა მეტად ზოგადად (სქემატურად) არის გადმოცემული, ბოლო ნაწილი ჩამოვაცილე (12 სტრიქონი). ლექსი ლიტერატურად შევწუხვიტე მომდგარი მეტრის გამო შემონებული ქალაქის ტრაგედიის მოლოდინის ჩვენებით („ქალაქს აემალა კვალი"), რათა სრვა ლექსით („ხოჯა ხანი წამოვიდა") გასრულებულიყო სურათი, თუ რას წარმოადგენდა თბილისის ქალაქი.

გ) საკმაოდ გრძელი ლექსი „ხოვგა ხანი წამოვიდა" გარეკახურია, ჩაწერილია სოფ. ჩაილურში, ღ. ჩერქეზიშვილის მიერ (დაბეჭდილია პ. უმიკაშვილის კრებულში გვ. 108-109), სოლ.ყაიშვილს (№ 46, გვ. 56-58) და ქს.სიხარულიძეს (II, № 43, გვ. 39-42; ქსპ მრავალტომეული. ტ. XI, № 122, გვ. 55) აქვთ გადაბეჭდილი. პ. უმიკაშვილის კრებულის გამომცემელი გ. გოგიჩაიშვილი ამ ლექსს პ. ქებაძის ნაწარმოებად მიიჩნევდა, თუმცა ეჭვიც გამოთქვა, შეიძლება ლექსი ხალხური იყოს და პ. ქებაძეს შეეტანა „თავის ლექსში გადასხვაფერებულადთ". ქს. სიხარულიძეს თავის კრებულში (ტ. II, გვ. 271-272) დაბეჭდილი აქვს პ. ქებაძის ანალოგიურ თემაზე შექმნილი ლექსი „საქართველოს გადაცემა რუსებზე", რომელიც ქართლში ჩაუწერია დარია მამაცაშვილს და იაკობ გოგებაშვილისათვის გაუგზავნია პ. უმიკაშვილისათვის გადასაცემად (1872 წელს).

იმის გამო, რომ ამ ლექსში საკმაოდ ვრცელი და მაღალმხატვრულია დახასიათებაა თბილის-ქალაქისა, ხოლო აღამახმად ხანის წინააღმდეგ ომი და ქალაქის დაცემა სქემატურად და არეულად არის მოთხრობილი, ამბის (და სურათის) გამთლიანების მიზნით სტრიქონის „მან კი აართო მხარია" შემდეგ, ვარსკვლავებით გამოყოფილად ჩავამატე ხალხური ლექსის – „ასტახანი რომ ღაიძრა"–ნაწილი, კერძოდ, მეექვსე-ოცდამეერთე სტრიქონები.

დ) ლექსი „ასტახანი რო დაიძრა" ჩაწერილია სევ. გაჩეჩილაძის მიერ, ვინმე არტემა აივაზოვისაგან (აქედან ლექსის მხატვრული სისუსტე და გაუმართაობა), გადაბეჭდილია ქს. სიხარულიძის მიერ (ტ. II, № 45, გვ. 42-43). მხოლოდ ინფორმაციული ასპექტი გახდა ლექსის ნაწყვეტის გამოყენების საფუძველი (ქართული ეკლარის მტკვრთან ორთაჭალაში შებმის ეპიზოდი). ამავე მიზნით გამოყენებულია კიდევ ერთი ხალხური ლექსის ფრაგმენტი. ესაა, „თურექმანი თბილისში". ეს ლექსი თ. რაზიკაშვილის მიერ არის ჩაწერილი, ხევსურულია. იგი დაბეჭ-

და ა. შანიძემ (იხ. მისი დასახ. კრებ. №57, გვ. 23), გადაბეჭდა ქს. სიხარულიძემ (ტ. II, №44, გვ. 42; შეტანილია აგრეთვე ქხპ მრავალტომეულში ტ. II, №123, გვ. 56). ამ ლექსიდან ყურადღება მიიქცია ნაწყვეტმა, რომელმაც მხატვრულად გაამთლიანა თბილისის აოხრების სურათი: „თრშაბათ დილას გათენდა// ავი დილა, ავი დარი,--// ყმაწვილების კალოს ლეწავს//თურექმანის ცხენის ნალი". ასე რომ, ერეკლეს ეპოსის ეს ამბავი სამი ხალხური ლექსით არის გამთლიანებული.

XIII. ამბავი რკინის კარის შეხსნისა

ამ სათაურით უამრავი ლექსი მოგვეპოვება. ისინი ერთმანეთის ვარიანტებია. მეტ-ნაკლები თრიგინალობით თრი სიუჟეტი გამოირჩევა. ერთია დ. ხიზანიშვილის მიერ ფშავში ჩაწერილი ტექსტი, რომელიც 1888 წელს „ივერიაში" (№239) გამოქვეყნდა და იმთავითვე მიიქცია ფოლკლორისტების ყურადღება, ერთგვარად საბაზო ტექსტად იქცა, თუმცა გარკვეული „შესწორება-დამატებები" მაინც მოითხოვა. თავის დროზე ტექსტი ა.შანიძემ გადაბეჭდა (იხ. მისი კრებ., გვ. 368), შემდეგ ვ. კოტეტიშვილმა (იხ.: ვ. კოტეტიშვილის კრებ., გვ. 216), თუმცა მან ტექსტს სხვა ვარიანტიდან (რომელიც 1884 წელს, დროებაში", №34 იყო გამოქვეყნებული) თრი სტრიქონი დაამატა. ეს სტრიქონებია – „მთვარე დაბნელდა, გაშაყდა,//აღარ გყინაოებს ცაშია".

ამ ხალხური ლექსის ტექსტმა უფრო ადრეც განიცადა სერიოზული „სწორება-დამატებანი". პ. უმიკაშვილმა ერთი ვარიანტი ჯერ ჟურნალ „კრებულში" (1872, №8-9) გამოაქვეყნა, შემდეგ „ივერიაში" (1898, №39). აქ შენიშვნაც დაურთო. ეს ლექსები შედგენილია პ. უმიკაშვილის შეკრებილი სხვადასხვა ვარიანტისაგან. ასე რომ, არც კი ვიცით რა ვარიანტები, ანუ

როგორი ლექსები იყო ისინი. ეს ტექსტი შემდეგ თავად პ. უმიკაშვილის კრებულშიც შევიდა (გვ. 364), ა. შანიძემაც დაბეჭდა (გვ. 366) და სოლ. ცაიშვილმაც (№53, გვ. 66-67), ე. ი. პ. უმიკაშვილისეული ტექსტი დაკანონდა. ეს ლექსი ქს. სიხარულიძის კრებულშიც შევიდა „ბ" ვარიანტად (გვ. 287), რადგან, მისი აზრით, ეს ვარიანტი ყველაზე ახლოს დგას დ. ხიზანიშვილისეულ ჩანაწერთან. ლექსი შეტანილია ქხპ მრავალტომეულშიც (ტ. XI, №142, გვ. 61).

გარდა აღნიშნული ტექსტებისა, დღეს ქართულ ფოლკლორისტიკაში შემდეგი ვარიანტებიც არის ცნობილი. 1871 წელს ილია ჭავჭავაძის ჩაწერილი (დაიბეჭდა პ. უმიკაშვილის კრებულში, გვ. 105); თ. რაზიკაშვილის ჩაწერილი ლექსი (დაიბეჭდა ა. შანიძის კრებულში, გვ. 364-365). საინტერესოა ლექსის მე-19-20 სტრიქონებზე თ. რაზიკაშვილს დართული შენიშვნა წარმოადგენს ხალხურ გადმოცემას. „ხალხსა სწამს, ნეფე ერეკლე და თამარ ნეფე ცოცხლები არიან, ღმერთთან და როცა გაუჭირდება საქართველოს, მიეშველებიან. მირონი ნეფე ერეკლეს ძვლებს ჩამთხდის. ერეკლემ ხმალი წინ დაიდვის და ისევ თავის-თავად შემოერტყის. ერეკლე, როცა ლოკვაზე დადგებოდა, ხმალს მზის შუქზე დაჰკიდებდა ხოლმე და ლოკვას როცა გაათავებდა, ი სხივიდგან ისევ აიღებდა ხმალსაო". ეს ტექსტი ა. შანიძემაც დაბეჭდა (გვ. 365) და ქს. სიხარულიძემაც (გვ. 289).

აღნიშნულს გარდა, რამდენიმე ვარიანტი პ. უმიკაშვილს ჩაუწერია. ერთი მის კრებულში დაიბეჭდა (გვ. 104-105) და სოლ. ცაიშვილმაც გადაბეჭდა (№53, გვ. 66-67), მეორე, 1878 წელს ხევში ჩაწერილი, ასევე მის კრებულშია გამოქვეყნებული (გვ. 565). ცნობილია აგრეთვე ვასილ ტუსიშვილის მიერ ჩაწერილი ხევსურული ლექსი (დაიბეჭდა, ა. შანიძის კრებულში, გვ. 365-366) და ფშაური ტექსტი (დაიბეჭდა ა. შანიძის კრებულში, გვ. 367), ბაბო ლიქოკელის ჩაწერილი (დაიბეჭდა

ა. შანიძის კრებულში, გვ. 365); ივ. ბუქურაულის ჩაწერილი ხევსურული (დაიბეჭდა ჟურნალ „მოამბეში", 1896, №11, შემდეგ ა. შანიძის კრებულში, გვ. 360); ქს. სიხარულიძის მიერ სოფ. ამღაში 1944 წელს ჩაწერილი; სიმ. შადურის მიერ ხევში 1890 წელს ჩაწერილი (დაიბეჭდა პ. უმიკაშვილის კრებულში, გვ. 105, გადაიბეჭდა ი. გოგებაშვილის „დედა ენაში", სოლ. ცაიშვილის კრებულში, №58, გვ. 72; ერთი ვარიანტი, „ივერიაში" (1902, №157) გამოქვეყნებული; ივ. ბუქურაულის ჩაწერილები: ერთი ე. თაყაიშვილის კრებულში (ნაწ. I, გვ. 60) გამოქვეყნებული, მეორე – თუშური. ასევე ე. თაყაიშვილის კრებულში დაბეჭდილი (ნაწ. I, №29, გვ. 60). რომელიც სოლ. ცაიშვილმაც გადაბეჭდა (№56, გვ. 70-71); ა. შანიძის მიერ 1911 წელს ფშავში ჩაწერილი (იხ. ა. შანიძის კრებული, გვ. 367); თ. რაზიკაშვილის მიერ ჩაწერილი ხევსურული ლექსი, რომელიც „ხალხური სიტყვიერების" მესამე ტომში დაიბეჭდა (გვ. 15, №26); ალ. ხახანაშვილის მიერ 1888 წელს თუშეთში ჩაწერილი; ელ. ვირსალაძის მიერ 1934 წელს მთიულეთში ჩაწერილი (დაიბეჭდა მისსავე კრებულში, №119, გვ. 154); ალ. ყაზბეგის მიერ ხევში ჩაწერილი (დაიბეჭდა ა. შანიძის კრებულში, გვ. 369. გადაიბეჭდა პ. უმიკაშვილის კრებულშიც, გვ. 365); კ. სეხნიაშვილის მიერ სოფ. რუისპირში ჩაწერილი ტექსტი (გამოქვეყნდა ჟურნალ „მოგზაურში", 1901, №8-9). ამ ტექსტის მსაგავსია ა. კარგარეთელის მიერ ჩაწერილი (საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შოთა რუსთაველის ლიტერატურის ინსტიტუტის ფოლკლ. არქივი, №18637).

ამ აქის გასრულების მიზნით, საბაზოდ, დ. ხიზანიშვილისეული ჩანაწერია გამოყენებული, ოღონდ შესწორებულია. „დროებაში" 1884 წელს (№34) გამოქვეყნებული ვარიანტით, რომელიც ა. შანიძემაც გადაბეჭდა (გვ. 367-368); თ. რაზიკაშვილის მიერ ჩაწერილი ხევსურული ვარიანტი (ა. შანიძესთან, გვ. 364-365) და პ. უმიკაშვილის მიერ ჩაწერილი იმ ვარიანტით,

რომელიც თავის დროზე ჟურნალ „კრებულსა" (1872, №№ 8-9) და „ივერიაში" (1898, №№ 39) გამოქვეყნდა.

„დროებისეული" ვარიანტიდან ჩამატებულია სტრიქონები: „დასავლეთ ეხოცენ ოსმალნი.// აღმოსავლეთით სპარსია,// ნახოცის მტრების სისხლითა// წითლადა ვლებენ მთანია".

თ. რაზიკაშვილისეული ხელნაწერიდან გამოყენებულია ნაწყვეტი – „ღმერთსა შესტირეს თავადთა:// „ღმერთო, გვიკერენ ბრალნია!"// აქ ტყვრება დედამიწაი,// ზე ავი გვადგას დარია..."

პ. უმიკაშვილისეული ჩანაწერიდან აღებულია თრი სტრიქონი. „ერთმანეთს ნუ უღალატებთ, // მტერმა არ გახაროსთ თვალია!"

XIV. ეპილოგი

აქ გამოყენებულია ორი ქართლური ლექსი „ერეკლეს გლოვა" და დ. წერედიანის მიერ ასპინძაში 1964 წელს ჩაწერილი ლექსი „აღარ გვყავს მეფე ერეკლე", რომელიც „ქართული ხალხური პოეზიის" სრული კორპუსის მეთერთმეტე ტომში დაიბეჭდა (№ 144, გვ. 61).

„ერეკლეს გლოვა" პ.უმიკაშვილის ჩანაწერით არის ცნობილი (იხ. პ. უმიკაშვილის კრებული, გვ. 107), აქედან სოლ. ცაიშვილმა გადაბეჭდა (იხ. მისი კრებული. №№ 52, გვ. 66), შემდეგ ქს. სიხარულიძემ (იხ. მისი კრებ. II, გვ. 209-210), თუმცა საბჭოთა კონიუქტურის გამო, ტექსტს ჩამოაცალა მე-8-9 სტრიქონები „ჩრდილოეთს მივდით, – გვეხარის, როგორც მარილზე ცხვარია" და 34-36-ე „გაგვყვიათლებია თვალები, რომ გვისომ თერგის წყალია, ვინც თერგის წყალი დავლიეთ, გუნება გვექნა ჩქარია". ეს სტრიქონები ქს. სიხარულიძემ შემდეგ აღადგინა და ასე შეიტანა „ქართული ხალხური პოეზიის" სრული კორპუსის მეთერთმეტე ტომში (გვ. 84, №№ 194).

ქს. სიხარულიძის აზრით, ეს „საგულისხმო ლექსია ხალხის მიერ ერეკლე მეორის გმირობისა და მისი პოლიტიკის შეფასების თვალსაზრისით". ალბათ ამის გამო იყო, რომ სათაურის მიუხედავად, ლექსი იმ თემატურ ქვეთავს მიაკუთვნა, რომელსაც თავის კრებულში „ქართლ–კახეთის სამეფოს გაუქმება" უწოდა (იხ. მისი კრებ., II, გვ. 195-214, ხოლო „ქართული ხალხური პოეზიის" მეთერთმეტე ტომში – „საქართველოს რუსეთთან შეერთება" (გვ. 79-89). შინაარსობრივი და თემატური თვალსაზრისით ლექსი ერეკლე მეორის ეპოსს უნდა მიეკუთვნოს.

უკვე ითქვა, რომ ერეკლე მეორის ცხოვრება-მოღვაწეობისადმი მიძღვნილმა ლექს-სიმღერებმა სერიოზული სელექციაგავლილი სახით მოაღწია ჩვენამდე. შერჩევა არა ერთმა ფოლკლორისტმა განახორციელა (პ. უმიკაშვილი, ზ. ჭიჭინაძე, ალ. გარსევანიშვილი, ივ. ბუქურაული, ა.შანიძე, ვ. კოტეტიშვილი, სოლ. ცაიშვილი, ქს. სიხარულიძე), მაგრამ ყველამ საკუთარი ამოკვანა მაინც მასალის თავმოყრით შემოფარგლა. ამ მასალის დალაგება ერეკლე მეორის ცხოვრება-მოღვაწეობის შესაბამისად, იმ ფაქტების მიხედვით, რაც საისტორიო წყაროებიდან უტყუარად არის ცნობილი, თითქმის არ უცდიათ. ამ მხრივ ყველაზე სერიოზულად ქს. სიხარულიძემ იღვაწა, თუმცა დამკვიდრებული ფოლკლორისტული ტრადიციის ფარგლებს არ გასცდა. მან ცალკეულ ხალხურ ლექსში მოთხრობილ ამბავს მოუძებნა საისტორიო წყარო და დაასაბუთა ხალხური მელექსის მეხსიერების სისწორე. ამასთან ამ ასპექტში წინამორბედთა (პ. უმიკაშვილი, ა. შანიძე) ვარაუდები და მოსაზრებებიც შეასწორა და ახალი არგუმენტებით გაამყარა. უამრავი ლექს-სიმღერიდან ყველაზე ხარისხიანი მასალა გამოირჩია და ამით ერეკლეს ეპოსის გამოყვანისათვის მტკიცე ფოლკლორისტული საფუძველი შეიქმნა. ასე რომ, შემოთავაზებული წიგნი ქს. სიხარულიძის ძიებათა თავისებური გასრულებაა, ბუნებრივია, მის მიერ ჩატარებული ზებირსიტყვიერი ტექსტების შემდგომი

სელექციის საფუძველზე. სელექციის საჭიროება კი იმან განაპირობა, რომ ზოგიერთი ლექსი ხალხური ეპოსის კანონების მიხედვით გამთლიანებულ ერეკლე მეორის ზეპირსიტყვიერ თავგადასავალში ეერ ჯდება ინფორმაციული, ფუნქციური თუ მხატვრული (საკლებად) თვალსაზრისით, ზოგიერთი ტექსტი კი იმის გამო იქნა უგულებელყოფილი, რომ ერეკლე მეორეს ამბებს არ ასახავს. აი, ერთი ასეთი ფაქტი, ქს. სიხარულიძემ „ქართული ხალხური პოეზიის" მეთერთმეტე ტომში შეიტანა (ბუნებრივია, სარედაქციო კოლეგიის სხვა წევრებთან ერთად. რადგან ტექსტების შერჩევა, რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, კოლექტიური გადაწყვეტილებით ხდებოდა, სპეციალური განხილვა-მსჯელობის საფუძველზე) ხალხური ლექსი „ომი უკვარმის ბოლოს". ეს თუშური ლექსი თ.უთურგაიძის წიგნში („თუშური კილო", 1960, გვ. 114) იყო გამოქვეყნებული. იგი ხალხური საგმირო პოეზიის თარგზეა გაწყობილი – ქვეყანას მტერი (სულთანი) მოადგა, ერეკლეს მუქარა შეუთვალა, მეფემ ჯარი შეჰყარა და ომი გაუმართა. ეს ომი უკვარმასთან მოხდათ,-გვიამბობს წოვა თუშის ქალი, აფშინაანთ გვარის დევდრის ანთაის თინათინი (იხ. „ქართული ხალხური პოეზია", ტ. XI, 1984, გვ. 48-49). ამ ლექსში უკვარმის ახლოს მომხდარი, ბრძოლის ამბავია. ამასთან ბრძოლა ერეკლეს სახელს უკავშირდება. ეს ერეკლე ფოლკლორისტებმა ერეკლე მეორედ მიიჩნიეს. არადა საისტორიო წყაროები ნათელყოფს, რომ უკვარმასთან ბრძოლა, სადაც ერეკლეს თუშთა ლაშქარი ეხმარებოდა, ერეკლე პირველს (ნაზარალი ხანს, პატარა კახის პაპას) მოუხდა და არა ერეკლე მეორეს.

საისტორიო წყართებიდან (ე. წ. „პარიზის ქრონიკა", სხვაც) ცნობილია, რომ თეიმურაზ პირველის ასტრაბადის ციხეში გარდაცვალების შემდეგ (1663 წ.), რუსეთში მყოფი მისი შვილიშვილი ერეკლე (რუსთა მიერ ნიკოლოზად სახელწოდებული) საქართველოში, კერძოდ, თუშეთში დაბრუნდა და აქედან

სკვადა კახეთის ტახტის დაბრუნება, რომელიც შაჰნავაზს (ვახტანგ V) და მის შვილს არჩილს ეკავათ, სპარსეთის შაჰის ნება-სურვილით.

ერეკლე I ჯერ კრწანისთან დაესხა თავს მეფე შაჰნავაზს, მაგრამ დამარცხდა და თუშეთს შეეფარა თავი. მომდევნო წლის გაზაფხულზე (1664 წ.) ერეკლე I თუშეთიდან ახლა კახეთში ჩავიდა, ლაშქარი შეაგროვა და შაჰნავაზს უკუარმასთან შეებრძოლა, ისევ დამარცხდა და ისე თუშეთს უკუიქცა.

ისიც კარგად არის ცნობილი, რომ ამის შემდეგ ერეკლე I შაჰს დაემორჩილა, სპარსეთში წავიდა, იქ რამდენიმე წელი დაჰყო, გამაჰმადიანდა, ნაზარალი ხანი დაარქვეს და სპარსთა მეფემ ქართლი უბოძა. მართალია, ცოტა ხანს იმეფა. მაგრამ ერთი დიდი საქმე მაინც გააკეთა. ხელი არ შეუშალა ქართლის მოსახლეობის მოგრაციას კახეთში. ამ ფაქტის ისტორიული მნიშვნელობა კი ასე აქვს შეფასებული საქმეში ღრმად ჩახედულ მკვლევარს გერონტი ქიქოძეს: „თუ კახეთს თუშ-ფშავ-ხევსურეთიდან და ერწო-თიანეთიდან ჩამოსულ ახალშენებთან ერთად ქართლელი გლეხკაცობა არ მიმველებოდა„ ალაზნისა და იორის ნაყოფიერ ხეობებს ლეკობისა და თურქმანობის ზვავი ამოავსებდა და ამის შემდეგ ქართველი ერისათვის შეუძლებელი გახდებოდა თვით თბილისის და ქართლის შენარჩუნებაც" (იხ. გ. ქიქოძე, „ერეკლე II", IV გამოცემა, 1983, გვ. 17). ცნობილია, რომ ვახტანგ VI-ს, რომლის ნაზარალი ხანის შემდეგ ავიდა ქართლის ტახტზე, გაქცეული ქართლელი გლეხკაცობის დაბრუნება სკვადა, დიდი ნაწილი კახეთში დარჩა.

ხალხური მელექსის ხსოვნაში უკუარმის ბრძოლის ამბავი იმიტომაც დარჩა, რომ ამ ბრძოლაში თუშები იყვნენ აქტიური მონაწილენი და ამასთან ორივე ერეკლე სწორედ თუშეთან იყო დაკავშირებული. იგივე ფაქტია ფოლკლორისტების გაურკვევლობის საფუძველიც. ზემოაღნიშნულის გამო, ლექსი „ომი უკუარმის ბოლოს" ერეკლე II-ის ეპოსში გათვალისწინებული არ არის.

ერეკლე II-ის შესახებ არსებული თქმულება-გადმოცემები (პროზად ჩაწერილი) ერეკლეს ეპოსის ძირითადი ტექსტის დამატებად არის განხილული, რადგან ერთ შემთხვევაში ცალკეული ლექსის რაიმე ცნობის გაშლილი თხრობებია, სხვა შემთხვევაში ერეკლეს თავგადასავლის ხალხური ვერსიის დაზუსტებანი. მაგალითად, „ერეკლე და ნადირ-შაჰი", რომელიც ჩვენს ფოლკლორისტიკაში ს. ქიშმიშევის თხრობით არის ცნობილი (იხ. მისი წიგნი „Походы Надир-шаха в Герат, Кандагар, Индию," Тифлис, 1898, стр 210). ეს გადმოცემა თავის დროზე სოლ. ცაიშვილმაც შეიტანა თავის კრებულში (№ 62, გვ. 81-82) და ქს. სიხარულიძემაც (იხ. მისი კრებ. II, №72, გვ. 56-57). ტექსტი იმითაა საინტერესო, რომ ერეკლეს სიჭაბუკის ამსახველი (ნადირ-შაჰთან ყოფნის) ნაწარმოებია.

კიდევ ერთი ზეპირსიტყვიერი ტექსტი – „ლეგენდა" საინტერესოდ ავსებს ერეკლეს ეპოსს, კერძოდ „რკინის კარის შეხსნის" ცნობას იმის თაობაზე, რომ ერეკლე არ მომკვდარა, ცოცხალია, ზეცას წავიდაო. ამ ლეგენდაში სწორედ ეს, ერეკლეს ხმლის ჯადოსნურობის ამბავი და გაჭირვების ჟამს ქვეყნის მფარველად მისი დაბრუნების რწმენაა გადმოცემული. ლეგენდა თ. რაზიკაშვილს ჩაუწერია, შემდეგ კი ერ ა. შანიძემ გადაბეჭდა (იხ. მისი კრებ. გვ. 365), ბოლოს ქს. სიხარულიძემ (იხ.: მისი კრებ. II, №102 გვ. 86)

ერეკლე II-ის შესახებ ჩვენს ზეპირსიტყვიერებაში გამოვლენილი ფოლკლორული ტექსტები, ბუნებრივია, ზემოაღნიშნულით არ ამოიწურება. აქ გათვალისწინებული ზეპირსიტყვიერი ტექსტების „ქართული ხალხური პოეზიის" სრული კორპუსის მეთერთმეტე ტომში, განსაკუთრებით ქს. სიხარულიძის „ქართული ხალხური საისტორიო სისტყვიერების" II ტომში გამოქვეყნებულ ერეკლე II-სადმი მიძღვნილ ლექსებსა და თქმულება-გადმოცემებთან უბრალო შედარებაც კი ცხადყოფს, რომ ზოგიერთი ტექსტი ერეკლეს ეპოსის ძირითადი ტექსტის

მიღმა უნდა დარჩეს. ამ ფაქტს ეპოსის ბუნებამივე ეძებნება საფუძველი და გამართლება.

ზემოთ რამდენჯერმე უკვე ითქვა, რომ ერეკლეს ეპოსი არც ჩვენს ზეპირსიტყვიერებაში და არც ფოლკლორისტიკაში ერთი, მთლიანი ტექსტით არ არის დაფიქსირებული. მეტ-ნაკლებად მოწესრიგებული იგი ქს. სიხარულიძის ჩანაბილ კრებულშია. პ. უმიკაშვილის უმნიშვნელო ცდების შემდეგ ამ ეპოსის ტექსტის გამთლიანებას ძალ-ღონე სწორედ ქს. სიხარულიძემ დაახარჯა. მან კრებულში მასალა თავისი დროის ფოლკლორისტული ტექსტოლოგიის მეთოდოლოგიის მიშველიებით სიუჟეტურ-თემატიკური პრინციპებით შეარჩია და დაალაგა.[1] ამის გამო ერეკლე II-ის თავგადასავლის ჩანაკეცულ ეპიზოდში მან ისეთი ტექსტებიც შიტანა. რომლებიც ამ ეპოსს ინფორმაციული და განსაკუთრებით ფუნქციონალური თვალსაზრისით არაფერს სძენს. მათ არსებობას ძირითადად ტექსტებში მხოლოდ თემატური სისრულის ფუნქცია ეკისრება. ასეთ ტექსტებს განეკუთვნება, მაგალითად, გივი აბილახვარის შესახებ შექმნილი მცირე ლექსები (ქს. სიხარულიძის მითითებული კრებულის №№ 10,11,12); ხალხური ლექსი „ბაქარიანთა დალეგა" (№ 14); „ნიკო" (№ 30); „წამოვიდა ციცრიონი" (№ 48); „რავგან ბელადი" (№ 50); „მეფე ერეკლე და ყეენი" (№ 51); „დათუნა ბატონიშვილი" (№ 52); „რუსეთიდან ქალი მობრძანდა" (№ 53); „ქალი მოვიდა ურუმით" (№ 54); „მოტირის მარიამ დედა" (№ 55) და ზოგი სხვაც.

აღნიშნული განსაკუთრებით შეეხება, მაგალითად, ლექსს „ბაქარიანთა დალეგა". ეს ხალხური ლექსი ხახმატელ ბერდია გამღიცარაულს ჩაუწერია 1876 წელს. ქს. სიხარულიძეს იგი პ. უმიკაშვილის კრებულიდან (გვ. 102) გადაუბეჭდია. ტექსტს შენიშვნებში ასეთი განმარტება ახლავს: ლექსში

[1] კრებულად ამ პრინციპების შესახებ იხ. კრებული: "Фольклор. И здание эпоса"., М.,1977.

ასახულია ერეკლე II-ის ბრძოლა თბოზიციონერი თავადების წინააღმდეგ. ამ თბოზიციონერთა აზრით ქართლის სამეფო ტახტის ნამდვილი მემკვიდრენი რუსეთში მყოფი ვახტანგ VI შვილი ბაქარი, მისი ძმა და შვილები იყვნენ. „ლექსს აშკარად ამჩნევია, რომ იგი ერეკლე II-ის მოწინააღმდეგეთა წრეშია შექმნილი. მას ერთგვარი დისონანსი შეაქვს ერეკლე II ის ციკლის ნაწარმოებებში".[1]

რა დისონანსზეა მინიშნება? ალბათ იმაზე, რომ ამ ლექსში აშკარა სიმპათია ბაქარიანთა მხარესაა. მათ საქართველოს კარად მოიხსენიებს მთქმელი და ბაგრატიონებს (?!) კიდებს „ბაქარიანთა დალეჭის" ცოდვა-ბრალს. ამ ხალხური ლექსის აზრთბრივი გაუმართაობა სრულიად აშკარაა (თითქოს თეიმურაზ II და ერეკლე II ბაგრატიონები იყვნენ და ვახტანგ VI-ის შთამომავალნი სხვა დინასტიისანი). ამ ხალხურ ლექსს სწორედ შინაარსის ბუნდოვანობისა და ინფორმაციული სიმწირის გამო ვერ ეძებნება ადგილი ერეკლეს ეპოსში და არა ძირითად ამბავთან დისონანსურობის გამო.

ასეთი „დისონანსურობა" საგმირო-საისტორიო ეპოსისათვის უცხო მაინც და მაინც არ არის. მსგავსი მოვლენები აშკარად ჩანს, მაგალითად, ბაშკირულ „ურალ-ბატირის" ეპოსში, ყირგიზულ „მანასასა" და უზბეკურ ეპოსში „ალპამიში". რასაკვირველია, სხვა მაგალითების დასახელებაც შეიძლება, მაგრამ, ვფიქრობ ესენიც კმარა. ის კი არადა, ზოგ შემთხვევაში ასეთი – „დისონანსური" მასალის ხვედრითი წონა იმდენად დიდიც კი არის, რომ ჭეშმარიტად ხალხურ იდეალებს აეტმასნება, შეეზრდება და ეპოსის გმირის სახესაც კი დააჩნევს ხოლმე კვალს (მაგალითად, ყირგიზული საგმირო ეპოსის მთავარ პერსონაჟს მანასას, რომელიც ზემოაღნიშნულის გამო ამ ეპოსის ზოგ

[1] ქს. სიხარულიძე, ქართული-ხალხური საისტორიო სიტყვიერება. ტომი II, 1964, გვ. 234

ეპიზოდში სახალხო გმირი კი აღარ არის, არამედ მრისხანე და დაუნდობელი ფეოდალია, ხანი).[1]

ფოლკლორის ტექნოლოგიაში დიდი ხანია გარკვეულია, რომ მსგავს შემთხვევაში ტექსტის ვარგისიანობის დასადგენად აუცილებელია რამდენიმე მომენტის დადგენა: ა) რამდენად განსაზღვრავს (ან რა კვალს ჩჩნევს) ასეთი ეპიზოდი მოცემული ეპიკური ნაწარმოების შინაარსს; ბ) სანდოა თუ არა ეპიზოდი; გ) როგორია მისი მხატვრული ღირებულება; დ) რა არის ასეთი ეპიზოდის წარმოქმნის საფუძველი – ხალხის მსოფლმხედველობის შეზღუდულობა (რაც ხალხს მართლაც ახასიათებს ისტორიული ცხოვრების რაღაც პერიოდში) თუ ხალხურ ეპოსში ანტიხალხური ტენდენციის გაბატონებული და მიზანმიმართული ჩანართი.[2]

ერეკლეს ეპოსის ამ ხალხურ ლექსთან დაკავშირებით ყველაფერი უკვე ქს. სიხარულიძის მიერ არის გარკვეული, ხოლო მის უფუნქციობას თავად შინაარსობრივი ბუნდოვანება და მხატვრული სიმდარე ცხადყოფს.

მსგავსი პრინციპებითვე ვერ ეძებნება ადგილი ეპოსში ერეკლე მეორისადმი მიძღვნილ ზემოთმითითებულ ზეპირსიტყვიერ ტექსტებსაც.

რაც შეეხება ერეკლეს ციკლის სხვა პერსონაჟებზე შექმნილ ლექს-სიმღერებს.

ᲛᲐᲘᲐ ᲧᲐᲜᲩᲔᲗᲔᲚᲘᲡ ზეპირსიტყვიერი ტექსტები (სულ რვა ძირითადი ტექსტი) პირველად ალ. გარსევანიშვილმა გამოაქვეყნა თავის წერილში „გმირი ქალი, მათე ყაჩაღად წოდებული", დაიბეჭდა „სამშობლოში", 1915 წელს (№№ 102,103,104). ეს მასალა მან, ოდნავ შემოკლებით, გამოაქვეყნა „ახალ ქართლში"

---

[1] А.С. Мирбадалиева, „О некоторых принципах отбора и публикации эпических произведений в серии" "Эпос народов СССР", в сборнике: "Фольклор. Издание эпоса", М., 1977, стр. 27.

[2] იხ. კრებული. „Фольдлор. Издание эпоса", 1977, стр. 27.

(1915, №20,21). მანამდე მაია წულეთელის დახასიათება ზეპირსიტყვიერი ტექსტების მიხედვით მკითხველს დ. ჯანაშვილმა წარუდგინა (იხ. მისი „ისტორიული სურათები", „ივერია", 1882, №12). ალ. გარსევანიშვილისაგან რამდენიმე ლექსი (ლექსები თამრო ვამლოვანელზე) ასევე ჩაწერილია იმ გადმოცემებში, რომელიც დ. ჯანაშვილმა გამოაქვეყნა წერილში "ისტორიული სურათები" ("ივერია, 1882, №12"). პროზაული გადმოცემა კი მთლიანად დ. ჯანაშვილის პუბლიკაციითაა ცნობილი, იქიდან გადაბეჭდა ქს. სიხარულიძემაც (ჯერ მისი დასახ. კრებულში. გვ. 327, შემდეგ გადაბეჭდა კრებულში „ქართველი სახალხო გმირები" (1952). ერთი ტექსტი („გადმოცემა მაია წულეთელზე") ქს. სიხარულიძემ დ.ჯანაშვილის პუბლიკაციიდან გადმობეჭდა.

დ. ჯანაშვილმა და ალ. გარსევანიშვილმა იმავე პუბლიკაციებში გამოაქვეყნეს თამრო ვამლოვანელისა და თინა წავკისელის ზეპირსიტყვიერი ტექსტები, საიდანაც ასევე გადაბეჭდა ქს. სიხარულიძემ. დღეისათვის მაია წულეთელზე შექმნილი ლექსებიდან ცნობილია „მაიას დაობლება", „ერეკლესა და მაიას შეხვედრა," „მაიას ყაჩაღად გავარდნა", „მაიას დატყვევება და სიკვდილი", „შენი ჭირიმე მაია", „მაიას თავგადასავალი", „მათე-მაიას ჭირიმე", „შარაზედ იწვა უძრავად". ამას გარდა, ცნობილია ერთი პროზაული ტექსტი – „გადმოცემა მაია წულეთელზე". ქს.სიხარულიძის საისტორიო სიტყვიერების მეორე ტომში ეს ტექსტები შემდეგი ნომრებითაა წარმოდგენილი 115-122.

თამრო ვაშლოვანელზე შემორჩენილია 5 ლექსი და ერთი გადმოცემა პროზად „თამრო ვაშლოვანელი", "სათაურო-ები, „ვაშლოვნელებს ვიღა მისცემს", „თამრო ვაშლოვანელისათ", „თრიალეთს დიდსა საყდარში" და დასათაურებული – „მანდ რთ ქალი დავიკარგე". გადმოცემას პროზად ჰქვია „გადმოცემა თამრო ვაშლოვანელზე". ქს. სიხარულიძის დასახელებულ კრებულში მათი ნომრებია 124-129.

დ. ჯანაშვილმა თინა წავკისელის შემდეგი ტექსტები

დაბეჭდა – „თინა წავკისელი ერეკლე მეორეს", „პასუხად თინა წავკისელს", პროზაული „გადმოცემა თინა წავკისელზე". ეს ტექსტები ქს. სიხარულიძის „ქართული ხალხური საისტორიო სიტყვიერების „მეორე ტომში №№130-132 ნომრებად არის წარმოდგენილი. დ. ჯანაშვილსაც და ალ. გარსევანიშვილსაც თაყვანთი მთქმელები ჰყოლიათ და ხელთ სხვადასხვა ვარიანტები ჰქონიათ. პირველადი ტექსტოლოგიური სამუშაო (ტექსტების შერჩევა, ამბის გამთლიანება) მათვე ჩაუტარებიათ. ამის შემდეგ ყველაზე სერიოზული მუშაობა ქს. სიხარულიძემ ჩაატარა და კიდევ უფრო გამოკვეთა მათი ეპიკური თავგადასავლები.

მიუხედავად იმისა, რომ დ. ჯანაშვილმა, ალ. გარსევანიშვილმა და ქს. სიხარულიძემ აღნიშნული ზეპირსიტყვიერი ტექსტები გმირთა თავგადასავლების მიხედვით დაალაგეს, ამბის ლოგიკური თანამიმდევრობა ბოლომდე მაინც არ არის დაცული. ქს. სიხარულიძესთან, მაგალითად, ჯერ მაია წყნეთელის სიკვდილის თხრობაა (№118, 119 ტექსტები), შემდეგ მისი ადრინდელი ამბები (№120 ტექსტი „მაიას თავგადასავალი", იხ ქს. სიხარულიძის დასახ. ნაშრ., გვ. 103-104). ეს ტექსტი მაია წყნეთელის ზეპირსიტყვიერი თავგადასავლის ვარიანტია, ზოგადი და ფრაგმენტული, ოღონდ ისეთი ფრაგმენტების შემცველი, რომელიც სხვებს ინფორმაციულად აკლებს, მაგალითად, მაიას ვინაობას (მაგალითად, №115 ტექსტს) პირველი ოთხი სტრიქონით:

„ქართლიდამ გამოეპარე
ბატონს პატარა ქალიო,
თან წამოეღე საგძლადა
შიში და კარექლის ღვარიო"

(ქს. სიხარულიძე, დასახ. ნაშრ. გვ. 103-104.)

ამ ტექსტის მეხუთე, მეექვსე სტრიქონები კი აკლებს 117-ე ტექსტს – „მაიას ყაჩაღად გავარდნა". 117-ე ტექსტში ყაჩაღად ყოფნის ადგილი ნახსენები არ არის. აქაა:

„თრიალეთის ხევ-ღნარებში
შევინახევი თავით."

ამავე ტექსტის მე-13-18 სტრიქონები კი 118-ე ტექსტს („მაიას დატყვევება და სიკვდილი") ავსებს. 118-ე ტექსტში არ არის ცნობა იმის შესახებ, თუ როგორ მოხვდა მაია წუნეთელი ერევნის ახლოს:

„თმი მოგვახდა თაიერებთან,
სულ გასწყდნენ წუნეთელებიო
აღარა დარჩნენ გმირები
ატარდნენ კლდე და მთებიო.
მეც ტყვეთა მიპყრეს, შემბოჭეს,
სპარსეთში ვიხსენ თაყვით".

ლექსს „მაიას დატყვევება და სიკვდილი" (№ 118) ლოგიკურად უნდა მოჰყვეს "შარაზედ იწვა უძრავად" (№ 122), რადგან შინაარსობრივად ავსებს ერევნის სიახლოვეს მაიას მკვლელობას.

ერეკლეს ეპოსში სიუხვით გამოირჩევა ლევან ბატონიშვილზე შექმნილი ლექს-სიმღერები. ამჟამად ცნობილია 9 ძირითადი ტექსტი და მათი ვარიანტები. მათგან სამი უსათაუროა. ორი ერთნაირი დასაწყისით „ბატონიშვილო ლევანო", მესამე – „გირავს ჩამადგა მუცალი", სხვები კი ასეა დასათაურებული: „ლევან ბატონიშვილი", „ლევანი", „ხმალი ჭრის ბაგრატიონისა". ქს. სიხარულიძის მითითებულ კრებულში ამ ტექსტებს მიკუთვნებული აქვს შემდეგი ნომრები" – 103-108. ცალკეული ლექსები, მაგალითად, № 108 „გირავს ჩამადგა მუცალი" ამკარად გამთლიანებულია. მასში სხვა ზეპირსიტყვიერი ტექსტებიც არის შეტანილი.

№ 103 უსათაურთ ლექსი (დასაწყისით „ბატონიშვილო ლევანო") პირველად ქს. სიხარულიძემ გამოაქვეყნა თავის საისტორიო სიტყვიერების II ტომში (გვ. 87). № 104 ტექსტი, ასევე უსათაურთ და ასეთივე დასაწყისით პირველად ექვთიმე თაყაიშვილის ფოლკლორულ კრებულში არის გამოქვეყნებული (წიგნი პირველი, გვ. 182).

პირველი ლექსი გიორგი გოგოლაძეს 1937 წელს სოფელ ბარალეთში ვასილ გოგოლაძისაგან ჩაუწერია, მეორე ტექსტს პასპორტი არა აქვს.

№106 ლექსი „ლევანი" თ. რაზიკაშვილს ხევსურეთში ჩაუწერია, დაბეჭდა ა. შანიძემ თავისი „ხევსურულ პოეზიაში" (№62, გვ. 24–25). ამ ლექსის ბ ვარიანტი ქს. სიხარულიძემ ა. ნ. ფეცრაძის 1871 წლის ჩანაწერის მიხედვით გამოაქვეყნა, რომელიც თავის დროზე პ. უმიკაშვილმაც დაბეჭდა თავის კრებულში.

№107 ლექსი „ხმალი სჭრის ბაგრატიონისა" ხევსურული ლექსია, თედო რაზიკაშვილის ჩაწერილი. გამოაქვეყნა ა. შანიძემ „ხევსურულ პოეზიაში" (№63). ბ ვარიანტი ქს. სიხარულიძემ თავისი კრებულში პ. უმიკაშვილის კრებულიდან გადაბეჭდა. უფრო ადრე კი სოლ. ცაიშვილმა გადაბეჭდა ერეკლესადმი მიძღვნილ თავის კრებულში (№25). ცნობილია ამ ლექსის სხვა ვარიანტებიც — თრი პ. უმიკაშვილთან, ერთი დ. ხიზანიშვილის „ფშაურ ლექსებში" (გვ. 17), ერთი გიორგი ნათაძის კრებულში („ხალხური ლექსები და ზღაპრები" შეგროვილი გიორგი ნათაძის მიერ, 1950, №19). სხვები ა. შანიძის, ვ. ტუქსიშვილის კრებულებში და ა. შ.

№108 ლექსის „გირავს ჩამადგა მ.უცალი" ძირითადი ტექსტი ხევსურულია, თ. რაზიკაშვილის მიერ ჩაწერილი. იგი ა. შანიძემ დაბეჭდა თავის კრებულში (№65). ამ ლექსს ყველაზე მეტი ვარიანტი მოეპოვება. თღონდ ეგაა, რომ ზოგ ვარიანტში გმირი ლევას ბატონიშვილი კი არ არის, არამედ როგორც ქს. სიხარულიძემ გაარკვია, ლევან კახთა მეფე (1520 წელი). ეს მოსაზრება იმ არგუმენტს ემყარება, რომ ლევანი მეფედ იხსენიება, თანაც მისი რეზიდენცია გრემშია (იხ. ქს. სიხარულიძის საისტორიო სიტყვიერების II ტომი, გვ. 307).

ამ ლექსის „ბ" ვარიანტი ქს. სიხარულიძემ ა. შანიძის „ხევსურული პოეზიიდან" გადმობეჭდა (ა. შანიძე, გვ. 376), რომელმაც ბესარიონ გაბურისაგან ჩაიწერა. „გ" ვარიანტი ივ.

ხორნაულს სოფ. საჭურეში 1929 წლს ნ. ხორნაულისაგან ჩაუწერია. „დ" ვარიანტი – ერასტი ბალიაურის მიერ ჩაწერილი ტექსტია, ასევე ა. შანიძის მიერ დაბეჭდილი (გვ. 377). „ე" ვარიანტი ქს. სიხარულიძემ ვ. ტუქსიშვილის ჩანაწერის მიხედვით დაბეჭდა. თავის დროზე ეს ტექსტიც ა. შანიძის „ხევსურულ პოეზიაში" შევიდა (გვ. 377-378);

„ვ" ვარიანტი თუშურია, ივ. ბუქურაულის მიერ ჩაწერილი და ე. თაყაიშვილის "ხალხური სიტყვიერების" პირველ წიგნში დაიბეჭდა (№ 43).

„ზ" ვარიანტიც თუშურია. იგი 1893 წელს ალექსი მაჭობ-ვილს სოფ. ალვანში ჩაუწერია. პირველად პ. უმიკაშვილის „ხალხურ სიტყვიერებაში" დაიბეჭდა.

ცნობილია ამ ლექსის სხვა ჩანაწერებიც. ორი ივ. ბუქურაულისა (დაიბეჭდა ე. თაყაიშვილის კრებულში, პირველ წიგნში), ერთი ასევე თუშური, იოანე ბატონიშვილის ჩანაწერია და ასევე ე. თაყაიშვილის „ხალხური სიტყვიერების" პირველ წიგნში გამოქვეყნდა.

ჰაატა თემურაშვილზე ორი ხალხური ლექსია ცნობილი. ერთია „ჰაატა თემურაშვილი", მეორე – „უსათაურო (ასე იწყება „პატარძლეულის ცხისა"). ქს. სიხარულიძის კრებულში მათი რიგითი ნომრებია № 140 და 141.

№ 104 ლექსი ჩაწერილია ქართლში, თონეთში, ბაკურაძის მიერ, დაბეჭდა ვ. კოტეტიშვილმა (გვ. 228). მასვე ეკუთვნის ცნობა, რომ ჰაატა თემურაშვილმა ტყვეობიდან გამოიხსნა თამრო ვაშლოვანელი (იხ. ვ. კოტეტიშვილი, „ხალხური პოეზია", გვ. 396-397). ეს ამბავი არეკლილია ხალხურ ლექსში „მანდ რო ქალი დავიკარგე" (ქს. სიხარულიძის კრებულში № 128, შეტანილი თამრო ვაშლოვანელის ციკლში). თავის დროზე გა-მოთქვეყნა სოლ. ცაიშვილმა (იხ. მისი „ერეკლეს გმირული სახე ხალხურ შემოქმედებაში", 1942, № 24).

№ 141 ლექსი „ბატარძეულის ცხისა" ქართლში, სოფელ

თონეთში ბაკურაძეს („ქართველი ოსებში") ჩაუწერია, ვ. კოტეტიშვილმაც დაბეჭდა (იხ. მისი კრებული, გვ. 208-209) სოლ. ცაიშვილმაც (იხ. მისი „ერეკლეს...", № 48.)

გელა ნათელაშვილის ზეპირსიტყვიერი ციკლი 7 ძირითად ტექსტს მოიცავს. აქედან სამი ლექსია, სამი პროზა (გადმოცემა). ზეპირსიტყვიერ მასალას აქაც ატყვია ტექსტოლოგიური მუშაობის კვალი, განსაკუთრებით ლექსს „გელა ნათელაშვილი", სადაც აშკარად ჩანს სულ ცოტა ორი ხალხური ლექსის კვალი. სხვა ტექსტები ასეა დასათაურებული: „გელანა ნათელაშვილი" (ეს ლექსის დასაწყისია, რადგან უსათაუროა.) „აჩრდას შაიქნა თქონთქორი", „გელა ნათელაშვილის მიერ ლეკების შებყრობა" (გადმოცემაა), „გელანას ძაღლები" (ესეც თქმულებაა), „გელანას სამართალი" და „გელანას სიმდიდრე" (ორ-სამ სტრიქონიანი პროზაური ფრაგმენტები გადმოცემებისა). ქს. სიხარულიძის კრებულში მათი რიგითი ნომრებია: 133, 134, 135, 136, 137. 138, 139.

№133 ლექსის ძირითადი ტექსტი დუშეთში ვ. კარბელაშვილის მიერ ჩაწერილის მიხედვით იბეჭდება. ეს ლექსი 1878 წელს „დროებაში" გამოქვეყნდა. (№169), შემდეგში ვ. კოტეტიშვილმა შეიტანა თავის კრებულში, ოდნავი ცვლილებებით.

გელა ნათელაშვილზე ვრცელი ნარკვევი ეკუთვნის ზ. ჭიჭინაძეს „გელა ნათელაშვილი ერთგული რაინდი მეფე ერეკლესი" („დროება", 1878, №169). გელა (გელანა) ზეპირსიტყვიერ ტექსტებში ხან ბაზალეთელად იწოდება, ხან ვერძეულად. გადმოცემით ნათელაშვილი პირთეთრობის (პირნათელობის) გამო შეურქმევიათ.

ამ ლექსის „ბ" ვარიანტი ფშაურში დ. ხიზანიშვილს ჩაუწერია. ("ფშაური ლექსები", გვ. 19-21). „გ" ვარიანტი – კახეთში თ. რაზიკაშვილს (დაიბეჭდა ე. თაყაიშვილის კრებულის პირველ წიგნში, №11). „დ" ვარიანტი – აპ. ცანავას, სოფ. ბაზალეთში, 1959

წელს, გიორგი სანდროს ძე ნათელაშვილისაგან (ფარინესაგან). ცნობილია სხვა ვარიანტებიც. მაგალითად, თ. ოქროპირიძის მიერ კახეთში. საბუეში 1947 წელს ს. შელეგიაშვილისაგან (აჭილასაგან) ჩაწერილი. დაბეჭდილია ქს. სიხარულიძის მიერ.

№134 ლექსი „გელანა ნათელაშვილი" ჩაწერა აპ. ცანავამ 1959წლს მთქმელ გიორგი ნათელაშვილისაგან (ფარინესაგან).

№135 ლექსი „არშას შაიქნა თონთქარი" ივ. თჩიაურს 1877წელს ხევში, სტეფანწმინდაში ჩაუწერია. დაბეჭდილი იყო პ. უმიკაშვილის „ხალხურ სიტყვიერებაში" (№45).

№136-139 ლექსები „გელა ნათელაშვილის მიერ ლეკების შებყრობა", „გელანას ძაღლები", „გელანას სამართალი", „გელანას სიმდიდრე" აპ. ცანავამ ჩაიწერა 1959წელს, სოფ. ბაზალეთში, გიორგი ნათელაშვილისაგან (ფარინესაგან).

გორგი თილისძის ციკლი 9 ძირითადი ტექსტისაგან შედგება. ყველა ლექსია. ფოლკლორისტული (ტექსტოლოგიური) ჩარევის კვალი ამ ციკლშიც დასტურდება. ეს არა მარტო გმირის ეპიკური თავგადასავლის ლოგიკური თანამიმდევრობით ტექსტების დალაგებას მოიცავს, არამედ შინაარსობრივი პრინციპით მათს გაერთიანებასაც. ამ პრინციპით ქს. სიხარულიძისეული პუბლიკაციით (რომელიც ამჟღერადაც დანარჩენებზე სრულია) ეს ტექსტებია: №142 – „გორგი". №143 – „ნეტარ არ გამაჰყიდდესა". აქ აშკარაა რამდენიმე ტექსტის კვალი (სამი ლექსისაგანაა შედგენილ-გამთლიანებული);

№144 ლექსი „თუშები ლეკების წინააღმდეგ", №146 – „ლაშარს მოვიდა თილისძე"; №147 – „თუშეთით კაცი მოვიდა"; №148 – „თილისძემ უთხრა მამასა", №149 – „თილისძე ლოპოტაშია"; №150 – „გორგის ნუ მაჰკლავთ, ქისტებო".

№142 ლექსი „გორგი" თ. რაზიკაშვილს ჩაუწერია ხევსურეთში, დაიბეჭდა ა. შანიძის „ხევსურულ პოეზიაში" (№82), ა. შანიძის კრებულშია შეტანილი ამ ლექსის დ. ხიზანიშვილისეული („ფშაური ლექსები", გვ. 78) ვარიანტიც (გვ. 391).

№143 ლექსი „ნეტარ არ გამახყიდდესა" ჩაწერილია ხელ-ნაწერებში თ. რაზიკაშვილის მიერ. დაბეჭდა ა. შანიძემ ხელნაწერულ პოეზიაში (№83). „ბ" ვარიანტი ივ.ბუქურაულს თუშეთში ჩაუწერია, ეს ლექსი ე. თაყაიშვილის კრებულის პირველ წიგნში დაიბეჭდა (გვ. 55).

№144 ლექსი „თუშები ლეკების წინააღმდეგ" ხელნაწერულია, თ.რაზიკაშვილის ჩაწერილი, დაიბეჭდა ა. შანიძის მითითებულ კრებულში (№84).

№146 ლექსი „ლამარს მოვიდა თილისძე" პირველად დ. ხიზანიშვილმა „ფშაურ ლექსებში" გამოაქვეყნა (გვ. 33-34). ამ ლექსის „ბ" ვარიანტი თუშურია, ივ. ბუქურაულის ჩაწერილი, გამოაქვეყნა ე. თაყაიშვილმა თავისი კრებულის II წიგნში (გვ. 55-56), „გ" ვარიანტი მოხეურია, დაიბეჭდა კრებულში „მოხევური ლექსები" ალ. გომიაშვილის რედაქციით, 1939, გვ. 37.

№147 ლექსი „თუშეთით კაცი მოვიდა" გამოქვეყნდა დ. ხიზანიშვილის კრებულში „ფშაური ლექსები", 1887, გვ. 30-32. ამ ლექსის „ბ" ვარიანტიც დ. ხიზანიშვილმა დასტამბა (გვ. 42-43); „გ" ვარიანტი-ხელნაწერული, თ. რაზიკაშვილის მიერ ჩაწერილი ა. შანიძემ დასტამბა „ხელნაწერულ პოეზიაში" (№144). თ. რაზიკაშვილს ამ ტექსტში იმთავითვე გამოუვლენია ორი ლექსის კვალი. მეორე ნაწილი შალვა ახალციხელის ციკლის ლექსის ვარიანტად მიუჩნევია (იხ. ქს. სიხარულიძის საისტორიო სიტყვიერების I ტომი, გვ. 105, №77).

№148 ლექსის „თილისიძემ უთხრა მამასა" ძირითადი ტექსტი დ. ხიზანიშვილმა გამოაქვეყნა „ფშაურ ლექსებში" (გვ. 35-37), „ბ" ვარიანტიც მასვე გაუცნობ მკითხველს. (იხ. „ფშაური ლექსები", გვ. 44-45).

№149 „თილისძე ლოპოტაშია" თუშური ლექსია, ივ. ბუქურაულის მიერ ჩაწერილი, გამოქვეყნდა ე. თაყაიშვილის კრებულის I წიგნში (გვ. 55).

№150-ც „გორგის ს-უ მაპკლავთ" დ. ხიზანიშვილის „ფშაური ლექსებით" გახდა ცნობილი (გვ. 78).

ალუდაურ გაბურზე ჩვენს ხელთ არსებულ ყველაზე მწირი მასალაა შემორჩენილი, სულ ორიოდე ტექსტი მოგვეპოვება. აქედან ერთი ლექსია – „ყარაულები შიბუს ჭალაში", რომელიც ქს. სიხარულიძემ შეცდომით (თავად აღიარა, იხ. მისი საისტორიო სიტყვიერების მეორე ტომი, გვ. 339) თილისძეს მიაკუთვნა. ეს ლექსი ბესარიონ გაბურს ჩაუწერია, დაბეჭდა ა. შანიძემ „ხევსურულ პოეზიაში" (№ 250).

მეორე ტექსტი პროზაულია, გადმოცემა "წინა ალუდაურ გაბური" ბეს.გაბურს დაუწერია ა.შანიძის დავალებით. ეს ტექსტი შინაარსობლივად სერიოზულად აცსებს ლექსს "ყარაული შიბუს ჭალაში" და გვატყობინებს ალუდაურ გაბურის ეპიკურ თავგადასავალს.

ძაღლიკა ხიმიკაურის ციკლი უპირატესად პროზაულ ტექსტებს მოიცავს. ლექსი მხოლოდ ერთია – „ძაღლიკა ხიმიკაური". გადმოცემებია „ხიმიკაურის ხმალი", „ძაღლიკა ხიმიკაურის ხმალი". ქს. სიხარულიძის კრებულში ამ ტექსტების რიგითი ნომრებია 110, 111, 112.

№ 110 ლექსი „ძაღლიკა ხიმიკაური" ჩაწერილია ხევსურეთში, დაბეჭდა ა. შანიძემ „ხევსურულ პოეზიაში" (№ 117). ძაღლიკა ხიმიკაური მკითხველს უფრო ადრე ვაჟა-ფშაველამ გააცნო („ივერია", 1902, № 196).

№ 111 ლექსი „ხიმიკაურის ხმალი" ქს. სიხარულიძემ ამობეჭდა ვაჟა-ფშაველას წერილიდან „ორი ამბავი მეფე ერეკლეზე მთაში დაბრჭენილი" („ივერია", 1902, № 196). ტექსტი არ არის ფოლკლორული, რედაქტირებულია.

№ 112 ლექსი „ძაღლიკა ხიმიკაურის ხმალი" ჩაწერილი ზემო ალვანში, ალ. მამულაშვილის მიერ, ვაჟასეული ტექსტის ვარიანტია. პირველად გამოაქვეყნა ქს. სიხარულიძემ საისტორიო სიტყვიერების მეორე ტომში (გვ. 95-96). კიდევ ერთი ვარიანტი გვხვდება ივ. ბუქურაულის წერილში „თუშების თქმულებანი მეფე ერეკლე II-ის შესახებ" („ივერია", 1895, № 119).

ერთი ლექსია შემორჩენილი ერეკლეს ციკლის ეპოსის გმირის **დილღ(ი)აძის** შესახებ. ესაა „დილღოიძე" (ქს. სიხარულიძის საისტორიო სიტყვიერების მეორე ტომში 144-ე ტექსტი). ეს ლექსი ივ. ბუქურაულს ჩაუწერია თუშეთში. გამოაქვეყნა ე.თაყაიშვილმა „ხალხური სიტყვიერების" პირველ წიგნში (№70). ლექსს არც ვარიანტები მოეპოვება.

ძალიან ცოტაა შემორჩენილი ასევე ერეკლეს ციკლის ეპოსის გმირის **ტუჩა ქაიხოსროს** შესახებაც. ერთი ტექსტი, პროზაული, გადმოცემა – „ტურა ქაიხოსრო" (ქს. სიხარულიძის საისტორიო სიტყვიერების მეორე ტომი №152) ეს გადმოცემა ს. მერკვილაძეს „დროებაში" დაუბეჭდავს (1885, №35). არც ეს ტექსტია ფოლკლორული, რადგან რედაქტირებულია.

ერეკლეს ციკლის ეპოსის ზეპირსიტყვიერი ტექსტების სიუხვე და შინაარსობრივი ერთიანობა, ვფიქრობ, უტყუარად ადასტურებს იმ ფაქტს, რომ ჩვენმა ხალხმა თავისებურად (მაგრამ სწორედ) გაიცნობიერა ერეკლე მეორის მეფობის ეპოქა, სწვდა ამ ეპოქის სულისკვეთებას, ამოიცნო მისი არსი და თავისი უსაყვარლესი გმირის – სამშობლოს და ეპოქის სიმბოლოს – ერეკლეს თაყვანდასავლის ფორმით „დაწერა" საკუთარი ისტორია, შექმნა საგმირო-საისტორიო ეპოსი და თავისი დროის ეპიკური თხზვის პრინციპების შესაბამისად რთულ (ციკლურ-სიუჟეტიან) სტრუქტურას დააფუძნა.

თავი V

ერეკლეს ეპოსი

ეპიგრაფი

ერეკლე ბატონიშვილი
გმირია წინა ჟმისათ,
შიგადი გული რკინისა,
გარედი სალის კლდისათ.

ერეკლეს ეპიკური თავგადასავალი

პროლოგი

ერეკლესთანა ბატონსა
ველარ გაზრდის დედა შვილსა,
ჯერ ხო ღვთისა მლოცველია,
მერე დამხსნელია ტყვისა.

ამბავი ერეკლეს დაბადებისა

ბატონიშვილ ერეკლესა
იერმის ძუძუ უწოვნია.
წყალი უსვამს ალგეთისა,
თრიალეთზე უძოვნია.
დაკარგულა, საჩალეში
მონადირეს უპოვნია.

ამბავი ერეკლეს გოლიათური ზრდისა

ეს ჩვენი მეფე ერეკლე
ერთი პატარა კახია,
რკინის პერანგი ჩააცვეს,
ხელი გაჰკრა და გახია.
ბატონი მეფე გვიკოცხლოს,
ერეკლე, ჩვენი გმირიო.
მტერს წინ წაუვა გულადად,
რაზმში იქნება პირიო,
უმისოდ ჩვენი ბიჭობა
იქნება გასაჭირიო,
მტერი მოგვივა, დაგვხოცავს,
როგორც ხორველა, — ჭირიო.

ამბავი ერეკლეს ბრძოლისა უსუფ ფაშასა და გივი ამილახვართან

(პირველი ებიზთდი)

უსუფ ფაშამ უთხრა მაშას:
– წავალ ვნახავ ფადიშასა.
წავიდა და გვერდს მიუჯდა,
მოჰყვა ტკბილად საჩივარსა:
– „შენი ჭირიმე, ხელმწიფევ,
რისთვის მართმევ ფაშობასა?
შენკე იკი კახთა ბატონი,
ორთავ გარდაგვიწვდენს მკლაესა,
მას ტკბილობით ვერ გაუვალთ,
მელობით ვუზამთ ბევრ ავსა,
თუ მიბრძანებ, ცოცხალს მოგგვრი,
თუ არადა მოვჭრი თავსა".
– მაგას თუ იზამ, უსუფო
გაგიახლებ ფაშობასა,
ტანზე ქურქსა წამოგასხამ,
მოგცემ გურჯის ქვეყანასა.

(მეთრე ებიზთდი)

ერეკლეს შემოუთყლია,
დიდის ბატონის შვილსაო.
ლეკები გამომეპარნენ
ქრცხინვალის ცხის ძირსაო,
აიკლეს და აოხრეს,
ბევრი ცოლ-შვილსაც სტირსაო,
თან თოფი გამოიტანეს,
სახსარი არის ტყვისაო.
თორმეტი თქროს სალტა აქვს,

ვერცხლი აკრია პირსათ.
გაიხარჯეთ, მომიკითხეთ,
ჩემთვის ძვირფასად ღირსათ.
თუ ნახეთ, გამომიგზავნეთ
ფაშავ, ნუ მიზამ მტრისათ.
ნუ მომიმდურებ ამაზედ,
თვარემ გავიფრთხობ ძილსათ.
არ მოგასვენებ არას დროს,
გიოხრებ ნათესს, ხილსათ,
ცხვარ–ზროხას წაგგვრი, ცხენის ილხს,
ჭირზედ დაგირთობ ჭირსათ,
დღისით წაგიღებ ქვეყანას
და ღამით ცოლსა, შვილსათ.
სიავეს სიტკბო სჯობია,
სიტყვას ნუ მიგდებ ძირსათ.

(მესამე ეპიზოდი)

ავარდა ბატონიშვილი,
ერეკლე ნათათრალიო,
არაგვი შამაიარა,
ფხიტუს დალახნა მთანიო;
ფხიტუს ღელეში შამოხდა,
პირწალმ იღოკა ჯვარიო,
მოკითხულობდა გზადაგზა:
„– ხევსურებს ვინ ხყავს თავიო?"
სანეს დაიკა კარავი,
შამაიხვიევსა ყმანიო,
იმედას ეუბნებიან:
„– გაგვიღვი ბეღლის კარიო,
გამოგვიგზავნე დრომაი,
ორივ ააბი ზარიო,

ჩაგვიმწყალობენ ახალნი.
წყრომით არ ჩახყევეს ჯვარიო
თვალივის ბოლოს დაგროვდეს,
ცამა დაუცვა თვალიო,
სამი დასვიან ქადაგი,
არ ულამინებს ჯვარიო,
ხევსურებმ არ დაიჯერეს,
„– არ ბრუნავს ჩვენი გვარიო...“
არაგვზე ჩამოდიოდა
ყაწიმიანის ჯვარიო,
ქალაქის ხიდზე გამოხდეს,
ქალაქსაც შახდვეს ზარიო.
გახკვირდა სომხიმვილები:
„– სად მიდის ხევსურთ ჯვარიო?“
„– ქართლი შაუკრათ ხევსურნო,
ქალაქს ვინ შაჩდვა ზარიო,
სურამზე გადაიარეს,
გადაამტვრიენეს გზანიო.“
გაიგა ღუდუშაურმაც,
ლურჯას დააკრა ნალიო.
თიხზე მაჭედა ლურჯაი,
ლურსმანს უთხარა წეერიო...
ვინც ნახა გამამავალმა,
ყველამ დასწერა ჯვარიო.
– საით მიხოლი, მამ-უკავ,
საით მიგიქრის ცხენიო?
– თათრებში ომი მწადიან,
თუ ღმერთმა მამცა დღენიო.
ჩავიდა ქალაქის პირსა.
ქალაქი ნათათრალიო,
ჩამდგარან ურუმ-ქურუმნი,

დაქუხდა ზარბაზანია.
შჯექენ სიათა, ყირმული,
ძიწას შჯაბს თათრის ჯარია.
– სად არი ჩვენი ერეკლე,
ალამს რად უშლის ქარია?
ის ძუვის ლომის გაზრდილი,
ხოდების დასადარია.
– წინ უდგას ქართველთ ლაშქარსა,
თითონაც ნაომარია
ხალიხს შჯამს მხედარისასა
შავი საფერხე მალია.
ვინც მაკვდეს ომჩი თათართას,
ღია სამოთხის კარია.
ხმალს ამასწია მამუკამ,
ომის გუსების არია,
ხოცა და ხოცა თათრები,
რიყედ დაყარა მკვდარია.
ჩვენი ფრანგულის ამაწვდა
ამილახორის ბრალია.

(მეთხე ეპიზოდი)

ეს გივი ამილახვარი
მტრისაგან შეგვეშალათ,
სამკვიდროები დააგდო,-
სამთავისი და ჭალათ,
სურამის ციხე ააგო.
ცათამდინ აიყვანათ,
შიგ წისქვილი დააბრუნა.
წყალი შიგ შეიყვანათ,
ხუშ-ურ-ხუშური მეთოფე
ანაბრაჟე გაიოთვალათ.

(მეხუთე ეპიზოდი)

ამილახვარსა გივსაო,
ცხენე უდგია ქვისაო,
შაყა და შიგ მაისვენებს,
არ ეშინიან მტრისაო.
შე გიო ამილახვარო
გუნება თაღლითიანო,
ხან აქეთა ხარ, ხან იქით
საითაც ქარნი ჰქრიანო!

(მეექვსე ეპიზოდი)

თმ იქნა გორის ბოლოსა:
სისხლსა წვიმს, ზეთი დარიო,
„– მინდვრათ ჩაედით, ხევსურნო,
სანგლად მაიყლით მკვდარიო.
უთურგაისძემ გაჭარბათ,–
კარგად უჭრიდა ხმალიო,
კარზედ გიორგა დაგიდგათ,
ეგ ყვირილობის ხარიო.
თოფის ხმა მოდის მალ-მალედ:
„– ღულელ მანგია ვარიო,
თრ გვერდით მიწევს დაჭრილი
თათდაც ურჩოდ ვარიო;
მესამე თხრილში ჩავიდა,
ურჩი სჭირს ნახანჯრალიო."

(მეშვიდე ეპიზოდი)

ერეკლე ბატონიშყალი
განა უბრალო კახიაო?!
საგურამოსთან ლეკისა
ვერ მარტომ შუა გახია.

ამბავი ერეკლეს ოსეთში ლაშქრობისა

(პირველი ებიზოდი)

ერეკლე ბატონიშვილი
ას ღვთისგან დაელათიანი.
სათრუსოთდა გაღებედავს,
— სავსე ას საქონიანი.
ხევსურებს დაიბარებდა:
„თავი დამჭირდა ყმიანი"
დაემზადნიან ხევსურნი:
„ოსების ჩვენ გჭარს ზიანი."
ჩამავა გაიდაური,
მანძილა რქა-ყანგიანი;
მახყვების თამარისძეი,
დრომამ გაიღა ძგრიალი.

(მეთრე ებიზოდი)

თრუსო გალეწეს ხევსურთა,
აისრ რო კალო ძნიანი.
გახუა ხიტალიონი
ბასრი ხმალია ფხიანი,
ხთისია ატაბიონი
შაორდანია მხრიანი,-
ცხინის კარს შასტანებიო,
მკვდარ დარჩა სისხლ-ტიგრიანი

(მესამე ებიზოდი)

ხკვირობენ ახნაურები:
„ხევსური როგორც ცდისათ!"
„— ომაიმეილი იქნება" —
ერეკლე იცინისათ.

ამბავი ერეკლეს გრძოლისა აბდულა ბეგთან

(პირველი ებიზოდი)

პამპ'ულია შეიკაზმა
თოფითა და ჯინკილითა,
რაც შეეძლო ლაღი იყო
ტომ-მოდგმობით, სინსილითა.
„– უნდა ქალაქსა წავიდე,
ამოვხოცო შიმშილითა.
ისე გაუხადო საქმე,
ს'ულ იწოდნენ სირცხვილითა.
შეომრებს ხელ-ფეხს შეუკრავ,
გულს გაუტეხ სიბილწითა."
ეს რომ ერეკლემ გაიგო,
გადაბრუნდა სიცილითა.
-მეფე ერეკლე მოგიკვდეს,
ვერ გაგხეთქო სირბილითა,
კოჭორი გაგარბენინო,
მონასტერი ტირილითა.

(მეორე ებიზოდი)

ერეკლემ შემოუტია
ამ თავის გორდა ხმალსათ:
– რას შვრები, ჩემო ფრანგულო,
რატომ არ გამცემ ხმასათ?
„– გულ'უშიშრადა შემამკარ,
ძალა ატარე კლავსათ
და მაშინ სეირს უყურე,
სად გავაგორებ თავსათ."

(მესამე ებიზთდი)

აბდულის ყარაულები
ქალაქის ხიდზე მდგარიან.
მანდით აყრილა აბდულა,
დიღომჩი გადმომდგარაო,
ერეკლეს კაცსა ულალავს:
„— ერეკლე, ჩემო ნალაო,
გამამილალე სურსათი,
ჩემი ქალაქის ღალაო!"
ეს რო ერეკლემ გაიგო,
სიცილით გამაძღარაო:
„— რა ქნა მა წითელ მელამა?
ტყავ კარზე მამიტანაო!"
გონსა მოვიდა მთიულა,
ეგრ რო ი ღორის ფარაო.
ვაჟები თიანელები
ჩაიჭრეს კარავთანაო,
ჩაჭრეს, ჩაკაფეს კარავი,
ჩაყარეს ფარი-ფარაო.
ეუბნებოდეს ოსები:
„— კარგი, მთიულო, კმარაო!"
გამოქცეულა აბდულა
სამშვილდეს ჩამომდგარაო.
წამაეგება დიაცი:
„— ბიჭო, რამ აგაჩქარაო?"
„— სუ დამიღუპა ეკარები,
მანდ რო ერეკლე მდგარაო."

ამბავი ერეკლეს ბრძოლისა ჰაჯზე ჩალაბთან

ერეკლემ, ჩვენმა ბატონმა,
ქიზიყს შეჰყარა ვაჟკაცია,
ალაზანს გადო ვიწირი,
ზედ გადის ჩვენი ვაჟკაცია.
პატარა-ნაბახჩავაში
შიგ დამალულა ვაჟკაცია
მივედით, გამოგვაქციეს,
როგორც ნადირმა ცხვარია.
ასე გაგვხადეს თათრებმა,
როგორც ნიუკა მხალია...
ბატონსა ცხენი მოუკლეს,
თავში ჰკრეს ზარბაზანია.
ბატონი ქვეითი მორბის,
ხელში უჭირავს ხმალია.
ქვემბარიშვილი დათუკი
ცით ჩამოსული ვაჟკაცია.
ბატონსა ცხენი მიართო,
ქვეშ უქრის ნიავ-ქარია.
ბატონი ცხენზედ ამხედრდა,
ქალაქს ამოჰყო თავია.
„– დათუკი, ქალაქს ჩამოდი,
იქ ნახე საჩუქარია!"
დათუკი ქალაქს ჩავიდა,
ემთხვევა დედოფალია:
„– შენი ჭირიმე, დათუკი,
შენ მომიკრჩინე ქმარია!
წადი და ნახე ვენახი,
როგორც რო ვენახარია
შიგ არის ქვითკირის წყარო,
წისქვილი საკუთარია."

ამბავი ერეკლეს ბრძოლისა აზატ-ხანთან

(პირველი ეპიზოდი)

ისე ადიდდა აზატ-ხან,
თავი ძირს აღარ დაიდო:
„– აქ მე ვარ, სტამბოლს ხონთქარი,
ყენი ჩემთან რა იყო!"
განკის ხანს შემოუტია,
სურსათი ბევრი აიღო.
გოგჩის ტბაზედ რო ჩავიდა,
იქ აყლის ჯარი მდგარიყო.
ავღნებმა შეჰქმნეს ჩოჩქოლი,
გუშინ ერეკლეს თქმა იყო...
ერთი ავღნების უზბაში
ოქროს უნაგირს მჯდარიყო.
„– ამისთვის გურკები მამკლვენ,-"
ცხენიდან ჩამოძხტარიყო.
ეს სიტყვა რო დააამთავრა,
ერეკლეც წამომდგარიყო.
საქრისტიანოს გულისთვინ
ერეკლემ ხმალი აიღო.
ერეკლემ რო ცხენი გასძრა,
სისხლმა გაიღო თქაფანი,
უკრავად კაცსა მოჰკლავდა
იმისი ცხენის ქაქანი.
სისხლისა შედგა მორევი,
ცხენს შეელება ფაფარი.
ასეთი გარბის აზატ-ხან,
როგორც ხორასნის ჩაფარი.
ერეკლე უკან მისძახდა:
„– მოსვლა და წასვლა რა არი?!"

„– რას მამღევ, გურგო ერეკლე
რა მიმაქვ შენი დაგლაო,
ცველა მანდ გამაშვებინე,
თოფი და ვაბახანაო,
იმდენი არა მიმაქვ რა,
სადილი ვჭამთ ხვალაო."
„– აგრე მოგდევ თავრიზამდე,
ვით წყაზარი გარიელსა,
ცხენ-ვაღორებს დაგაყრევინებ,
ძუანადებ, ღალიანსა,
სუყველაში გაგაცრუებ,
გაგისტუმრებ ცარიელსა."

(პირველი ეპიზოდი)

ხუნძახმა ცხენსა მიჰმართა,
მუხლი ვერ გაიტანაო,
კუდქვეშა სდებდა ლაგამსა,
თავი სად დაემალაო?
„– რა დაგემართა, ხუნძახო,
რა სახიდამ შეიშალე,
შენ ეგ ცხენი არ დაგაგდებს,
ცოტა წელში გაიშალე."
ისე შემხდა ხუნძახი,
ველარ ჩაიცვა ჩუსტური.
„– მე აქეთ აღარ წამოვალ,
ქართველთ სცოდნიათ ხუსტური."

ამბავი ერეკლეს მიმართ ღალატისა

მეფე ერეკლე, ქვეყნის ბატონო,
კელაბტარი ხარ ქვეყნისა მხნათი,
რუსთა ხელმწიფე შენგნით გაჰკვირდა,
შენგნით შეშინდა ყანდარ-ერანი.
ღმერთის მგმობელმა, რგალის დამგდებმა,
ვინ მოიგონა მეფის ღალატი?
ერთს ფეიქარსა წიგნი ხელთ მისცეს,
ეს ჩაგვიტანე ქარუმ ხანამდინ:
„– ქარუმ ხან, შენ წინ წამოდექ,
სულ ამოვწყვიტოთ, შვილით თავამდინ!"
იმ ფეიქარმა სამ დღეს იარა,
სამ დღეს იარა სამ დღის სავალი.
ანგელოზები წინ გადაუდგნენ:
„– როგორ იქნება მეფის ღალატი?"
ის ფეიქარი უკან დაბრუნდა,
ღამით მივიდა მეფის კარამდინ:
„– ჩემო ხელმწიფევ, თავს გაუფთხილდი,
უკან დაგიდგნენ ყოვლნი თავადნი."
მეფე ერეკლე გაკვირდა:–
"ვის შეუძლია ჩემი ღალატი?"
„– ჩემო ხელმწიფევ, თუ არა გკერა,
უბეში მიძევს მათი ბარათი."
უბეს უნახეს, ამოაკალეს
იმ თავადების ავათ ნახლათი.
ნეფე ერეკლემ რომ წაიკითხა,
ხმა არ გაიღო დიდი ხანამდინ.
კახეთს შესთვალა: „მოდით, მიტირეთ,
სიკვდილი მოხდა ჩემი ამლათი."
კახეთის ჯარი მალე მივიდა,

რო მოიხედამთ, ისე მალათა:
„– ვინ მოგვიკალით ჩვენი ერეკლე,
სისხლი დაგლითთ, როგორც შარბათი."
ის თავადები სულ მოაგრაფეს
როგორც კალთზე პური არნადით.
თავს დააყენეს თვალის მთხრელები,
მას მიადევნეს უკან ვალაითი.
თაქთაქიშვილსა ნავთი დაასხეს,
სულ შიგ ამოწვეს თაყით ტანამდინ.
ამილახვარსა თვალნი დასთხარეს,
ხელები დასჭრეს,
ის ველარ მიეა თავის კარამდინ.
ამილახვრის შვილს თვალნი მოსთხარეს
და ხელი მოსჭრეს: –
„წადი, იარე და გაგლახავდი!"
ფეიქრის ცოლი დედოფალმა
იქ დააბარა, თავის არამში.
ფეიქრის ცოლი რომ შეიყვანეს,
ქვეშ გაუშალეს თექა-ნაბადი:
„–შენ, ფეიქარო, იმდენსაც მოგცემ,
სანამდინ გეყოს შვილით თავამდინ."
იმ ფეიქარსა მსახურნი მისცეს,
თან მიადევნეს კარგი დალაქი,
კახეთში მისცეს კოშკი, ქალაქი.

ამბავი ერეკლეს ბრძოლისა სამცხე-ჯავახეთისათვის

(პირველი ებიზთდი)

დიდება და მადლი ღმერთსა,
რომ გამოჩნდა ქრისტეს ჯვარი.
ოთხი კუთხე სულ შეიძრა,
თავი რუსთ ხელმწიფე არი,
ერეკლეს შემოუთვალა
სალამი და საჩუქარი:
„– ასე მიყვარხარ, ერეკლე,
როგორც ჩემი და და ძმანი."
მანც მადლობა მოახსენა:
„– მეგობრობა შენი ვცანი.
ეს ფამები მაწუხებენ,
ლეკია თუ ენგიჩარი."
ცოტა რამ ხანს მოიცადა,
შეიყარა გურჯის ჯარი...

(მეთრე ებიზთდი)

სანეს ხევსურებ იყრების,
უფროსებ ოემ-თეშისაო:
„– წასლელა გვი, არ გვეშველების,
არწასვლა არ იქნებისა."
არაგვი ჩაშაამტვრიეს.
ქვა აღარ დაუდგებისა.
ლელე-ებან გადმოდიოდეს,
ელვა დგა ჩაჩქნებისაო.
კუკიას ჩამადიოდეს,
ჭექა მახქონდა ცისაო.
ქალაქს მოუვა ბატონსა

ჯოგი ლეგისა მგლისაო.
ჭეხით მიაროცეს სალამი,
წყრომითა ქვე არ იქნებისა.
ერეკლეს გასცინებია,
პირს მზეი ეფინებისა:
„— შორაად სადენს ამბობენ
ხევსურ ვერ გამადგებისა!“
სურამი გადაიარეს
აწყვერსაც მიუდგებისა.

(მესამე ეპიზოდი)

ადგა და ქართლი შემოვლო,
გაამაგრა ტაშისკარი,
ხეობაზედ შემოწკიპა,
აწყვერს მივა წინა ჯარი,-
აწყვრის ციხეს შემოადგა,
შეუშალა ცალი მხარი,
ესროლა და ჩამოყარა
ბედნებიდან ბაირახტარი.
ზეითგან ტყვია ზუზუნობს,
ოხერში წყალი არ არი.
ბაგალოი გამოვარდა.
ყელ-ყური ჰქონდა დამწვარი.
სულ გაგვიწყვიტა ლაშქარი,
ეს რაღა ღვთის რისხვა არი!
რუსის ჯარი შემწედ ჰყავდა,
სულ არ დაუჭირეს მხარი.
ისევ უკან მადიოდნენ,
რაღაზედაც განაცხარი.
შეამავალთ ვერა ჰქნეს რა,
სულ ვერ გარდიხადეს ვალი,

ტოტლებენმა ულალატა,
სხვას დაადგა თავის ბრალი,
ზარბაზნები არ ახმარა,
გაბრუნდა შურისგან მთვრალი,
მეფემ არაფრად ჩააგდო
იმისთანა წუწკი, მყრალი.
ანწყვრითგანა გარდავიდა,
ასპინძას მიადგა მწყრალი,
რაც იქ დაუკლო ლეკ-ოსმალთ,
აქ შეუთავა ხარალი.
ბევრი პოწიფული ჰყავდა,
ხელ-ფეხით ყაფყლა მარალი,
იმ ღამეს ხიდი აჰყარეს,
გაჩნდა იქ ჰარალ-თარალი.
თათრებმა შემოუტიეს,
სულ არ იცოდნენ ყარალი,
ვერც წინ დაუდგნენ, ვერც უკან,
გაუკუდდათ ჰალლა ბალი;
ვერ შეუტყეს ხიდის აყრა,
არავინ იყო ჰალალი.
იშვიერეს პირი, ხიდს ეკვნენ,
აყრილ იყო გასავალი,
პასტ-პუნტით წყალში სცვიოდნენ
ქალ მაჰმადა და სარალი,
სალავათიც ვერ მიჰქონდათ,
ისე განტეხოდათ თვალი.
ხრამი შეეკრათ თვითანვე,
ვერა ჰქმნეს რა, იყვნენ მხრდალი,
იქ დახვდა კოხტა ბელადი,
მას გავარდა ორიე თვალი.
ეს ერეკლე გაითხოვა:

„– აგერ არის საბურთალი!"
(ნეტათქო როგორ შებედა,
როგორ გაუმართა თყალი!)
ორნივ ხმალდახმალ შეიბნენ,
მწვე გათამამდა მურტალი,
ზედ შეევარდა მოურიდლად,
ვაი, მისი ბედის ბრალი,
ისრე გადაჭრა ცხენზედა.
წყალიყით გაავლო ხმალი,
რომ თვითონაც ვერ შიტყო,
გადავარდა ლეკი მყრალი.

(მეოთხე ეპიზოდი)

ჩამქერიენ ხევსურნი,
ერეკლე ჩამახყვებისა.
ლოხაური – შვილ სუმბატა
ხმლიან კაცთ წინ უძღვებისა:
გუგუაიშვილ სუმბატა
სახლჩი შიგ დაუდგებისა;
ვაჭაბათა ივანეურსა
მაშყელი მაუნდებისა.
ვაჭაშაისძეო, რად ხყვდები?
ერთი ხარ, არ გიხდებისა,
შენი წილი და ნაწილი
გულანს გასაყოფ რჩებისა.
ერეკლეს ბატონიშვილსა
ბირს მზეი ეფინებისა, –
მაუკლავ კოხტა ბელადი,
გლეხი არ ეკადრებისა;
შვილი ტყვედ წამაიყვანა,
მსახურად დასჭირდებისა.

ბიტურაისა აბაი
დედასამც დაურჩებისა!
გუდანელები ეძებენ
მა გუგუაის შვილსაო.
„— ღერესა რად დაგეიანდა? —
ცხენი უმხედროდ რბისაო.“
ვაჟამბათა ივანეური
ვეფხვ გაიწვადა მთისაო.
ახნაურები იკითხვენ
ლომის. — გაგაის შვილსაო.
ნეტავი მაგკვათ, ხევსურნო,
საგზალი სამის დღისაო!
ერეკლეს შამახვეცხართ,
მაქნევა გწადისთ ხმლისაო.
ფშაველებ უდებენ იმედსა:
„—ჭერა ჩვენც გვწადის მხრისაო.“
მეორა მამ-უკას მაღნახვენ,
წოწკორაულის შვილსაო.
საღირათ ელიზბარასა
წონა კარგი აქვს მტრისაო.

(მეხუთე ეპიზოდი)

მოდით, ბიჭებო, გავიყოთ
ოქრო, მარგალიტი, თვალი.
ფარის ანგარიშს ეინ იხამს,
სულ ზოლათაა ახალი.

(მეექვსე ეპიზოდი)

— შენ, ერეკლეც, ჰაქმიანო, (ოქმიანო)
ცხენსმაღალ უნაგირიანო,
შენი ნახოცი ლეკები

ასპინძის ბოლოს ჰყრიანო,
ყვავი, ყორანი ლეშსა სჭამს.
კაჭკაჭნი თვალებს სთხრიანთ,
ვაი, იმათ გაჩენასა,
რა გონვე ალაგას ჰყრიანო!

(მეშვიდე ეპიზოდი)

ერეკლემ არ მოიშალა
ის თავის მუკლის ჩხვერაო,
ადგა და წინ წამოუძღვა
მთვარე არ იყო, ბნელაო.
ხერთვისის ხიდსა შემოდგა,
თოფებს არ გააქვს ძგერაო.
თათრებმა თავი დაუკრეს,
წინ ვერ დაუდგნენ, ვერაო.
მაიღეს პატივისცემით,
დალაგდნენ იმ დღეს ვკერაო,
ხანუმებმან გარდმოხედეს,
პირზედ გადაჰკრა ფერმაო.
თქვეს: „— ვაი, დაგვიმძიმდეს
ამ სასაითგან ცქერაო."
მერმე რთ ისევ წავიდნენ,
უწყეს შორიდან ცქერაო.

ამბავი ალა-მახმად-ხანის შემოსევისა და თბილისის დაცემისა

(პირველი ებიზოდი)

დიდება და მადლი ღმერთსა,
რომ ბრძანება იქნა მღვთისა.
მოეკიდა ხმალი ხმალსა,
ომი იქნა პირველ ჟმისა.
ყველი რომ წინ წამოდგა,
ნეტა რისგან ჰქონდა ძალი,
ხანები რომ დაიბარა,
იმას დაჰყვა დიდი ჯარი.
შუშის ხანს შემოუთვალა:
„— შენზედ არის ეს აფარი,
ყოველის მხრიდან მოამზადე,
რაც რომ გქონდეს,— საომარი."
„— ოთხი კარები მიბია,
ერთგნითა მაქ გასაგალი,
იმასაც მაგრა დაგიკეტ,
რას დამაკლებს შენი ჯარი,
შორიდამ გალაპარაკებ,
როგორც მეჩებარი ძაღლი;
თუ რო ქალაქისკენ წახვალ,
იქაც ერეკლე მზა არი,
ერეკლე შენ დაგამარცხებს
შინ წახვალ გაუხარავი."

(მეორე ებიზოდი)

ეს რა საქმე დაგვემართა
აღა მაღმეტ ხანისაგან,
მაცხოვარო დაგვიფარე

ხოლვა, დატყვევებისაგან.
არჩივა ყორღანაშვილმა
გაუგზავნა ბაშბა, ტარი:
„— დაგვცქ ყენთ, დაართი,
შაიქმნები ჩვენი რძალი!"
ეს რთ ყენმა შეიტყო,
ვეარებს დაატანა ძალი,
ადგა, ქვემოთ წამოვიდა,
თან მოჰქონდა მთა და ბარი.
იაღლუვეას რო მოვიდა
ის ურკულთ არდაშელი,
სოლოლაკზე რთ გადმოდგა,
ქალაქს აეშალა კვალი.

(მესამე ებიზოდი)

ნეტავ ქება როგორ ითქმის
ამ თბილის ქალაქისათ,
ზამთარი არის ბრთლისა,
ზაფხული ზურმუხტისათ,
გარს ახვევია ბაღები,
ჩარხი უბრუნამს წყალსათ,
შიგ წისქვილები უბრუნამს,
გარშემოვლილი, წყალსათ.
ქალაქში აბანოები,
ბადალი ხმელეთისათ.
ძირიდამ აშენებული
აუზებია ქვისათ,
მაღლიდგანა მოჭედილი
წითელ იაგუნდისათ.
გვერდიდამ ფანჯარეები
სანათურია მზისათ.

ვინც შავა, აგრე გახდების,
როგორც თოვლია მთისაო.
ქალი და რძალი გამოდის,
ვით რო ყვავილი ხისაო.
დუქნები ბევრი დამართეს,
სასხდომი ბაყლებისაო,
ქვეშ ქუჩები დაატანეს,
სარბენი არის გზისაო,
წინ ნათხარი ორმოები,
ნაგები სარდაფისაო,
ხო, ის ლაინი ბევრია
და ფარჩა ბეზირგნისაო.
საყდარიც ბევრი ააგეს
ამ თეთრი ქვიტკირისაო,
ხატი და ჯვარი შიგ არის,
სალოცავია ხვთისაო,
ბერი და ღვდელი ამთენი,
როგორც რთ წვიმა წყლისაო,
ხაზინაები აწყვია,
მოჭრილი თამაზ ხნისაო.
ერეკლე ბატონი იყდა,
ბადალი ხმელეთისაო.
ატირდა ცა და ქვეყანა,
მისთვის არ მოდის დარია,
ხოვდა ხანი წამოვიდა,
ოქორნით მომავალია,
იმდენი ჯარი მოუდის,
არ გადასწვდება თვალია,
შიგ და შაგ სარდლები მისკა,
მან კი აართო მხარია.

(მეოთხე ებიზოდი)

ორთაჭალას მიეგება
ეს საბრალო ქართლის ვაჟარი.
ერთ თალია გააქციეს,
სანამდისინ ვაჟანღი არი.
ვაჟანღი რო გადაიყარა,
თათრის ვაჟარმა მაიხედა,
ქართლის ვაჟარი ცოტა არი.
მოუბრუნდა თათრის ვაჟარი,
აუყენეს სისხლის ღვარი.
იმ ორთაჭალის ბაღებში
სისხლის ნიაღვრები არი.
რიგი იცინის, რიგი ტირს,
ზოგმა ნახა შვილი მკვდარი;
ზოგი წყალში გადაცურდა,
ძალათი დაიხჩო თავი...
ქალაქში რო შემოვიდნენ,
ხელთ ეჭირათ განკის კარი.
სულ ერთიან დააქციეს
დუქანი და ქარვასლანი.
ავლაბარს ცეცხლი მოჰკიდეს,
გარეუბანს გადის ალი.
ორშაბათ დილას გათენდა
ავი დილა, ავი დარი, –
ყმაწვილების კალოს ლეწავს
თურექმანის ცხენის ნალი.

(მეხუთე ებიზოდი)

საყდრიდას გამოიყვანეს
ის დიდი ძველი ვაჟარია...
ზოგი მოუკლამს ტყვიასა,

ზოგ მიწას შეუჭამია...
„– ურეკულოს ხელში ნუ ჩაგვყრი,
ისევ შენ მოგვიხმარია.“ –
წინ ერეკლეს გამოუძვენ,
ვითომ ირემი ხარია,
ასე მოჰქონდა ლაბლაბი
ვით საომარი ხმალია.
დუშეთში რო შემოვიდა,
ტყენეს მოაგორებს ნელათ,
დავდა და წიგნი დასწერა...
ეს რუს ხელმწიფეს მიმირთვით,
მან გადიკითხოს ნელათ:
„– ხოვღა ხანი წამოვიდა,
ქალაქი შეამტვერათ,
მე აქედამ მომიქცია,
ისევ მიშველე შენათ.“
გადიკითხა რუს ხელმწიფემ,
მუხლზე დაიკრა ხელია:
„– ვაი, შენ, ტფილის ქალაქო,
რა ძნელი საქმე ჰქენია:
ხაზინაები დაკარგე და
ოქროები ბევრია.
ზოგი ბოლოზე დავიდეთ,
დავიმონავოთ მტერია;
ზოგი დარბანზე გავიდეთ,
ორათ გავაწყოთ გემია,
ხოვღა ხანი დავიჭირთთ,
ძაღლივით მოვჭრათ ყელია,
ქალაქი დავიმორჩილოთ,
სულ საქართველო, ჩვენია.“

ᲡᲐᲑᲐᲕᲝ ᲠᲙᲘᲜᲘᲡ ᲙᲐᲠᲘᲡ ᲨᲔᲮᲡᲜᲘᲡᲐ

(პირველი ეპიზოდი)

ვერ გაიგეთა, ქართველნო?!
– შაგეხსნათ რკინის კარიო,
მზე ჩაგვივიდა უკუღმა,
ჩაეარდა შუა ზღვაშიო,
ატირდნენ წვრილნი ვარსკვლავნი,
ცამაც დაშალა ნამიო.
აღარ გვყავს მეფე ერეკლე,
არც იმის საომარიო,

(მეთრე ეპიზოდი)

არ გიფრიალებთ დროშები,
არცა სჭექს ზარბაზანიო.

(მესამე ეპიზოდი)

ღმერთსა შასტირეს თაყვადთა:
„– ღმერთო, გვიკერენ ბრალნია!"
აქ ტყვრება დედამიწაი,
ზე ავი გვადგას დარია...

(მეთხე ეპიზოდი)

ერეკლეს სიკვდილ ვინა თქვა?
გაუხმეს ენის ტარია!
არ მოკვდა, ღმერთთან წავიდა,
ძმა არის, განაყარია.
შვილებს დაუგდო ბეგთარი,
ფხასისხლიანი ხმალია.
„– სანამდე ვიყავ, ცხენს ვიჯექ,
მივძრენ და მოვძრენ ზღვანია."

(მეხუთე ებიზოდი)

დასაყლეთ ვხოცენ თსმალნი,
აღმოსაყლეთით სპარსნია.
ნახოცის მტრების სისხლითა
წითლადა ველებენ მთანია.

(მეექვსე ებიზოდი)

ახლა თქვენ გაიმაგროდით
ქალაქის მეიდანია.

(მეშვიდე ებიზოდი)

ერთმანეთს ნუ უღალატებთ,
მტერმა არ გთხაროსთ თვალია!

(მერვე ებიზოდი)

მცხეთას რო ვერცხლის კუბო დგა,
უნთია კელაპტარიო,
შიგა წევს ნეფე ერეკლე,
ბაგრატიონის გვარიო...
ატირდა ერეკლეს ცოლი,
იმერეთ ნეფის ქალიო:
„– ეს ჩემი თვალნი რასა ჰგვან?
– მოლრუბლულნია ცანიო,
მალი-მალ ისე დასწვიმენ,
როგორც ნაღვარნი წყალიო.
ეს ჩემი გული რასა ჰგვან?
– ცხენთა ნაგალი ნალია.
– ვერ გაიგეთა ქართველნო,
მაგეხსნათ რკინის კარიაო!
იმისა სანეფოზედა
იცილებიან სხვანია.

ვაჟიმც მქნა, ქალი არ ვიყო,
თავზედ არ მესხან თმანია!
ტანზე ჩამაცყა ბეგთარი,
საჭირო საომარია!
მაშინის გაიგებოდა,
ვისიც გასჭრიდა ხმალია!
რა მალე ვინადირებდი,
შორით გეჭირა თვალია."

ეპილოგი

(მირველი ეპიზოდი)

...მთაში აქირღვდა არაგვი,
ბარად აყროლდა მტკვარია,
ყველა შიგ შემქერია,
გველი, მყვარი და მკალია.
მტკვარსაც ნუ დალევთ, იცოდეთ,
მტკვარიც კი მძორიანია.
ჩრილოეთს მივდით, გვეხარის,
როგორც მარილზე ცხვარია.
ძეგლი დავკარგეთ მამისა,
აღარც გვყავ დედა მარიამ,
ავდგეთ და გადავიხვეწ'ნეთ,
შანამდინ კიდევ დარია.
სამხრეთისაკენ გავწ'ითთ,
საიდან მოგვდის მტკვარია,
იქნება მაშინ ვიპოვნათ
ჩვენი ბაგრატის გვარია.
აეწ' ტკბილი გვაქვთ, ვიცოდეთ,
კვლავ კი გვექნება მწარეა.
ნეტავი იყოს ლამერთან,
ნეტავ გავიდეს ჯვარია.

ნეტავი წელზე შეერტყას.
ერეკლეს ჩვენსა ხმალია.
გატეხოს ციხის კარები,
გაჰქროლოს რთგორც ქარია,
გვერდითა ჩამოგვიყენა
ჩვენი არაგვის ყმანია,
თქვენ თვალით გაყურებიათ,
ჩვენ გვაქნევინა ხმალია,
წინამც საომრად შეგვყარა
ყეენის შვილის ვაჟარია.
სუყველამ იცით, ტუსაღთა
ძუხლებს აღარ აქვს ვანია,
გაგვყვიოლებია თვალები,
რომ გვისომ თერგის წყალია.
ვინც თერგის წყალი დავლიეთ,
გუნება გვექნა ჩქარია...

(მეორე ებიზოდი)

მეფე ერეკლეს დროშია
შორს მოვიძუე ძროხანი,
დავწექ და ბევრი ვიძინე,
ზედ დავიხურე ჩოხანი.
მეფე გიორგის დროშია
ვერა ვდგებოდი ქოხშია,
ვერც გავახარეთ ცოლ-შვილი,
ვერც მოვილხინეთ ტოლშია.

(მესამე ებიზოდი)

...აღარ გვყავ მეფე ერეკლე!
მთაში ვაფკაცთ ხმლიანთ,
ბარად ჩამოდი, საომრად,
გზაში არ დაიგვიანთ!

დამატება 1.

„ერეკლე და ნადირ-შაჰი“

„ოხუთმეტი-თექვსმეტი წლის ყრმა ერეკლე ერანის ყენენმა ნადირ-შაჰმა იახლა. პატარა კახი იქ ნადირ-შაჰის მრავალ ომსა და ბრძოლებს დაესწრო. ის შაჰის საყვარელი გმირი და მოხერხებული მეომარი გახდა. ერეკლეს ცხოვრების ამ პერიოდიდან მრავალ საგმირო საქმეთა შორის აღსანიშნავია შემდეგი ეპიზოდი:

ინდოეთის ლაშქრობიდან გამარჯვებით დაბრუნებული სადირ-შაჰი სინდეთში შეიჭრა. გზაზე ქვის დიდი სვეტი შეხვდა ზედ გამოქანდაკებული კერპითა და შემდეგი წარწერით: „უკუნითი უკუნისამდე შვილებით და სახლეულით წყეულ იყოს ის, ვინც ამ სვეტს გადააბიჯებსო.“

ამ წარწერით შეშფოთებულმა ცრუმორწმუნე ერანელმა ლაშქარმა ნაბიჯიც არ გადადგა წინ. ნადირ-შაჰის ვერც მჭერმეტყველებამ გასჭრა და ვერც მუქარამ.

– გურგო, როგორ მოვიქცეთ? – ჰკითხა დაღონებულმა შაჰმა ერეკლეს. პატარა კახმა მიუგო:

– აქ არაფერია დასაღონი, ავიღოთ ეს სვეტი, დავშალოთ, სპილოებს ზურგზე დავადგათ და წინ გავირეკოთ. ამგვარად ზედ წარწერილი წყევლა, რაკი მუდამ წინ იქნება და გადაულახველი, არავის დაატყდება თავს...

ერეკლეს წინადადებამ აღაფრთოვანა შაჰი და მისი ლაშქარი. გამარჯვებული შევიდნენ სინდეთს.“

წიგნი С. Кишмишев, Поход Надир-шаха в Герат, Кандагар. Индию, Тифлис. 1889 г., стр. 210. გადაბეჭდა ცაიშვილმა (№62, გვ. 81-82).

დამატება 2.

„ლეგენდა“

„ხალხსა სწამს, ნეფე ერეკლე და თამარ ნეფე ცოცხლები არიან ღმერთთან და როცა გაუჭირდება საქართველოს, მოეშველებიანო, – მირონი ნეფე ერეკლეს ძვლებს ჩამოჰდისო. – ერეკლემ ხმალი წინ დაიდვის და ისევ თავისთავად შემაერტყისო. – ერეკლე როცა ლოცვაზე დადგებოდა, ხმალს მზის შუქზე დაჰკიდებდა ხოლმეო და ლოცვას როცა გაათავებდა, ი სხივიდგან ისევ აიღებდა ხმალსაო.“

ერეკლეს
ეპოსის ციკლების
გმირები

ლევან გათონიშვილის ციკლი

(პირველი ციკლი)

ხმალი სჭრის ბაგრატიონისა,
ნეფისა ერეკლისათ,
ნეტავი გამაცნობინა,
ლევანს უქებენ შვილსათ.
სალეკო შამაამტვრია,
ზვავმა რთ წვერი ტყისათ,
წავიდა საროსეთთდა,
საქართველოი ხვეირსათ;
ხელმწიფის კარზე მივიდა,
ეტლი თან მიხყვა ღთისათ.
„– მაბრძანდი, ლევან ბატონო,
ყმაწვილო ათის წლისათ.
შვიდ წელს ყეენად ნაგდომთ,
არ მადის შენს მეტისათ!"
დავდა და ჰკითხა ამბავი
თბილეთის ქალაქისათ:
„– რამ გაადიდა ჭარელი
ნარჩომი ჩემი ხმლისათ?
წახვიდე, – არ საქშერო ხარ,
არ წასვლ არ იქნებისათ."
გამააყოლა ჯვარები,
– ხერხები ათას ფრისათ.
ლევან ქალაქში შამახდა,
ჭექა გაიღა ცისათ,
ლეკთ უშფრთსები შაშინდა:
„– ჩვენკე რაით იქს პირსათ.
მაგრამ თუ პირი ჩვენკე ქნა,
საქმე ჭირს დაღისტნისათ."

გირავს ჩამადგა მუკალი,
დიდი მუკალის ჯგარია.
თუშებს მაკიქულ ახკიდა,
ბეგრად მასთხოვა ქალია.
მირგვალს დაგროვდა თუშები,
დიდ დადგა საუბარია.
ზოგებმ თქვეს: „მივსცათ ბეგარი,
მტერმ დაგვიჭირა კარია."
„– ვერას მივსცემდით, – ზოგებმ თქვეს,
– მარხეი, ცოლ-შვილთ ბრალია."
ქალმა ქესელოს გაიგა,
ხუთ მასწყივნ თავის ძმანია:
„– ან მიბატრონეთ, თუშებო,
ან ქალს შამარტყით ხმალია,
თორ გავალ, გამავერკვი
ლურჯ ბერანგიან ქალია.
თქვენ შაგრცხვენდებისთ, ვაჟებო,
რო ვინ მინახნას თმანია."
ცხენს ხკაზმავს ითადანური,
საისკე მიმავალია?
სუ ღამით შამაიარნა
დიდი თუშეთის მთანია.
შუაღამის დროს გააღა
თელავს გალავნის კარია.
შამასწყრა ლევან ბატონი:
„– რაღა სტუმრობის ხანია?"
„– ჯერ მკითხე, მერე გიამბობ,
მტერმ დაგვიჭირა კარია.
ეხლია თუ მაგვეშველებით,
ვიქნებით შენნი ყმანია."
ადგა, წამადგა ლევანი,

იძახა თავის ვაჟარიგ.
აივსა გათენებისას
თელავს გალავნის კარია.
ხელთ მისცა მაშხარაები:
„— მაინათიდით გზანია."
„— ვაიმე, ვერ ვეომებით,
ლეკთ უჭერიან მთანია.
ბატონო, ანდარეზაი
ნუ გყავის ბატიმარია.
მაგას თუ არ გაუშვებდით,
თავად ჩამოგვხსენ ხმალია."

(მეორე ციკლი)

გაუშვეს ანდარეზაი
ღთით თავის დავლათითაო.
წყალს გირეობი გაჟარდა
სახლს ხუცის ორქაფითაო.
ტანი გაიღა ლეწწამი,
ზედ ქუდი ვათაღრისაო.
გირავის ჭალას შამორბის
ყმა ლურკის პერანგითაო.
მუცალ კარავში აკაფა
ნაკუდარაის ხმლითაო.
გაიქცა მუცალის ვაჟარი,
ქალიყით ატირდისაო.
მიზდეკენ თუში შვილბი
წკეპა ამადის ხმლისაო.

(მესამე ციკლი)

მუცალს ცოლ ჩაეეგება:
„— მუცალმა რაღა ქნისაო?"

– მოგიკლა ანდარეზამა,
ყორნებს ამაიქვ ბწკლითაო.
„– ვეუბეს არ დამიჯერა,
ქალმა ვაჯობე ჭკვითაო.
თუშეთ ნუ წახოლ, ცუდაო.
არამც ვინ დაგხვდეს ხმლითაო."
გაიგა რუსთ ხელმწიფემა
მუხლებს დაიკრა ხელია:
„– რაღას უბრუნავთ, თავადნო?
ცოდო-ბრალ ბრუნავს ძნელია.
ან შამიკარით ტყვები,
ან ამიგევით გემია.
ქალაქით ჩაფრებს მავიდა,
წიგნებ მახქონდა ბეჭრია,
შიგა ეწერა: – „ლეკანი,
შვილად გაზრდილი ჩვენია.
ვაჰ, თუ უჭირდას ლეკანსა,
ომს უბირობდან-ძნელია!
არ ხვანდას ვაჟარი, ან თაო
არ ხქონდას წამლის მტკერია...
ქიზიყიმკ დაიწყევლებს,
იმის ქევხურა ერია!
გაგვიორგულდა ბატონი,
ჩვენზე აიღო ხელია."
ჩაფარმ რო ცხენი შახკაზმა,
ავჟანტა მისცა გრძელია.
უთხრიდით ჩემთა გვალაფთა:
„– ნახვა მეწადა თქვენია.
საბნელოს ნუ შამიხდებით,
გამილაღდების მტერია!
დაფსა და ზურნას დახკარით,

ლხინი გაღმართეთ გრძელია
შაიბრალიდით არაგვი,
შაუძლებელი თქმია."

(მეოთხე ციკლი)

გაიგეს ლეკის შვილებმა.
ჩქარა დახკაზმეს ცხენები,
ოთხთავ აკვერეს ნალები,
ლურსმარს უგრიხეს წვერები.
„– მოდი, გაუშვათ თარეში,
რაღა ლევანი მოელია.
მაღალ ერისთავ მოვგლიჯვათ,
ტყვე წამოვასხათ ბევრია,
შამოეს, შამავალიათ
დიღმის მინდორი გრძელია."
აცათ. თქვე ლეკის შვილებო,
რად შამაგვართეით თვალია?
იქავ მთელია ლევანი,
აქავ ბევრი ხყავს ვაჩრია.
ხო გახსოვნს, მოსაქციელსა
ავი დაგიდგათ დარია?
გამაგერიათ ლევანი,
გაგესახევრათ ვაჩრია.
ქალაქში ბრძანებს მეფიცი:
„– სიწმარი ვნახე ძნელია,
ეგ თუ გაიგა ლევანმა,
ეგ თუ გაიგა, – ძნელია.
მოსთხარას ორივ თვალები,
მოხერხას ენის წვერია."

(მეხუთე ციკლი)

ვინ მაახსენა ლეკებსა
სიკვდილი ლევანისაო?
მაშკვდარა ხთრკის ბატონი,
ბრძანება იქნას ღთისაო.
მტერი ვერ გაულაღდება,
ერეკლე ცხენსავ ზისაო.

დილოიძის ციკლი

წაროს იყრება თუშები:
„– სამტროდ გავიდეთ ველადა,
მოგვწყინდა სოფელში სხდომა
იარაღ ვისხათ ტანზედა.
ჩავიდეთ ჭარ-ბელაქანში,
შავზვეროთ ლეკის შვილები.
წინა გაგვიძეხ, დილოიძევ,
ნასახელართ მტერზედა."
ლაშქარს შეჰყრიდა დილოიძე,
იარაღს ისხაცს ტანზედა.
წინა გაუძღვა დილოიძე,
რმერთო, დასწერე ჯვარია!
გაგვამარჯვინე, სამებავ,
მსხვერპლით მოგიყალ კარზედა...
ჩავიდა,თვალი დააცლო
ჯვარზედა, დაღისტანზედა.
დღე-ღამე ყარაულობენ.
ლეკებს უსხედან გზაზედა.
ავი დრო მაგათ დაეცა,
ჯვანღ დაეხვია მთაზედა.

თოვლი თოვს მაწუხის ღელეს,
ადექი, დილოიძეო,
თუშის ბელადო, ადექი,
კვალი გადადის ლეკისა.
გამოალვიძე ბიჭები,
გაყოლა გინდა მდევრადა.
ბიჭებს აღვიძებს დილოიძე:
„— აბჯარ აისხით ტანზედა!"
შააფხიანა ბიჭები
პირს დაუწერა ჯაბარია:
„— მოდით და მალე მომყევით,
გადაბდენიათ ტყვეები,
ფეხშიშველები ყოფილან
ქართლისა სჩანან ქალები."
ლეკებს მიჰდევდა დილოიძე
შუა დაღისტნის არესა.
თერამეტი მიჰდევს ახალგაზრდა,
ვეფხნი დამდგარან პწკალზედა.
მტრის სისხლი მოსწყურებიაო,
თმს უპირობენ ძალზედა.
ლეკნი ჩავიდნენ ტყისა პირს,
იქ ანიებდიან ცეკვხლებსა.
სტირიან ქართლის ქალები:
„— ვაი, დედავ, ჩვენი ბრალია,
გაბუსურნებას გვიპირებს,
გვაჭამოს ცხენის ხორცია.
როგორ უხდ გავძლოთ დაღისტანს,
დაყითმოთ, ჩვენი ქართლიაჲ!"
შვიდსი ყოფილან, სტირიან,
ცხარე უყრიათ ცრემლია.
ლეკნი უყურებნ სიცილით.

ნასახელარნი მტერზედა.
აღარც ფიქრობენ მდევარზე,
გამოყოლვასა კვალზედა.
დამსხდარან პურის ჭამაზე,
ბედის უქრობათ ქარია.
შამთჩნდებ სერის პირზედა
ბელადი თუშებისათ.
დაუტივ დილოიძემა
ლაშქარს არიგებს ჭკვაზედა:
„– დაჰკარით, თუშის შვილებო,
სახელ ვის გინდათ მტერზედა,
მიუხდეთ მეფე ერეკლეს
სახელოვანნი მტერზედა!...“
ჩეთამაშებ თუშები,
ლეკებს კუწავენ ძალზედა
გაღიან თითთ-თითთნი
მკვდარი მოგორავს მკვდარზედა.
ომობენ თუშნი, ლეკები,
მიწა შაიძრა ჰყარია.
ბარაქალ, თუშის შვილებო,
ჩალად დაყარეთ მკვდარია.
დახოცეთ, აღარ გაუშვით.
ნაქები დაღესტანია.
ოცდაცამეტ მარკვენა სჭერით,
სახელი დაღესტანისა.
ბრალი ხართ, დაღესტნელებო,
ელდა დაგეცათ ცისათ,
არა გეგონათ ზარალი,
თავზე დაცემა მტრისათ.
გეწადათ, ვერ აასრულეთ
გარეკვა ტყვეებისათ.

წინ-წინ მოგიკლათ ბელადი,
ბინაზე დარჩა მკვდარით,
ქართველებ არას გეგონოსთ,
თუშის შვილები არით.
დავლა აიღეს თუშებმა,
რაც ლეკის ბარგი არით.
ტყვეთაც გაუხსნა ხელები,
თვალთა შაიშრეს ცრემლით.
გამააამგზავრეს კახეთში
ქალები ქართველებისათ.
მიუვლენ მეფე ერეკლეს
სიცილით თუშნი კარსათ:
„– მეფე ერეკლეე, მოვასხით
ქალები თქვენი მხრისათ,
დავაყრევინეთ ლეკებსა
როგორც ჩიტები ქორსათ"...

მაია წყნეთელის ციკლი

(პირველი ციკლი)

ადრე მოუკვდა მას დედა,
სოფელ მცხეთაში გაზრდილი.
მამამაც თავი მოიკლა,
ყერ აიტანა ქადილი...
უპატრონოთა გდებული
კამეჩიც მოკვდა ბეხია,
გდია ყვავ-ყორნის საჭმელად,
გაუშვერია ფეხია.

(მეთრე ციკლი)

'შაეოვალა. ტანით ბრგე გოგომ
ჩაიცვა ვაჟკაცურადა,

თოფ-იარაღი აისხა,
იქცევა მამაცურადა.
პატარა კახსა ეახლა,
რა კარგი სანახავია!..
ხირიმი შეატრიალა,
დაბლა დაუკრა თავია...
„– ვინა ხარ, ძმაო, საიდან,
რომელი გვარის კაცია?–
– ჰკითხა ბატონმა,...რა იცის,
რომ ქალსა კაცურ აცვია."
„– მათე ვარ, შენი ჭირიმე,
მოვდივარ შორის შორადა,
ჯავრი მჭარს ავ კაცებისა,
ცეცხლი მწვავს ერთი ორადა.
მინდა რომ გეყმო ერთგულად,
წელზე ვიტარო ხმალია,
შენის ბრძანებით დავიცვა
ქვრივ-ობერ, ობოლ-ქალია."
მეფესა მოეწონების
სიტყვა-პასუხი მათესი,
თავის მახლობლათ დანიშნა
გმირი სიკეთის დამთესი.

(მესამე ცოკლი)

უზნეო პირთა ენამა
არ მოასვენა მაია
და მოამორეს მეფესა
გლახაკთ მოსარჩლე დაია.
მათე-მაია დევნილმა
ტყისკენ გასწია მალულად
და ყაჩაღობა დაიწყო
ხან ცხადლივ, ხანაც ფარულად.

(მეთთხე ციკლი)

დაკთდილი ქაენის დროს
ამბავი ასე მომხდარა:
სპარსი დაეცა ქართველსა
დაჰკრეს ბუკი და ნაღარა.
ქალაქ ერევნის ახლოსა
მაია დაატყვევესა.
არ დაუფასეს გმირობა,
სპარსეთში გააგზავნესა...
გულით მაგარი დიაცი
არ შეუშინდა განსაცდელს,
გზაში დახოცა მცველები
და მიაღწია საწადელს...
გახარებული გამორბის,
ესწრაფვის მშობელ მხარესა.
უნდა რო მალე ეწვიოს
თვის აღმზრდელ არე-მარესა.
მაგრამ უმ·უხ·ლა საბრალოს
ტიალმა წუთისოფელმა.
ვერ მიაღწია სახლამდე
უბედურების მნახველმა.
გზაში მოუსწრო სიკვდილმა,
ტანგული სული დალია.

(მეხუთე ციკლი)

შარაზედ იწვა უძრავად.
ხანჯლით დაჭრილი ქალია,
მოძმეთა ნარევს ნატრობდა
თბილელი ქალი მაია...
ბედმა უმტყუნა საბრალოს,
არ ა·უსრ·ულდა წადილი

ერევნის ბოლოს დიაცსა
მოხადეს ლეჩაქ-მანდილი.
მოუკვდათ ბეჩავ გლეხებსა
მათი დამცველი მაია.
ტრიალ მინდორზე ობლადა
მაია ასაფლავია.
ცოდამ მის საფლავს ანათებს
კაშკაშა მზისა სხივია...

(მეექვსე ცოცლი)

შენი ჭირიმე, მაია,
გლეხთა ნუგეშის მცემელო,
მათე ყაჩაღად ცნობილო,
უსამართლობის მგმობელო...
მტერთა ტვინისა გამბნევი
მუდამ გეჭირა ხმალია.
შეხედე ჩაგრულ ქვეყენას,
შენთვის სტირს მთა და ველია...
ცხონებულ იყოს დიაცი,
მისსა ვიტყოდეთ ქებასა,
ქალი გმირულად აღზრდილი
სთესავს კეთილსა ძმობასა.

თამარო ვაშლოვანელის ციკლი

(პირველი ციკლი)

ვაშლოვნელებს ვიღა მისცემს
საყვარელს მათსა ქალსაო,
მეომარსა, ფალავნსა
და გმირებისა ცალსაო.

(მეორე ციკლი)

ლეკები სულ გავაქციეთ
მთვარიანი ღამითაო...
უკან თამრო გამოუდგა
ვლანგიანი ხმალითაო.
ჩვენცა თამროსა გავყევით,
გვიკვირდა სულ თავადაო,
ლეკები მოლად გადავრეკეთ,
ვარბენინეთ სხვა გზითაო.

(მესამე ციკლი)

მანდ რო ქალი დავიკარგე,
განვკას თათარსა ვყევარო,
ქიშმიშით გასუქებული
გაბადრულ მთვარეს ვგევარო.
დღისით მიყრია ბორკილი
ღამე შუაში ვწევარო.
ტალიკ-ტალიკო ყაჟკაცნო,
მისადევ-მოსადევანთ,
მოკრიფეთ თითო შაური,
მიხსენით, თქვენი ტყვე ვარო.

(მეთთხე ციკლი)

თრიალეთს დიდსა საყდარში
თამარი ასაფლავია.
მისებრი ქალი ერთგული
ჩვენ არავინა გვყოლია.

(მეხუთე ციკლი)

თამრო ვაშლოვანელსაო
ვაშლი უდგია თაყსაო,
რიგი მწიფს, რიგი ყვაყილობს
მისი საფლავის გარსაო.
არც დამტირებელი არ ყავს,
ნეტარება მის გვამსაო,
ზედ ანგელოზები ფრინავენ
და გალობენ ნანასაო.

გადმოცემა თამრო ვაშლოვანელზე

თამროს დედა მალე მოჰკდომია და მის მამას მეორე ცოლი შეურთავს. მამაც რომ გამოსალმებია ამ წუთისოფელს, ბატონს ის ვიღაც ყაჩაღისათვის მიუყიდნია, მაგრამ თამროს თვითონვე დაუხსნია ისგან თავი. როცა თურმე ბრუნდებოდა უკან მამისავე ოჯახში, იმან გამოიარა ერთ ტყეში, სადაც დათვი დახვდა წინ და წაეჭიდა, მაგრამ უშიშარმა გმირმა ქალმა მოკლა დათვი და დაიხსნა თავი მეორე განსაცდელისაგან.

ის მოვიდა სოფელ ვაშლოვანს და ცხოვრობდა თავისუფლად. იმას ახლა ბატონი აღარ ჰყავდა, რადგან ტყეობიდან ვინც თავს იხსნიდა, მეფის კანონისამებრ, თავისუფალი იყო. სოფელში უმისოდ არა კეთდებოდა რა. ის ყოფილა „სასტიკი და გაუტეხარი, მეხი დედაკაცი," რისა გამო მისი სახელი განთქმულა საქართველოში. იგი ყოფილა თავის სოფლის – ვაშლოვანის მცველი მტერთაგან.

ერთხელ ვაშლოვანს თათრები დასცემიან, აუკლიათ სოფელი, დაუნგრევიათ ეკლესიები და ბევრი მცხოვრებთაგანი ტყვედ წაუყვანიათ. თამრო გამოსდგომია მათ, დასწევია თავის დასტით და ისეთი საკვირველი სარდლობა და გმირობა გამოუჩენია, რომ მტერი ძლიერ დაუმარცხებია და გაუნთავისუფლებია ქართველი ტყვეები. ეს ამბავი მეფეს რომ შეუტყვია, ძლიერ დიდის მადლობით უთქვამს თამროსათვის:

– „ოჰ, შვილო, შენ გენაცვალოს ჩემი მთხუცი თავი, რომ შენის მაგალითით კაცებიც გამხნევდნენო".

მერე მიუცია მისთვის და მისი ამხანაგებისათვის ტყვია-წამალი და ერთ ზარბაზანსაც დაპირებია.

თამროს თავის დასტაში ბევრი მეომარი ქალებიც ყოლია.

ამის შემდეგ ბევრ კაცს მოუნდომებია თამროს ცოლად შერთვა, მაგრამ იმას ყველასათვის უარი უთქვამს. ის თურმე ამბობდა:"

– „მე დედაკაცი არ ვიყო, თუ რომ მამაკაცს დავემორჩილო! ჩემი ვალი და ღონე მის წყალობით და მის სიყვარულით რად უნდა გავაქრო? არა, მე ქმარს არ გავყვები და ამ ჯჩრს მე ვერავინ შემიცვლის. მე რომ გავითხოვდე, მაშინ სიმხნე და ვაჟკაცობა დამეკარგება ქმრისათვის მორჩილების წყალობითა და თუ სხვაგანაც მოიპოვება ჩემისთანა ფალავანი ქალი, იმასაც ვურჩევ, ქმარი არ შეირთოს. არა, მე ქმარი არ მსურს. ჩემი გულითადი წადილი არის მხოლოდ სამსახურია ჩემის მოძმეებისა და ქვეყნისა. მე მსურს ჩემი ქალობა სამშობლო ქვეყნის სამსახურს მოვანდომო და თათრების ვალვარი ვიყარო, ვებრძოლო სამარის კარამდე იმათ, ვინც ჩვენის ქვეყნის დახშობას შეცადინეობენ."

მეფე ერეკლეს მეტად მოსწონებია თამროს ტქვიტი ლაპარაკი და აღტაცებულს მაშინვე უწუქებია ერთი ლურჯა ცხენი თავის აღკაზმულობითა და კიდევ სხვადასხვა საჩუქარი.

ამის შემდეგ თამრო მოუდალავად ებრძვის მტერს. სადაც კი მის ხმას გაიგონებს. ის შავარდენიყით იქ მიეშურება ღვთის რისხვის დასაცემად.

ერთ ღამეს ლეკები დაეცნენ ვაშლოვანს. თამრო მათ გადაუდგა წინ და რაც ძალი და ღონე ჰქონდა, იბრძოდა თავის დასტით და ბოლოს განდევნა ისინი სოფლის გარეთ. ამაზე არის ნათქვამი ლექსი „ლეკები სულ გავაქციეთ".

აღარ გასულა კიდევ დიდი ხანი, დაყარდნილა ხმა, რომ ვაშლოვანს თათრები დაცემას უპირებენო. თამროს მაშინვე შეუხიზნავს მცხოვრებნი საფარში, თვითონ შეიარაღებულის ხალხით, ჩასაფრებია ერთ ვიწრო ხეობაში. თათრების ახლო გავლის დროს გამოსულა თავის ლურჯათი და გაუქრილებია ხევის გვერდზე. თათრები დასდევნებიან უკან და შესულან ვიწრო ხეობაში. მაშინ ჩასაფრებულ ქართველებს დაუშენიათ თოფები და მრავალი მათგანი მოუკლავთ. ამ დროს თამროც გამობრუნებულა და ერთობლივ შეხსავით დასცემიან მტერს,

დაუხოციათ და წაურთმევიათ სოფლის დარბევაში ნაშთვნი დაველა. ამისათვის ხალხსა და მეფეს თამროსათვის დიდი მადლობა უთქვამთ. მაგრამ ერთს ავს აზნაურს მისი დიდება და ქება შეშურებია და ქვეყნის ღალატობა შეუწამებია წინაშე მეფისა. უკანასკნელს წაუყენებია მაბეზღარი პირში თამროსათვის, რომელსაც დაუმტკიცებია მეფისთვის თავის ერთგულება სამშობლო ქვეყნისა და მტერობა და ღალატობა თვით ამ მაბეზღარის აზნაურისა. მაშინ მეფეს უთქვამს თამროსათვის:

— „წადი შვილო, თამრო! ღმერთი შენთან არს და იყოს იგი კვლავ შემწე შენი. შესანიშნავი ხარ დედათა შორის და მასახელებელი შენის სქესისა. ეცადე, შვილო, შენის მაგალითით მამაკაცებიც გაუერთგულო სამშობლო ქვეყანასა."

ამ დროს მეფესთან დყოფილან მრავალნი თავადნი და რადგან მოსწონებიათ თამროს ახოვანება, უთხოვნიათ დაჭიდება ერთ გამოჩენილ ფალავანთან. იმას უარი არ უთქვამს და ძლიერად დაუმარცხებია წინაშე მეფისა მოწინააღმდეგე. მაგრამ ამ ფალავანობამ თამროს მტერი გაუჩინა. ამისათვის ის დიდხანს დამალულა და აღარავისა სჩვენებია. ხალხს ჰგონებია, რომ თამრო მოკლეს სადმეო და გამოუთქვამთ მის შესახებ ბევრი ლექსები. აი, ორი მათგანი — „ვაშლოვნელებს ვიღა მისცემთ" და „თამრო ვაშლოვნელსაო."

თამროს დიდხანს უმალავს თავი, მაგრამ ბოლოს ის გამოუყვანია მეიდანში ერთის გლეხის უბედურებას. რომა მას უნახავს ის გლეხი მტირალი და მეფესთან მიმავალი საჩივლელად. თამრო დაუყონებლივ თვითონ მისულა მეფე ერეკლესთან და უჩივლია ხალხის მწვალებლებზე.

მეფეს ძლიერ სწყენია ბოროტმოქმედება ბატონებისა, დაუბარებია ისინი და ძლიერ დაუტუქსავს. ამ სახით თამროს დაუხსნია გლეხების თვალახობა უბედურებისაგან,მაგრამ თვითონ გადაუმტერებია ბატონები. ამათ წინადაც თურმე ძალიან ევალებოდათ ის გლეხთა ნასარჩლებისათვის და ახლა ეს

სიძულვილი მათ მტრობად გადაექცათ. დაუწყეს დევნა.

ერთ დღეს დაიჭირეს რამდენიმე კაცმა, წაიყვანეს და მდინარე მტკვარში ჩააგდეს. თამროს აქ ბევრი უწვალნია და ბოლოს ერთ ბურჯზე წყალს რომ მიუხეთქებია, უხმარსია უკანასკნელი ძალა და ასულა იმ ბურჯზე, მაგრამ იქიდგან სისუსტისა გამო ვეღარ ჩამოსულა და მშიერ-მწყურვალს სული განუტევებია.

გასულა რამდენიმე ხანი. ის უნახავს მეცხვარეს, შეუტყობინებია სოფელში. გლეხებს ჩამოუღიათ მისი ყვავ-კაჭკაჭისაგან დაწიწკნილი და შეჭმული გვამი. დიდის პატივით დაუსაფლავებიათ თრიალეთის ეკლესიაში. ამაზე არის ნათქვამი ლექსი „თრიალეთს დიდსა საყდარში".

თინა წავკისელის ციკლი

თინა წავკისელი ერეკლე მეორეს

შენ გენაცვალე, მეფეო,
შენ გენაცვალე, შენაო!
გიორგი არ მომიშიო,
სულ შეიჯერე თემიო.
მეც მალე დაგეხმარები,
თუ რომ გამიხსნეს ხელიო,
თუ არა და მომპშველეთ
ნახშირფორელი მღვდელიო.

პასუხად თინა წავკისელს

თინიავე რამ შეგაშინა,
ნუ შეგეცვალა ფერიო!
შენ დაგვეკარგე, მაგრამა
არვინ არს შენი ფერიო.

გადმოცემა თინა წავკისელზე

ღირსშესანიშნავი ქალი, წავკისელი თინა ყოფილა გაბაშვილის ყმა. იმას გამოუჩენია ისეთივე გმირობა, ხასიათის სიმტკიცე და გულხთადმი გულშემატკივრობა, როგორც მაიას. სიყმაწვილობამიე ძას მოუკლავს ღამით ქვემაგებში თავისი ბატონი გაუპატიურებისათვის, მაგრამ დამნაშავეობა მისი ვერ შეუტყვიათ. შემდეგ ამისა გასულა რამოდენიმე ხანი. ისა და კიდევ სხვა გოგო-ბიჭები მიუყიდნიათ სპარსელებისათვის. გზაზე მიმავალობის დროს მყიდველთ მოუნდომებიათ მათთვის ნამუსის ახდა. თინას შეუტყვია მათი განზრახვა, დაურიგებია თავის ერთ

ბედ ქვეშ მყოფი ამხანაგები, როგორ უნდა მოქცეულიყვნენ ამ შემთხვევაში.

როცა დაუწყიათ მათი წვალება სპარსელებს, ქალებს... წაუძღრიათ მათთვის ხანჯლები და დაუხოცნიათ ყველანი. თვითონ შემსხდარან მათსავე ცხენებზე, წამოსულან მეფე ერეკლესთან და ყველაფერი დაწვრილებით უამბნიათ. მეფეს გაკვირვებია და უკითხავს — ვინ გასწავლათ ეგ ხერხიო?

თინას ძალიან შეშინებია, ამ შემთხვევამ არ გამოააშკარაოს ჩემ მიერ ბატონის მოკვლაცაო. მაგრამ აზრადაც არავის მოსვლია, რომ ბატონიც მისგან იყო მოკლული. მეფეს სხვა ქალები ყველანი დაუთხოვნია, თინა კი სასახლეში შეუნახავს.

სასახლეში ყოფნას თინაზე დიდი გავლენა ჰქონია. მას კარგად უსწავლია თოფის სროლა, ხმლისა და ხანჯლის ხმარება და ცხენზე ჯდომა. ამის შემდეგ აღარ განშორებია მეფეს. მას სცმევია კარგი ტანისამოსი. საცა კი მეფეს გაულაშქრნია, ისიც თან გაჰყოლია. მას არა ერთხელ წინაშე მეფისა უსახელებია თავი მამაცობით, მხნეობითა და მტერთან ხმლის ხმარებით. არა უსურვებია ქმრის შერთვა, მაგრამ ერთ ომში თინასა და ერთ გლეხს ისე მამაცურად უომნიათ, რომ მეფეს ძლიერ მოსწონებია ისინი, მიუწვევია თავისთან თრიენი და უბრძანებია მათთვის ცოლქმრობით შეუღლება. მათ აღუსრულებიათ ბატონის ბრძანება და დასახლებულან წავკისს.

ამის შემდეგ თინა თუმცა დაშვილიანებულა, მაგრამ მას მაინც არ მოუკლია ქვეყნისათვის სამსახური. ეს ყოფილა თავის სოფლის წავკისის მკველი მტერთაგან.

ერთხელ მეფეს აქაური გლეხები მდევრად გაეყვანა. ამ დროს თურმე დავარდა ხმა, რომ წავკისს დარბევას უპირებენ თათრებიო. თინას შეუტყვია თუ არა ეს ამბავი, მაშინვე აურეკია სოფლის დედაკაცები გოგო-ბიჭები ერთს კოშკში. აღსაყალ კიბის სათოფეებზე დაუწყვია ფუტკრის სკები, ჩაუკეტია თრიენი მხრით ძირის კარები შიგნიდან და უბრძანებია:

– „მე მივდივარ თბილისს მეფისთვის შესატყობინებლად. თქვენ ნუ გეშინიათ, მაგრად იყავით. თუ მტერი მოადგეს კოშკს, დაამტვრიოს ძირის კარები, ამოვიდეს კიბეზე, სათოფედგან კიბისკენ სკიდან ფუტკარი გაუშვით, რომ მტერი ჩვენს მოსწრებამდე შეაჩეროს."

ამ განკარგულების შემდეგ თინა გამოეთხოვნილა თბილისს, მეფესთან. ამ დროს მტერიც მოსდგომია კოშკს, შეუმტვრევია გარეთა კარები, ასულა ბნელს კიბეზე და მისდგომია ზევითა კარებს. შიგ შეხიზნულ ქალებს გაუხსნიათ სკა, გამოუშვიათ სათოფედგან კიბეზე ფუტკარი, რომელსაც დაუწყია საშინელი ბზუილი ბნელაში და კბენა თათრებისათვის. ასე უწვალებიათ თათრები, ვიდრე თინა არ მოსწრებია ჯარით და არ დაუმარცხებია მტერი.

ამის შემდეგ თინას ქმარი მოკდომია და დარჩენილა ორი ვაჟიშვილი. ერთს რქმევია გიორგი.

აღამახმადხანის მოსვლის წინ თინა ერთს ომში მტერს ტყვედ ჩავარდნია და მაშინ მეფისთვის ლექსით შემოუთვლია (იგულისხმება ლექსი „თინა წავკისელი ერეკლე მეორეს").

ამაზე მეფეს, თუ არ ვიცი სხვას, პასუხად უთქვამს ლექსით ორი სტრიქონი (იგულისხმება ლექსი „პასუხად თინა წავკისელს").

მეფეს გამოუხსნია იგი ტყვეობიდან, მაგრამ კიდევ მალე ტყვედ ჩავარდნილა. აღამახმადხანის წინააღმდეგ ბრძოლაში ხელმეორედ დაუჭერიათ თინა. აქედგან რომ დაბრუნებულა, ბოლნისის მხარეს მოუკლავთ.

გადმონაცემი ამბობს, რომ მეფე ერეკლემ ის დაასაფლავებინა ბოლნისის სიონის გვერდით, საცა მისი ქმარიც ემარხა და საფლავის ქვაზე ცოლ-ქმართ სახე ამოთაჭრეყინა გვირგვინითათ, მათი თბლები კი მოიყვანა და სასახლეში ზრდიდათ.

ძალლიკა ხიმიკაურის ციკლი

ძაღლიკავ, ხიმიკაურო,
ლიქოკის ზღურბლო, ზღუდეო.
ბევრს ააგლიჯე კალდიმი,
თეძოზე დაიკიდეო.
არ მოგრჩა გაუტეხელი
მტერ, ვისაც აეკიდეო.

ხიმიკაურის ხმალი

ასპინძაში, როცა გამხლართული, თავგაჩეხილი ერეკლეს ხმლითა კოხტა ბელადი სულსა ჰლევდა, მეფეს მაშინ თან ახლდნენ შვიდნი ხევსურნი ძაღლიკა ხიმიკაურიოთურთ. ლეკ-თსმალოს ჯარი, ნახა რა უბედურებაში თავისი სარდალი, აირია წეროს გუნდივით, როცა მას არწივი დაუტევს. სხვა ჩვენმა ჯარმაც მოუსწრო ამ დროს. ერეკლემ შეუძახა ქართველთა ჯარს:

– „ხმალი ამ წუნკალეებს, ქართველებო"!

გამხნევებული მეფის გამარჯვებით ჩვენი ჯარი დაერია დაწიოკებულ ლეკ-თსმალთა და დაუწყო თიბვა როგორც ბალახს.

...ლეკ-თსმალთა გერთიანებულ ჯართან ბრძოლაში ერთმა თუშმა მეომარმა გვარად დილოიძემ თავი მეტად ისახელა. ერეკლე მისი გმირობით აღტაცებული დარჩა. თმის ასპარეზიდან დაბრუნებულმა გამარჯვებულმა მეფემ წალკის ხეობაში შეისვენა, დილოიძე თავისთან მიიხმო და ჯილდოდ მთელი წალკის ხეობა შეაძლია. დილოიძე ამით უკმაყოფილო დარჩა.

– „მიწა-წყალი რო მინდოდეს, განა ჩვენში მთა-ველები ცოტააო?! – მიუგო მეფეს. – მე მეომარი ვარ, უმჯობესია კარგი იარაღით დამაჯილდოვოთო, უფრო უკეთ გამომადგებაო".

– „რა იარაღი გიბოძო?" – შეეკითხა მეფე...

ძაღლიკა ხიმიკაურის გორდა ხმალი დილოიძეს ძალიან მოსწონებოდა. იგი მაგარი ფოლადისა ყოფილა. კაცი მას ხელზე დაიხვევდა და ხელის გაშვებისთანავე ბზრიალით გაიშლებოდა. მ'შვენიერი ჭრა ჰქონდა. ოსმალ-ლეკთა მეომრები ხიმიკაურმაც მარჯვედ აკაფა თურმე. დილოიძეს ამ ხმალზე გული ძალიან შეევარდნოდა და ამიტომაც გულდად ერეკლეს ეს ხმალი სთხოვა. მეფემაც მისი გულის მოსაგებად ხიმიკაური დაიბარა და სთხოვა ხმლის გადაცემა:

– შენი ხმალი დამითმე და ფასი რამდენიც გინდა, მიიღეო.

– „ბარემ ვალ ე ხელნ დამჭრენ, ერეკლეე'! – უპასუხა ძაღლიკამ.

–„აი, ჩემ ხმალს მოგცემ," – სთქვა ერეკლემ, - „სართი სხვა იქნება".

– „ვაი, დედას მტრისასა, ერეკლეე ბატონიშვილო, ეგ ხო ჩემ მოკვლა იქნების?! მამკალ კიდეც, რაკი ხმალს გამამართომ"...

[საბოლოოდ] ხიმიკაური ერეკლეს უარს როგორ ეტყოდა! სამაგიეროდ თავის ოქროს ზარნიშიანი თოფი მიუძღვნა.

დილოიძე კმაყოფილი შეიქმნა, ხიმიკაური კი განაწყენდა, არ ესიამოვნა კარგი ხმლის ხელიდან გაშვება.

ბევრ დროს არ გაუვლია. მტრებმა საქართველოს საზღვრები ისევ გადმოლახეს. მეფემ საბრძოლველად მთასაც მოუწოდა. დილოიძე გახარებული წავიდა მტრის კისერზე ოავისი საყვარელი იარაღის ფხის გასასინჯად. ძაღლაკა ხიმიკაური კი გაკიოუტდა:

– „განა მე დიაც ვიყავ, მეფემ რო ხმალი ჩამომართვა და სხვას გადასცა?"

ხევსურთ ჯარი უწინამძღვროდ ომში არ მიდიოდა, ძაღლიკა კი მტკიცე უარზე იდგა.

– „ომში არ წავალ!" – ამბობდა იგი.

ბოლოს ხევსური დედაკაცებიც ჩაერიენ. ერთმა მათგანმა მანდილი მოიხსნა და ძაღლიკას მიმართა:

– „ძაღლიკავ, თუ დიაც ხარ, აჰა მანდილი, წამოისხი და ჩვენში დაჯექიო!"

ეს კი ხიმიკაურისათვის მეტად საწყენი იყო. იძულებული შეიქმნა ომში წასვლაზე დათანხმებულიყო. ჯარს მიმართა:

– „თქვენ იარეთ, მეც მოგეწევიო!"

აიღო ჯოხი, გათალა ხის ხმალი, ჩამოიკიდა და ჯარს წამოეწია, მეფე ერეკლესთან ჩამოიყვანა. ერეკლეს ეუცხოვა ხის ხმლის დანახვა. ერთბაშად ვერ მიხვდა ძაღლიკას ეშმაკობას. ბოლოს ერთი გულიანად გადაიხარხარა, მოაგონდა ძველი ამბავი. უბრძანა მხლებელს სამეფო ხმლის გამოტანა და ძაღლიკას გადასცა. ძაღლიკას შუბლზე ნაკეცები გაეშალა, წარბები გაუსწორდა, გამხიარულდა და მტერს მეტად ეკვეთა.

მას შემდეგ თითქმის 180-200 წელიწადია გასული. ხიმიკაურის ჩამომავლობას – ახლა ლიქოკელებს – ჯერაც არ დავიწყებიათ მათი წინაპრის საამაყო ხმალი. სწყინთ, რომ იგი თუშთან არის და არა მათთან. ამ ათიოდე წლის წინ ერთ-ერთი ლიქოკელი ზემო ალვანში – დილოიძიაანთ ჩამომავლობაში ამ ხმალს დაეძებდა.

– „დამიბრუნეთ, კარგ ფასს გავიღებო". დილოიძიაანთ ჩამომავლობას ამ ხევსურისათვის ეს ხმალი ეწვენებიათ. იგი ახლა ჟანგისაგან შეჭმული და ქარქაშგაქცეული იყო. სამკაულებიც მოცილებული ჰქონდა, მოძველებული და დაზიანებული იყო.

ხევსურს იგი აღარ მოეწონა. – მატყუებთ, ეს ის ხმალი არ არისო – ამბობდა იგი და ხელჯარიელი უკანვე გაბრუნდა.

პაატა თემურიშვილის ციკლი

(ბირველი ციკლი)

პაატა თემურიშვილმა
მთელი ქალაქი შეიბყრო,
ერეკლეს წიგნი მისწერა:
– „ნეტა შენთან გვატარაო.
საბარათიანო შევძარ
დიდიდან და პატარაო.
თუ მტერს ნასალი არ დავდოთ,
მომკალ შენი პაატაო".
საბარათოს გაზრდილ ბიჭებს
ქება ვასმინე თქვენიო,
თქვეს: – „იმას ვენაცვალებით,
მისთვის გაზრდილი ძენიო".
თავადებისა სიმტყუვნე
შევჩიეთ იმათ მენაო.
მათი ღალატი გლეხებზე
ხომ დღეს გამოჩნდა ყველაო.
მუხრან ბატონის მტრობამა
სამეფო დასცა ძირსაო,
გლეხები შალეებზე ცვალეს,
მეფე ცხარ ცრემლით სტირსაო.
შენი მტრებისთვის ავვკანყდით
გლეხები შენის მტრისაო.
უთხარი, ეგენი სთხრიან
ერეკლე მეფის ძირსაო.

(მეორე ციკლი)

პატარძეულის ციხესა
ლეკნი გარს შემორტყმიანო,
სამი დღე-ღამე გარშემო

რკინით ძირს მოუთხრიანთ,
ობლებსა გამოიყვანენ
ცრემლით დაჰბანენ პირსათ.
მარტო პაატამ იფრინა
სამოცი ლეკი მტრისათ.
ერეკლემ ბელადი მოკლა,
ლეკი მწარედა სტირსათ.
სარდალმა და სახლთუხუცესმა
გმირობა ქნეს ქვეყნისათ.
პაატა თემურიშვილმა
სისხლი დაღვარა მტრისათ,
ერეკლემ შუბლზე აკოცა
ომისა გარდახდისათ.

გელა ნათელაშვილის ციკლი

(პირველი ციკლი)

ახლა ქება ჩამოვთვალოთ
ქართველთა გმირებისაო.
არაგვზე მტერი აშალეს,
არაგვის ფშნების პირსაო.
ღვთის მეტმა არავინ იცის,
საით უხამენ პირსაო.
გელამა გზასა გახედა:
– „მტერი თავს დაგვესხმისაო".

(მეორე ციკლი)

გელანა ნათელაშვილი
მაღალია და სქელიო,
ქალივით ლამაზი არი,
ჭკვიანია და ბრძენიო.
ისეთი კისერი აქვის,
მტკაველ ვერ შემოწვდენია,
ათასამდე ღორი ჰყავ,
იმის მომვლელი ბეცრაა.

(მესამე ციკლი)

ეს ბაზალელი გიორგი (გელანა)
ნაჭერი არის კლდისაო,
მოკამაგირეს არიგებს,
როგორც რო მამა შვილსაო.
მოკამაგირემ შეჰფიცა,
ფიცი მაღალი ღვთისაო:
– „გუშინწინ ღორში ვიყავი,
ბელადი ვსახე მტრისაო.
დავუჩოქე და ვესრთლე,

მოვარტყი გულის პირსათ."
– „შენ, ბიჭო, მარჯვედ ვერ გიკრავს,
ვაი, შენს გიორგისათ (გელანასათ)
მაგ თოფის ამბავი ვიცი,
თოფია კარგი ზნისათ.
თუ ვისმეს სადმე მოხვდება,
ფიცხლავე დასცემს ძირსათ."
(გელანამ) გიორგიმ მოსვენება ჰქნა,
ტკბილად აპირებს ძილსათ.
შუა ღამე რომ შესრულდა,
ელვა შეიქნა ცისათ,
ლეკები თავზე დააწვნენ
ვერძეულ გიორგისათ.
გიორგიმ წამოიწია,
ლეკი ჩაიგდო ძირსათ.
ხელში აიოჭყვა ხანჯარი,-
– ტარი კამბეჩის რქისათ.
ურჯულოს ხანჯარი დასცა,
შამვივით ატეხს პირსათ.
პატარა ბიჭი გიგლია
ცხარე ცრემლითა სტირსათ.
ბერუა ხანჯარსა ლესავს,
ალმასივითა ხდისათ.
„– ბიჭო, რატომ არ მიშველი
თქვენი ვარ, განა სხვისათ!"
გიორგი მანგლისს წავიდა,
როგორც ბორბალი წყლისათ.
ისე აკაფა ლეკები,
როგორც ტოტები ხისათ.
ბერუამ სიტყვა გამოთქვა,
შაირი გამოდისათ:

– „მოდი ხელი-ხელ გადავდოთ,
ბირთბა შევკრათ ღვთისათ.
დიღმურ ბიჭებს გადავხედოთ,
დავკიცხოთ მაღლა ხმითათ."
თრი ურჟულო ბელადი
ხევისა პირსა ზისათ,
თოფი მთავრული უჭირავთ,
კონდახი – იფნის ხისათ.
გიორგიმ ხელი მოისთ,
ბექებში სისხლი სდისათ.
მანგლისს აქებენ ტაძარსა,
ნაკეთსა ქვითკირისათ,
შიგ ბევრი ლეკი აწყვია,
ნახოკი გიორგისათ.
შიშით კაცი ვერ მიუა,
კბილებში მატყლი სდისათ.
ბოლოსა მოჰკლეს საწყალი,
ლაშქარში მეფისთვისათ.

(მეოთხე ციკლი)

აწშას შაიქნა თქონთქორი,
სიმაგრე გატყდა კლდისათ.
ბაზალთ გივარგის დაკარგვა
გასახარია მტრისათ,
ან მტერთ რად გაუხარდება,
ბრძანება მოხდა ღვთისათ.
ერთმანეთს ეუბნებიან:
– „ფხა ამოვლესათ ხმლისათ.
ავისხათ იარაღები.
ყელი შაუკრათ ხდისათ."
წავიდეს ახალგაზრდები,

ცხრა შავარდენი მთისათ:
– „წავიდეთ ოხერხევისკე,
კარები ვაღათ ხისათ,
ცხენი და ძროხა გავრეკათ,
ფარა ს'ულ თეთრი ცხვრისათ!"
აქებენ აფცია'ურსა,
ყმაწვილსა ცოტა ხნისათ:
– „გაისარჯენით, ბიჭებო,
ვისაც რო ხმალი სჭრისათ"
მაგ გოგბათ ნანას აქებენ,
ყმაწვილსა ცოტა ხნისათ.
არა აქვ ომის ხალისი,
ქისტებზე ხმალსა სცდისათ.
ხულელ ბეჟანას, ნაცადსა,
მთელი ქვეყანა ხკვირსათ.
დისწ'ულის გივარგისათვინ
დედის ძმას ყელსა სჭრისათ.
გაბრიელს გაუგონია
სახელი ჩვენი მთისათ.
მობძანდა, თქო: „– გამარჯვება,
მთსახელეენო მთისათ,
ბაზალნო, მართლა გცოდნიათ
ქისტებზედ დაცდა ხმლისათ."

გელა ნათელაშვილის მიერ ლეკების შეპყრობა

ერეკლე მეფემ დაიბარა გელა ნათელაშვილი და უთხრა:

„– ტონუანთ ჭალაში ლეკები შემოპარულან და შენ იცით".

გელა წასულა თავისი მეძებრებით, დაუჭერია ლეკები და ერეკლესათვის მიუყვანია მჭადიჯვარში.

„– ე ხვლიკები ამდენი სად მოაქუჩეთ. წაიყვანე და საღორეში შერეკეთ. გელანა კი არა, მგელანა ყოფილხართ" – უთქვამს მეფეს.

გელანას ძაღლები

გელანას შვიდი-რვა ძაღლი ჰყოლია. იმათ კაცი არ წაუვიდოდათ, ლეკებს სულ ბეჭებზე ასხდნენ. აქ ერთი მღვდელი ყოფილა, სულ ეკლესიაში იყო ჩაკეტილი, გარეთ ვერ გამოდითდა ლეკების შიშით. როცა გელანა მოსულა, გახარებია:

– „შენი ერთი დაკივლება საკმარისიაო."

ამის შემდეგ იმ მღვდელს არ ეშინოდა.

გრეშისხევიდან ბატონები რო გაივლიდნენ თურმე, გელანას ძაღლები ჩამოიღებდნენ ცხენებიდან. ბოლოს უჩივლეს გელანას: „ძაღლები მოგვაშორეთ." იქ თურმე უთხრეს:

– „თქვენ გზა შეიცვალეთო და გელანამ კი ძაღლებს მოუშატოსო. ისა გვყავს ჩვენ იქ ლეკების წინააღმდეგ მებრძოლი. იმის იმედით ვართო."

გიორგი თილისძის ციკლი

(პირველი ციკლი)

რა ამბავია შატილსა,
რა წყრომა ბრუნავს ღთისაო?
მაცნე მოვიდა შატილსა:
– „ვაჟარ მოდის დალისტნისაო."
შატილიენებსა ვაჟებსა
ფათერლად არ გააჩნდისაო,
თითო თოფი აქვ თითოსა,
თითო სახსარი ტყვისაო.
მაცნე მოვიდა მეორე:
– „მოდის და არ იშლისაო."
გორგის ლუდ ჩამააწვავდეთ
მჭვარტლიან კათხაითაო.
ჩამაიარის გორგიმა,
ჩაუგდის ცეხის ძირსაო.
ბოლი მასწივის ბოლზედა,
გარჩევ არ იტყვის ხმისაო.
ესრთლეს ალდამიშვილსა,
ოთხი გაწირის ჩრდილსაო.
ჭანთას ჩაუდგათ ფაცერი,
თავ-ფეხი ჩაუდისაო.

(მეთრე ციკლი)

ნეტარ არ გამახყიდდესა
თილისძენ გორგის ხმალსაო?
თუ გამახყიდდეს, ვიყიდდი,
მივსცემდი ცხვარსა-დ რვალსაო.
ჩავდებდი ცეხის ლიბ'ში,
გაიმაგრებდა ქავსაო.
ლიბ'ში რთ იქნებოდა,
ლეკებს მისცემდა ზარსაო.

(მესამე ციკლი)

ლეკეთის მთაზე ყორანი
ერთ რასამ უძახს სხვასაო:
– „გორგი ველობას წასულა,
გავხყვათ ემაგის კვალსაო.
გორგი დაგვაძლებს ღვეშითა,
თუ შავხვდით ნაომარსაო.
ბაგოს ჩავიდა სოფელში
თვალ შუადღისა ხანსაო.
ტანს ეკვა ჩოხა ლეკური,
აბრიალებდა ხმალსაო.
ქვითკირის კარზედ გასწირავს
აკაფულს ლეკის მკვდარსაო.

(მეოთხე ციკლი)

ემანდით გამობრუნვილსა
ყორნებ ეყრების გზაზედა,
გორგის ხკითხევდის ყორნები,
გორგი არ ეტყვის წარზედა:
– „მე რაღას მკითხავთ, ყორნებო?
ჩაედით ნაომარზედა,
სისხლი სვით, ხორკით დაძედით,
ნუღარ 'შაარჩენთ ტანზედა.
ხმლის მქნევ დალოკდით, ყორნებო,
ნაჭრევ თუ სჭირდეს ძვალზედა."
ჭალამი თუშნი ჩავიდეს,
ნისლი თან ჩახყვა ცვრიანი
ერეკლე შეწუხებულა:
– „გზა ვერ გავიგე ტიალი."
– შამაუძახა თუშებსა –
– „ალარავინ ხართ ხმლიანი?"

ცხენს შაკდა თილისძეთ გორგი,
ლურჯამ გაიღა გრიალი.
მაგას ბიღუსძე გამუდგა,
მაყარს გახქონდა ბრიალი.
გოლთაის ჩალისფერამა
ნაცხვრევზე იწყვა ფხვრიალი.
ბიღოსძის მაჟარ გავარდა,
ლეკ დარჩა სისხლ-ტიგრიანი.

(მეხუთე ციკლი)

თუშეთით კაცი მოვიდა:
– „გვიშველეთ, მოდის ჯარიო."
დალაღდეს ფშაველის შვილები,
ყველამ გალესა ხმალიო.
დაიმზადიან საგძალი,
დაიბანდიან ჯღანნიო.
წავიდეს დალაღებულნი,
ღმერთო, დასწერე ჯვარიო!...
დაირიდნიან ხევსურნი,–
– „არ გვინდა თქვენი ხმალიო...
უკანვე გააბრუნოდით
თქვენი გუდანის ჯვარიო.
ოქისას ჩაიაროდით,
სადაც წისქვილის კარია.
თუშო, მოგვიძელ, წოვაო,
მურთას სად უდგა ჯარია."
– „ჩვენ თავად ვიცით, ფშავლებმა.
შორით გვიჭირეთ თვალიო.
ხმალს ქნევით დასცვდეს ვადანი,
სისხლმან დამალნა ფხანიო."
თუშთა ქნეს სამღთო, წოვათა,

საღმერთოდ დაკლეს ცხვარიო:
– „ღმერთო, შენ ჩაგვასწავლნოდი
ფშაველი ხოშარის გზანიო.
ცხენთა ხოშარას ჩასულთა
არაგვ დალიეს წყალიო.
ხოშარით კაცმა იძახა:
– „მუქეს ვინა ხართ ხმლიანი"?
მოვიდა წორწკურაული
სუმელაკი, სურო-ღვიანი,
მააწყვნა ისრის ქოლგონი,
ლაღის არწივის ფთიანნი.
ესროლის, გამააგორის
თუშები ფეხ-ჩითიანი...
– „მოხვედა, თიღის თბოლო,
ამბავი მოიტანეა?"
– „მე კი მოგივედ, დედაო,
დაგვლიეა ხოშარის გორმა,
იქ წყლის არ გამოდენამა,
წორწკურაულის ისარმა,
სანათაურის ენამა,
ჭიჩოთ მოსულთა თბოლთა,
იმათ სახელის დებამა"...
ატირდა თუშის ქალები:
– „აღარ მოგვიეა ქმარები.
რა ვუყოთ იმათ ცხენებსა,
რით დავუჭიროთ თავები.
ზოგთა თქვეს: –„გომში შევრეკოთ,
წელთით დავკეტოთ კარები."
ზოგთა თქვეს: – „უკუღმ დავკაზმოთ,
ზედაც ჩვენ შავსხდეთ ქალები."
ზოგთა თქვეს: – „კახეთს ჩავიდეთ,
და იქ შავირთოთ ქმარები."...

(მეექვსე ციკლი)

თილისძემ უთხრა მამასა:
– „მამაც, შევყაროთ ვაჭარიო,
ჩაყიდეთ უკვენა ფშაყსა,
ამთვირეკოთ ცხვარიო."
– „ვერ ჩავალთ უკვენა ფშაყსა,
ეგეცა ჩვენნი არიო."
– „მაშ ხოშარაში ჩავიდეთ,
ვარჩიოთ ქალი-რძალიო."
– „ვერც ჩაყალთ ხოშარაშია,
ეგ არის ჩვენი მხარიო.
სხვისას არ გაგვიფერებენ
ლაშარის ვაჭარის ყმანიო."
– „მაშ მათურაში ჩავიდეთ,
მოკლეთ ჩაუვლენ გზანიო.
გოგოლაურთას ჩავიდეთ,
ჩაკიბულნი ჰქონ გზანიო."
– „კიბურთ არ ჩაგვაცილებენ
ლომ-ხუზაურა ძმანიო."...
– „მაშ ცაბაურთას ჩავიდეთ,
ვამტყრიოთ ბეღლის კარიო."
ჩავიდეს ცაბაურთასა,
ამტყრიეს ბეღლის კარიო.
ბირდაბირაით გამოჩნდეს
ლომ-ხუზაურა ძმანიო,
ესროლეს ბირდაბირითა,
ბეღელს აკერეს მკვდარიო.
თილისძე გამაიპარა,
გადმაიარნა მთანიო,
როცა თ'უშეთში მოვიდა,
გამოეგება რძალიო:

– „მამამთიელ, შვილი რა უყავ,
თანიბექ, ჩემი ქმარიო?"
– „თინიბექ ფშავში გაჭირე,
სისხლისა ღვინით მთვრალიო."
ქალი ციხეში შევიდა,
წელთით დაკეტა კარიო.
სანამ წელ შესრულდებოდა,
სამჯერ დაიჭრა თმანიო...
მამამთიელ გამაუგზავნა
საიხვეწრთ ერთი ხარიო:
– „ეთხოვ, გიმოხვიდე, ლელაო,
ციხეში ნუღარ ხარიო"...
მამამთიელს შემოუთვალა:
– „წელზედ შემარტყი ხმალიო,
იქისავ წამავალი ვარ,
მასწავლე ფშავის გზანიო.
თუ თინიბექ ვერ ვიძიო,
ლელაი ნუღარ ვარიო"...

(მეშვიდე ციკლი)

ლაშარს მოვიდა თილისძე,
გულდიდად დავლდა ხარიო.
შემოეხვიენენ ფშავლები,
როგორც ბატონსა ყმანიო.
– „შენ აქ არ მოგველოდა,
დიდი ჰქენ ცოდვა-ბრალიო...
ჩამოხვე ხოშარაშია,
ცისაკ აუშვი ალიო,
შაჰყარე დიაც-ყმაწვილი,
კალოდ გალეწე მკვდარიო.
ნაკვეთაურის ჭერხთსა
შენ შესხენ რკინის კარიო.

სალუდე დასჭერ ქობები,
ღმერთს მისდიოდა ჩქამიო."
– „დაიცათ, ლაღნო ფშაველნო,
მალოცეთ თქვენი ჯვარიო.
სამხვეწროდ მამიყვანავის
თეთრა ქორაი ხარიო.
ზოგ გავარიგოი მაშინა,
როცა გამოვლენ მთანიო.
ვინ ედგეს მტერსა ახლოსა,
ვის უფრო სჭრიდეს ხმალიო.
უბის თავს დააყენოდით,
ფშაველებო, თქვენი ცხვარიო,
უბის თავს დანათდებიან
თილისძის ცხენის ნალნიო...

(მერვე ცოკლი)

თილისძე ლოპოტაშია
ჟოღსა სჭამს, მაყვალს ახდურებს:
„– ან შინ მიგიღებ, სახელო,
ან, თავთ, გადაგახდურებ."

(მეცხრე ცოკლი)

გორგის ნუ მაჰკლავთ, ქისტებო,
ბრალია კარგის ყმისაო.
არ დაიჯერეს ქისტებმა:
– „გორგიმაც ეგრე ქქნისაო!"...
ჩაუსხდეს მთის თავს, მთის ძირსა,
ფერ ვერ უცვალეს მგლისაო.
– „ვაი, თქვენს გორგის, ქისტებო,
ხანი არ მექნა ცდისაო.
თუ შამხვედროდით პირდაპირ,
ქნევა მეც ვიცი ხმლისაო."

ტურა ქაიხოსროს ციკლი

მეფე ერეკლეს დროს კახეთში, ვაჩნაძიანთ გვარში ყოფილა გამოჩენილი და მხნე ვაჟკაცი ქაიხოსრო. საზოგადოდ სქართველოს და კერძოდ, კახეთს მთსვენება არა ჰქონდა ლეკებისაგან, რომელნიც განსაკუთრებით მაშინ აყაყყავდებოდნენ ხოლმე, როცა კახეთს სხვა მტერიც შემოესეოდა. ქაიხოსრო ვაჩნაძემ არა ერთხელ ისახელა თავი ლეკებთან ბრძოლაში.

ერთხელ ერეკლემ ქაიხოსროს წინამძღოლობით გაგზავნა კახელები ლეკების წინააღმდეგ, რომა მათ გაღმა სოფლები აეკლოთ და ალაზნის პირას დაბანაკებულიყვნენ. ამ ბრძოლაში ქაიხოსრომ გაითქვა ვაჟკაცობის სახელი მით, რომ მკირედის რაზმით თავზარი დასცა ლეკების დიდძალს ჯარს. იგი აღარ დაკმაყოფილდა მათი განდევნით კახეთიდან. გაჰყვა დამარცხებულ ლეკებს უკან და მათი სოფლები გაახოცა და გამარჯვებული უკან დაბრუნდა. ამ გამარჯვებამ ისეთი შიშის ზარი დასცა ლეკებს, რომ ლეკების დედები თავიანთ მტირალ შვილებს ქაიხოსროს სახელით აჩუმებდნენ:

— „დაჩუმდი, შვილო, თორემ ტურა ქაიხოსრო მოვაო."

ქაიხოსროს მეტი სახელი „ტურა" თვით ლეკებმა დაარქვეს, რადგანაც ომში ისე გაძვრებ-გამოძვრებოდა ხოლმე, როგორც ტურა და ყველა შეფერხებულთ ვაჟკაცურის სიტყვით და მტერზედ წინდაწინ მისვლით აშხენებდა. ხშირად ერთ იმის სახელს გამარჯვებული მტერი უკან დაუბრუნებია.

აქისთანა სახელოვანმა ვაჟკაცმა ერთხელ ისეთი საქმე ჩაიდინა, რომ მის სახელს დღესაც ზიზღით იგონებს ხალხი.

ერთ კვირა დღეს მისი მეუღლე წირვაზედ იდგა და მის წინ გლეხი მარტიაშვილის რძალი დგომილიყო. ქაიხოსროს ცოლს ეთქვა:

— „ჩამომეცალე, შენი ადგილი იცოდე! ყური ხედავ, ვინ გიდგივარ უკანა?"

– „ჩამოგეცალო, რა შენი ყმის ცოლი ვარო?" – უპასუხნია მისთვის მარტიაშვილის რძალს.

ქაიხოსროს მეუღლეს ეს, რასაკვირველია, სწყენოდა და შინ მისვლის უმალ ქმრისთვის ეთქვა.

„მაშ, ქაიხოსრო მოგიკვდეს, თუ ამ ერთ კვირაზე ის დედაკაცი ხონჩით არ მოგაყენოვო" – ეთქვა ქაიხოსროს და რამდენიმე კაცით გაჭრილიყო ლეკებისკენ, გადასულიყო დაღესტანში, აეღელვებინა დიდოელები და დასხმოდა ალაზნის გაღმა მხარეს.

მეფეს რომ ეს გაეგო, მაშინადვე გაეგზავნა მასთან კაცი, რომ შეეტყო, რა მიზეზით განდგომილიყო იგი და რა სურდა-მიეცა მისთვის მეფეს, ოღონდ კი ლეკები გაღმა მხრიდან გაედევნა და შერიგებოდა.

ქაიხოსროს შემოეთვალა მეფისათვის, მარტიაშვილები მოეცი ყმებად და შეგირიგდებიო. მეფეს მისი თხოვნა შეესრულებინა და მიეცა მარტიაშვილები ყმებად. ქაიხოსროსაც გაერეკა ლეკები გაღმა მხრიდან და დაბრუნებულიყო შინ. ასე საძაგელის მოქმედებით შეესრულებინა ქაიხოსროს თავის მეუღლის სურვილი.

ალუდაურ გაგურის ციკლი

წინა ალუდაურ გაგური

სისხლის წვიმების დროს, როდესაც ნეფედ ყოფილ ერეკლეი, მაშინ ალუდაურ გაბური დაუყენებავ ნეფე ერეკლეს ყარაულად შიბუს ჭალას, ყოფილ ყარაულად ეს ალუდაური სამს წელს. ცუდ კაც არ უშობად გზაზედ, უბილეთოი (ვისაც ბილეთი არ ხქონიე), არც ღილღველ, არც ხევსურ. ამ ალუდაურს ხშირად უვლავის ნეფე ერეკლესთან, ნამეტნავ მაშინ, როსაც ვეფხეს მახკელევედ, სიხარულით თუ ჩაუტანდ ერეკლეს ვეფხის ტყავს. ერეკლე ნეფეს ვეფხეს ტყავ ძალიან ხყვარებიე, ბევრ საჩუქარიც უძლევავალ ალუდაურისად. ზოგ ქალაღდები (ერეკლეს ნაძლევ ბეჭდიან ქაღალდებ ზოგ რაისა, ზოგ რაისა) ეხლადაც იქაე ას ალუდაურისად ნაძლევები, დამრჩლები. ამ ალუდაურს დღისით უნადირებავ, ღამით ყარაულად მდგარ შიბუს ჭალას.ერთხან სახარის ჩრდიღში ვეფხეს შევარდნივ ზედ, ძალიან შამაღმბივ ეს ვეფხი ალუდაურს. სანამდი მეხუთე არ დაუკრავ თოფი, ვერ მოუკლავ. მეხუთე ტყვია შიგ შუბლში მოხვედრილას ვეფხეს და გამოუგდავ კლდეთაზე. ეს სიმღერე მაშინდელი ას დამრჩალი: „ყარაული შიბუს ჭალაში"

ვინ ღბრუსავ შიბუს ჭალასა
დილა ადრიან მწკალზედა?
ვინ ხყვები სიმაგრეებსა?
მოყმევ, ვინ უვლი თავზედა?
ვეფხვი ვინ მახკალ სახარეს,
ვინ ჩახყევ სისხლის კვალზედა?
ტყავი ვაფხისა ერეკლეს
ვინ ჩაუტანა კარზედა?
იქნების ალუდაური,

უდგან ლოგინნი მთაზედა.
იჭერს ღილღველთა, ხევსურთა,
ცუდ კაცს არ უშობს გზაზედა.
დღისით დგას ყარაულადა,
ღამით ვიხვეთ უველის მთაზედა.
ვეფხვს მახკლავს, ტყავსა ჩაუტანს,
ჩავას ერეკლეს კარზედა.

ამ ალუდაურს, რა თქმა უნდა, რო ეს ქისტებიც გაუცვნავ. ქისტებიც კაად ხყონივან. სტუმრადაც მადენილან ამ ალუდაურსთან, ნამეტნავ მაშინ, რისაც თოფის ხმას გაიგონებდეს. ქისტებ ეტყოდეს ერთუცა:

– „აბა, აენლა წავიდათ. ალუდაურ ვიხვს მახკლევად, ხორც ექნების."

წამოვიდოდეს ეს ქისტები. ალუდაურიც, რა თქმა უნდა, კარგად მაუველიდ, ხქონივ ესრ ერთუცასთან გაცნობა.

ამ ალუდაურს ერთი ძმის მეტ არავინ ხყვანივ, მარტო ორნ ძმან ყოფილან: ალუდაური და იონა. ამ იონასაც ხშირად უველავ,ცნობილ ქისტებს. სამი წლიდგეს ამ ალუდაურს თავ გაუნებებავ ყარაულობისად. მოსულ შინ ყოფილან ორნ ძმან ერთად, ალუდაურ და იონა.

აი, ერთხან ქისტებს როგორ ღალატ გაუბედავ იონაისად (განა ტყვილად მადის ანდრეზად ძველთგნივ, რომ "კაც ქისტს ურჯულოს არ უნდა დაენდოს. ურჯულოს ნაწლევ არ გაიჩეცხების"). ერთხან შაყრილან ქისტები, უთქომ:

– „იონა აგებ მავკლათავ!"

წამაულალავ ერთ ღილღველი, სახელად ხამფია, უთქომ:

– „შენ მატყუებით წამაიყვანიდი!"

პირობა მიუკავის. საყარაულოი ხქვიან აეხლადაც იმ ალაგს.

„იმაში ჩაუსხდებითავ-უთქომ ქისტებს, – რო მახოლთ, თოფებს დავაყრით, მავხკლავთ."

წამოსულ ეს ხამფია, მისულ ალუდაურ – და იონაისას,

უთქომ იონაისად:

— „ქისტეთ წავიდათავ. ჩვენ ხალხიც დაწუხებულიავ. დიდ ხანიავ, ალარცად გაგვივლაო."

წაუყვანივ. იმ საყარაულოში რო მისულან, უთქომ ხამფიას იონაისად:

— „გადაიარე, მაგეწევი, ვღნის ბაწარ გამეხსნ. მე ემას გავიკეთებ."

დამვდარ ხამფია, გადაუვლავ იონას. საყარაულოში რო მისულ. კლდეთ თავზედ, დაუშლავ იმ დროს თოფებ ქისტებს, მაგრამ ღმერთს უშველავ. იონას არც ერთ ტყვია არ მახვედრიევას. გადამფრინდალ კლდეთ, სცემივ ქვაშათ, გავარდნილ წყალს, ქისტებს უთქომ:

— „მგელ გაიქცავ, რას მივზდევთავ? ჩვენ მაგას ვეღარას დავაკლებთავ."

მოსულ ეს იონა შინ, უამბობავ ალუდაურისად:

— „ესრ მიყვესავ, ხამფიამ მზირთაზე შამაგდავ."

მაშნ, რა თქმა უნდ, რო ეს ძმან ძალიან დავავრებულან. მაშინ ეს ხამფია ძალიან შაწუხებულ: "აეხლა მე იონაი და ალუდაურ მაუკლავს არ გამიშობენავ." უთქომ ცოლისად:

— „უნდ წავიდავ, შინ ღამით მივიდავ, ალუდაურს შავეხვეწებივ, აგებ შამარიგასავ ძმას იონასავ."

ცოლს ხავიწიან ხალის კვერა მიუცავ, ჩაუდოვ ჯაბაში, წამასულ ეს ხამფია. ჭიმღას რო მასულ, ის ხალის კვერა ისევ თბილ ყოფილ, ერთის დღის საავალ გზა ისრ ჩქარად გარმაუვლავ! მასულ ჭიმღას. სოფლის პირში შალანში ჩამვდარ. იონაი და ალუდაურ ბანზე თუ სხენ. გახედავს ეს ქისტი ხამფია, უფიქრებავ და წამამდგარ. გაქცეულ პირდაპირ ხამცია, დაუყვირნებავ:

— „ალუდაურო, მიშველევ! შინ შამახვეწილ მტერი ორავ!"

ეს იონას რო უნახავ, მასულ ჭერხოს, თოფისად დაუცავ ხელი. ხვედრივ ძმა ძმას, არ დაუნებებავ თოფი:

– „სიმრცხვილია, კაცივ შინ შამაგვეხვეწავ.“

ეს ხამფია კიდევ მისულ და შასულ ალუდაურის და ითნას ქვიტკირში შინ. მემრ ალუდაურ ხვეწნივ ძმას, როსაც იქსებოდ, მაუქცევავ, მიუყვანიან ერთად ეს ითნაი და ხამფია ალუდაურს შაურიგებიან. მარტო ის კი უთქომ:

– „თუ კლოვ მაგიხდ, მაუკლავს არ გაგიშობთ. აეხლა კი შინ შამახვეწილ ხარ!“

ხამფიასაც დაუწყავ:

– „მაბატიევეთავ, მავსცდით ხალხის ენითავ.“

შარიგებულან, გაუშოვ შინ ხამფია ისრევ ცოცხალი.

ლიტერატურა:

1. ბატონიშვილი ვახუშტი, „აღწერა სამეფოსა საქართველოსი", 1941;
2. ბაქრაძე დ., „ქართველი ქალები", 1891;
3. ბუქურაული ივ., „თუშების თქმულებანი მეფე ერეკლე II-ის შესახებ", „ივერია", 1895, №№ 119, 122;
4. გარსევანიშვილი ალ., „გმირი ქალი, მათე ყაჩაღად წოდებული", „სამშობლო", 1915, №№ 102-104; „ახალი საქართველო", 1915, №№ 20, 21;
5. გოგებაშვილი ი., თხზულებანი, ტ. V, 1957;
6. ვაჟა ფშაველა, „ორი ამბავი მეფე ერეკლეზე მთაში დარჩენილი", „ივერია", 1902, №№ 196;
7. ვირსალაძე ე., „ქართველ მთიელთა ზეპირსიტყვიერება, მთიულეთ-გუდამაყარი, 1958;
8. თაყაიშვილი ე., „ხალხური სიტყვიერება" – ნაწილი I, 1909; ნაწ. II, 1913;
9. იოსელიანი პლ., „ცხოვრება გიორგი XIII-ასა", 1895;
10. კიკნაძე ზ., „ქართული ხალხური ეპოსი", 2001;
11. კოტეტიშვილი ვ., „ხალხური პოეზია", 1961;
12. ლეონიძე გ., „გამოკვლევები და წერილები", 1958;
13. მელეტინსკი ე. მ., ზღაპრის სტრუქტურულ-ტიპოლოგიური შესწავლა, წიგნში ვ. პროპი, „ზღაპრის მორფოლოგია", თარგმნა და წინასიტყვაობა დაურთო მარიამ კარბელაშვილმა, თბილისი, 1984, გვ. 202-230;
14. მელიქსეთ-ბეგი ლ., „თრიალეთ-წალკის მატერიალური კულტურის ნაშთებისა და ტოპონიმიკის შესწავლისათვის", კრებულში „მარქსისტული ენათმეცნიერებისათვის", რომელიც მიეძღვნა აკად. ნ. მარის სამეცნიერო მოღვაწეობის 45-ე წლისთავს, ტფილისი, 1934 წ., გვ. 27- 44;

15. მეუნარგია იონა (უბის წიგნაკიდან). „ნაკვესები" ამოკრეფილი გაზ. „ივერიიდან" სოლ.ცაიშვილის მიერ, 1938;
16. ნათაძე გ., „ხალხური ლექსები და ზღაპრები", 1950;
17. თრბელიანი ალ., „დაღესტნიდან ლეკების გამოსვლა და სხვა ამბები", 1914;
18. სიხარულიძე ქს., „ქართველი ხალხის ბრძოლა სამშობლოსათვის ერეკლე მეორის ხელმძღვანელობით", 1942;
19. სიხარულიძე ქს., „ქართველი სახალხო გმირები", 1952;
20. სიხარულიძე ქს., „ქართული ხალხური საისტორიო სიტყვიერება", წიგნი I, 1961; წიგნი II, 1964;
21. სიხარულიძე ქს., „ქართული ხალხური საგმირო პოეზიის საკითხები", 1970;
22. სპარსიაშვილი ზ., „ეს ჩვენი მეფე ერეკლე", თელავი, 1999;
23. ტაბიძე ნ., ეტიუდები, 1986;
24. ტაბიძე ნ., „საქართველოო „აზდარაარის" ფურცლებზე", კრებულში: გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტის შრომები, I, 2003. გვ. 12-14;
25. ტუხაშვილი ლ., გერონტი ქიქოძე და მისი „ერეკლე მეორე", წიგნში გ. ქიქოძე, „ერეკლე მეორე", მე-4 გამოცემა, 1983;
26. უთურაშვილი ი., „თეკლა ბატონიშვილი", 1991;
27. უთურგაიძე თ., „თუშური კილო", 1960;
28. უმიკაშვილი ბ., „ხალხური სიტყვიერება", I, 1937;
29. „ქართული ხალხური პოეზია" (სრ. კორპ.), ტ. XI, 1984;
30. ქიქოძე გ.. „ერეკლე მეორე", IV გამოცემა, 1983;
31. შანიძე აკ., „ხალხური პოეზია, I, ხევსურული", 1931;
32. ჩიქოვანი მ., „ქართული ეპოსი, I, მიგვაჭვული ამირანი", 1959;
33. ცაიშვილი სოლ., „ერეკლეს გმირული სახე ხალხურ შემოქმედებაში", 1942;
34. ჭიჭინაძე ზ., „გელა ნათელაშვილი ერთგული რაინდი მეფე ერეკლესი", „დროება", 1878, №169;

35. ჭიჭინაძე ზ., ისტორია ქართული გაზეთებისა და ჟურნალებისა, 1902;
36. ხალხური ლექსები და ზღაპრები, შეგროვილი გ. ნათაძის მიერ, 1950;
37. ხიზანიშვილი დ., „ფშაური ლექსები", 1887;
38. ხუბუა მ., „ქართულ-ირანული ურთიერთობებიდან", ენიმკის მოამბე, V-VI, 1940;
39. ჯავახიშვილი ივანე, „მამულიშვილობა და მეცნიერება", ტფ., 1904;
40. ჯავახიშვილი ნიკო, „ქართული ფალერისტიკა" (ჯილდოთმცოდნეობა), 1995;
41. ჯავახიშვილი ნიკო, „დაჯილდოება ძველ საქართველოში", 1998;
42. ჯავახიშვილი ნიკო, „ოგბაიძენი", 2005;
43. ჯავახიშვილი ნიკო, „ნარკვევები", 2005;
44. ჯანაშვილი დ., „ისტორიული სურათები", „ივერია", 1882, №12;
45. „ჯორჯიან ტაიმსი" (ქართული გაზეთი), 2005, 17 მარტი, №010;
46. Барт Р. «Введение в структурный анализ повествовательного текста», в кн. «Зарубежная эстетика и теория литературы XIX-XX в.», М., 1987;
47. Беневенист Э., «Уровни лингвистического анализа», в кн. «Общая лингвистика». М., 1974;
48. Веселовский А. Н., «Историческая поэтика», М., 1940.
49. Гегель Г. В. Ф., «Эстетика», в 4-х томах, т. III, М., 1971.
50. Греков В. Д., «Киевская Русь»;
51. Елиаде М., Аспекты Мифа, М., 2000;
52. Жирмунский В. М., Народный героический эпос. Сравнительно-исторические очерки, М.-Л., 1962;

53. Кишмишев С., «Походы Надир-Шаха в Герат, Кандагар, Индию». Тифлис, 1898;
54. Мирбадалиева А. С. «О некоторых принцыпах отбора и публикации эпических произведений » в серии «Эпос народов СССР», в кн. «Фольклёр. Издание эпоса», М., 1977;
55. Петросян А. А., «Важные вопросы публикации текстов эпоса народов СССР». в кн. «Фольклёр. Издание эпоса», М., 1977;
56. Потапов Л. П., «Очерки по истории Шори», в кн. «Труды Института Востоковедения АН СССР», т.V, 1936, стр. 186-201;
57. Пропп В., «Морфология сказки», Л., 1928;
58. Пропп В., «Исторические корни волшевной сказки», 1946;
59. Пропп В. Я., " Русский исторический эпос", Л., 1955;
60. Пропп В., «Русский героический эпос», 1958;
61. Пропп В., «Жанровый состав русского фольклёра», журн. «Русская литература», 1964, № 4, стр. 58-76;
62. Пропп В., «Принципы классификации фольклёрных жанров», жур. «Советская этнография», 1964, № 4, стр. 147-154;
63. Пропп В., «Фольклёр и действительность», М., 1976.
64. Путилов Б., «Русский историко-песенный фольклёр XIII-XVI веков». М.-Л., 1960;
65. Такаишвили Е. С., Археологические экскурсии, разыскания и заметки, вып. III, 1907, стр. 96-117; вып. IV, стр. 1-123;
66. Сб. «Текстологическое изучение эпоса", М., 1971. Сб. «Типология народного эпоса», М., 1975;

67. Трайнин И., «По бывшей «Сибири» Грузинских царей», «Заря Востока», 1930, 4/X, №208;
68. «Шорский фольклёр. Записи, перевод, вступительная статья и примечания Н. П. Дыренковой, М., 1940;
69. Халанский М., «Великорусские былины киевского цикла», Варшава, 1895;
70. Barthes R., Introduction a`l`analyse structurale des resits// comunikasions 8. Paris, 1966;
71. Malinovski B., The Dinamics of cuilture change. New Haven, L., 1946;
72. Malinovski B. A Scientific Theory of Culture and other Essayic, N.Y., 1960.

უკლებლობა კავკასიელი მონარქი

ერეკლე II მიეკუთვნება იმ სახელოვან, გმირ ქართველ მეფეთა კოჰორტას, რომელთაც უფალმა საქართველოს ისტორიაში ყველაზე მნიშვნელოვანი ფურცლების ჩაწერა მიანდო.

XVIII საუკუნის საქართველოს ისტორიის შესწავლა წარმოუდგენელია „პატარა კახის" მეფობის 54-წლიანი პერიოდისა და მისი პიროვნული როლის ობიექტური შეფასების გარეშე. აქვე დავსძენთ, რომ ბაგრატიონთა ათასწლოვანი დინასტიის წარმომადგენელთაგან ამდენი ხნის განმავლობაში სხვას არავის უმეფია.

სახელოვანი მონარქის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ მრავალი წყარო და გამოკვლევა არსებობს.

ამ საკითხზე არსებული საისტორიო წყაროებიდან საყურადღებოა XVIII საუკუნის ქართველი ისტორიკოსების ბაბუნა ორბელიანისა (25) და ომან ხერხეულიძის (36) თხზულებები, რომლებიც ერეკლე II-ის სიცოცხლეშივე შეიქმნა. მისი მეფობის ეპოქის შესახებ მრავალი საყურადღებო მასალაა დაცული ასევე რუსი მკვლევარის ბ. ბუტკოვის სამტომეულსა (12) და ა. ცაგარელის მიერ გამოცემულ სიგელთა კრებულში (49).

„პატარა კახის" შესახებ არსებული გამოკვლევებიდან საყურადღებოა ცნობილი ქართველი მწერლის გერონტი ქიქოძის (1885-1960) ნაშრომი „ერეკლე II" (32). აღნიშნული თვალსაზრისით განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ცნობილი ქართველი ისტორიკოსების ნიკო ბერძენიშვილის (6-8), მამია დუმბაძის (14) და სხვათა გამოკვლევები.

მეფე ერეკლე II-ის ცხოვრება და თავდადებული მოღვაწეობა თავისთავად უკვე ლეგენდაა, რომელიც ქართულ ხალხურ ზეპირსიტყვიერებაში სათანადოდ აისახა.

კახეთის მეფე თეიმურაზ II (1695-1762) 1744 წლიდან ქართლის მეფე გახდა. ამის შემდეგ, კახეთის სამეფო ტახტი მან

თავის უფროს ვაჟს – ერეკლე II-ს (1720-1798) დაუთმო. ამას მომდევნო წელს მოჰყვა მათი მეფეებად კურთხევა ძველი ქართული, ქრისტიანული წესით მცხეთაში, სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძარში.

მამა-შვილის გამეფებამ როგორც საქართველოში, ასევე მის მეგობარ ქვეყნებსა და ხალხებში დიდი სიხარული გამოიწვია.

პაპუნა ორბელიანი წერს: „იყო სიხარული ქართლსა და კახეთსა, სიხარული უზომო“ (35, 81).

ბაგრატიონთა დინასტიის კახეთის სამეფო შტოს წარმომადგენელს თეიმურაზ II-ს ქართლის სამეფო ტახტზე ასვლა მნიშვნელოვნად გაუადვილდა თავისი მეუღლის თამარ დედოფლის (1696-1746) მოხერხებულობის მეშვეობით, რომელიც ვახტანგ VI-ის უფროსი ქალიშვილი იყო. თეიმურაზ II ქართლის ტახტზე ავიდა, როგორც სიძე და იმავდროულად მემკვიდრე რუსეთში გარდაცვლილი ქართლის კანონიერი მეფისა.

პროფ. ლოვარდ ტუხაშვილი შენიშნავდა, რომ თამარ დედოფალს „დიდი წვლილი მიუძღვის კახი ბაგრატიონების (ამ შემთხვევაში ქმრისა და ვაჟის – თეიმურაზისა და ერეკლეს) წარმატებებში. არ ვიცით, ქართლის სამეფო კარის ეს წარმომადგენელი მეფე-ქმრის ბრძანება-რჩევას ასრულებდა თუ საკუთარი მოსაზრებებით ხელმძღვანელობდა, ერთი კია, მან მოახერხა ერთდროულად მოეპოვებინა ნადირ-შაჰის ნდობაც და ქართლელი თავადების ანტიკახური განწყობილების შენელებაც.

აღსანიშნავია ერთი გარემოებაც. 1740 წელს, როდესაც შაჰი საბოლოოდ დარწმუნდა, რომ ქართლის გამგებლად დანიშნული ვერც სპარსი (სეფი-ხანი) და ვერც ქართველი (ალი-მირზა – ალექსანდრე, დავით იმამ-ყული-ხანის ვაჟი – ასლამაზ-ხან თრბელიანი) მოხელეები ვერ ართმევდნენ თავს საქმეს. ქართლში გაგზავნა თამარი, ხოლო თეიმურაზს მხოლოდ ამ უკანასკნელის თანადგომა დაევალა. თამარმა აღუთქვა ქართლელ

თავადებს, რომ იგი თავისი ძმების ქართლში დაბრუნებამდე განაგებდა სამეფოს; თეიმურაზ II-მ მარჯვედ გამოიყენა საკუთარი მეუღლის ეს მანევრი და საბოლოოდ დაეუფლა ქართლის ტახტს" (31, 19).

საგულისხმოა, რომ თამარ დედოფლის დედა – რუსუდან დედოფალი (გარდაიცვალა 1740 წელს) – ყაბარდოს დიდი მთავრის ასული იყო. მისი დიდი ავტორიტეტის გამო, მის შთამომავალთა შორის, ადიღელ ასულთა ცოლად მოყვანა ერთგვარ ტრადიციად დამკვიდრდა. მისი დამკვიდრების ინიციატორად რუსუდან დედოფლის შვილიშვილი – ერეკლე II მოგვევლინა.

სწორედ აღნიშნული ტრადიციის გამო, ერეკლე II-ის ვაჟები, ქართლ-კახეთის უკანასკნელი მეფე გიორგი XII (მეფობდა 1798-1800 წლებში) და ალექსანდრე ბატონიშვილი (1770-1844) დანიშნულნი იყვნენ ადიღელ თავადთა ასულებზე (45).

სამწუხაროდ, ქართლ-კახეთის სამეფო ოჯახის ადიღელი სარძლოები ჯვარისწერამდე გარდაიცვალნენ, პირველი ყაბარდოში, ხოლო მეორე – საქართველოში (16, 7-191).

თეიმურაზ II-სა და ერეკლე II-ს მეფობა უმძიმეს ვითარებაში, გამუდმებული ბრძოლების პირობებში მოუწიათ. ეს მდგომარეობა დამახასიათებელი იყო საქართველოს მთელი ისტორიული წარსულისათვის. ნადირ-შაჰის მოკვლის (1747) შემდეგ, სპარსეთის ბატონობისაგან განთავისუფლებულ აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში ჰეგემონობის მოსაპოვებლად სისხლისმღვრელი ბრძოლა გაჩაღდა. მისი მიმდინარეობისას აშკარად გამოიკვეთა უბირატესობა ქართლისა და კახეთის სამეფოებისა, რომლებსაც მაშა-შვილი სრული ურთიერთგაგებით, კოორდინირებულად მართავდნენ.

აღნიშნულ პერიოდში, „პატარა კახი" სრულიად ახალგაზრდა (27 წლის) იყო, მაგრამ როგორც აკად. ნიკო ბერძენიშვილი შენიშნავდა, იგი „არა მარტო ბრწყინვალე სამხედრო ნიჭს

იჩენდა, ის ფრთხილი პოლიტიკოსი და გამჭრიახი სახელმწიფო მოღვაწე ჩანდა" (40, 340).

XVIII საუკუნის II ნახევრიდან, ამიერკავკასიაში იმხანად არსებული 14 სახანო სპარსეთის ქვეშევრდომობაში მხოლოდ ნომინალურად რჩებოდა. არსებული მდგომარეობიდან გამომდინარე, ერეკლის და განჯის სახანოთა მმართველებმა დახმარებისათვის ქართლისა და კახეთის მეფეებს მიმართეს. საგარეო საფრთხისაგან თავდაცვის უზრუნველყოფის მიზნით, მათ ქართველ მეფეთა მფარველობაში შესვლა ამჯობინეს.

ეს ვითარება თეიმურაზმა და ერეკლემ თავიანთ სასარგებლოდ გამოიყენეს და ხსენებულ სახანოთა შემოერთებისათვის 1748-1750 წლებში მნიშვნელოვანი ბრძოლები აწარმოეს. მათ ამ პროცესში ჩრდილოკავკასიელი ხალხების, ძირითადად კი ადიღელთა საშხედრო ძალაც დაიხმარეს (8, 104).

XVIII საუკუნის შ-ua ხანებში არსებულმა ქართულ-ადიღური საშხედრო-პოლიტიკური ალიანსმა პოზიტიური როლი შეასრულა აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში ქართლ-კახეთის სამეფოს ჰეგემონობის შენარჩუნებაში (37, 92-120).

1762 წლის 8 იანვარს თეიმურაზ II სანკტ-პეტერბურგში გარდაიცვალა. ამის შემდეგ, მისმა ვაჟმა, კახეთის მეფემ ერეკლე II-მ ქართლის სამეფოც შეიერთა. ქართლ-კახეთის გაერთიანებულ სამეფოს იგი 36 წლის განმავლობაში, გარდაცვალებამდე (1798) მართავდა.

ბაგრატ ბატონიშვილი წერს: „მეფემან კახთამან ირაკლიმ II... შეაერთა ქართლი და კახეთი ერთ სამეფოდ, განყოფილი სამასის წლისა და იმეფა წელი 54 ბედნიერად და სახელოვნად" (13, 51).

მეფე ერეკლე მხედართმთავრული ტალანტით, გონებამახვილობითა და სანაქებო ცხენოსნობით გამოირჩეოდა (19, 203).

ნიჭიერი და მამაცი მებრძოლის სახელი მან ჯერ კიდევ ყმაწვილობისას დაიმკვიდრა. ეს ნათლად გამოჩნდა 1738 წელს, როდესაც ნადირ-შაჰის მიერ ინდოეთში მოწყობილი ლაშქრო-

ბისას 18 წლის ერეკლე ბატონიშვილმა თავი განსაკუთრებით ისახელა.

გერმანელი მეცნიერი და მოგზაური ედუარდ აიხვალდი (1795-1876), თავის გამოკვლევაში აღნიშნავდა, რომ მართალია, სპარსეთის თვითმპყრობელმა ნადირ-შაჰმა ქართლისა და კახეთის მეფეებს „ყაზახისა და ბორჩალოს პროვინციები გადასცა, მაგრამ ინდოეთში საბრძოლველად ქართველ აზნაურთა თითქმის საუკეთესო ნაწილი თან წაიყვანა. შაჰ ნადირის გარდაცვალების (1747 წელი) შემდეგ, თეიმურაზი და მისი ვაჟი ერეკლე მამაცად იცავდნენ თავს სპარსელებისა და ლეკების შემოსევებისაგან. პირველი 36-წლიანი მეფობის შემდეგ გაემართა რუსეთში 1760 წელს და გარდაიცვალა 1762 წელს. მეფე ერეკლე კი, პირიქით, უფრო გაძლიერდა და თავისი მტრებისათვის მრისხანე გახდა“ (15, 61-62).

ქართლ-კახეთის ერთ სამეფოდ გაერთიანება, რაც მეფე ერეკლე II-ის ძალისხმევით მოხერხდა, XVIII საუკუნის საქართველოს ისტორიაში ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან და პროგრესულ მოვლენას მოვლენას წარმოადგენდა. ამით ერეკლე II-მ საბოლოოდ სძლია ქართლის სამეფოს აღდგენის მომხრეებს.

ერეკლე II მტკიცედ ცდილობდა აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში ჰეგემონობის შენარჩუნებას და თავისი მეფობის ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის (1744-1798) განმავლობაში ამას საკმაოდ წარმატებით ახერხებდა.

აღსანიშნავია, რომ ენერგიული ქართველი მეფე დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა როგორც კავკასიასა და აზიის ქვეყნებში, აგრეთვე ევროპაშიც. მის გმირულ მოღვაწეობას ევროპული პრესა საკმაოდ ხშირად ასახავდა. ერეკლე II-ის საერთაშორისო ავტორიტეტი იმდენად გაიზარდა, რომ მის სამხედრო წარმატებებს ევროპული პრესა ზოგჯერ გადაჭარბებულად წარმოადგენდა.

ერეკლე II-ის ავტორიტეტი განსაკუთრებით შესამჩნევი იყო გერმანულენოვან სახელმწიფოებში (51, 110-119).

ავსტრიის რესპუბლიკის სახელმწიფო არქივში მუშაობისას პროფ. იღია ტაბაღუამ 1969 წელს მიაკვლია ერთ საბუთს, სადაც ერეკლე II იხსენიება, როგორც "ჰერაკლიუს პრინც ფონ გეორგიენ" (30, 64).

ქართველი მეფის პოპულარობა ევროპულ დრამატურგიაშიც აისახა.

გერმანული კლასიკური ლიტერატურის კორიფეს გოტჰოლდ ეფრაიმ ლესინგის ცნობილ კომედიაში „მინა ფონ ბარნჰელმი ანუ ჯვარისკაცის ბედნიერება", რომელიც 1767 წელს პირველად დაიდგა ქ. ჰამბურგის თეატრის სცენაზე, ერეკლე II წარმოჩენილია „აღმოსავლეთის დიდ გმირად" და „მამაც ვაჟკაცად", "რომელმაც სპარსეთი დაიპყრო და ღღეს თუ ხვალ თურქეთის კარიბჭეში შეიჭრება" (20).

1754 წელს პარიზში გამოქვეყნდა ფრანგი კომერსანტის შარლ დე პეისონელის წიგნი „მოთხრობა ახლანდელ არეულობაზე სპარსეთსა და საქართველოში", სადაც ერეკლე II-ის შესახებ მსჯელობას მნიშვნელოვანი ადგილი აქვს დათმობილი (52).

მომდევნო წელს, ეს წიგნი მაინის ფრანკფურტში გერმანულ ენაზეც გამოიცა. მისი სახელწოდება იყო: „სპარსეთისა და საქართველოს მღელვარებათა ამბავი, რომელიც ამავე დროს შეიცავს პრინც ჰერაკლიუსის მართალ გენეალოგიას და მისსავე უმნიშვნელოვანეს საქმეებს". აქ, მსგავსად ლესინგის ზემოხსენებული კომედიისა, ერეკლე II მოიხსენიება "პრინც ჰერაკლიუსად" (4, 14).

1766 წელს ლისაბონში პორტუგალიურ ენაზე გამოიცა თრი ბროშურა, სადაც მოთხრობილია ერეკლე II-ის შესახებ. პირველი მათგანის სათაურია "ახალი ცნობები სახელოვან ბრძოლასა და ბრწყინვალე გამარჯვებაზე, რომელიც სახელგანთქმულ-

მა ქართველთა მეფემ ერეკლემ მოიბოვა თურქეთის თავხედი სულთნის საშინელი ვაჟარის წინააღმდეგ", ხოლო მეორისა – „ახალი ცნობები წარმატებით გამარჯვებაზე, რომელიც მეფე ერეკლეს ვაჟრებმა 1766 წლის 16 ოქტომბერს მოიბოვეს ქალაქ ტრაბიზონის აღების დროს".

მართალია, ამ ბრძოლებში გადმოცემული ფაქტების ერთი ნაწილი (მაგალითად, ტრაბიზონის აღება), დამორებულია რეალობას, მაგრამ ჩანს, ტექსტის ავტორს სურდა, რომ ევროპის საზოგადოებისათვის საქართველო და ქართველი გეირგეინოსნის გმირული მოღვაწეობა გაეცნო (30, 58-59).

გამოჩენილ მხედართმთავარსა და ევროპაში უძლავრესი არმიის შემქმნელს – პრუსიის სახელოვან მონარქს ფრიდრიხ II-ს (1712-1786) უთქვამს: „ევროპაში მე ვარ და აზიაში – ერეკლე II-ო". ეს გამონათქვამი დაიმოწმა ცნობილმა გერმანელმა მწერალმა პუბლიცისტმა არტურ ლაისტმა თავის წიგნში „საქართველოს გული" (18, 127).

იმპერატრიცა ეკატერინე II ქართლ-კახეთის მეფეს მოიხსენიებდა, როგორც „Знатнейшим из всех Грузинских владетелей" (24, 16).

რუსეთის იმპერიის კანცლერი ვორონცოვი ერეკლე II-სადმი გაგზავნილ წერილში მას მიმართავდა, როგორც "Светлейшему царю грузинскому и кахетинскому Ираклию" (14, 630).

1769 წლის სექტემბერში, ეკატერინე II-ის ბრძანებით, მეფე ერეკლე II დაჯილდოვდა რუსეთის უმაღლესი ჯილდოთი წმ. მოციქულ ანდრია პირველწოდებულის ორდენით (29, 124).

1783-1787 წლების განმავლობაში ქართლ-კახეთის სამეფო კარზე მყოფი რუსეთის ოფიციალური წარმომადგენელი სტეფანე ბურნაშოვი (1743-1824) თავის თხზულებაში წერდა, რომ მეფე ერეკლე იყო „გამორჩეული ინტელექტით დაჯილდოებული, არაჩვეულებრივ მთთმინებასთან და ღვთისმოსავობასთან ერთად... გასაოცრად აქტიური.

იგი დილამდე თვალმოუხუჭავად ზრუნავს სახელმწიფო საქმეებზე. მკირე ხანს სძინავს. ნაშუადღევს, მთიელთა ტომების წარმომადგენლებსა და სპარსელი ხანების ელჩებს ღებულობს.

მოსამართლეობს ქვეშევრდომთა უმნიშვნელო დავის გადაწყვეტის დროსაც. დიდი გამოცდილების წყალობით, კარგად იცნობს აზიელ ხალხთა პოლიტიკურ თავისებურებებს, რადგან ხანგრძლივი დროის განმავლობაში ნადირ-შაჰს თან ახლდა ინდოეთში ლაშქრობისას. იგი არაფერს ესწრაფვის ისე, როგორც თავისი სახელმწიფოს ევროპულ ყაიდაზე გარდაქმნას“ (41, 9-10).

ინგლისელი კავკასიოლოგი უილიამ ალენი (1901-1973) მეფე ერეკლეს შესახებ წერდა, რომ თავისი „ნერვული ტემპერამენტით, ფიცხი ხასიათითა და ძლიერი ინტელექტით იგი ძალღონეს არ იშურებდა თავის პატარა სამეფოში სტაბილურობის მისაღწევად“ (50, 201).

ერეკლე II-ის შესახებ მართებულად შენიშნავდა დ. ლენგი, რომ „თითქმის ნახევარი საუკუნის განმავლობაში მეფის ენერგიულობა და პირადი ავტორიტეტი ფარავდა ქართლ-კახეთის სოციალური ორგანიზაციის სისუსტეს.

მოსახლეობის კლების, ცხოვრების ფეოდალური წესის შენარჩუნებისა და ცენტრალიზებული სახელმწიფო მექანიზმისათვის საჭირო ფინანსური სახსრების არარსებობის პირობებში ერეკლემ ქვეყნის დამოუკიდებლობის შენარჩუნების განსაცვიფრებელი უნარი გამოამჟღავნა. მას არცერთი შემთხვევა არ გაუშვია ხელიდან ევროპულ სახელმწიფოთაგან მხარდაჭერის მოსაპოვებლად, გულით სწყუროდა მეცნიერთა და ტექნიკოსთა მოზიდვა ევროპიდან, რომ ქვეყანას სამხედრო და სამეურნეო დარგებში უკანასკნელი მიღწევებით ესარგებლა.

საკუთარ ხალხზე მზრუნაეი მეფე მუდამ ფხიზლობდა. ლაშქრობებში ის ღამეებს ათენებდა თვალმოუხუჭავად, მტრის დასახვედრად სამზადისში“ (19, 211).

XVIII საუკუნის 60-იანი წლების დასაწყისიდან მეფე ერეკლე II-მ ძლევამოსილი მონარქის სახელი დაიმკვიდრა. სისხლის-მღვრელ ბრძოლებში მოპოვებულ ბრწყინვალე გამარჯვებათა შედეგად, მან წარმატებით შეძლო დაემორჩილებინა სამხრეთ კავკასიის ტერიტორიაზე მდებარე სახანოების უმრავლესობა.

აკად. ნიკო ბერძენიშვილის შეფასებით, „ერეკლე იშვიათის ოსტატობით ერკვეოდა ურთიერთის მეტოქე ხანების ძალთა შეფასებაში და საჭირო თადარიგს ყოველთვის თავის დროზედ იჭერდა" (8, 392).

1760 წლის დეკემბერში, ვჯერ კიდევ მამის რუსეთში ყოფნი-სას, ერეკლე II-მ სასტიკად დაამარცხა ყარაბაღის მფლობელი ფანა-ხანი და განჯაზე ქართლ-კახეთის სამეფოს ბატონობა უზრუნველყო (14, 630).

ქართველი მეფის უზენაესობა ოფიციალურად აღიარეს: ერევნის, განჯის, შაქის, შამახიის, ნახჭევანისა და ყარაბაღის სახანოთა მფლობელებმა.

ამან კიდევ უფრო განამტკიცა ძალაუფლება ერეკლე II-ისა, რომელსაც სამხრეთ კავკასიაში ჰეგემონობის მოპოვება სურდა. ეს ცნობილი გახდა რუსეთის მთავრობისათვის (23, 126).

1762 წელს სპარსეთის მპყრობელმა ქერიმ-ხან ზენდმა, რომელიც ქვეყანას ვექილის სახელით 1752-1779 წლებში მართავდა, მეფე ერეკლე II-სთან საგანგებო ელჩობა მიავლინა. მათ „პატარა კახს" ძვირფასი საჩუქრები მიართვეს და სთხოვეს, რომ სპარსეთის შაჰობის პრეტენდენტი, თავრიზის მფლობელი აზატ-ხანი, რომელიც ერეკლე II-ს თბილისში, ტყვეობაში ჰყავდა, ქერიმ-ხანისათვის გაეგზავნა.

სპარსეთის მპყრობელის ეს თხოვნა ერეკლე II-მ მომდევნო წელს შეასრულა (14, 631).

ზემოთქმულის შესახებ ბაგრატ ბატონიშვილი წერს, რომ „თხოვნითვე ქარიმ ხანისათა შეიპყრა მეფემან აზად ხან და

წარუვლინა ქარიმ ხანსა. ამის გამო, მეგობარ იქმნენ მეფე ირაკლი და ქარიმ ხან" (13, 52).

აკად. ნიკო ბერძენიშვილი შენიშნავდა, რომ „ქერიმ-ხან ზენდი უძლიერესი იყო ირანის ყველა მფლობელს შორის [და ერეკლემაც აზატ-ხანი საუკეთესოდ გამოიყენა. მეფემ ძვირფასი ტყვე მის მეტოქეს ხელშეკრული გაუგზავნა. ქერიმ-ხანი ამ დროიდან ოცი წლის განმავლობაში თითქმის მთელს ირანს მშვიდობიანად განაგებდა]. ქერიმ-ხანი ყაენად არ დამკვდარა. ის ირანის ვექილად (მმართველად) იწოდებოდა. ხანები ყველანი მას ემორჩილებოდნენ. ქერიმ-ხანის ვექილობა ფორმალურად არც ერეკლეს არ უარუყვია. ნამდვილად კი საქართველოს მეფე სრულიად დამოუკიდებელი იყო და ირანისადმი მორჩილების რაიმე ნიშანი, როგორც ეს ძველად იყო, საქართველოს აღარ ედვა. საქართველოს მეფის "ერთგული სამსახურის" სამაგიეროდ, ქერიმ-ხანმა იცნო ქართლ-კახეთი ერთ სამეფოდ, იცნო ერეკლეს უფლება განჯა-ერევნის სახანოებზე და ამით იცნო საქართველოს მეფის უპირატესობა ამიერკავკასიის სხვა ხანებს შორის" (8, 392).

1763 წელს ქერიმ-ხან ზენდმა სცნო რა მეფე ერეკლე II-ის ჰეგემონობა სამხრეთ კავკასიის სახანოებზე, უბრძანა ხანებს, რომ ქართველ მთხარქს დამოჩილებოდნენ (47, 135).

ამ ცვლილებათა შემდეგ, პოლიტიკურმა საზღვარმა ქართლ-კახეთის სამეფოსა (მისი ქვეშევრდომი სახანოების ჩათვლით) და სპარსეთს შორის მდინარე არაქსზე გაიარა. ქართველი მეფის მიერ ქერიმ-ხანის ვასალობის აღიარება იმხანად მხოლოდ ფორმალურ ხასიათს ატარებდა და ქართლ-კახეთის დამოუკიდებლობას არ ზღუდავდა (14, 631-632).

პროფ. მაჰია დუმბაძის მართებული შეფასებით: „ქერიმ ხანთან ერეკლეს შეთანხმება არსებითად ორი თანაბარი მხარის ზავს წარმოადგენდა და იმის დადასტურება იყო, რომ ირანის

გამგებელი ქართლ-კახეთში ვერ გაბატონდებოდა. ერეკლეს სახელმწიფო კიდევ უფრო გაძლიერდა" (14, 632).

აღსანიშნავია, რომ ქართლ-კახეთის მეფეს მისი ვასალი ხანები ყოველწლიურად უხდიდნენ განსაზღვრულ თანხას, ხოლო ხშირად მდიდრულ საჩუქრებსაც უგზავნიდნენ. მაგალითად, ერევნის ხანი – 4. 000 თაყრიზული თუმანს იხდიდა. ყოველივე ამის სანაცვლოდ, ხანები ერეკლე II-ს სთხოვდნენ ხანისა და სახანოს მთავარსარდლის თანამდებობებზე დამტკიცებას (35, 11).

შემორჩენილია სამხრეთ კავკასიურ სახანოთა მფლობელების მიერ ქართლ-კახეთის მეფისადმი გაგზავნილი წერილები, სადაც ისინი თავიანთ სიუზერენს სრულ მორჩილებას აღუთქვამენ და ერთგულებას ეფიცებიან.

მაგალითად, ერთ-ერთ ბრძოლაში გამარჯვებული მეფე ერეკლე II-ს მისმა ვასალმა – ერევნის ხანმა, საგანგებო ძღვენთან ერთად, შემდეგი შინაარსის წერილი გაუგზავნა: „მოვახსენებთ მაღალ აზრს, რომ ჩვენ, იმედისა და სასოების მუშაკნი, ერთგულნი და თავდადებულნი, მუდმივობის ნიშნის მქონე სახელმწიფოს კეთილის მსურველნი, თქვენი უკვდავსტოესობის ლაშქრობას ველოდებოდით. ამ დროს, ჩვენ, კეთილგამზრახველებმა და ქვეყნებისა და მხარეების მბრძანებლის წყალობის მომლოდინეებმა, გავიგეთ მთავარეს ავით ნათელი ამალის ქაიხოსროსებრი ბრწყინვალე ბანაკის ყაზახისაკენ წასვლის სასიხარულო ამბავი.

რადგან ამოვიდა ქვეყნის მანათობელი მთვარე და ბედნიერ დროშებსა და ბატონის ბანაკს სხივები მოაფინა. სულის შეწირვის ასპარეზობის ვაჟკაცებმა დაიძრნენ და ერთადერთი ბატონის ამაყმა დროშებმა და აღმებმა დაჩრდილეს ბრძოლის ველი.

რადგან მსახურებმა (ბატონს) არ გაუცრუეს ერთგულებისა და თავდადების იმედი, ძლევამოსილმა ლაშქარმა უსახღვრო ზეიმითა და სიხარულით მიიტანა იერიში. დღედაბნელებულ

მტერს საბრძოლველ მოედანზე გაუცრუვდა თავის იმედები. იგი გაუბედურდა და დანაღვლიანდა.

თ, ღმერთო! ვიდრე მზის ამალა – კამკამა ვარსკვლავები მართავენ ამ ვრცელ ქვეყანას, ვიდრე ამ მუდმივ ქვეყანას, ამშვენებს ერთადერთი ბატონის [იგულისხმება მეფე ერეკლე II. ნ. ჯ.] ძლევამოსილი და დაუმარცხებელი ჯარები, იგი უბედურებათა შემოსევებისაგან თავს დაიცავს ქვეყნის შემქმნელის სახიზნავში დამალვით.

ამ ბედნიერ დროს, ასეთი სიხარულის და ჟამკეთილობის აღსანიშნავად და გამარჯვების მოლოცვის წარმოსადგენად ჩვენს სასიხარულო მოვალეობად მივიჩნიეთ ერთ-ერთი ძველი მსახურის გამოგზავნა. მაღალადგილოვანი გავამზადეთ და გამოვუშვით ბრწყინვალე მაღალი ბატონის სამსახურად.

ამ ერთგულთა მოხსენება ცარიელი რომ არ იყოს, ზემოხსენებულს ცოტაოდენი ნივთები გამოვატანეთ სასახლეში სამართლიანობის საფუძველთან. გთხოვთ და გემუდარებით, იმ მრავალი წყალობისა და საჩუქრის ბადლად, რომელიც ამ ერთგულთათვის ხშირად მოგიძღვნიათ, ეს ღარიბული მოსართმეველი იყაბულოთ და მოწყალედ შეგვინდოთ, რომ იგი თქვენი საკადრისი არ არის" (35, 34-35).

ერთგულების ფიცს ერეკლე II-ს მის ქვეშევრდომობაში მყოფი სახანოების მოსახლეობაც აძლევდა. მაგალითად, ერევნის სახანოს მცხოვრებნი ქართველ მეფეს სწერდნენ: „სანამ ცოცხალნი ვართ, სანამ პირში სული გვიდგას, თქვენი ერთგულნი და მორჩილნი ვიქნებით, ჩვენგან საწყენი და სასაყვედურო არაფერი შეგხვდებათ, სულ თქვენს სამსახურს ვეცდებით" (35, 19).

1783 წლის 12 სექტემბერს, ავსტრიის ელჩი რუსეთში, გრაფი იოჰან ლუდვიგ იოსებ კობენცლი სანკტ-პეტერბურგიდან ვენაში, იმპერატორისადმი გაგზავნილ წერილში წერდა, რომ ერეკლე II-მ "ყველა თავისი ვასალი დაიმორჩილა და ამ მხარეების

უძლიერესი ხელმწიფეა. საჭიროების შემთხვევაში შეუძლია 40 ათასი კაცის გამოყვანა" (30, 74-75).

სამხრეთ კავკასიაში მდებარე სახანოთა ნაწილის მესვეურები თავიანთ ქართველ მბრძანებელთან საკმაოდ კარგ დამოკიდებულებაში იყვნენ.

ი. გიულდენშტედტი (1745-1781) ერეკლე II-ის ერთგულთა შორის მოიხსენიებს განჯის ხანს, „თუმცა ქართლის მეფე თავის ბატონობას ავრცელებს მასზე. ამჟამად (1772), მეფე და ხანი კარგ დამოკიდებულებაში არიან; ასე, მაგალითად, გასულ ზაფხარში, ხანი ცოტა ხნით ესტუმრა ერეკლეს თბილისში" (11, 247).

რასაკვირველია, ქართველი გვირგვინოსნისადმი მისი ვასალი ხანების ერთგულებას „პატარა კახის" სამხედრო ძლევამოსილება განსაზღვრავდა. მართებულად შენიშნავდა ი. გიულდენშტედტი, რომ მართალია, ერეკლე II-ის ვასალი ხანები „მეფის ქვეშევრდომობაში არიან, მაგრამ გარემოებათა გამო, ხან ყარსის თურქების, ხან ერევნის ხანის მხარეზე დგებიან... არიან არასაიმედო ქვეშევრდომები" (11, 243).

ყოველივე ამის გამო, ქვეშევრდომ სახანოთა დამორჩილება ქართველი მონარქისაგან მოითხოვდა დიდ ძალისხმევას და მუდმივ საბრძოლო მზადყოფნას, რასაც ერეკლე II თავისი მეფობის ხანგრძლივი დროის განმავლობაში შესაშური წარმატებით ახერხებდა.

დ. ლენგი წერს, რომ „ქართულ იარაღს შიშითა და ბატივისცემით შესცქეროდნენ მთელ სპარსეთში. აზერბაიჯანისა და სომხეთის ბევრი სახანო ხარკს უხდიდა თბილისის სამეფო კარს" (19, 169).

ძლევამოსილ ქართველ მონარქთან კავშირის დამყარებით ევროპელი დიპლომატებიც დაინტერესდნენ.

1763 წელს ფრანგი კონსული ბერანჟე საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრს, ჰერცოგ შუაზელს წერდა, რომ საჭირო იყო რუსეთის შეფერხება აზიის საზღვრებთან, რაც მას

იძულებულს გახდიდა ევროპის საქმეებს ჩამოშორებოდა. ამისათვის იგი აუცილებლად თვლიდა კავშირის შეკვრას ერეკლე II-სთან (14, 632).

გერმანელი მეცნიერი და მოგზაური ი. გიულდენშტედტი თავის ზემოხსენებულ ნაშრომში მიუთითებდა, რომ ერეკლე II „მართავდა ჯერ კიდევ თეიმურაზის სიცოცხლეში, მისი საქართველოდან რუსეთში წასვლის განმავლობაში... მისი დედა იყო თამარი, ასული საქართველოდან გადახვეწილი და რუსეთში გარდაცვლილი მეფის ვახტანგისა... სხვადასხვა უბედური შემთხვევებისა და გაჭირვების მიუხედავად, თავის მმართველობის დროს, მან არა თუ არც სამფლობელო და არცერთი პროვინცია არ დაკარგა, არამედ ხელიდან გაუმეფებლად, თუმცა ხანდახან საკმათ გაჭირვებით, შეინარჩუნა ტახტი" (11, 197-201).

ერეკლე II-ის სხვა დადებით თვისებებთან ერთად, გამოკვლევაში ხაზგასმით არის აღნიშნული, აგრეთვე, მეფის გამორჩეული სტუმართმოყვარეობა და თავაზიანობა. ამის შესახებ ვკითხულობთ: „ერეკლე მეფე მოვიდა ბანაკში თავისი ამალით [1771 წლის] 14 ოქტომბერს და მეორე დღეს დამინიშნა მე ოფიციალური აუდიენცია. მან გამოთქვა დიდი კმაყოფილება ჩემი მოსვლის გამო და დამპირდა ყოველგვარ დახმარებას, რაც კი დასჭირდებოდა ჩემს ექსპედიციას. ეს დაპირება მე აღმოჩნდა ვად გამოიყენე. მან ნება დამრთო გავყოლოდი მას და მის რაზმებს, რაც ჩემთვის სასარგებლო იყო. ლაშქარმა გაიარა ზევით მტკვრის გასწვრივ, დაახლოებით 120 ვერსი, თურქულ ქალაქ ჰესტიოისამდე, იგივე ხარტისამდე [მთარგმნელის შენიშვნით – ხერთვისამდე], რომელსაც ლაშქარი თავს დაესხა და დააარბია. შემდეგ მეფე დაბრუნდა თბილისში...

მისი მეფური უმაღლესობა მე ყოველდღიურად მიწევდა აქ მფარველობას, ზრუნავდა და ხელს უწყობდა ყველა ჩემი გეგმის განხორციელებას. სამეფო კარი და დიდებულები იჩენდნენ

მეტად სანაქებო მზადყოფნას – დამხმარებოდნენ მე. მთელს ექსპედიციას ჰქონდა ქალაქში კარგი ბინები...

ერეკლე მეფემ ბრძანა ჩემთვის დაეჭირათ ნადირები, მოეტანათ მინერალები და ხშირად დიღხანს და არაჩვეულებრივად თავაზიანად მესაუბრებოდა მე.

15 ნოემბერს მეფემ მიმიწვია და მელაპარაკა ძალიან თავაზიანად ჩემს გეგმებსა და მიზნებზე, თავისი ქვეყნის მდგომარეობის შესახებ, პრუსიის ომზე და ა. შ. ამის შემდეგ ის მე ხშირად მიხმობდა კარზე, მაჩვენებდა ხოლმე მინერალებს, ეცნობოდა მათი დამუშავების ხერხებს; იგი დამპირდა ნება დაერთო მემოგზაურა მის ქვეყანაში, სადაც მოვისურვებდი; დამეთვალიერებინა და შემესწავლა ყველაფერი. მეტწილად ვხვდებოდი მე მასთან პატრიარქ ანტონს... იგი თან ახლდა მეფეს მაშინაც, როდესაც ერთხელ პატივი დამდო მეფემ და მესტუმრა, რათა ენახა ჩემი კოლექციები" (11, 5-7).

გერმანელმა მოგზაურმა და ექიმმა იაკობ რაინეგსმა ანუ ქრისტიან-რუდოლფ ელიხმა (1744-1793), რომელმაც 1778-1784 წლებში კავკასიაში რამდენჯერმე იმოგზაურა, თავის ნაშრომში „კავკასიის საყოველთაო ისტორიულ-ტოპოგრაფიული აღწერა" ქართლ-კახეთის მეფეს მაღალი შეფასება მისცა და იგი გონიერ, მამაც, კეთილშობილ და გულუხვობით გამორჩეულ პიროვნებად წარმოაჩინა.

ი. რაინეგსი წერს: „მხოლოდ კახეთი... მედგრად აღუდგა წინ ყველაფრის ჩამდენი თათრების თავდასხმებს. მაინც საბოლოოდ ეს წინააღმდეგობა შესუსტდებოდა, რომ მეფე ერეკლეს ხან ბრძოლით, ხან დაპირებებითა და ძღვენით ბოლო არ მოეღო ამ გაჭიანაგებელთა თავდასხმებისათვის. ამ მბრძანებლის დროს იწყეს უკაცურმა ადგილებმა აყვავება და დასახლება" (27, 147).

ი. რაინეგსისავე ცნობით, XVIII საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში, დასავლეთ საქართველოს სამეფო-სამთავროებში შექმნილი უმძიმესი პოლიტიკურ-ეკონომიკური ვითარებისაგან

განსხვავებით, „სულ სხვა მდგომარეობაშია საქართველოს ის მოსახლეობა, რომელიც მეფე ერეკლეს ხელქვეით ცხოვრობს.

ინდოეთში ლაშქრობამ, სადაც ეს ბატონი ნადირ-შაჰს ახლდა, ერეკლეს დაანახვა და ასწავლა ამოერჩია საშუალებანი ცხოვრების წესების სირბილესა და უხეშ სიმკაცრეს შორის.

მუდმივი ურთიერთობა მეზობელ მფლანგველ სპარსეთის მმართველებთან და თურქეთის ფაშებთან, მათი ელჩების გაუთავებელი სტუმრობა, ყოველივე ამან აიძულა ის, საჭიროებისამებრ უფრო მდიდარი ყოფილიყო და ეფიქრა საშუალებებზე, რათა, სულ ცოტა, სათანადო სიმყუდროვე მაინც მოეპოვებინა, რასაც მას მისი ქვეყანა სთავაზობს და რასაც მას მისი მდგომარეობა და გვარი ავალებენ. ყველა სარგებელი გამოცხადებულ იქნა კანონიერად; ეძებდნენ ყოველ შესაძლო საშუალებას, რათა ებრწყინათ; და გარკვეული დინაკლისის შევსება ვაჭრებს მიანდო, რომლებიც რუსეთიდან, სპარსეთიდან და თურქეთიდან ამ მხარეში ვაჭრობდნენ“ (27, 180).

1780 წლის 21 იანვარს, ი. რაინეგსის მიერ თბილისიდან ლაიბახში, ბრთფესორ ჰაკეტისადმი გაგზავნილ წერილში ვკითხულობთ: „მეფე ერეკლეში მე ვნახე ღირსეული კაცი, როგორიც კი ბუნებას შეუძლია შექმნას; მე ის შევიყვარე და ჩვენი მეგობრობა ისე გაღრმავდა, რომ მას მამასაც კი ვეძახდი.

ბედმა ამ მეფის მოწყალება კიდევ უფრო მეტი ძალით მომანიჭა. მეფის უფროსი ვაჟი და ტახტის მემკვიდრე გიორგი ხანი ძალზე მძიმედ გახდა ავად. ჩემმა ევროპულმა პრაქტიკულმა ცოდნამ ის კვლავ ფეხზე დააყენა.

ერეკლემ არ დაიშურა ჩემთვის თავისი წყალობა: მეფური ტანსაცმელი, საუკეთესო ქსოვილები, ძვირფასი ბეწვეული, მნიშვნელოვანი ფულადი თანხა ჩემსკენ ნაღვრად წამოვიდა. გარდა ამისა, ნება მომეცა სუფრასთან ყოველთვის მეფის გვერდით ვმჯდარიყავი და მისი ვაჟების საზოგადოებაში დაუბრკოლებლად გამოვჩენილიყავი. მან მე მიბოძა ბეგის ტი-

ტული – ამ ქვეყანაში აზნაურთა უმაღლესი ხარისხი; აგრეთვე მიწყალობა 7 სოფელი 500 კომლით, სანამ საქართველოში დაერჩებოდი. აქედან მე ყოველწლიურად დაახლოებით 4000 გულდენის შემოსავალი მქონდა“ (27, 89).

გერმანელმა მეცნიერმა ი. დ. გერსტენბერგმა ი. რაინეგსის ზემოხსენებული ნაშრომი მისი ავტორის ერცელი ბიოგრაფიული ნარკვევის თანხლებით, 1797 წელს წიგნად გამოსცა. ქართლ-კახეთის მონარქის შესახებ იგი შენიშნავდა, რომ ერეკლე II იყო იმ მასშტაბის სახელმწიფო მოღვაწე, „რომლის მსგავსი საუკუნეებში ერთი თუ იბადება. ეს ის კაცია, რომელიც ნადირ ყული-ხანს ინდოეთში ახლდა და საქართველოში დაბრუნებისთანავე აქ გაბატონებული თურქების ჯარები ისე დაამარცხა და გაფანტა, რომ ველარ ბედავენ მისი სამფლობელოს საზღვრებში შემოსვლას.

ეს ის კაცია, ვინც დააძაბუნა სპარსეთი, რომელიც ადრე დიდი ძალებით უტევდა, ვინც ჯარების სარდალი და მბრძანებელი აზატ ხანიც კი დაატყვევა და მამინდელ მმართველ ქერიმ-ხანს სპარსეთში გაუგზავნა, ხოლო თავის ქვეყანაში 22 წელია სიმშვიდე დაასადგურა! მაგრამ ყველა ეს საქმე ამ პრინცის განსადიდებლად არასაკმაო იქნებოდა, რომ მას თავისი შინა მტრები არ გაენადგურებინა და კავკასიაში მცხოვრები ის ხალხები თავის საძსახურში არ ჩაეყენებინა, რომელთაც ადრე არაფერი იცოდნენ ყმობისა...

ასეთი მმართველი, რომელიც გარდა აშისა, არის კაცთმოყვარე, თავისი ხალხის მზრუნველი მამა და მეცნიერებათა მოყვარე, რაც აქ ძალზე აკლიათ, განა არ იმსახურებს საყოველთაო აღიარებას?“ (27, 81-82).

გახშირებული სამხედრო ხარჯები მძიმე ტვირთად აწვებოდა ქართლ-კახეთის სახელმწიფო ბიუჯეტს. გამუდმებული ბრძოლების შედეგად, ქართული ჯარის რაოდენობაც თანდათან მცირდებოდა.

ამის გამო, დამატებითი, დაქირავებული ლაშქრის სახით, მეფე ერეკლე II ჩრდილო კავკასიაში მცხოვრებ თითქმის ყველა ხალხს იყენებდა. როგორც უკვე აღვნიშნეთ, იმ პერიოდის ქართულ ჯარში თავს ხშირად იყრიდნენ, რთგორც ადიღური ხალხები, ასევე ჩეჩნები, ინგუშები, ოსები, ყალმუხები, ნოღაელები და სხვები.

აღსანიშნავია, რომ ერეკლე ადვილად ახერხებდა არა მხოლოდ ჩრდილოკავკასიელთა, არამედ სომხების, ქურთების, აისორებისა და თურქულენოვანი ხალხების მიმხრობასაც (24, 32-33).

მიუხედავად ამისა, ჩანს, რომ სხვა კავკასიელ ხალხთა შორის, ერეკლე უპირატესობას ანიჭებდა თავისი სათაყვანებელი დედის ნათესავ ადიღელ ხალხებს, რომლებსაც ყველაზე გამორჩეულ და ერთგულ მებრძოლებად მიიჩნევდა (37, 148).

ქართველი მონარქი არა მხოლოდ კავკასიის, არამედ ახლო აღმოსავლეთის ხალხებში დიდი პატივისცემით სარგებლობდა. მისმა "გაძლიერებამ 60-იან წლებში გამთაკოცხლა ახლო აღმოსავლეთის ჩაგრული ხალხების, უპირატესად ქრისტიანების განმათავისუფლებელი მოძრაობა (სომხები, აისორები, ქურთთა ზოგიერთი ტომი, ანატოლიელი ბერძნები და სხვ.), რომლებიც იმ დროს საქართველოს დახმარებით ფიქრობდნენ თავისუფლების მოპოვებას და ერეკლეს მფარველობას მოითხოვდნენ" (14, 635).

ერეკლე II-ის მიმართ მოწიწება თანაბრად შესამჩნევი იყო როგორც ქრისტიანთა, ასევე მუსლიმთა შორის.


სახელმწიფოებრიობადაკარგული სომეხი ხალხის ერთადერთი გამაერთიანებელი ძალის – სომხური სამოციქულო ეკლესიის მესვეურები მეფე ერეკლე II-ის მიერ მოპოვებულ სამხედრო-პოლიტიკურ გამარჯვებებს დიდი იმედით უმზერდნენ. მათ ქართველი მეფე სომხური მიწა-წყლის გამომხსნელად და მრავალტანჯული სომეხი ერის მფარველად მიაჩნდათ.



ქართლ-კახეთის სამეფოს სახელმწიფო გერბი
(გიორგი XII-ის მეუღლის პერიოდში)



კათოლიკოს-პატრიარქი ანტონ II
(ერეკლე II-ის ვაჟი თეიმურაზი)




იულონ
გატონიშვილი
(ერეკლე II-ის ვაჟი)




ალექსანდრე
გატონიშვილი
(ერეკლე II ის ვაჟი)



ფარნაოზ გაბუნიშვილი
(ერეკლე II-ის ვაჟი)




საქართველოს სამეფოს
გერბი
(რუსეთის იმპერიის დიდი
სახელმწიფო გერბიდან)



რუსეთის იმპერიის დიდი სახელმწიფო გერბი

(ისრით მითითებულია „საქართველოს სამეფოს გერბი")



უგანათლებულესი თავადების – გრუზინსკების
(ბაგრატიონების, ერეკლე II-ის შთამომავლების)
საგვარეულო გერბი

დავით გატრონიშვილი
(გიორგი XII-ის ვაჟი)






იოანე გატრონიშვილი
(გიორგი XII-ის ვაჟი)



თემურაზ
ბატონიშვილი
(გიორგი XII-ის ვაჟი)



ოქროპირ
ბატონიშვილი
(გიორგი XII-ის ვაჟი)



ბაგრატ ბატონიშვილი
(გიორგი XII-ის ვაჟი)



ეკატერინე ჩოლოყაშვილი
(ბაგრატ ბატონიშვილის მეუღლე)



ალექსანდრე გაგარინის ძე გრუზინსკი
(ბიცრიცყაია)



ელენე თარხან-მოურავი
(ა. ბ. გრუზინსკის მეუღლე)



პეტრე ალექსანდრეს ძე
გრუზინსკი
(ბიოგრაფიონი)



თამარ დეკანოზიშვილი
(პ. ა. გრუზინსკის მეუღლე)



ძმები: ოლია, პეტრე, და გიორგი ალექსანდრეს ძე გრუზინსკები (ბაგრატიონები) დედასთან – ელენე თარხან-მოურავთან ერთად





პეტრე პეტრეს ძე გრუზინსკი (ბიუსტისთვის)



ნ'შგზარ პეტრეს ძე ბაგრატიონ გრუზინსკი
(ერეკლე II-ის პირადობაში მოთავსებული ფიზიკური სახით)



ნუგზარ პეტრეს ძე ბაგრატიონ-გრუზინსკის ოჯახი

მარცხნიდან დგანან: მარია, ნუგზარ და ანი ბაგრატიონ-გრუზინსკები.
სხედან: დეიდა ეთერი-პაპუნა-ბაგრატიონ-გრუზინსკისა
და ლია შგელაძე-გრუზინსკისა.
შუაში ზის ნ. პ. ბაგრატიონ-გრუზინსკის შვილიშვილი ოთარიკაში ჭოჭოხაძე



გათირგი გერსიგროვი

აღიღეს რესპუბლიკის
განათლებისა და მეცნიერების მინისტრი (1992-2000 წწ.),
პრეზიდენტი
(ქ. მაიკოპი, 2005 წ.)



ტეუჩეშ კატი

გამოჩენილი ჩერქეზი მხატვარი,
საერთაშორისო პრემიების
ლაურეატი
(ქ. მაიკოპი, 2005 წ.)

ყოველთა სომეხთა კათოლიკოსი ლუკასი სიხარულით აღნიშნავდა, რომ ქართველმა მონარქმა ბრძოლით „დაიმორჩილა ბორჩალოს, ყაზახის, ერევნის, განძაკის, არცახისა და სივნიეთის მფლობელნი, გვირგვინი დაიდგა და გამეფდა საქართველოსა და სომხეთში“ (14, 614).

ყოველთა სომეხთა კათოლიკოსი სიმეონ ერევანცი (ამ თანამდებობაზე იმყოფებოდა 1763 წლიდან) თავის ნაშრომში „ჰიშატაკარანი“ („მემუარები“) წერდა: „ქართველთა მეფემ ერეკლემ, ღვთივ ძლიერმა და ეკლესიის მამაცმა დამცველმა, ვაჟკაცურად აღმართა ხელი წმინდა ეკლესიისა და თავის მტერზე... და მათს ბოროტებას საკვდილითა და სასჯელით უპასუხა. ამით დიდი სიხარული მოუტანა მთელ ქართველთა სახლს“ (10, 117).

ქართული სახელმწიფოს გაძლიერება-განმტკიცება დიდი ნუგეში იყო სომეხი ფეოდალებისათვისაც. ისინი მათივე ქვეყანაში გაბატონებული უცხოელ წარჩინებულებთან შედარებით, გაცილებით ნაკლები უფლებებით სარგებლობდნენ და იერარქიული კიბის დაბალ საფეხურზე იდგნენ. განმათავისუფლებელი ბრძოლის წარმოება მათ მხოლოდ ძლიერი ქრისტიანი მფარველის დახმარებითა და წინამძღოლობით შეეძლოთ ამიტომ, მათ გეგმებში ქაროველ გვირგვინოსნებთან კავშირს გამორჩეული ადგილი ეკავა. ამის მაჩვენებელი იყო სომეხ წარჩინებულთა ერთი ნაწილის მიერ საკუთარი სამშობლოდან საქართველოში გადასახლება და ქართველ მეფეთა ქვემევრდომობაში შესვლა (21, 238-239).

სომეხი ისტორიკოსი ლეო (არაქელ ბაბახანიანი) (1860-1932) ფრიად დადებით შეფასებას აძლევდა ქართველი მეფის მოღვაწეობას. იგი წერდა: „ერეკლე კავკასიის ქრისტიანების ერთადერთი იმედი იყო. ერეკლე ერევანში მოდის, როგორც ძლიერი მებრძოლი და ბედნიერება მოაქვს მრავალტანჯული ქვეყნისათვის.

1762 წელს ერეკლე თავის ხელისუფლებას უმორჩილებს საქართველოს ორ ურთიერთმტრულად განწყობილ სამეფოს – კახეთსა და ქართლს, აგრეთვე საქართველოს საზღვრებს გარეთ მყოფ თურქ ხანებს, ამაგრებს ქვეყანას და მის მისადგომებს.

ამიერკავკასიის თურქი ხანები დიდხანს ებრძოდნენ ერთმანეთს, თითოეული ისე დასუსტებული და დაქანცული იყო სპარსთა ცენტრალური ხელისუფლებისაგან, რომ ადვილი შესაძლებელი იყო უფრო ძლიერის ხელში მოქცევა.

ერეკლემ შესანიშნავად გამოიყენა ეს მდგომარეობა – ერევნისა და განჯის ხანები მისი მოხარკენი გახდნენ, ხოლო სხვები მის მეგობრობას ეძიებდნენ. ადამიანებისა და სხვა ქვეყნების თვალში ერეკლე იმითაც ამაღლდა, რომ იგი ყველგან ებრძოდა დაღესტნელ მთიელებს, რომლებიც შიშის ზარს სცემდნენ კავკასიის ქვეყნებს. მისი შეწევნით სამხრეთ კავკასიის ხალხები ობვიათადღა ხედავდნენ ლეკებს" (10, 25-26).

ერეკლე II ერთიანი ქართულ-სომხური სამეფოს მონარქად ჰყავდა წარმოდგენილი ინდოეთში მცხოვრებ სომეხ ვაჭართა წრიდან გამოსულ სომეხთა განმათავისუფლებელი მოძრაობის თვალსაჩინო მოღვაწეს, იოსებ ემინს (1726-1809). ამ და სხვა საკითხებთან დაკავშირებით იგი რამდენჯერმე ეახლა თბილისში ქართველ მეფეს, რომელთანაც საკმაოდ ხშირი მიმოწერა ჰქონდა (46).

ი. ემინის ბიოგრაფიიდან ნათელი ხდება, რომ ოსმალეთის შემადგენლობაში მყოფი სომხეთის ტერიტორიაზე წმ. კარაპეტის მონასტრის წინამძღვარი ოვსანი ამზადებდა შეიარაღებულ გამოსვლას ოსმალთა ბატონობისაგან განთავისუფლების მიზნით, რომელსაც მხარს ქურთებიც უჭერდნენ (14, 635).

ერთიანი ქართულ-სომხური სამეფოს ჩამოყალიბების მიზანს ემსახურებოდა მჭიდრო კავშირის დამყარება მეფე ერეკლე II-სა და ინდოეთის სომხურ კოლონიას შორის, რამაც

XVIII საუკუნის 80-90-იან წლებში განსაკუთრებით ინტენსიური ხასიათი შეიძინა.

„პატარა კახი" თაყვადაკ დაინტერესებული იყო მსხვილი კაპიტალის მქონე სომეხი ვაჭრების მოზიდვით. გარდა იმისა, რომ დიდვაჭრები სამეფო ხაზინას საგრძნობ შემოსავალს აძლევდნენ, ამავდროულად, ისინი მეფის ხელისუფლების საიმედო პოლიტიკურ დასაყრდენსაც წარმოადგენდნენ.

ქ. მადრასში (ინდოეთი) მცხოვრები სომეხი მილიონერი შაამირ შაამირიანი და მისი თანამოაზრენი თავიანთი სოლიდური კაპიტალის საქართველოში გადმოტანას კონკრეტულ პოლიტიკურ ამოცანებს უკავშირებდნენ. მათი უმთავრესი მიზანი იყო ერეკლე II-ის ხელშეწყობით სომხური მიწების განთავისუფლება და ერთიანი ქართულ-სომხური სამეფოს შექმნა (22, 162-163).

შ. შაამირიანი ერეკლე II-ს მოკრძალებით ურჩევდა, რათა მას ქართლ-კახეთში ბატონყმური წყობილება გაეუქმებინა. ასეთ შემთხვევაში, მეფის, ეკლესიისა და ფეოდალების ფინანსურ კომპენსაციას შაამირიანი თვითონ კისრულობდა. ამასთანავე, იგი მზად იყო, რომ მთელი თავისი ქონებითა და ყმებით საქართველოში გადმოსახლებულიყო, რის შემდეგადაც ქართლ-კახეთში დანერგავდა ახალ ტექნიკურ კულტურებს: შაქრის ლერწამს, ბამბას და ა. შ. და მათ გადამამუშავებელ მრეწველობას შექმნიდა. ამ დიდი პროექტის ფინანსურად უზრუნველსაყოფად იგი მზად იყო, რომ 10 მილიონი რუპია გაეღო (22, 163).

აღსანიშნავია, რომ შ. შაამირიანმა ქართველ მონარქს გამოუგზავნა ოქროს გვირგვინი, სამეფო ხელისუფლების სხვა ნიშნები და მის მიერ საგანგებოდ შექმნილი წარჩინების ნიშანი. ბრილიანტებით მოოქვილ და ოქროსკვაჭვიან ამ ძვირფას ვილდთზე აღბეჭდილი იყო გაერთიანებული ქართული და სომხური გერბები შუაში გამოსახული კრავით (21, 280).

მადრასელ მილიონერს ვალში არც ერეკლე II დარჩა. მან

შ. შაამირიანს ქართველი თავაღის წოდება და სამფლობელოდ ლორე უბოძა (21, 280).

საკუთარ სახელმწიფოებრიობას მოკლებული და ჩაგრული აისორთა იმედსაც ერეკლე II წარმოადგენდა. ამიტომაც, აისორთა ნაწილი ქართლ-კახეთში გადმოსახლებას აპირებდა (14, 635).

ერეკლე II-ის ერთგულ ქვეშევრდომთა მნიშვნელოვანი ნაწილი ისლამური რელიგიის მიმდევარი იყო. მათ შორის ყაზახის მხარის (ამჟამად მდებარეობს აზერბაიჯანში) მოსახლეობაც იყო.

ი. რაინეგსი წერდა: „მართალია, ყაზახელები მაჰმადიანები არიან, მაინც ყველაზე მამაცი და ერთგული ვაჩარისკაცები არიან ერეკლესი...

ყაზახს ეძახიან კიდევ ხალხს, რომელიც, როგორც მათ მიერ დასახელებული ქვეყანა, იწოდება შამშადილად. მისი მოსახლეობის ნახევარზე მეტნი არიან აგრეთვე მაჰმადიანები, დანარჩენები კი – სომხები, რომლებიც, როგორც ყაზახელები, ომიანობისას ასევე გულადები და ერთგულები არიან თავისი ბატონისა“ (27, 161).

ქართლ-კახეთის მეფის პატივისმცემელთა შორის გამორჩეული ადგილი ეკავათ ადიღელ ფეოდალებს. მათი ერთგულება თავიანთი საამაყო ნათესაობის – ერეკლე II-ის მიმართ XVIII საუკუნის 80-იან წლებში კიდევ ერთხელ გამოჩნდა. ამას წინ შემდეგი მოვლენები უძღვოდა.

რუსეთის იმპერიის მესვეურებმა მიზნად დაისახეს, რომ საქართველოს გაძლიერება, როგორც სამხედრო-პოლიტიკური, ასევე სამრეწველო-ეკონომიკური თვალსაზრისით არავითარ შემთხვევაში არ დაეშვათ.

XVIII საუკუნის 70-იან წლებში ერეკლე II ამაოდ სთხოვდა რუსეთის საიმპერატორო კარს, რომ ყიზლარში ორი წლის განმავლობაში უქმად მდგარი რუს მაღაროელთა რაზმი მასთან გაეგზავნათ. ეს იმით იყო განპირობებული, რომ „რუსეთს არ სურდა, რათა იმჟამინდელ საქართველოს საკუთრივ

განვითარებინა თავისი სამთო საქმე. რუსეთისათვის უფრო ხელსაყრელი იყო ნედლეულით მდიდარი, მაგრამ ჩამორჩენილი საქართველო, ვიდრე განვითარებული ქვეყანა, რადგან ისეთის დაპყრობას უფრო ადვილად შესძლებდა" (11, 087).

1768-1774 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომში საქართველოც აქტიურად მონაწილეობდა.

რუსეთის იმპერიის მესვეურთა მოწოდებას ანტიოსმალურ საშხედრო ბლოკში გაერთიანების თაობაზე ქართველი მეფე-მთავარნი დიდი ენთუზიაზმით გამოეხმაურნენ.

ეს გარკვეულწილად იმანაც განაპირობა, რომ ქართველ მეფე-მთავრებს შესაძლებლად მიაჩნდათ დაბრუნება საქართველოს ისტორიული ტერიტორიების იმ ნაწილისა, რომელიც ოსმალეთის იმპერიის საზღვრებში იყო მოქცეული.

იმხანად, ქართლ-კახეთის „სამეფო კარზე სერიოზულად იდგა სამცხე-საათაბაგოს პრობლემა. ამ სანუკვარ ოცნებას მაშინ პირდაპირ ეხმაურებოდა დიდი რუსეთის იმპერია, რომელიც ოსმალეთთან ახალ ომს იწყებდა და კავკასიელი ქრისტიანების მიმხრობას ცდილობდა. ამ ომით კიდევ უფრო მეტად იყო დაინტერესებული სოლომონ იმერთა მეფე. იგი წარმატებით ებრძოდა საქართველოს ზღვისპირეთზე თუ იმერეთის ცხინვალში მოკალათებულ ოსმალებს და ამ საქმეში რუსთა დახმარების მონატრული იყო" (14, 635-636).

საერთო მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში ქართველმა მეფე-მთავრებმა თავი დიდად ისახელეს.

მიუხედავად ამისა, საომარი კამპანიის დასრულების შემდეგ, სანკტ-პეტერბურგიდან მოსული სათანადო ბრძანების შესაბამისად, რუსულმა სამხედრო ნაწილებმა კრიტიკულ მომენტში შიატოვეს თავიანთი ერთგული ქართველი მოკავშირეები და უკან გაბრუნდნენ.

საქართველოდან რუსული ჯარების მოულოდნელმა

წასვლამ ქართველი მეფე-მთავარნი ფრიად მძიმე მდგომარეობაში ჩააყენა.

სამხრეთ კავკასიაში რუსთა გამოჩენით გაბოროტებული ოსმალეთისა და ირანის პირისპირ საქართველო კვლავინდებურად მარტო, მხოლოდ საკუთარი ძალების ამარა დარჩა.

იმხანად შექმნილ ურთულეს საგარეო-პოლიტიკურ ვითარებას ერეკლე II სავსებით თბილისურად აფასებდა და რუსეთის საიმპერატორო კარს წერდა: „გველებივით პირდაღებული თურქები რკალს გვარტყამენ, სპარსელები მძვინვარე ლომებივით შემოგვყურებენ, ხოლო ლეკები მშიერი მგლებივით ჩვენზე კბილებს ილესავენ“ (49, 408).

შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე, აუცილებელი გახდა, რომ ერეკლე II-ს ოსმალეთის სულთანთან საერთო ენა გამოენახა, რაც მან წარმატებით მოახერხა.

1774 წელს ქართლ-კახეთის მეფის ელჩი გურგინ ენაკოლოფაშვილი კონსტანტინოპოლში ჩავიდა, სადაც სულთან აბდულ-ჰამიდის კარზე ისი დიდი პატივით მიიღეს. ამას მოჰყვა ქართლ-კახეთის სამეფოს ურთიერთობების მოწესრიგება ვეზირ ახალციხის საფაშოსთან, ხოლო შემდეგ ოსმალეთთან (34, 92-93).

1776 წელს ოსმალეთთან დადებულმა ხელშეკრულებამ და ფაქტობრივად სულთნის მფარველობაში შესვლამ (9, 226) ერეკლე II-ს შესაძლებლობა მისცა, რომ ერევნის სახანო უშუალოდ შეეერთებინა ქართლ-კახეთისათვის და ამით სამხრეთ კავკასიაში ჰეგემონობა კვლავ შეენარჩუნებინა.

ერეკლე II-ის კავშირმა რუსეთის ტრადიციულ მტერთან – ოსმალეთის სულთანთან სანკტ-პეტერბურგის საიმპერატორო კარი დიდად შეაშფოთა. მათ გარკვეული კონტრზომები მიიღეს, კერძოდ, ქართლ-კახეთის სამეფოში ვითარების დესტაბილიზაციის მიზნით, კავკასიაში გამოგზავნეს ვახტანგ VI-ის შვილიშვილი, რუსეთში მცხოვრები ბატონიშვილი, იზმაილის პოლკის ლაიბ-გვარდიის ოფიცერი, ბატონიშვილი ალექსანდრე

ბაქარის ძე (1726-1791), რომელიც ქართლის ტახტის დაუფლებაზე ოცნებობდა (35, 8).

რუსეთის ძმაროყველ წრეებთან დაახლოებულ ალექსანდრე ბატონიშვილს ცოლად ჰყავდა პეტრე I-ის უახლოესი მეგობრის, გენერალისიმუს ალექსანდრე მენშიკოვის შვილიშვილი დარია ალექსანდრეს ასული მენშიკოვი (43, 48).

აღსანიშნავია, რომ ალექსანდრე ბატონიშვილი ჯერ კიდევ 1765 წელს ჩავიდა მოზდოკში, სადაც ქართლ-კახეთის მეფის წინააღმდეგ მოწყობილი შეთქმულების წარმატებით დასრულებას ელოდებოდა. შეთქმულების მონაწილეთა მარცხისა და მათი მკაცრად დასჯის შემდეგ, ალექსანდრეს ოცნებებს ფრთები შეეკვეცა. იგი იძულებული გახდა, რომ თავისი გეგმების განხორციელება დროებით გადაედო (14, 635).

XVIII საუკუნის 70-იანი წლებიდან ალექსანდრე ბატონიშვილი კვლავ ამოქმედდა. მისი გამოყენება ერეკლე II-ის წინააღმდეგ ბრძოლაში განზრახული ჰქონდა სპარსეთის მპყრობელს — ქერიმ-ხან ზენდს. იგი ქართლის სამეფოს აღდგენის საბაბით, 1778-1779 წლებში საქართველოში დამსჯელი ექსპედიციის მოწყობას გეგმავდა. ეს ლაშქრობა ქერიმ-ხან ზენდის მოულოდნელი გარდაცვალების (1779 წ.) გამო ჩაიშალა (39, 72).

ბაგრატ ბატონიშვილის ცნობით, 1778 წელს, როდესაც ქართუელი ჯარი ერეკლე II-ის სარდლობით გაბრუმორტყმული იყო ერევნის ციხეს და დღე-დღეზე მოელოდა ურჩი ვასალის უსეინ ალი-ხანის დანებებას, „მეფემან სოლომონ იმერთამან უბრკმა მეფესა ირაკლის, მთიყვანა ბაქარისშვილი ალექსანდრე სპარსეთით და აღუდგინა შფოთი ქართლსა შინა. მისი მსმენელი მეფე ირაკლი და უსეინ ალი ხან დაზავდნენ. მეფემან ირაკლიმ დასდვა ხარკი ერევანს წელიწადში ექვსი ათასი თუმანი, რომელსაცა იღებდენ ვიდრე დროდმდე მეფის გიორგის ძისა მისისაცა“ (13, 56-57).

აკად. ნიკო ბერძენიშვილის მოსაზრებით, ალექსანდრეს გაქ-

ტიურება განაპირობა რუსეთის საიმპერატორო კარის უკმაყოფილებამ ერეკლე II-ის საგარეო პოლიტიკით. იგი წერდა: „ჩანს, რუსეთის კარი შეშფოთებულია ერეკლეს პოლიტიკური ნაბიჯებით. უეჭველია, რუსეთი შეეცდება სათანადო ღონისძიებანი მიიღოს, რომ ერეკლეს გეზი შეაცვლევინოს (ჩერქეზ გადმოსახლებულთა დაკავება, ალექსანდრე ამილახვრის აშენება, ალექსანდრე ბაქარის ძის ფათალი-ხანთან გაჩენა და თვით ფათალი-ხანის აქტიურობა ერეკლეს წინააღმდეგ – ყველა ეს რუსეთის მეფის მიერ მიღებული კონტრზომები ჩანს)“ (7, 169).

1781 წლის აგვისტოში ალექსანდრე ბაქარის ძე იმერეთის სამეფოში ჩავიდა და კვლავ სოლომონ I-ს შეეხიზნა. ვინაიდან იმჟამერად იმერთა მეფე მას ძველებური პატივით აღარ დახვდა, მომდევნო წლის დასაწყისში, ალექსანდრე, რვა კაცის თანხლებით, რაჭიდან ჯერ ყაბარდოში გადავიდა, ხოლო იქიდან ტარკის შამხალ ყაზბულატთან წავიდა. მას დაგეგმილი ჰქონდა ჩრდილოკავკასიელი მთიელების გამოყენება თავისი მამიდაშვილის – ერეკლე II-ის ქართლ-კახეთის სამეფო ტახტიდან ჩამოგდებისა და ქართლის ტახტის დასაკუთრების მიზნით (8, 117).

ტახტისმაძიებელი ბატონიშვილი ჩრდილოკავკასიელ მთიელთა თავკაცებს გზადაგზა წყალობის სიგელებს ურიგებდა და მხარდაჭერისათვის ფულად თანხას (თითოეულს ხუთ თუმანს) ჰპირდებოდა (29, 147-148).

ალექსანდრე ბატონიშვილს განსაკუთრებით თავისი ნათესავი ადიღელი ფეოდალების მხარდაჭერის იმედი ჰქონდა.

ამის მიუხედავად, ადიღელთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ამ ავანტურას ისინი არ აჰყვნენ. მათ არ იკადრეს თავიანთი ნათესავისა და თანამებრძოლის – მეფე ერეკლეს ღალატი, თუმცა ალექსანდრე ბაქარის ძეც ასევე მათი ნათესავი იყო.

XVIII საუკუნის 70-80–იან წლებში ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე II-მ ყაბარდოელთა საქართველოში ჩამოსახლება სცადა. ამას სიხარულით გამოეხმაურა ადიღელ ფეოდალთა მნიშვნე-

ლოვანი ნაწილი. ეს გეგმა, რომელიც მუდმივი ვაჭრის შექმნას და ამით ქვეყნის გაძლიერებას ითვალისწინებდა, რუსეთის იმპერიის მესვეურებმა ჩაშალეს. მათ იმიტომ არ დაუშვეს ამ პროექტის განხორციელება, რომ მუდმივი სამხედრო ძალის შექმნით მომძლავრებულ ქართლ-კახეთში რუსეთის შეღწევის შესაძლებლობა მცირდებოდა. იმპერიის მესვეურთ ერჩიათ, რომ საქმე დასუსტებულ ქართულ სახელმწიფოსთან ჰქონოდათ, რომელიც სამხედრო დახმარებას მხოლოდ მათგან ითხოვდა და რომელსაც თავის საზღვრებში უფრო ადვილად მოაქცევდნენ (37, 148-151).

ერეკლე II-ის ენერგიულმა მოღვაწეობამ ფრიად გაართულა მისი ურთიერთობა სპარსეთთან და ოსმალეთთან. ქართველი გვირგვინოსანი იძულებული გახდა, რომ მათგან თავდასაცავად ევროპის ძლიერ სახელმწიფოთაგან და მათ შორის რუსეთისაგან დახმარება ეთხოვა.

აღსანიშნავია, რომ ერეკლე II-ის (და ასევე მისი მამის – თეიმურაზ II-ის) მმართველობით უკმაყოფილო ყველა პიროვნება ქართლის სამეფოს აღდგენის იდეით გამოდიოდა.

მათ შორის მეფის ერთ-ერთი ყველაზე აქტიური მოწინააღმდეგე იყო რუსეთში გახიზნული თავადი, XVIII საუკუნის უკანასკნელი მეოთხედის ქართველი პოლიტიკური მოღვაწე და მწერალი ალექსანდრე დიმიტრის ძე ამილახვარი (1750-1802). იგი მეფის წინააღმდეგ 1765 წელს მოწყობილ შეთქმულებაში მონაწილეობისათვის, მკაცრად დასაჯეს, თუმცა, მცირეწლოვნების გამო, ცოცხალი დატოვეს. ამის შემდეგ, მან რუსეთში გაპარვა (1772 წ.) მოახერხა და თავისი ცხოვრების უმთავრეს ამოცანად ერეკლე II-სთან "უკომპრომისო ბრძოლა დაისახა.

ქართლ-კახეთის მეფის მაღალი საერთაშორისო რეპუტაციის შელახვის მიზნით, ა. ამილახვარმა 1779 წელს, სანკტ-პეტერბურგში რუსულ ენაზე გამოაქვეყნა ავტობიოგრაფიული ხასიათის თხზულება "გეორგიანული ისტორია ჭაბუკ თავ-

ად ამილახვარზე, რომელსაც მისი ქვეყნის მოკლე ისტორიის დართვით, თავის ამხანაგებს უამბობს ანატოლიელი ვაჭარი – უსიმი“ (2, 28).

აღნიშნული წიგნის რუსული სახელწოდება იყო – „История георгианская о юноше князе Амилохорове“ (38). მასში ერეკლე II-ის მოღვაწეობა ძირითადად უსაფუძვლოდ არის გაკრიტიკებული. ავტორმა სცადა მეფის წარმოჩენა ქართლის სამეფო ტახტის უზურპატორად. მეფის მიმართ ამილახვრის შეურიგებელი დამოკიდებულების მთავარ მიზეზს მისდამი დაუფარავი პირადი მტრობა წარმოადგენდა.

მეფე ერეკლე II-ის ხელისუფლების დამხობას და ქართლის სამეფოს აღდგენას ალექსანდრე ამილახვარი ალექსანდრე ბაქარის ძესთან ერთად გეგმავდა.

აღნიშნულის თაობაზე ბაგრატ ბატონიშვილი წერს, ალექსანდრე ამილახვრის საქმიანობის მთავარი მიზანი იყო „რათამცა შურ ეგო მეფისა ირაკლისად, რომელიცა იყო მოკლებულ ნასაღითა დროს პაატა ვახტანგ მეფის ძისათანა შეთქმულებისა გამო“ (13, 57).

ზემოთქმულის მიუხედავად, ისტორიის ჩარხის უკან დაბრუნება უკვე შეუძლებელი იყო.

პროფესორების გიორგი პაიჭაძისა და ვახტანგ ჯაფარიძის მართებული შეფასებით: „ქართლელ ბაგრატიონთა რესტავრაციის ყველა ცდა უკვე რეგრესულ ხასიათს ატარებდა, რადგან თეიმურაზი და ერეკლე აღმოსავლეთ საქართველოს ფაქტიურად გაერთიანების პირობებში საერთო ეროვნულ პოლიტიკას წარმატებით ახორციელებდნენ.

რადგან ვახტანგ VI-ის შთამომავლები რუსეთის მფარველობაში იმყოფებოდნენ, ადვილად გასაგებია, რომ აღმოსავლეთ საქართველოში გამეფებულ მამა-შვილს რუსეთის მთავრობის მხრიდან თეიმურაზ II-ის ქართლის მეფედ ოფიციალურად ცნობა განსაკუთრებით ესაჭიროებოდათ. ამით რუსეთი ხელს

აიღებდა ვახტანგ VI-ის შთამომავლებისათვის პოლიტიკურ მხარდაჭერაზე, ხოლო ერეკლე II-ს ქართლ-კახეთის სამეფო ტახტის მემკვიდრედ აღიარებდა.

ვახტანგის მემკვიდრეობის მაძიებელთა პოლიტიკური პოზიციების ასეთი დასუსტება თავის მხრივ არსებითად შეარყევდა ბაგრატიონთა კახური შტოსადმი მტრულად განწყობილი ქართლელი თავადების თბოზიციას" (26, 6).

1783 წლის 24 იცლისს, კავკასიის ხაზის ცხინვალის მეთაურ გეორგიევსკში გაფორმდა ტრაქტატი ქართლ-კახეთის სამეფოსა და რუსეთის იმპერიას შორის. ქართლ-კახეთის სამეფო რუსეთის მფარველობაში თფიციალურად შევიდა.

ეს ხელშეკრულება შედგებოდა პრეამბულის, 13 ძირითადი და 4 საიდუმლო, სეპარატული არტიკულისაგან. მას დართული ჰქონდა ტექსტი ფიცისა, რომელიც ერეკლე II-ს უნდა მიეღო, თანახმად III არტიკულისა. ტრაქტატის მიხედვით, რუსეთის იმპერიამ ივალდებულა ქართლ-კახეთის სამეფოს დაცვა საგარეო საფრთხისაგან. მართალია, ქართლ-კახეთის სამეფო ნებაყოფლობით თმობდა დამოუკიდებელი საგარეო პოლიტიკის გატარების უფლებას, მაგრამ ამ შეზღუდვის მიუხედავად, ინარჩუნებდა საერთაშორისო სამართლის სუბიექტის სტატუსს, როგორც გარესამყაროს, ასევე თვით რუსეთის იმპერიის მიმართაც (1, 192-193).

1783 წლის 3 ნოემბერს ერეკლე II-მ სანკტ-პეტერბურგიდან ეკატერინე II-ისაგან გამოგზავნილი აღნიშნული ტრაქტატის სარატიფიკაციო სიგელი მიიღო. 1784 წლის 24 იანვარს, თბილისში, ერეკლე II-მ ტრაქტატის რატიფიკაცია მოახდინა.

აღნიშნულ სარატიფიკაციო სიგელზე დასმულ ქართლ-კახეთის სამეფოს დიდ სახელმწიფო ბეჭედზე სრული სახით არის დაფიქსირებული ქართლ-კახეთის სამეფოს დიდი სახელმწიფო გერბი, რომელიც ქართული ჰერალდიკის ანუ გერბთმცოდნეობის ძეგლთა შორის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს და სრულ-

ქმნილ ნიმუშად ითვლება. მასზე გამოსახულია ქართველი მეფის ქვეშევრდომობაში შემავალი სხვადასხვა სამეფოებისა და სამფლობელოების გერბები.

ქართველი მეფის ტიტულატურა ასეა წარმოდგენილი რატიფიცირებული ტრაქტატის შესავალში: **„ბრაკლი მეორე, წყალობითა ღმრთისათა მეფე ქართლისა, მეფე კახეთისა, მქმკვიდრე მფლობელი სამცხე-საათაბაგოსი, მთავარი ყაზახისა, მთავარი ბორჩალოსი, მთავარი შამშადილოსი, მთავარი კაკისა, მთავარი შაქისა და მთავარი შირვანისა, მფლობელი და მბრძანებელი განჯისა და ერევანისა“.**

ტიტულატურის ეს ფორმა, რომელშიც ქართველი მონარქი სამხრეთ კავკასიის მთელი აღმოსავლეთი ნაწილის მფლობელად არის წარმოდგენილი, უკვლელად არის დაფიქსირებული მეფე ერეკლე II-ის მიერ 1783-1785 წლების განმავლობაში გაცემულ სიგელებზე.

იმდროინდელი ევროპის სახელმწიფოებში არსებული წესის თანახმად, ბაგრატიონთა საგვარეულოთ გერბის გარშემო გამოსახულია უბიწოფერესად ქართლისა და კახეთის გერბები, ხოლო მათ შემდეგ, ქართლ-კახეთის გაერთიანებულ სამეფოსთან ვასალურ დამოკიდებულებაში მყოფ სამხრეთკავკასიურ სამფლობელოთა გერბები (17, 86-87).

ქართლ-კახეთის დიდ სახელმწიფო გერბზე შემდეგი თანამიმდევრობით წარმოდგენილ გერბებზეა გამოსახულია:

1. ქართლის სამეფოს გერბი – ცხენზე ამხედრებული წმ. გიორგი ლახვრავს გველეშაპს;

2. კახეთის სამეფოს გერბი – ალმოდებული მთა ორი ისრით გახვრეტილი;

3. ერევნის სახანოს გერბი – არარატის მთაზე შემდგარი ნოეს კიდობანი (ეს სიმბოლო თანამედროვე საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო გერბის ცენტრშია დამოსახულია);

4. განჯის სახანოს გერბი – ქრისტეშობის სცენა: ღვთის-

მშობელი ყრმითა და სამი მოგვი (ერეკლე II-ის მიერ ხელმოწერილი დოკუმენტის მიხედვით, აქ გამოსახული უნდა ყოფილიყო სამი ალმოდებული მწვერვალი, რომელიც შემდეგ ბაქოს გუბერნიის გერბი იყო, ხოლო ამჟამად აზერბაიჯანის რესპუბლიკის სახელმწიფო გერბს წარმოადგენს);

5. სამცხე-საათაბაგოს გერბი – მონასტერი ტბის პირას;

6. ყაზახის გერბი – ხელი, რომელსაც შუბი უპყრია;

7. ბორჩალოს გერბი – ჩმალი;

8. შამშადილოს გერბი – თოფი;

9. შირვანის გერბი – შგელი;

10. შაქის გერბი – მელია (17, 86-87).

ამ გერბზე დაკვირვება საფუძველს გვაძლევს დავასკვნათ, რომ ქართლ-კახეთის სამეფოს სათავეში მყოფი ბაგრატიონთა დინასტია ცდილობდა, რომ თავი იმდროინდელი ევროპის მოწინავე ქვეყნების მმართველი დინასტიების თანასწორად წარმოეჩინა (17, 87).

ერეკლე II-ის უდიდეს ავტორიტეტზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ იმერეთის თავადაზნაურობამ მას ამ სამეფოს შეერთება შესთავაზა. ეს ისტორიული მოვლენა შემდეგმა მიზეზებმა განაპირობა.

1784 წლის 23 აპრილს გარდაიცვალა იმერეთის სახელოვანი მეფე სოლომონ I. ტახტზე ავიდა მეფის ბიძაშვილი დავით გიორგის ძე (დავით II), ნაცვლად კანონიერი მემკვიდრისა, სოლომონ I-ის ძმისწულის – დავით არჩილის ძისა, რომელიც დედის ხაზით ერეკლე II-ის შვილიშვილი იყო.

დავით II-ის მმართველობით უკმაყოფილო იმერეთისა და სამეგრელოს თავადაზნაურობის მნიშვნელოვანმა ნაწილმა მისი შეცვლა გადაწყვიტა. გაჩნდა აზრი, რომ იმერეთი შეერთებოდა ქართლ-კახეთის სამეფოს, ხოლო საქართველოს ერთიან სამეფოს სათავეში მეფე ერეკლე II ჩასდგომოდა.

ამასთან დაკავშირებით, თბილისში ჩამოვიდა იმერეთის

სამეფოს წარჩინებულთა დელეგაცია, რომლის შემადგენლობაში შედიოდნენ: სასულიერო წინამძღოლნი ექვთიმე გენათელი, დოსითეოს ქუთათელი, სარდალი ქაიხოსრო წერეთელი, სახლთხუცესი ზურაბ წერეთელი, ბაატა მიქელაძე, სეხნია წულუკიძე, იოანე აბაშიძე, იოანე აგიაშვილი, ქაიხოსრო ჩივჭავაძე, აგრეთვე ფიცისკაცნი: ლორთქიფანიძე, იოსელიანი, ავალიანი და სხვები (16, 15).

იმერეთის თავადაზნაურთა დელეგაცია მეფე ერეკლე II-ს და მის მიერ მოწვეულ დარბაზს არწმუნებდა, რომ მთელი დასავლეთ საქართველო, როგორც იმერეთის სამეფოს, ასევე სამეგრელოსა და გურიის სამთავროთა ჩათვლით, დიდი სიხარულითა და იმედით ელოდება ქართლ-კახეთის სამეფოსთან შეერთებას და ამის შედეგად მთელი საქართველოს გაერთიანებას.

დელეგაცია მეფე ერეკლე II-ს სთხოვდა: „ინებოს და შეიერთოს თვისდა სამეფოდ იმერეთი, ვითარცა იყო ერთ მთავრობისა დროთა... ყოვლადი სამეფო იმერეთისა მოელის სიქადულით და მხიარულებით საქმისა ამის დასასრულსა; თვით მთავართა გურიისას და ოდიშისას სურთ და სწყურიანთ ესე. მცხოვრებთა გლეხთაცა ეციან ესე და უხარისთ ბატონობა თქვენი იმერეთსა, მტერთაგან ჯვარისა გათხრებულსა“ (16, 15).

ამხანად არსებული არახელსაყრელი საერთაშორისო ვითარების გათვალისწინებით, ერეკლე II-მ გადაწყვიტა, რომ იმერეთის სამეფო ტახტი მის ლეგიტიმურ მემკვიდრეს, ბაგრატიონთა სამეფო დინასტიის იმერეთის შტოს წარმომადგენელს – დავითს (1772-1815) უნდა დაეკავებინა. აქვე დავძენთ, რომ იგი იყო ვაჟი იმერეთის მეფის სოლომონ I-ის ძმის – არჩილ ბატონიშვილისა (გარდაიცვალა 1775 წელს) და იმავდროულად, შვილიშვილი (დედის – ელენეს ხაზით) მეფე ერეკლე II-ისა.

მეფე დავით II-ის ტახტიდან ჩამოგდების შემდეგ, იმერეთის მეფედ აკურთხეს დავით არჩილის ძე, რომელსაც თავისი სახელთვანი ბიძის პატივსაცემად – სოლომონ II ეწოდა (28, 209).

მიუხედავად დავით II-ის მცდელობისა, რომ ტახტი დაებრუნებინა, ქართლ-კახეთის ჯარის დახმარებით, უზრუნველყოფილ იქნა მეფობა სოლომონ II-ისა, რომელიც იმერეთს 1789-1810 წლების განმავლობაში მართავდა.

1790 წელს თბილისში დაიდო ტრაქტატი ქართველ მეფე-მთავართა შორის, რომლის მიზანიც საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ სამეფო-სამთავროთა შორის მჭიდრო სამხედრო კავშირის დამყარება იყო.

ქართლ-კახეთის სამეფოს ვიცე-კანცლერის სოლომონ ლიონიძის ძალისხმევით შედგენილი ამ ტრაქტატის ძალით, ქართველმა მეფე-მთავრებმა: ქართლ-კახეთის მეფემ ერეკლე II-მ, იმერეთის მეფემ სოლომონ II-მ, სამეგრელოს მთავარმა გრიგოლ დადიანმა და გურიის მთავარმა სიმონ გურიელმა ივალდებულეს ურთიერთდახმარება გარეშე საფრთხის დროს (34, 62).

აღნიშნული თავდაცვითი კავშირის მონაწილე ქართველმა მეფე-მთავრებმა თავიანთ წინამძღოლად ერთხმად აღიარეს მათ შორის ყველაზე ძლიერი და ავტორიტეტული გვირგვინოსანი – ერეკლე II.

უძლიერეს კავკასიელ მონარქთან დასაზღვევებას მონდომებით ესწრაფოდნენ იმდროინდელი საქართველოს უწარჩინებულესი თავკაცები. ამის ნათელი გამოხატულება იყო ის ფაქტი, რომ 1790 წელს ერეკლე II-ის შვილიშვილზე, გიორგის XII-ის ასულზე ნინო ბატონიშვილზე (1772-1847) ჯვარი დაიწერა სამეგრელოს მთავარმა გრიგოლ დადიანმა (გარდაიცვალა 1804 წელს). როგორც პროფ მიხეილ გოსიკაშვილი მოუთითებს: „ყველაზე მეტად დადიანის თვალები იყო გახარებული სამეფო სახლთან კვლავ დაახლოებით" (12, 114).

1783 წლის ტრაქტატის დადების შემდეგ, ქართლ-კახეთის სამეფოს საგარეო მდგომარეობა, გაუმჯობესების ნაცვლად, მკვეთრად გაუარესდა. სამხრეთ კავკასიაში რუსეთის შესვლით

შეშფოთებულმა სახელმწიფოებმა და მათ შორის უბარველესად, სპარსეთმა რეგანშის აღება გადაწყვიტეს. ასეთ ვითარებაში რუსეთის იმპერიის მესვეურებმა არ შეასრულეს მათ მიერვე ნაკისრი ვალდებულება ქართლ-კახეთის სამეფოს საგარეო საფრთხისაგან დაცვის თაობაზე, რასაც საქართველოსათვის კატასტროფული შედეგები მოჰყვა.

1795 წლის სექტემბერში სპარსეთის შაჰობის ბრეტენდენტის აღა-მაჰმად-ხანის მრავალრიცხოვანი არმია საქართველოში შემოიჭრა. ქართველთა მცირერიცხოვანი ჯარის გმირული წინააღმდეგობის მიუხედავად, მტერმა თბილისი აიღო და აოხრა.

პართალია, ამ საფრთხის რეალურობის შესახებ ერეკლე II-მ დროულად გააფრთხილა ეკატერინე II-ის საიმპერატორი კარი (33, 124), რუსეთმა თავისი ერთგული მოკავშირე კრიტიკულ ვითარებაში კვლავ სრულიად დაუცველი დატოვა. ეს იყო რუსული დიპლომატიის დიდი შეცდომა (1, 213).

1798 წლის 11 იანვარს, 78 წლის მეფე ერეკლე II თელავის სასახლეში გარდაიცვალა.

აკად. ნიკო ბერძენიშვილის შეფასებით, ერეკლე II იყო „ქვეყნის თავდადებული მოამაგე, დიდი სახელმწიფო მოღვაწე, ბრწყინვალე სარდალი და თავისი დროის მოწინავე კაცი. მოხუცებულობის მიუხედავად, მისი დაკარგვა აუნაზღაურებელი დანაკლისი იყო აფორიაქებული ქვეყნისათვის" (6, 240).

პროფ. მიხეილ გიწიკიშვილი მართებულად წერს: „ვინაიდან ზოგიერთები დღემდე საეჭვოდ მიიჩნევენ მეფე ერეკლეს დიდ დამსახურებას საქართველოსა და ქართველი ერის წინაშე, ერთხელ კიდევ უნდა გაესვას ხაზი მის დიდ სახელმწიფო მოღვაწეობას, ბრწყინვალე სამხედრო ნიჭსა და თავისი ხალხისა და საშობლოსადმი უზომო სიყვარულს" (12, 423).

1801 წლის 12 სექტემბერს, იმპერატორ ალექსანდრე I-ის ბრძანებით, ქართლ-კახეთის სამეფო გაუქმდა და რუსეთის იმპერიის შემადგენელ, განაპირა მხარედ იქცა.

აღსანიშნავია, რომ XIX საუკუნის დასაწყისიდან რუსეთის იმპერიის დიდ სახელმწიფო გერბში შეტანილ „საქართველოს სამეფოს გერბს" საფუძვლად სწორედ მეფე ერეკლე II-ის ეპოქის ქართლ-კახეთის სამეფოს დიდი სახელმწიფო გერბი დაედო.

საქართველოს სამეფოს გერბს ტრადიციულად გამოსახავდნენ რუსეთის დიდ და საშუალო სახელმწიფო გერბებზე.

დიდ სახელმწიფო გერბზე მოთავსებული იყო რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შემავალი სხვადასხვა სამფლობელოების გერბები. მათ შორის, ყველაზე ვრცელი აღწერილობა სწორედ საქართველოს სამეფოს გერბს ჰქონდა. მასზე ქართული სამეფოების გერბებთან ერთად, გამოსახული იყო საქართველოს შემადგენლობაში სხვადასხვა დროს შემავალი კავკასიური სამფლობელოების აღმნიშვნელი გერბებიც.

რუსეთის იმპერიის დიდი სახელმწიფო გერბის ოფიციალურ აღწერილობაში ვკითხულობთ: „საქართველოს სამეფოს გერბი – ოთხნაწილიანი ფარი დაბოლოებითა და შუაში მცირე ფარითურთ:

– შუა მცირე ფარზე – **საქართველოს გერბი:** ოქროს მინდორზე წმ. დიდმოწამე და ძლევამემთსილი გიორგი, ლაჟვარდის აღჭურვილობით, მკერდზე ოქროს ჯვრითა და მეწამული მანტიით, ოქროს ცხენის მქონე შავ ცხენზე ამხედრებული, მეწამული შუბით ლახვრავს შავფრთიან, მეწამული (წითელი) ფერის თვალებიან და ენიან მწვანე გველეშაპს;

– პირველ ნაწილში – **ივერიის გერბი:** მეწამულ ფარზე ყალყზე შემდგარი ვერცხლის ცხენი, ზედა მარცხენა და ქვედა მარჯვენა კუთხეებში რვაქიმიანი ვერცხლის ვარსკვლავები;

– მეორე ნაწილში – **ქართლის გერბი:** ოქროს ფარზე ცეცხლისმფრქვეველი მთა, ორი შავი ისრის პირით ზევით ჯვრისებრად გახვრეტილი;

– მესამე ნაწილში – **ყაბარდოს მიწების გერბი:** ლაჟვარდოვან ფარზე ვერცხლის ორ, პირებით ზევით გადაჯვარედინებულ

ისარზე თქროს მცირე ფარი მარჯვნივ შებრუნებული, მეწამული ნახევარმთვარით; პირველ სამ მეოთხედში ვერცხლის ექვსქიმიანი ვარსკვლავები;

– მეოთხე ნაწილში – სომხეთის გერბი: თქრთს მინდორზე მეწამული გვირგვინოსანი ლომი;

– დაბოლოებაში – ჩერქეზი და მთიელი თავადების გერბი: გაჭენებულ შავ ცხენზე ამხედრებული ჩერქეზი, ვერცხლის აღჭურვილობით, მეწამულ ტანისამოსში და შავი ბეწვის მოსასხამით, მარჯვენა მხარზე გადებული შავი შუბით" (48. 297-298).

ქართული სამეფო გვირგვინით დამშვენებული ეს მრავალსახოვანი გერბი უნაკლულო ჰერალდიკურ ნიმუშს წარმოადგენს. იგი სიმბოლურად განასახიერებს ბაგრატიონთა ათასწლოვანი სამეფო გვირგვინის ქვეშ გაერთიანებულ სრულიად კავკასიას.

გერბის შინაარსიდან გამომდინარე, საქართველოს სამეფოს შემადგენლობაში უპირველესად გაერთიანებულია ქართული სამეფოები, კერძოდ, ქართლ-კახეთის სამეფო – მისი ვასალი სამხრეთ კავკასიური მაჰმადიანური სახანოებითურთ და იმერეთის სამეფო – მისივე ქვეშევრდომობაში მყოფი დასავლეთ საქართველოს სამთავროებითურთ (სამეგრელო, აფხაზეთი, გურია და სვანეთი).

ამავე გერბის თანახმად, საქართველოს სამეფოს შემადგენლობაში ასევე გაერთიანებულია სომხეთი და ჩრდილო კავკასია. ეს უკანასკნელი წარმოდგენილია ადიღელი ხალხებით დასახლებული მიწების (ყაბარდო), „ჩერქეზი და მთიელი თავადების" სამფლობელოების სახით. ცალკე მოხსენიებულ „მთიელ თავადებში" იგულისხმებიან არააღიღური წარმომავლობის ჩრდილოკავკასიელი წარჩინებულები, კერძოდ, ვეინახები, დაღესტნელები, ოსები, ბალყარელები და ყარაჩაელები.

საინტერესოა, რატომ იყენებ რუსეთის იმპერიის მესვეურები

დაინტერესებულნი საქართველოს სამეფოს გერბის ასეთი გავრცობილი სახით წარმოდგენით?

რუსეთის მესვეურებს სურდათ გამოემჟღავნებინათ მის საზღვრებში მოქცეული უამრავი სამფლობელო და ვინაიდან ყველა მათგანის სიმბოლოებს ცალკე ვერ გამოჰყოფდნენ, ამჯობინეს, რომ ისინი საქართველოს ფარში მოექციათ.

ეს გერბი „თავისუფლად გამოდგებოდა „პრეტენზიის", ან ვთქვათ, საქართველოს იმპერიის, ასეთი რომ არსებულიყო, გერბად. მოცემული გამოსახულება გარკვეულ სიქადულსაც იწვევს იმ მნიშვნელობის ასახვით, რომელსაც საქართველო წარმოადგენდა რეგიონისათვის ან თუნდაც რუსეთისათვის... რაც არ უნდა უცნაურად მოგვეჩვენოს, საქართველოს გერბის ყველაზე განვრცობილი ვარიანტი, ზემოთ აღწერილი კომპოზიციის სახით, დამპყრობლის – რუსეთის ჰერალდიკაში მოგვევლინა" (3, 19).

ასევე საყურადღებოა, რომ საქართველოს სამეფოს გერბს ორიგინალური „ქართული გვირგვინი" ამკობს. ამ ფორმის ქართული გვირგვინი „რუსულ ჰერალდიკაში უთუოდ ძველი ქართული ტრადიციიდან არის შესული. ამის მტკიცების საფუძველს პირველყოვლისა, ე. წ. ქართული გვირგვინის, თუნდაც იგივე გეორგიევსკის ტრაქტატის საბეჭდავზე გამოსახული ერეკლე მეორისეული სახელმწიფო გერბის დამამშვენებელი გვირგვინთან მეტად ახლო გარეგნული მსგავსება გვაძლევს. აქვე ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ, ასე ვთქვათ ცარიელ ადგილზე იმპერიული ჰერალდიკა სპეციალურად საქართველოს სამეფო გერბისთვის ორიგინალურ გვირგვინს ნამდვილად არ შექმნიდა. ჩვენი ამ უკანასკნელი მოსაზრების დადასტურებაა პოლონეთისა და უკრაინის მაგალითიც – ესოდენ მსხვილ, მდიდარი ისტორიის მქონე ქვეყანათა გერბებს, საქართველოსაგან განსხვავებით, საკუთარი გვირგვინების ნაცვლად, შესაბამისად

რუსული საიმპერატორო გვირგვინი და მონომახის ქუდი ადგათ თავს" (3, 19).

ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმების შემდეგ, ქართული სამეფო გვირგვინი, რომელიც 1799 წელს, იმპერატორ პავლე I-ის ბრძანებით, საგანგებოდ მეფე გიორგი XII-ისათვის დაამზადეს, მოსკოვში ჩაიტანეს და კრემლში, „საჭურვლის პალატაში" მოათავსეს.

1831 წლის შემოდგომაზე მოსკოვში მყოფმა გამოჩენილმა ქართველმა პოეტმა, სამხედრო და საზოგადო მოღვაწემ, ინფანტერიის გენერალმა გრიგოლ ორბელიანმა (1804-1883) „საჭურვლის პალატაში" დაცული ქართული სამეფო გვირგვინი და სკიპტრა საკუთარი თვალით იხილა.

ამის შესახებ იგი თავის დღიურში წერდა: "გვირგვინი საქართველოს სამეფოსი, – ემსგავსების იმპერატორის გვირგვინს, არს ჩამოსხმული ოქროსი, შემკობილი თვლებითა, გვირგვინზე არს ვაშლი ანუ ბურთი და ჯვარი, ეგრეთვე ოქროსი... სკიპტრა საქართველოს მეფისა, არწივით თავზე, – არს ოქროსი, მწვანეს (ემალით) დაფარული და შემკობილი თვლებით".

აღსანიშნავია, რომ რუსეთის დიდ სახელმწიფო გერბზე აღბეჭდილ და იმპერიის შემადგენლობაში შემავალ სხვადასხვა სამფლობელოთა გერბებს შორის „საქართველოს სამეფოს გერბი" საკმაოდ საპატიო, მეექვსე ადგილას იყო გამოსახული. მის შემდეგ იყო წარმოდგენილი: კიევის, ვლადიმირის, ნოვგოროდის და ფინეთის სამთავროთა გერბები (48, 296-298).

ასევე საყურადღებოა, რომ რუსეთის იმპერატორთა ტიტულატურაში 1801 წლიდან დამკვიდრდა ტიტული „მეფე საქართველოსი". ამ ტიტულით სარგებლობდნენ იმპერატორები: ალექსანდრე I, ნიკოლოზ I, ალექსანდრე II, ალექსანდრე III და ნიკოლოზ II (44, 15).

აღნიშნულ ტიტულს, რომელსაც ტიტულატურის სრულ ჩამონათვალში საკმაოდ მოწინავე, მეცხრე ადგილი ეკავა,

იმპერატორის მფლობელობაში შემავალი ქვეყნების გრძელი სია მოსდევდა. მაგალითად, სრულიად რუსეთის იმპერატორი მხოლოდ „საქართველოს მეფედ" სახელდების შემდეგ იხსენიებოდა „ფსკოვის ხელმწიფედ, სმოლენსკის, ლიტვის, ვოლინის, პოდოლსკისა და ფინეთის დიდ მთავრად; ესტლანდიის (იგივე ესტონეთის), ლიფლანდიის, კურლანდიის, სემიგალის, სამოგიტის, ბელოსტოკის, კარელიის, ტვერის, იუგორსკის, პერმის, ვიატკის თავადად" და სხვა მრავალ სამფლობელოთა მფლობელად (48, 6-7).

ყოველივე ზემოთქმული კიდევ ერთხელ მიგვანიშნებს საქართველოს უმნიშვნელოვანეს როლსა და ადგილზე არა მხოლოდ კავკასიაში, არამედ რუსეთის იმპერიის პოლიტიკაში.

მეფე ერეკლე II სამჯერ იყო დაქორწინებული. მისი პირველი მეუღლე იყო იმერეთის წარჩინებული თავადის ზაალ მხეიძის ასული – ქეთევანი.

1744 წელს, ქეთევან დედოფლის გარდაცვალების შემდეგ, ერეკლე II-მ ცოლად შეირთო იმერეთის წარჩინებული თავადის ზაალ აბაშიძის ასული – ანა (1730-1749). მათი ძე იყო გიორგი XII – ქართლ-კახეთის უკანასკნელი მეფე.

ანა დედოფლის გარდაცვალების შემდეგ მეფემ ვაჟვარი დაიწერა სამეგრელოს მთავრის ოტია დადიანის ძმის შვილის, გიორგი კაციას ძე დადიანის ასულზე – დარეჯანზე (1734-1807).

მიუხედავად იმისა, რომ ერეკლე II-ს მრავალრიცხოვანი შთამომავლობა დარჩა, მისი პირდაპირი ნაშიერნი (მამაკაცთა ხაზით) დღეისათვის ძალიან ცოტანი არიან. მათ შორისაა მხოლოდ ორი ოჯახი, რომელთაგან ერთი თბილისში (ბაგრატ ბატონიშვილის შთამომავლობა), ხოლო მეორე – მოსკოვში (ბაგრატის უმცროსი ძმის – იესია ბატონიშვილის შთამომავლობა) ცხოვრობს.

მათგან უფროსი შტოს წარმომადგენელია თბილისში მცხოვრები ნუგზარ პეტრეს ძე ბაგრატიონი-გრუზინსკი (დაბადებული

1950 წელს). იგი დიდი ქართველი მეფის პირდაპირი შთამომავალია მამაკაცთა ხაზით (მეექვსე თაობა). მისი გენეალოგიური ხაზი შემდეგნაირად გამოიყურება: ერეკლე II (1720-1798) – გიორგი XII (1746-1800) – ბაგრატ ბატონიშვილი (1776-1841) – ალექსანდრე (1820-1865) – პეტრე (1857-1922) – პეტრე (1920-1984) – ნუგზარი (1950) (5).

ამრიგად, ქართლ-კახეთის სახელოვანი მეფე ერეკლე II დიდი საერთაშორისო ავტორიტეტით სარგებლობდა. მისი თავდადებული მოღვაწეობის შედეგად, სამხრეთ კავკასიის ტერიტორიაზე არსებულ სამეფო-სამთავროებსა და სახანო-სასულთნოებს შორის ყველაზე ძლიერი სახელმწიფო – ქართლ-კახეთის სამეფო იყო. ქართველმა მეფემ თავისი ქვეშევრდომობის ქვეშ ვრცელი ტერიტორია მოაქცია. XVIII საუკუნის 60-80-იან წლებში მისი ჰეგემონობა აღნიშნულ რეგიონში აშკარა იყო.

უძლიერესი კავკასიელი მონარქის მიმართ პატივისცემით იყვნენ განმსჭვალულნი არა მხოლოდ კავკასიელი, არამედ ახლო აღმოსავლეთში მცხოვრები ხალხებიც.

რუსეთის იმპერიის დიდ სახელმწიფო გერბში საპატიო ადგილას გამოსახულ „საქართველოს სამეფოს გერბს" საფუძვლად ერეკლე II-ის ეპოქას ქართლ-კახეთის სამეფოს სახელმწიფო გერბი დაედო.

ქართული სამეფოებისა და სომხეთის გერბებთან ერთად, მასზე მოთავსებული იყო აგრეთვე, ჩრდილო კავკასიაში მდებარე ქვეყნების აღმნიშვნელი გერბებიც. ამით რუსეთის იმპერიის მესვეურებმა თავიანთ უმნიშვნელოვანეს სიმბოლოზე – სახელმწიფო გერბზე თფილისიალურად დააფიქსირეს, რომ კავკასიის რეგიონში შეპაყალ ქვეყნებს შორის საქართველო ტრადიციულად ჰეგემონ სახელმწიფოს წარმოადგენდა.

* * *

„პატარა კახის" გარდაცვალების შემდეგ ორ საუკუნეზე მეტმა განვლო, რაც არც ისე ცოტა დროა...

მიუხედავად ამისა, ამ გმირი მეფის ხსოვნა დღემდე წმინდად არის შემონახული არა მხოლოდ საქართველოში, არამედ მის საზღვრებს გარეთაც, განსაკუთრებით მოძმე კავკასიელ ხალხებში. ამბში პირადად დავრწმუნდი ამა წლის ზაფხულში, როდესაც ჩრდილო-დასავლეთ კავკასიაში ვიმოგზაურე.

2 აგვისტოს, ქალაქ მაიკოპში, ადიღეს სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა პრეზენტაცია წიგნისა „ნარკვევები ქართველი და ადიღელი ხალხების ურთიერთობის ისტორიიდან" (37).

პრეზენტაციაზე სიტყვით გამოვიდნენ ცნობილი ადიღელი (ჩერქეზი) მეცნიერები: ადიღეს რესპუბლიკის განათლებისა და მეცნიერების ყოფილი მინისტრი, ხოლო ამჟამად სახელმწიფო უნივერსიტეტის ეროვნული ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი ბათირბი ბერსიროვი, ისტორიკოსები აიდამირყან ზაფესოვი, ასპად ჩირგი, ფილოსოფოსი რუსლან ხანახუ, ეთნოლოგი მირა უნაროკოვა, ენათმეცნიერი ნუხი გიშევი, მხატვარი ტეუჩეჟ კატი და სხვები, რომელთა უმეტესობამაც უმაღლესი განათლება საქართველოში მიიღეს.

ადიღელმა მეცნიერებმა ვრცლად ისაუბრეს როგორც წიგნის შესახებ, ასევე ქართულ-ადიღური მრავალსაუკუნოვანი კავშირის აღდგენის აუცილებლობაზე. მათ სიამაყით აღნიშნეს, რომ მოძმე ქართველი ერის მსგავსად, მათაც ძალიან უყვართ სახელოვანი მეფე ერეკლე II. რომლის ძარღვებშიც ქართულთან ერთად ადიღური სისხლიც ჩქეფდა.

პრეზენტაციის შემდეგ ადიღელ ინტელიგენციის წარმომადგენლებმა სიამოვნებით გადაიღეს სურათები ქართველი მეფეების – ადიღელთა (ყაბარდოელთა) სიძის ვახტანგ VI-ისა მისი შვილიშვილის ერეკლე II-ის პორტრეტების ქვეშ (ამ სურათებიდან ორი ფოტო წინამდებარე წიგნშია გამოქვეყნებული).

ვფიქრობთ, ეს ფაქტი კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ უძლიერესმა მთხარქმა ერეკლე II-მ თავისი თავდადებული მოღვაწეობით დაიმსახურა გულწრფელი პატივისცემა, რომელიც ქართველ და მის მოძმე კავკასიელ ხალხებში დღემდე უკვდავი და გაუხუნარია.

ყოველივე ზემოთქმულის გამო, სიცოცხლეშივე ლეგენდად ქცეული მეფის ეპოსის ტექსტის გამოვლენა–დადგენა და მონოგრაფიულად შესწავლა ქართველი ფოლკლორისტებისათვის ფრიად მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენდა.

წინამდებარე წიგნი ამ საყურადღებო საკითხის კომპლექსურად შესწავლის წარმატებული ცდაა.

სიმბოლურია, რომ ეს მრავალმხრივ საინტერესო ნაშრომი წიგნად თეიმურაზ II-ისა და ერეკლე II-ის ქართლისა და კახეთის მეფეებად კურთხევის 260 წლისთავზე გამოდის.

ნოკე ჯავახიშვილი

საქართველოს პრეზიდენტთან არსებული
ჰერალდიკური კომისიის წევრი,
ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის კათედრის
ბრთფესთრი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი

წყაროები და ლიტერატურა

1. ლევან ალექსიძე, საქართველო-რუსეთის საერთაშორისო-სამართლებრივი ურთიერთობა XV-XVIII საუკუნეებში, თბ., 1983;
2. ალექსანდრე ამილახვარი, ბრძენი აღმოსავლეთისა, გეორგიანული ისტორია; გამოსაცემად მოამზადა, შენიშნები და ბიოგრაფიული ნარკვევი დაურთო ვაჟა კიკნაძემ, თბ., 1997;
3. თორნიკე ასათიანი, ქართული გერბთმცოდნეობა (ჰერალდიკა), თბ., 2002;
4. ზაურ ბაბ-უნაშვილი, კულტურის თრი ტაძარი, თბ., 1981.
5. ბაგრატიონები, სამეცნიერო და კულტურული მემკვიდრეობა, კრებული გამოცემულია მეცნიერების ისტორიის საქართველოს საზოგადოების, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიისა და „ბაგრატოვანთა სახლის" მიერ, მთავარი რედაქტორი როინ მეტრეველი, თბ., 2003;
6. ნიკო ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, წიგნი II, თბ., 1965;
7. ნიკო ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, წიგნი IV, თბ., 1966;
8. ნიკო ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, წიგნი VI, თბ., 1973;
9. თეიმურაზ ბოცვაძე, ჩრდილო კავკასიის ხალხები საქართველოს საგარეო პოლიტიკაში (XVI-XVIII სს.), თბ., 1990;
10. ლია გიგაური, საქართველო სიმეონ ერევანცის „მემუარებში", თბ., 1997;
11. გიულდენშტეტტის მოგზაურობა საქართველოში, ტ. I. გერმანული ტექსტი ქართული თარგმანით გამოსცა და გამოკვლევა დაურთო გია გელაშვილმა, თბ., 1962;

12. მიხეილ გონიაშვილი, ბაგრატიონთა გადასახლება და მოღვაწეობა რუსეთში, თბ., 2002;
13. დავით ბატონიშვილი, ახალი ისტორია; ბაგრატ ბატონიშვილი, ახალი მოთხრობა, თამარ ლომოურის გამოცემა, თბ., 1941;
14. მამია დუმბაძე, ქართლ-კახეთის საგარეო და საშინაო ვითარება XVIII ს. 60-იან წლებში, წგნ.: „საქართველოს ისტორიის ნარკვევები", ტ. IV, თბ., 1973;
15. ედუარდ აიხვალდი საქართველოს შესახებ (XIX ს. პირველი მესამედი), გერმანულიდან თარგმნა, შესავალი და საძიებელი დაურთო გია გელაშვილმა, თბ., 2005;
16. პლატონ იოსელიანი. ცხოვრება გიორგი მეცამეტისა, აკაკი გაწერელიას შესავალი წერილებით, რედაქციითა და შენიშვნებით, ტფ., 1936;
17. დავით კლდიაშვილი, ქართლ-კახეთის სამეფოს დიდი სახელმწიფო ბეჭედი, ჟურნ. „ომეგა", თბ., 2000, № 12;
18. არტურ ლაისტი, საქართველოს გული, თბ.. 1963;
19. დევიდ ლენგი. საქართველოს სამეფოს უკანასკნელი წლები, თბ., 2003;
20. გოტჰოლდ ეფრაიმ ლესინგი, მინა ფონ ბარნჰელმი ანუ ჯენტლმენის ბედნიერება, კომედია ხუთ მოქმედებად, თარგმანი,წინასიტყვაობა და შენიშვნები გიორგი ნადირაძისა, თბ., 1946;
21. გურამ მაისურაძე, ქართველი და სომეხი ხალხების ურთიერთობა XIII-XVIII საუკუნეებში, თბ., 1982;
22. გურამ მაისურაძე, საქართველოს სომხური მოსახლეობის ისტორიის საკითხები (IV-XVIII სს.). თბ., 1999;
23. ვალერიან მაჭარაძე, მასალები XVIII ს. II ნახევრის რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის, ნაწილი II, თეიმურაზ მეორის ელჩობა რუსეთში, თბ., 1968;
24. ვალერიან მაჭარაძე, მასალები XVIII ს. II ნახევრის რუსეთ-

საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის, ნაწილი III, ნაკვეთი II, რუსეთ-თურქეთის ომი 1768-1774 წლებში და საქართველო, თბ., 1997;
25. პაპუნა ორბელიანი, ამბავნი ქართლისანი, ტექსტი დაადგინა, შესავალი, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ელენე ცაგარეიშვილმა, წგნ.: „ქართული საისტორიო მწერლობის ძეგლები“, ტ. III, თბ., 1981;
26. გიორგი პაიჭაძე, ვახტანგ ჯაფარიძე, ქართული ისტორიული ძეგლები ქალაქ ასტრახანში, თბ., 1974;
27. იაკობ რაინეგსი, მოგზაურობა საქართველოში. გერმანულიდან თარგმნა, შესავალი და საძიებლები დაურთო გია გელაშვილმა, თბ., 2002;
28. მიხეილ რეხვიაშვილი, იმერეთი XVIII საუკუნეში(ნარკვევები), თბ., 1982;
29. საქართველოს ისტორიის ქრონიკები XVII-XIX სს., ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევები, შენიშვნები და განმარტებები დაურთო პროფესორმა ავთანდილ იოსელიანმა, თბ., 1980;
30. ილია ტაბაღუა, საქართველო საერთაშორისო არენაზე XVIII საუკუნის მეორე ნახევარში (ერეკლე II-ის საგარეო პოლიტიკის ისტორიისათვის), თბ., 1979;
31. ლთვარდ ტუხაშვილი, რუსეთი და საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობა აღმოსავლეთ საქართველოში, თბ., 1997;
32. გერონტი ქიქოძე, ერეკლე II, თბ., 1983;
33. ზურაბ ავქიტაშვილი, გარსევან ჭავჭავაძის სახელმწიფოებრივი მოღვაწეობა (საქართველოს საგარეო პოლიტიკური ისტორიიდან XVIII საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში), თბ., 1982;
34. ზურაბ ავქიტაშვილი, საქართველოს სახელმწიფო მოღვაწენი (XVIII ს. II ნახევარი – XIX ს. დამდეგი), თბ., 1980;

35. ანდუყაფარ ჭეიშვილი, ერეკლის ხანების მიერ საქართველოში გამოგზავნილი წერილები (XVIII ს. II ნახევარი), თბ., 1982;
36. რომან ხერხეულიძე, მეფობა ირაკლი მეორისა, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებელი დაურთო ლელა მიქიაშვილმა, თბ., 1989;
37. ნიკო ჯავახიშვილი, ნარკვევები ქართველი და ადიღელი ხალხების ურთიერთობის ისტორიიდან, თბ., 2005;
38. Амилахвари А., История георгианская о юноше князе Амилохорове, перевод с грузинского С. И., Тип. при Артиллерийском инженерном шляхетском корпусе у содержателя тип. Х. Ф. Клеэна, СПб., 1779;
39. Боцвадзе Т., Народы северного кавказа в грузинско-русских политических взаимоотношениях XVI-XVIII веков, Тб., 1974;
40. Броссе М., Переписка на иностранных языках грузинских царей с российскими государями, от1639 по 1770, СПб.,1861;
41. Бурнашев С., Картина Грузии или описание политического состояния царств Карталинского и Кахетинского, Тифлис, 1896;
42. Бутков П., Материалы для новой истории Кавказа с 1722 по 1802 г., ч. I-3, СПб., 1869;
43. Дворянские роды Российской империи, т. III, Князья, под редакцией С. Думина, М., 1996;
44. Джавахишвили Н., Грузины под российским флагом (грузинские военные и государственные деятели на службе России в 1703-1917 гг.), Тб., 2003;
45. Джавахишвили Н., Кахетинская царская ветвь Багратионов – родственники адыгов, газ."Кавказский акцент", №7 (128), Тб., 1-16 IV, 2004;
46. Иоаннисян А., Иосиф Эмин, Ереван, 1945;

47. Кортуа Н., Русско-грузинские взаимоотношения во второй половине XVIII века, Тб., 1989;
48. Мурашев Г., Титулы, чины, награды. СПб., 2002;
49. Цагарели А., Грамоты и другие исторические документы XVIII столетия, относящиеся к Грузии, т. I, с 1768 по 1774 гг., Под редакцией А. А. Цагарели, т. 1-2 (в 1-2), СПб., 1891-1902;
50. Allen W., A History of the Georgian People, London, 1932.
51. Kaufhold H., Die Kreige des Konigs Heraklius II. von Georgien und ihr Echo in einer zeitgenossichen deutchen Zeitung, "Caucasica", The Journal of Caucasian Studies, vol. 2, Tb., 1998;
52. Peyssonel Ch. C. de. Essai sur les troubles actuels de Perse et de Georgie, Paris. 1754.

შინაარსი

მეორე გამოცემის წინასიტყვაობა 3

შესავალი 5

თავი I. ერეკლეს ეპოსის თეორიული საფუძვლები 19

თავი II. ერეკლეს ეპოსის მორფოლოგია 49

თავი III. ერეკლეს ზეპირსიტყვიერი თავგადასავლის ეპიკური სტრუქტურა 101

თავი IV. ერეკლეს ეპოსის ტექსტოლოგიური ისტორია 153

ერეკლეს ეპოსის ტექსტის ჩაწერა-პუბლიკაციის ისტორია 159

თავი V. ერეკლეს ეპოსი 206

ერეკლეს ეპიკური თავგადასავალი 207

ერეკლეს ეპოსის ციკლების გმირები 238

ლევან ბატონიშვილის ციკლი 239

დილთაძის ციკლი 244

მაია წყნეთელის ციკლი 247

თამრთ ვაშლოვანელის ციკლი 251

გადმოცემა თამრთ ვაშლოვანელზე 253

თინა წავკისელის ციკლი 257

გადმოცემა თინა წავკისელზე 257
ძაღლიკა ხიმიკაურის ციკლი 260
ხიმიკაურის ხმალი 260
ბაატა თემურიშვილის ციკლი 263
გელა ნათელაშვილის ციკლი 265
გიორგი თილისძის ციკლი 270
ტურა ქაიხოსრთს ციკლი 277
ალუდაურ გაბურის ციკლი 279
წინა ალუდაურ გაბური 279

ლიტერატურა: 283

უძლიერესი კავკასიელი მონარქი 288

წყაროები და ლიტერატურა 345